დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ქალაქ ზუგდიდის #5 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: **მამუკა ხამხაძე** - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, თავმჯდომარე

წევრები:

ზვიად ბერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი

ხათუნა თოიძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ეკა კობიაშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნინო ბლუაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნატო შაინიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ხათუნა ქერაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნანა ციცაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ქეთევან ცირეკიძე - ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ქეთევან ქობალია - სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი.

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ ზუგდიდის N5 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	219988315

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ზუგდიდი
იურიდიული მისამართი	ქალაქ ზუგდიდი; გორგასლის ქუჩა N2
ფაქტობრივი მისამართი	ქალაქ ზუგდიდი; გორგასლის ქუჩა N2
საფოსტო ინდექსი	**2100**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**skolebi.emis.ge - სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №5 საჯარო სკოლა**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Zugdidi5@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	#MES 3 23 0000994623

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძანება #MES 3 23 0000994623 15.08.2023წ.
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	10-11 ოქტომბერი, 2023წ.

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

				(მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული	ქალაქ ზუგდიდი; გორგასლის ქუჩა N2
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული	ქალაქ ზუგდიდი; გორგასლის ქუჩა N2
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული	ქალაქ ზუგდიდი; გორგასლის ქუჩა N2

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ ქალაქ ზუგდიდის #5 საჯარო სკოლის შეფასების პროცესი დაგეგმილი პროცედურების შესაბამისად წარიმართა. ექსპერტთა ჯგუფმა ორი სავიზიტო დღის განმავლობაში (2023წ. 10-11 ოქტომბერი) იმუშავა სკოლაში, დაათვალიერა და შეისწავლა სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, ასევე ჩაატარა ინტერვიურება მასწავლებლებთან და მოიპოვა დამატებითი ინფორმაცია მეორე სტანდართან (კურიკულუმთან) დაკავშირებით. ექსპერტებმა ადგილზე დაათვალიერეს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა და ინფრასტრუქტურა. საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა ვიზიტის პერიოდში შეისწავლა სასწავლო გარემო და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირისპირ გაესაუბრა საგნობრივი კათედრის წარმომადგენლებს. ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს მიაწოდეს ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ, რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. სკოლის დირექცია და მასწავლებელთა კოლექტივი საკმაოდ მაღალი მიმღებლობით შეხვდა პროცესს.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 1000	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა **სრულ შესაბამისად შეაფასა** შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა;
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	*ხარვეზი*
2.2.	**კურიკულუმის განხორციელება**	
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	*ხარვეზი*
სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	*ხარვეზი*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.1.2.3.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;	**რეკომენდირებულია ექიმის კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყოს** საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტ ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

[1] გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		ერთობლივი ბრძანების (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი) მოთხოვნებთან. სკოლამ წარმოადგინა ექიმის შესარჩევად ღია კონკურსის გამოცხადებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანება #2-451 20.11.2023წ. კონკურსის დასრულების ვადაა 2023 წლის 10 დეკემბერი.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოები დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	1. რეკომენდირებულია სკოლამ მოიპოვოს **დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 16.11.2024 წლამდე.** სკოლას აქვს სახანძრო-ტექნიკური შემოწმების თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობა **19.07.2019წ**. მიწერილობაში მითითებულია აღმოსაფხვრელი მიმართულებები. შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების **სააგენტოს წერილი სკოლისადმი #3208132 02.11.2023ნ.** საინჟინრო პროექტების შესაბამისობის შესახებ. სკოლამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ავტორიზაციის სამზადისში განახორციელა შემდეგი აქტივობები: 09.10.2023წ. გააფორმა შესყიდვის ხელშეკრულება #M77/10 საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლას 18.04.2023წ. გაფორმებული აქვს ხელშეკრულება #320701-77 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან საჭირო დაფინანსების გამოყოფის თაობაზე. **2. რეკომენდირებულია სკოლამ უზრუნველყოს სასკოლო ფართი გადაცემა მესამე პირისათვის სამართლებრივი საფუძვლების**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

		(ბრძანება, შეთნხმება) მიხედვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #99/ნ ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. (დამხმარე შენობის პირველ სართულზე გარკვეული სივრცე გადაცემულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროექტის ფარგლებში არსებული სასკოლო მოსამზადებელი ჯგუფისათვის. ასევე ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე ერთი ოთახი დათმობილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულიტიდისციპლინური გუნდისათვის). სკოლამ განახორციელა რიგი აქტივობები პროცესის სამართლებრივი რეგულირების მიზნით, კერძოდ მიმართა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს. შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი #1572066 17.11.2023წ.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი 3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	სკოლას წარმოდგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტი უფრო შაბლონური და ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად ასახავს კონკრეტული სკოლის კონტექსტს და ნაკლებად შეესაბამება მოცემული სკოლის კონკრეტულ საჭიროებებს. მიზანშეწონილია მსგავსი ტიპის დოკუმენტი უფრო მეტად იყოს მორგებული ადგილობრივ საჭიროებებს/სკოლის კონტექსტს.
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის	სკოლას მიღებული აქვს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტიზის დასკვნა #5004931323 10.08.2023წ. შენობის ტექნიკური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

	საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას.	მდგომარეობის შესახებ, სადაც მითითებულია რომ შენობის ექსპლუატაცია უსაფრთხოა. თუმცა დასკვნაში მინიშნებულია, რომ შენობას აღენიშნება სეისმურ ნორმებთან შეუსაბამო დაზიანებები ცენტრალურ სასწავლო კორპუსზე, რაც გამოწვეულია ასაკობრივი ცვეთით და ტექნიკური მოუვლელობით. **მიზანშეწონილია** სკოლამ გაითვალისწინოს ექსპერტიზის რჩევა და შმდგომი ხანგრძლივი ექსპლუატაციისათვის ჩაატაროს გაძლიერებითი სამუშაოები.
ინდიკატორი 3.7.1.2.	სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.	**მიზანშეწონილია** ბუღალტერმა აწარმოოს ფინანსური ანგარიშგება სკოლასთან პერიოდულად სამსახურებრივი ბარათების მეშვეობით შესყიდვების ოპერაციების განხორციელების დროს.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

სკოლას აქვს მისია და ხედვა, რომელიც 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილია. სასკოლო გეგმა შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან 07.09.2023წ. #5 სხდომის ოქმი და დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე 07.09. 20123წ. #8 სხდომის ოქმი. მისია აქცენტს აკეთებს მოზარდების შესაძლებლობების სრულად გამოვლენასა და განვითარებაზე, მოსწავლისათვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების საკუთარი, ინდივიდუალური გზის შეთავაზებაზე. სოციალური უნარების განვითარებაზე - დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის მომზადებაზე, აკადემიური უნარების განავითარებაზე, მაღალი ზნეობრივი ღირებულებების ჩამოყალიბებაზე - მშვიდობის, პატივისცემის, შემწყნარებლობის, თანასწორობისა და სოლიდარობის სულისკვეთებაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. აღნიშნულის მიღწევის განხორციელებას სკოლა გეგმავს სასკოლო საზოგადოების უწყვეტი პროფესიული განვითარებით და სწავლება/სწავლის ინოვაციური მეთოდების დანერგვით სასწავლო პროცესში.

სკოლას აქვს ხედვა, რომლითაც მოაზრებულია სკოლის პერსპექტივა კონკრეტული გაზომვადი ინდიკატორების მითითებით. მაგ. სკოლა გეგმავს მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლების ყოველწლიურ ზრდას, ასევე საუნივერსიტეტო გამოცდების შედეგების ამაღლებას და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

სკოლას წარმატებულობის ერთ-ერთი მნიშვნელოვან ინდიკატორად უსაფრთხო სასწავლო გარემოს უზრუნველყოფა მიაჩნია, სადაც თითოეულ მოსწავლეს შესაძლებლობა ექნება გამოავლინოს და განავითაროს საკუთარი უნარ-ჩვევები. სკოლის დირექტორის განცხადებით, წახალისებულია კვალიფიციური პერსონალის მიერ სასიამოვნო სასწავლო გარემოს შექმნა, რაც მიმართულია მოსწავლის პიროვნული განვითარებისთვის საჭირო სოციო-კულტურული სივრცის შექმნისკენ. სკოლა ხელმძღვანელობს ისეთი ღირებულებებით, როგორიცაა თანასწორობა, ურთიერთპატივისცემა, ტოლერანტობა, განსხვავებული აზრის მიმღებლობა და პატივისცემა, სკოლა ზრუნავს მოსწავლის სოციალური და ფსიქო-ემოციური უნარების გამომუშავებაზე.

სკოლაში შემუშავებულია შინაგანაწესი და დანერგილია ქცევის წესები. შინაგანაწესის დარღვევები მინიმალურია. არ რჩება რეაგირების გარეშე არც ერთი გადაცდომა. შემუშავებულია და დანერგილია პრევენციული ღონისძიებები. სკოლაში დამკვიდრებულია თანამშრომლობითი კულტურა, რაც ხელს უწყობს სიახლეების დანერგვას, სწავლა-სწავლების მაღალ ხარისხს და პოზიტიური გარემოს ჩამოყალიბებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისია არის სასკოლო სასწავლო გეგმის შემადგენელი ნაწილი. სკოლას განაცხადში წარმოდგენილი ჰქონდა 2022-2023 ს/წ მისია და ხედვა, შესაბამისად 2022 წლის 08 სექტემბრის სამეურვეო საბჭოს N5 სხდომისა და 2022 წლის 08 სექტემბერის პედაგოგიური საბჭოს N6 სხდომის ოქმები. სკოლის დირექტორის 2023 წლის 13 ივნისის #2-185 ბრძანებით შეიქმნა მიზნობრივი სამუშაო ჯგუფი, რომელმაც იმუშავა სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების განახლებაზე. სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ კათედრების წარმომადგენლები, მშობელთა სათათბიროს წევრი, მოსწავლეთა თვითმმართველობის წამომადგენლები, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი გუნდის წევრები. სამუშაო ჯგუფმა განახორციელა სკოლის სტრატეგიული ანალიზი, სკოლაში არსებული მდგომარეობის შეფასება. კითხვარებით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, სკოლამ გადახედა მისიას, ხედვას, ღირებულებებს და ჯგუფმა ჩამოაყალიბა საბოლოო ვერსია. 2023-2024 ს/წლის მისია, ხედვა და ღირებულებები განიხილა სკოლის სამეურვეო საბჭომ და დაამტკიცა სკოლის პედაგოგიურმა საბჭომ. სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა მისიისა და ხედვის სამუშო ვერსიაც და საბოლოო პროდუქტიც. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

სკოლის მისიისა და ხედვის გაზიარება მოხდა ჯერ კიდევ სამუშაო ეტაპზე სამუშო ჯგუფში, შემდეგ სამეურვეო და პედაგოგიურ საბჭოებზე განხილვის პროცესში. გარდა ამისა, სკოლამ იზრუნა მისიის, ხედვისა და ღირებულებების გაზიარებაზე ფართო საზოგადოებისათვის და აღნიშნული დოკუმენტები გამოკრულია სკოლის ცენტრალურ ფოიეში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას. ამასთან, 2023-2024 ს/წ სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებლებმა მშობლებთან შეხვედრებისას გააზიარეს მისია და ხედვა. აღნიშნულის დადასტურება ხდება სკოლის მიერ წარმოდგენილი მშობელთა კრების ოქნებით, სადაც იკითხევა სასკოლო დოკუმენტების გაზიარება მშობლებთან შეხვედრაზე. მისიისა და ხედვის გაზიარება დაგეგმილია სადამრიგებლო საათის ფარგლებშიც მოსწავლეებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა გეგმავს გაზიარება გახადოს მეტად ფართომასშტაბიანი, ამ მიზნით მომავალი სასწავლო წლიდან გეგმავს ბუკლეტების შექმნას, რომლის გაფორმებაშიც მონაწილეობას მიიღებს სკოლის თვითმმართველობა, სამოქალაქო განათლების კლუბი და მეტი ჩართულობისთვის თავად გააცნობენ დოკუმენტს თემსა და სასკოლო საზოგადოებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

სკოლის მისია და ხედვა, დოკუმენტების შინაარსიდან გამომდინარე, საჯაროა თითოეული დაინტერესებული პირისთვის. ასევე, სკოლის მისია, ასახულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც საჯაროდ ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის. გამოკრულია სკოლის ცენტრალურ ფოიეში ყველასთვის ხელმისაწვდომ ადგილას. განაცხადის შევსების მომენტში სკოლას არ ჰქონდა ვებ-გვერდი და სკოლა გეგმავდა მისი საშუალებით მისია-ხედვის გასაჯაროებას. ვიზიტის პერიოდამდე მოხდა სკოლის ვებ-გვერდის ამოქმედება და მონაცემების შეტანა. ვიზიტის პერიოდში ვებ-გვერდზე - **skolebi.emis.ge სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №5 საჯარო სკოლა** - ასახული იყო მონაცემები სკოლის მისიისა და ხედვის შესახებ. ვებ-გვერდის შექმნამდე სკოლა სარგებლობდა სოციალურ ქსელით - ფეისბუქ-გვერდი „მშობლის სივრცე". კლასის დამრიგებლებს აქვთ დახურული ჯგუფები მშობელთათვის, სადაც გაზიარებულია აღნიშნული დოკუმენტი და მშობლებს კომენტარების სახით აქვთ უკუკავშირის მიცემის საშუალება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

სკოლის სახელწოდება შეესაბამება მის საქმიანობასა და კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 26 სექტემბერის №870 ბრძანების მიხედვით, სკოლის სახელწოდებაა „სსიპ ქალაქ ზუგდიდის №5 საჯარო სკოლა" და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და საჯარო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამართლის იურიდიული პირის საქმიანობას. სკოლამ წარმოადგინა ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, სადაც ასახულია სკოლის შესაბამისი სახელწოდება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა; (სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები)
- 2022 წლის 07 სექტემბრის ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 08.09.2022 წ სხდომის ოქმი №5
- 2022 წლის 07 სექტემბრის ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 08.09.2022 სხდომის ოქმი №6
- ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის დირექტორის 13 ივნისი 2023 წლის ბრძანება 2-185 შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;

სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია. დოკუმენტი შემუშვებულია და დამტკიცებულია სკოლის **დირექტორის ბრძანებით #2-187 20.06. 2023წ.** მეთოდოლოგიაში აღწერილია სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხორციელებისა და შეფასების პრინციპები და პროცესები. სკოლა სტრატეგიული გეგმისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში ხელმძღვანელობდა ამ მეთოდოლოგიით. დოკუმენტი ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს. წარმოდგენილი მასალების შესწავლით დგინდება, რომ სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოება, რითაც შესაძლებელი გახდა მათი ინტერესების გათვალისწინება. კერძოდ, მეთოდოლოგიის მიხედვით სკოლამ განახორციელა შემდეგი აქტივობები: 1. ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი 2023 წლის ზაფხულში. 2. მისია- ხედვის და სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვერსიის შემუშავება 2023წ. ზაფხულში, 3. სტრატეგიული მიზნების და ამოცანების ფორმირება. გეგმაზე იმუშვა სამუშაო ჯგუფმა, რომელმაც ჩაატარა კვლევა და მოაგროვა ინფორმაცია ფოკუს ჯგუფებიდან (მშობლები, მოსწავლეები, მასწავლებლები და ტექნიკური პერსონალი). მოსწავლეების და მშობლების გამოკითხვა მოხდა სპეციალურად შედგენილი კითხვარებით FORM-ის პლატფორმის გამოყენებით (ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის მიერ თიმსის პლატფორმაზე შექმნილი ვირტუალური სივრცე, სადაც განთავსებულია აღნიშნული მასალები). გამოკითხვა მიზნად ისახავდა სასკოლო გარემოს შესწავლას და შეფასებას. ჯგუფების მხრიდან მიიღეს შესაბამისი უკუკავშირები, შეხედულებები გაზიარება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოხდა სკოლის სოციალური ქსელში. სკოლის თვითშეფასების პროცესებმა ავტორიზაციის სამზადისში უფრო მეტი საშუალება მისცა სკოლას ზედმიწევნით შეეფასებინა სკოლის მდგომარეობა. მონაცემების გაანალიზების შედეგად გამოიკვეთა, თუ სად იმყოფება ამჟამად სკოლა, რა არის სკოლის წინაშე არსებული გამოწვევები და რეალური შესაძლებლობები. სტრატეგიულმა ჯგუფმა სიტუაციურ ანალიზზე დაფუძნებით განსაზღვრა 7 წლიანი სტრატეგია. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფის 7 შეხვედრის ანგარიშის ფორმები.

სამუშაო ჯგუფმა შეაფასა სკოლის არსებული მდგომარეობა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით:

- სკოლის კურსდამთავრებულთა წარმატების მაჩვენებლები 2018-2022 წწ.
- სკოლის მოთხოვნადობის (კონტიგენტის სტატისტიკა) დინამიკა მობილობის მაჩვენებლები 2018-2022წწ,
- სკოლის ფინანსური მდგომარეობის სიმყარე.
- მასწავლებელთა კვალიფიკაციის ხარისხი.
- მენეჯმენტის ხარისხი.
- სკოლის ინფრასტრუქტურა და ტექნოლოგიები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;

სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა 2023-2030 წლებისათვის (2022-2-23 ს/წლისათვის თავდაპირველად სკოლას შემუშავებული ჰქონდა 6 წლიანი სტრატეგიული გეგმა, 2023-2024 ს/წლის დასაწყისში კი შეიმუშავა შვიწლიანი გეგმა). სკოლის დირექტორის 13.006.2023 წლის N2-186-5 ბრძანებით შეიქმნა სტრატეგიული დაგეგმვის ჯგუფი, რომელიც პასუხისმგებელი იყო სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების პროექტების შემუშავებაზე. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული გეგმის სამუშო ვერსია და საბოლოო ვარიანტიც. სტრატეგიული გეგმა დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე - ოქმი #5 07.09.2023წ. ასევე განხილულია პედაგოგიურ საბჭოზე სხდომის ოქმი #8 07.09.2023წ.

სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის ფილოსოფიას - მისიასა და ხედვას. აღნიშნული გამოიხატება იმაში, რომ სტრატეგიული მიზნები გამომდინარეობს მისიისა და ხედვის განაცხადიდან. კერძოდ, სკოლა ძირითად ამოცანად ისახავს მოსწავლეებს მისცეს ხარისხიანი, 21-ე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საუკუნის შესაბამისი განათლება, მოამზადოს ისინი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, ხელი შეუწყოს საჭირო უნარ ჩვევების, პიროვნული ღირებულებების ჩამოყალიბებას შესაბამისი კვალიფიციური კადრების მეშვეობით. სკოლას დაგეგმილი აქვს აქტივობების განხორციელება 3 სტრატეგიული მიმართულებით: 1. სკოლის მომსახურებების გაუმჯობესება, 2. სკოლაში განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა (წიგნიერებისა და რაოდენობრივი წიგნიერების, საბუნებისმეტყველო წიგნიერების მიმართულებით STEM პროექტებით, პროექტული სწავლებით). 3. სკოლის ორგანიზაციული განვითარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

სკოლას შემუშვებული აქვს განვითარების ერთწლიანი სამოქმედო გეგმა 2023-2024 ს/წლისათვის (სკოლამ ასევე წარმოადგინა 2022-2023 წლის სამოქმედო გეგმაც). სამოქმედო გეგმით გაწერილია მოკლევადიანი მიზნების მისაღწევად დაგეგმილ დროში გაწერილი აქტივობები, რომელიც გამომდინარეობს სკოლის მისიიდან და სტრატეგიული მიზნებიდან და კონკრეტული ამოცანების გადაჭრას ისახავს მიზნად. დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ - ოქმი #5 08.09.2023წ. სტრატეგიული განვითარების გეგმასთან ერთად. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს, სკოლის მისიიდან, ხედვიდან და პრიორიტეტებიდან. სამოქმედო გეგმაში აღწერილია სტრატეგიული მიზნების შესაბამისად განსახორციელებელი ამოცანები და განხორციელების გზები: სწავლა/სწავლების ხარისხის ამაღლება, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების ხელშეწყობა, უსაფრთხო, ჯანსაღი და ორგანიზებული გარემოს შექმნა, პედაგოგთა პროფესიული განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება: სკოლის კომპიუტერიზაცია და ა.შ. სამოქმედო გეგმა დაფუძნებულია სკოლის 2022-2023 ს/წლის თვითშეფასებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2023-2024 ს/წ სამოქმედო გეგმაში აღწერილია დასახული მიზნების შესაბამისი კონკრეტული აქტივობები, განსაზღვრულია ანგარიშგებაზე პასუხისმგებელი სტრუქტურული ერთეულები ან/და პირები და დადგენილია მონიტორინგის განხორციელების მექანიზმები, ასევე განხორციელებისთვის საჭირო რესურსები და შესრულების ინდიკატორები. სამოქმედო გეგმის აღნიშნული ჩარჩო/ფორმატი გათვალისწინებულია სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც. სკოლა გეგმავს სამოქმედო გეგმის შესრულების ანალიზის გაკეთებას სასწავლო წლის ბოლოს, რის საფუძველზეც შესაბამისი ცვლილებები და დამატებები შევა სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაში. სკოლამ შეიმუშავა ასევე სკოლის ფინანსური გეგმა, რომელიც თვალსაჩინოს ხდის საჭირო რესურსების შეძენის შესაძლებლობებს ბიუჯეტთან მიმართებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის შვიდწლიანის სტრატეგიული გეგმა/ჩარჩო (პროექტი).
- ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის დირექტორის 20 ივნისი 2023 წლის ბრძანება 2-187 სკოლის განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის სამოქმედო გეგმა 2023-2024 სასწავლო გეგმა.
- 2022 წლის 07 სექტემბრის სსიპ ქალაქ ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 08.09.2022 წ სხდომის ოქმი №5.
- 2022 წლის 07 სექტემბრის სსიპ ქალაქ ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს 08.09.2022 სხდომის ოქმი №6.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;

სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია ითვალისწინებს გეგმის შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. სკოლას აქვს გეგმების შესრულების პრაქტიკა, რომელსაც მოცემულ ეტაპზე ახორციელებს სკოლის დირექცია. მომავალი სასწავლო წლიდან შვიდწლიან სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების მონიტორინგს განახორციელებს შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის შემუშავების მიზნით შექმნილი შესაბამისი ჯგუფი. მონიტორინგის პროცესში მონიტორინგის ჯგუფი გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების შემდეგ ხერხებს: **დაკვირვება** - მონიტორინგის ჯგუფი სასწავლო პროცესს ესწრება. **გამოკითხვა** - მონიტორინგის ჯგუფის წევრები ატარებენ შიდა ფორმალურ და არაფორმალურ გამოკითხვას სასწავლო პროცესის მონაწილეებთან (მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, სკოლაში მომუშავე პერსონალი). გამოკითხვის ფორმები: ინტერვიუ, კითხვარი, ფოკუს ჯგუფებთან შეხვედრები. **მონაცემთა შეგროვება** - სემესტრის/წლის ბოლოს მოსწავლეთა ნიშნების, მოსწავლეთა ნამუშევრების, მასწავლებელთა და სკოლის სტრუქტურული ერთეულების საქმიანობის ამსახველი მასალების თავმოყრა და ანალიზი სხვადასხვა ფაქტორის მიხედვით. **მონიტორინგის ჯგუფი განსაზღვრავს:** რისი მონიტორინგი და შეფასება ხდება; აქტივობები, რომელთაც სჭირდებათ მონიტორინგი და შეფასება; ვინ არის პასუხისმგებელი მონიტორინგსა და შეფასებაზე; როდის არის მონიტორინგისა და შეფასების აქტივობები დაგეგმილი; როგორ ხდება მონიტორინგი და შეფასება, რა მეთოდები გამოყენება; რა რესურსებია საჭირო მონიტორინგისა და შეფასებისთვის აუცილებელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოკლევადიან და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმებში აღწერილი აქტივობების შესრულების მონიტორინგს ამ ეტაპზე ახორციელებს სკოლის დირექცია. მასში ჩართულები არიან: პედსაბჭოს თავმჯდომარე, საგნობრივი კათედრების ხელმძღვანელები, კლასის დამრიგებლები. 2023-2024 ს/წლიდან სკოლას შემუშავებული აქვს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შეფასების მექანიზმები, რასაც განახორციელებს სპეციალური მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც სკოლის განმარტებით საჭიროების შემთხვევაში მოამზადებს ცვლილებათა პაკეტსაც. შეფასების მიზნით, ყოველი სასწავლო წლის ბოლოს დაიგეგმება შეხვედრები წლის განმავლობაში მიღებული გამოცდილების გაზიარების მიზნით. ასევე, დაიგეგმება ინდივიდუალური შეხვედრები და თვითშეფასების გაანალიზება. წლის ბოლოს დაიგეგმება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვების ანალიზის შედეგებზე და მათ უკუკავშირზე დაყრდნობით მომდევნო სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენა. **მოცემულ ეტაპზე ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**

3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;

სკოლის განმარტებით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების შედეგები იქნება საჯარო თითოეული დაინტერესებული პირისთვის. მონიტორინგის სამუშაო ჯგუფის მიერ, გამოკითხვის შედეგად უკუკავშირით მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, მუშაობის დასრულების შემდგომ სკოლა უზრუნველყოფს შედეგების საჯაროდ წარდგენას, ახალი გეგმის მოწონების შემდგომ სკოლა გეგმავს უზრუნველყოს დამტკიცებული დოკუმენტის საჯაროობას. ამასთან, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სკოლის დირექტორი წარადგენს საჯარო ინფორმაციას სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ, სადაც აღწერილია სასკოლო სასწავლო გეგმის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობა, საგანმანათლებლო პროცესის, სწავლების ხარისხის და სხვადასხვა აქტივობის, ფინანსური შეფასება. **მოცემულ ეტაპზე ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**

4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

სკოლას მიაჩნია, რომ სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის მონიტორინგისა და შეფასების ანალიზი საშუალებას აძლევს სწორად შეაფასოს რა გამოწვევების წინაშე დგას სკოლა. სამომავლო გამოწვევებს სკოლა დაალაგებს პრიორიეტეტების მიხედვით და შეიტანს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მომავალი სასწავლო წლის სამოქმედო გეგმაში განსახორციელებელი აქტივობებში. სკოლას აღნიშნულის საილუსტრაციოდ მოჰყავს 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს სკოლაში შემუშავებული ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში, რაც გამოყენებულ იქნა 2022-2023 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის შედგენისას. ასევე ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმიN1 (20 ივნისი. 2023 წელი). ასეთივე ანალიზი გაუკეთდა 2022-23 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმას. აღნიშნული გამოცდილება იმის საფუძველს ქმნის, რომ მომავალში სკოლა გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. **მოცემულ ეტაპზე ინდიკატორი ვერ ფასდება პირველადი ავტორიზაციის გამო.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის დირექტორის 2020 წლის 26.11. №-2-195 ბრძანება (ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ).
- ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის სსიპ ქალაქ ზუგდიდის N 5 საჯარო სკოლაში განხორციელებული ინკლუზიური განათლების მონიტორინგის მასალები.
- ზუგდიდის №5 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის სხდომის ოქმიN1 (20 ივნისი.2023 წელი).
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 09.12. №8 ოქმი (2022 წლის 10 დეკემბრამდე დირექტორის ანგარიში).
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;

სკოლამ წარმოადგინა სტრუქტურა სქემატური გამოსახულების სახით, რომელიც მოიცავს შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებს: სკოლის დირექცია, სკოლის ადმინისტრაცია, პედაგოგიურ საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა და დისციპლინური კომიტეტი. სტრუქტურის განსაზღვრის დროს სკოლა ემყარება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბერის №448 ბრძანების მეორე თავს, რომელიც განსაზღვრავს თითოეული სტრუქტურული ერთეულის საქმიანობის სფეროს და ფუნქცია-მოვალეობებს. სტრუქტურის შემადგენელი ერთეულების ფუნქციები და ურთიერთმიმართებები მოცემულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელ დოკუმენტებში (პედსაბჭოს დებულება, კათდრის დებულება, თვითმმართველობის დებულება). ასევე შინაგანწესით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით განსაზღვრულია სამეურვეო საბჭოს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალის, პედაგოგიური საბჭოს, საგნობრივი კათედრების და მოსწავლეთა თვითმმართველობის ფუნქციები. კერძოდ:

სკოლის სამეურვო საბჭო - სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, რომელიც არჩეულია 2022 წლის 20 ივნისს. საბჭო შედგება 6 მასწავლებლისა და 6 მშობლისაგან (პირველი, მეორე და მესამე საფეხურის თითო-თითო მშობელი). სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს არჩევნების კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმი 20.06.2022წ.

სკოლის პედაგოგიური საბჭო თავის საქმიანობას წარმართავს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად. პედაგოგიური საბჭოს ფუნქციები და საქმიანობის წესი განსაზღვრულია პედაგოგიური საბჭოს დებულებით, რომელიც დამტკიცებულია 2021 წელს სკოლის დირექტორის ბრძანებით. პედსაბჭოს შემადგენლობაში შედის სკოლის ყველა პედაგოგი - სულ 56 მასწავლებელი.

სკოლის დირექცია შედგება დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და ბუღალტრისაგან, რომელთა უფლება-მოვალეობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებით და თანამდებობრივი ინსტრუქციებით. სკოლის მოქმედი ხელმძღვანელი დირექტორის მოვალეობის შემსრულებელია. **დირექციის წევრია ბუღალტერი,** რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს დირექტორი. ბუღალტერი უზრუნველყოფს და აკონტროლებს სკოლის წინაშე არსებული საფინანსო ამოცანებისა და ფუნქციების შესრულებას, ახორციელებს საბუღალტრო აღრიცხვის სწორ ორგანიზებას; აწარმოებს ანგარიშსწორებას ბანკთან, საგადასახადო ორგანოებთან, ფიზიკურ თუ იურიდიულ პირებთან; ახორციელებს ბუღალტრული დოკუმენტების აღრიცხვასა და რეგისტრაციას ელექტრონულ პროგრამაში; ასევე, ბუღალტრული დოკუმენტების შენახვას და არქივაციას.

ადმინისტრაციაში შედის 3 პირი - საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი, საინფორმაციო მენეჯერი და მტუკ-ი. მათი ფუნქცია-მოვალეობები განსაზღვრულია შრომითი ხელშეკრულებებითა და თანამდებობრივი ინსტრუქციებით. თანამდებობრივი ინსტრუქციები შემუშავებული და დამტკიცებულია **სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-316 14.09. 2023წ.**

სკოლამ წარმოადგინა 2022-2023 ს/წ საშტატო განრიგი 4463-23-04-7655, რომელიც შეთანხმებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან რომლითაც განსაზღვრულია 63 საშტატო ერთეული მასწავლებლების ჩათვლით და 11 შტატგარეშე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ერთეული - სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში მომუშავე შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულთა ნუსხა. აღნიშნული ნუსხის მიხედვით, სკოლის ტექნიკური და სხვა მომსახურე შტატგარეშე პერსონალში შედის სკოლის ექიმი, ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი სპეციალისტები - ერთი ფსიქოლოგი, ერთი ენისა და მეტყველების სპეციალისტი,სსსმ პირის ასისტენტი, ორი დარაჯი, ერთი მუშა, ოთხი დამლაგებელი.

სკოლაში მოქმედი კოლეგიური სტრუქტურული ერთეულებია სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, სტრუქტურული რგოლია მრჩეველთა საბჭო. კოლეგიური ორგანოების ფუნქციები განსაზღვრულია შესაბამისი დებულებებით, რომლებიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით.

სკოლას ჰყავს **დისციპლინური კომიტეტი. მტკიცებულებად სკოლას წარმოდგენილი აქვს სამეურეევო საბჭოს ოქმი #5 08.09.2022წ**. რომლითაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს მიერ დისციპლინური კომიტეტში მშობელთა კანდიდატების არჩევა. კომიტეტის შემადგენლობაში შედის 9 წევრი - 3 მშობელი სწავლების სამივე საფეხურიდან, 3 მასწავლებელი, 3 მოსწავლე საშუალო საფეხურის თვითმმართველობიდან. **დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი #1 12.10.2022წ.** დღის წესრიგი - დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა.

სკოლაში ფუნქციონირებს სულ 8 კათედრა: 1. სახელმწიფო ენის (ქართული ენის მასწავლებლები), 2. უცხო ენების (ინგლისური და რუსული ენების მასწავლებლები), 3. საზოგადოებრივი მეცნიერებების (მე და საზოგადოების, ჩვენი საქართველოს, ისტორიის, გეოგრაფიის, სამოქალაქო თავდაცვა და უსაფრთხოების მასწავლებლები), 4. საბუნებისმეტყველო საგნების (ფიზიკა, ქიმია, ბიოლოგიის), 5. მათემატიკისა და კომპიუტერული ტექნოლოგიების, 6. ფიზიკური აღზრდისა და სპორტის, 7. ესთეტიკური საგნების, 8. დაწყებითების. **კათედრების საქმიანობა დარეგულირებულია "საგნობრივი კათედრების დებულებით", რომელიც დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-196 22.06.2023წ.** კათედრის სხდომები ფორმდება კათედრის სხდომის ოქმით. სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა კათედრის ოქმები, მათ შორის ოქმი სასწავლო წლის დასაწყისში.

სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლას მტკიცებულებებად წარმოდგენილი აქვს დირექტორის 2021 წლის ბრძანება მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ. დებულება, სადაც გაწერილია თვითმმართველობის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფუნქციები და საქმიანობის წესი. სკოლამ წარმოადგინა ასევე მოსწავლეთა თვითმმართველობის ოქმები ნიმუშის სახით, საიდანაც დასტურდება თავმჯდომარის არჩევა. მაგ. **საშუალო საფეხურის თვითმმართველობის ოქმი #1 11.10.2022**წ. საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა, დისციპლინურ კომიტეტში მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლის არჩევა.

სკოლაში ფუქნციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომლის საქმიანობა რეგულირდება ხარისხის ჯგუფის დებულებით. მტკიცებულება - ხარისხის მართვის ჯგუფი დამტკიცებულია - სკოლის დირექტორის ბრძანებით.

სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო - რომელიც შქმნილია დირექტორის ბრძანებით #. მის შემადგენლობაში შედის სკოლის დირექტორი, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარე, დისციპლინური კომიტეტის თავმჯდომარე, მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარე. სკოლამ წარმოადგინა **მრჩეველთა საბჭოს სხდომის ოქმი #1 26.12.2022წ. დღის წესრიგი:** სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებული პრევენციული ღონისძიებების გატარების შესახებ რეკომენდაციების განხილვა. **ოქმი #2 28.04.2023წ.** - სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მიზნით გატარებული პრევენციული ღონისძიებების ანგარიში.

წარმოდგენილი მასალებით შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულებისა და პირების ფუნქციები და საქმიანობები მკაფიოდაა განსაზღვრული. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

სკოლის სტრუქტურული ერთეულები და პერსონალი შერჩეულია სკოლის საჭიროებებიდან გამომდინარე. ფუნქცია-მოვალეობების სწორი და ზუსტი განაწილება უზრუნველყოფს დაწესებულების ეფექტიან ფუნქციონირებას. სკოლის თანამდებობრივი სტრუქტურა შედგება: სკოლის დირექციის, ადმინისტრაციის, ტექნიკური პერსონალისა და მასწავლებლებისაგან. დასაქმებულთა უფლება-მოვალეობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ვალდებულებები განისაზღვრება სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით, თანამდებობრივი ინსტრუქციებით, შინაგანაწესის მიხედვით. სკოლის თანამშრომლები შერჩეულნი არიან სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სრულყოფილად წარმართვისათვის. სკოლის მოქმედი სტრუქტურული ერთეულები ხელს უწყობენ სწავლა-სწავლების პროცესის ეფექტიანად წარმართვას. ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, რომლებიც მუდმივად ზრუნავენ მოსწავლეთა ფსიქო-ემოციურ მდგომარეობაზე, ახორციელებენ მონიტორინგს მოსწავლის პროგრესზე, უზრუნველყოფენ მშობელთა დროულ ჩართულობას და საჭიროების შემთხვევაში სოციალური მუშაკის ჩართულობას. სკოლაში დასაქმებული არიან **„დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“** ფარგლებში შემდეგი თანამშრომლები: ბიბლიოთეკარის დამხმარე - ხელშეკრულება #6 04.04.2023წ. 2 კარისკაცი - ხელშეკრულება #3 03.01.2023წ. და #4 22.02.2023წ. 4 დამლაგებელი - ხელშეკრულება #5 04.04.2023წ. და #9 20.09.2023წ. და #1 31.01.2023წ. და #8 17.09.2023წ. სსსმ პირის 2 ასისტენტი - ხელშეკრულება #2 31.01.2023წ. და #10 22.09.2023წ. მეეზოვე - ხელშეკრულება #7 10.04.2023წ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის პედაგოგიური საბჭოს დებულება;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის დისციპლინარული კომიტეტი დებულება;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმართველობის დებულება;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის საშტატო განრიგი;
- ზუგდიდის №5საჯარო სკოლის მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;
- ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- ხელშეკრულებები „დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;

სკოლის განცხადებით, პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად. სკოლაში 74 თანამშრომელია, აქედან 56 საგნის მასწავლებელი, ერთი სპეც. მასწავლებელი, ერთი ფსიქოლოგი, ერთი ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ერთი დირექტორის მოადგილე, ოთხი დამლაგებელი, ორი დარაჯი, ერთი ექიმი, ერთი ბიბლიოთეკარი, ერთი ბუღალტერი, ერთი საქმისმწარმოებელი, ერთი მტუკ-ი. მასწავლებლები შერჩეული არიან მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. 56 მასწავლებლიდან 34 მასწავლებელი უფროსია, 21 - წამყვანი, ხოლო ერთი პედაგოგი უსტატუსოა. მასწავლებელთა დატვირთვა შეესაბამება სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ დატვირთვას.

სკოლას შემუშავებული აქვს **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,** რომელიც დამტკიცებულია სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა **2019 წლის 05.09 საბჭოს სხდომის ოქმი N3**. დოკუმენტი განთავსებულია სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფოიეში საინფორმაციო დაფაზე, ასევე Teams-ის პლატფორმაზე, რითაც უზრუნველყოფილია მისი საჯაროობა. დოკუმენტში გაწერილია, თუ როგორია სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა და ის ამოცანები, რომლებსაც სკოლა ისახავს მიზნად იმისათვის, რომ საბოლოო ჯამში გააუმჯობესოს სწავლის ხარისხი. 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს შეიმუშავოს სკოლის კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო-ინსტრუმენტები, რაც საშუალებას მისცემს სკოლას შეაფასოს მოსწავლეთა მიღწევები და შესაბამისად შეაფასოს მასწავლებლების საქმიანობა.

წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და ადგილზე ექსპერტთა ვიზიტით დადგინდა შემდეგი: სკოლის მართვას ახორციელებს სკოლის დირექტორი, ცალკეული უფლებამოსილების სრულყოფილად განხორციელების მიზნით დირექტორს გარკვეული უფლებამოსილებები განაწილებული აქვს ხარისხის მართვის ჯგუფისაა და ასევე კოლეგიური ორგანოებისათვის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კანონმდებლობის დაცვით იქმნება სხვადასხვა კოლეგიური ორგანო (პედაგოგიური საბჭო, სამეურვო საბჭო, მრჩეველთა საბჭო), რომლებიც თავისი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ საქმიანობას.

პერსონალის მართვის მარეგულირებელი ერთ-ერთი დოკუმენტია სკოლის შინაგანაწესი, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლის შინაგანაწესის მუხლებით განსაზღვრულია პერსონალის ქცევის მარეგულიერებლი წესები, კერძოდ სამუშაო კვირის ხანგრძლივობა, სამუშაოს დაწყებისა და დამთავრების დრო, სამუშაო დროის აღრიცხვა, სამუშაოზე დაგვიანებით გამოცხადებისა და გამოუცხადებლობის შემთხვევაში შეტყობინების წესი. შინაგანაწესით დეტალურადაა განსაზღრული სკოლის მიერ დადგენილი პირობები პერსონალის მართვის მიმართულებით (თანამშრომელთა წახალისებისა და დისციპლინური წარმოების წესები და სხვა). შინაგანაწესის მე-6-7-8 მუხლები აწესრიგებს სკოლის თანამშრომლებზე შრომის ანაზღაურების გაცემის საკითხებს და პირობებს: გაცემის დრო და წესი, ანაზღაურებადი და ანაზღაურების გარეშე შვებულების ხანგრძლივობა და მიცემის წესი, შვებულება ორსულობის, მშობიარობის და ბავშვის მოვლის გამო. სკოლა დასაქმებულს აცნობს შინაგანაწესს, რომელიც გასაჯაროების მიზნით გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას სკოლის ფოიეში, რაც უზრუნველყოფს შიდა რეგულაციების გამჭვირვალობასა და ხელმისაწვდომობას.

ის რომ სკოლაში პერსონალის მართვა ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნებისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, დასტურდება სკოლის მიერ დამტკიცებული კონკურსის ჩატარების წესით. კერძოდ: სკოლაში პედაგოგის მიღება ხდება **კონკურსის წესით.** გათვალისწინებულია შიდა კონკურსი და ვაკანსიის ვერ შევსების შემთხვევაში ღია კონკურსის გამოცხადება. განსაზღვრულია კონკურსის დროს ინფორმაციის განთავსების წესი/პირობები. ასევე კონკურსის ეტაპები, საკონკურსო კომისიის შემადგენლობა. კომისიის მუშაობის წესი განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანებით # --------- .

სკოლას წარმოდგენილი აქვს **ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი.** დოკუმენტის მიხედვით, ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარებისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა, რომელიც გულისხმობს მთლი რიგი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამოცანების განხორციელებას. ამ დოკუმენტის სამართლებრივი წესით დამტკიცების დამადასტურებელი დოკუმენტია **სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმების სხდომის ოქმი #3 05.09. 2019წ..** თუმცა აღნიშნული დოკუმენტი შაბლონური და ზოგადი ხასიათისაა და ნაკლებად შეესაბამება მოცემული სკოლის კონკრტეულ საჭიროებებს. **რჩევა: მიზანშეწონილია მსგავსი ტიპის დოკუმენტი უფრო მეტად იყოს მორგებული ადგილობრივ კონტექსტს.**

შინაგანაწესი (მე-10 მუხლი) ითვალისწინებს დასაქმებულის წახალისების სახეებს და მათი გამოყენების წესს. მე-9 მუხლი ითვალისწინებს შრომის პირობების დაცვის უსაფრთხოების ინსტრუქციას. 21-ე მუხლი არეგულირებს დასაქმებულის მატერიალურ პასუხისმგებლობას. მე-12 მუხლი განსაზღვრავს თანამშრომლების დისციპლინურ გადაცდომებს და დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომებს/სახდელებს. ასევე დასაქმებულთა დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს და დისციპლინური წარმოების წესს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად.

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს სასკოლო პროცესების ხარისხის მართვის მექანიზმებს. განსაზღვრავს, თუ როგორ ხორციელდება ადამიანური რესურსების მართვა. კერძოდ, ითვალისწინებს სკოლის თვითშფასებას - სტრატეგიულ ანალიზს სუსტი და ძლიერი მხარეების გამოვლენის მიზნით. ასევე სკოლის საქმიანობის შესაფასებლად დამაჯერებელი მტკიცებულებების მოპოვებას და მონაცემთა ბაზის შემუშავებას. განსაზღვრავს ხარისხის მაჩვენებს, განსაზღვარს ყოველწლიური მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს (ცხრილები, კითხვარები და სხვა). ადგენს დირექტორის უფლებამოსილებებს და ვალდებულებებს სკოლის განვითარების კუთხით. **განსაზღვრულია სწავლის ხარისხის მონიტორინგის ფორმები** - სასწავლო პროგრამების/სადამრიგებლო გეგმების მონიტორინგი, სასკოლო სასწავლო გეგმის შემუშავების დაგეგმვა დირექციისა და კათედრის ხელმძღვანელების ერთობლივი მონაწილეობით. მასწავლებელთა პროფესული საჭიროებების დადგენა, მისი ანალიზი და ინტერვენციების დაგეგმვა-განხორციელება.

ინდიკატორი 3.1.2.1. - დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ადამიანური რესურსების მართვის პრევენციისა და მათი პროფესიული განვითარების მიზნით სკოლა ახორციელებს თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას სასწავლო პროცესზე დაკვირვებით. დაკვირვება ხორციელდება კათედრის წევრების ურთიერთდასწრებით, მასწავლებლის მიერ მომზადებული თვითშეფასებებით, სადაც მასწავლებლები თვითონ განსაზღვრავენ მათი პრაქტიკული საქმიანობის ძლიერ მხარეს და საჭიროებებს. ასევე კლასის დამრიგებლების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების საფუძველზე სკოლის ადმინისტრაცია ახდენს მოსწავლეთა პროგრესის ანალიზს, რაც ასევე იძლევა მასწავლებლის საქმიანობის შეფასების საშუალებას. სკოლამ წარმოადგინა აღნიშნული დაკვირვების მტკიცებულებები (მასწავლებლების თვითშეფასებები, ურთიერთდასწრების მასალები).

პერსონალის ვაკანსიის განსაზღვრა ხდება საჭიროებების მიხედვით. პერსონალის მართვის პოლიტიკა მიზნად ისახავს კვალიფიციური და პროფესიონალი კადრების მოზიდვას, ფორმდება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებები.

სკოლა, მასწავლებელთა ვაკანტური ადგილის შევსების მიზნით, განცხადებებს აქვეყნებს pedagogi.ge-ზე. ახლადარჩეულ კადრებს სკოლა განსაკუთრებულ მხარდაჭერას უცხადებს. სკოლამ მოიყვანა მაგალითი პრაქტიკიდან, როცა სკოლაში შემოსულ ახალბედა მასწავლებელს მნიშვნელოვანი პრობლემა შექმნა სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის პროცესში. მას არ ჰქონდა საკმარისი გამოცდილება. კლასში ირიცხებოდა 3 სსსმ მოსწავლე, მასწავლებელი ვერ ახერხებდა კლასში მოქნილ დაჯგუფებებს იმისათვის, რომ საკმარისი დრო დაეთმო ასეთ მოსწავლეებთან მუშაობისთვის, რაც იწვევდა მშობლის უკმაყოფილებას. დაიგეგმა და განხორციელდა მნიშვნელოვანი ინტერვენციები, კერძოდ გადაისინჯა მოსწავლეთა გაკვეთილებზე დასწრების ინდივიდუალური გრაფიკები. სსსმ მოსწავლეები სკოლისგან იღებდნენ სხვადასხვა სახის სერვისს (ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, სპეც. მასწავლებელი, ასისტენტი). სკოლამ აღნიშნული მოსწავლეების გრაფიკი ააწყო ისე, რომ, როდესაც ახალბედა მასწავლებელი ატარებდა გაკვეთილს კლასში, ერთად არ ყოფილიყო სამივე სსსმ მოსწავლე. ასევე მნიშვნელოვანი იყო მასწავლებლის მხარდაჭერა მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული რესურსების მიწოდების თვალსაზრისით. გარკვეული პერიოდის განმავლობაში მასწავლებელი იღებდა ყოველდღიურ კონსულტაციებს გამოცდილი კოლეგებისგან. მათთან ერთად ამზადებდა მოსწავლეებისთვის სამუშაო ბარათებს, საჭირო რესურსებს. გამოცდილების გაზიარების მიზნით, ესწრებოდა ამ მოსწავლეებთან რესურს ოთახში მუშაობის პროცესს. გატარებული ინტერვენციების შედეგად მასწავლებელს გაუჩნდა რწმენა, რომ მას შეეძლო ასეთ პრობლემებს გამკლავებოდა და, რაც მთავარია, თავი იგრძნო გუნდის წევრად.

სკოლის თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები, მათ დაკისრებული აქვთ კვალიფიკაციის შესაბამისი ფუნქცია-მოვალეობები, რომლის ხარისხიანი შესრულება მათი პასუხისმგებლობაა. სკოლის დირექტორის განმარტებით,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მის მიერ ყოველდღიურად ხორციელდება პერსონალის მართვის კონტროლი და მონიტორინგი. სკოლას უკვე შემუშვებული აქვს რიგი დოკუმენტები საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკის მიმართულებით. მაგალითად **სკოლას შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა,** რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა, სკოლის მაღალკვალიფიციური კადრებით უზრუნველყოფა და არსებული კადრების პროფესიული დონის ამაღლება. სკოლა დასახული მიზნების მიღწევისთვის დიდ მნიშვნელობას ანიჭებს გეგმის განხორციელების პროცესის მუდმივ მონიტორინგს, განხორციელებული აქტივობების და მათთან დაკავშირებული შედეგების შეფასებასა და ანალიზს. ადამიანური რესურსების პოლიტიკის განვითარებისთვის სკოლას შემუშავებული აქვს სტრუქტურული სქემა.

პრევენციული მართვის პოლიტიკის უზრუნველსაყოფად **სკოლაში შემუშავებულია უსაფრთხოების ზომების უზრუნველყოფის დებულება/ინსტრუქცია** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის #06/ნ ბრძანების საფუძველზე. დებულებით განსაზღვრულია პერსონალური მონაცემების დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები.

სკოლა პროფესიულ განვითარებას უზრუნველყოფს ხარისხის მართვისა და მხარდაჭერის ჯგუფის დახმარებით, რომელიც მონიტორინგს და დახმარებას უწევს პედაგოგებს სასწავლო პროცესში. ჯგუფი ესწრება გაკვეთილებს, **სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ხარისხის ჯგუფის რამდენიმე ოქმი,** საიდანაც ჩანს საგაკვეთილო დასწრების საკითხები და გაცემული უკუკავშირები და რეკომენდაციები. ასევე წარმოდგენილია ქართულისა და ინგლისური ენის საგაკვეთილო დაკვირვების მასალები (გაკვეთილის გეგმა, მასწავლებლის რეფლექსია ჩატარებული გაკვეთილის შესახებ, საგაკვეთილო დაკვირვების შევსებული ფორმა), ასევე სხვა არაერთი კონკრეტული საგაკვეთილო დაკვირვების მასალა. ასევე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მონიტორინგის ცხრილი, რომელიშიც ასახულია მონაცემები გასავლელი/გავლილი ტრენინგების შესახებ. ცალკეულ კათდრებზე შედგენილია სპეციალური ცხრილი, საიდანაც ჩანს რომელ მასწავლებლებს დაესწრნენ გაკვეთილებზე სავალდებულო საგაკვეთილო დაკვირვების ფარგლებში. ადგილზე ვიზიტის დროს გავესაუბრეთ ხარისხის ჯგუფის წევრებს - სხვადასხვა საგნის მასწავლებლებს, რომლებმაც აღწერეს სკოლაში დამკვიდრებული საგაკვეთილო მონიტორინგის პრაქტიკა, მოიყვანეს საგაკვეთილო დაკვირვების ფარგლებში მიღებული თუ გაცემული უკუკავშირების მაგალითები. კათედრებზე წინასწარ შემუშავებულია ფოკუსირებული საგაკვეთილო დაკვირვების ფორმები, უკუკავშირისა და რეფლექსიის ფორმები.

წარმოდგენილი მასალებით დასტურდება რომ სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. **ინდიკატორი 3.1.2.2. - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;

მასწავლებლების შერჩევა ხდება მოქმედი კანომდებლობის მოთხოვნების დაცით. სკოლის საქმიანობა მიმართულია იმისაკენ, რათა პერსონალის შერჩევის პროცედურებმა უზრუნველყოს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვა და დასაქმება ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით. სკოლა აცხადებს ვაკანსიას teachers.gob.ge, აცხადებს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს, ადგენს საკონკურსო კომისიას, რომელშიც ჩართულები არიან როგორც შესაბამისი კათედრის მასწავლებლები, ასევე რესურსცენტრის წარმომადგენლები, მასწავლებლის სახლის და პროფკავშირის წარმომადგენლები. გამოქვეყნებულია შესაბამისი საკვალიფიკაციო მოთხოვნები და მისი ნახვა შეუძლია ნებისმიერ პირს.

ღია კონკურსის ჩატარების წესი და პირობები დარეგულირებულია -„ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსის ჩატარების წესით“ **სკოლის დირექტორის ბრძანების** საფუძველზე, რომლითაც შემუშავებულია პერსონალის კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კერძოდ, დოკუმენტით განსაზღვრული და განმარტებულია ის ძირითადი პრინციპები, რასაც ემყარება სკოლის დასაქმების პოლიტიკა, განსაზღვრულია დასაქმების საფეხურები: საშტატო ერთეულების ანალიზის საფუძველზე საჭიროებების განსაზღვრა და კანდიდატების შერჩევა. ასევე განსაზღვრულია პერსონალის კონკრეტული პოზიციის შესაბამისად საკვალიფიკაციო მოთხოვნების ჩამონათვალი, განსაზღვრულია პერსონალის შერჩევის პროცედურები და ეტაპები.

სკოლას ჩატარებული აქვს რამდენიმე ღია კონკურსი, ბოლო წლებში გამოცხადებული აქვს ვაკანსია ისტორიის მასწავლებელისა და საქმისმწარმოებლის პოზიციებზე.

2023 წელს სკოლამ საკონკურსო წესით შეარჩია ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი. სკოლის დირექტორის მ/შ გამოაცხადა **ღია კონკურსი ბრძანების საფუძველზე (ბრძანება #2-308 06.09.2023წ.** „ქართული ენისა და ლიტერატურის ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების ვადების შესახებ". ცალკე ბრძანება #2-310 08.09.2023წ. საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრას. კომისია შედგებოდა შვიდი წევრისაგან, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსცენტრის, პროფკავშირების, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები და მოწვეული მასწავლებელი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს საკონკურსო კომისიის ოქმები: ოქმი #1 11.09.2023წ. რომელიც ითვალისწინებს საქმისმწარმოებლის ვაკანტური ადგილის შესავსებად კანდიდატთა განაცხადების გადარჩევას მე-2 ეტაპისათვის. გასაუბრების მე-2 ეტაპზე გადავიდა 5 აპლიკანტი. **ოქმი #2 12.09.2023წ.** რომელიც ითვალისწინებს ვაკანტური ადგილის შესავსებად აპლიკანტებთან გასაუბრების შედეგების განხილვას და კანდიდატის შერჩევას. გასაუბრებაზე არ გამოცხადდა 3 აპლიკანტი. სკოლამ ელექტრონული ფოსტით შეტყობინება გაუგზავნა აპლიკანტებს და აცნობა კონკურსის შედეგების თაობაზე.

სკოლამ ასევე ჩაატარა ღია კონკურსი სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანტური პოზიციაზე. სკოლამ ღია კონკურსი გამოაცხადა teacherjobs.ge-ზე 29.08.2023წ. და აპლიკანტების განაცხადების მიღების ვადად განსაზღვრა 04.09.2023წ. მიუთითა რა საკვალიფიკაციო მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს მასწავლებლობის კანდიდატი, ასევე განაცხადების მისაღებად მიუთითა სკოლის ელექტრონული ფოსტა. სკოლის დირექტორის მ/შ გამოაცხადა **ღია კონკურსი ბრძანების საფუძველზე (ბრძანება #2-287 29.08.2023წ.** „სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად ღია კონკურსის გამოცხადებისა და კონკურსის ჩატარების ვადების შესახებ". ცალკე ბრძანება #2-303 04.09.2023წ. საკონკურსო კომისიის შემადგენლობის განსაზღვრას. კომისია შედგებოდა რვა წევრისაგან და ამ შემთხვევაშიც დაცული შესაბამისი წარმომადგენლობითი პრინციპი. ხელოვნების მასწავლებლის კონკურსის შემთხვევაში შიდა კონკურსი არ გამოცხადებულა, რადგან სკოლაში დასაქმებულ ყველა მოქმედ მასწავლებელს ჰქონდა სრული დატვირთვა. აღნიშნულის შესახებ მითითებულია საკონკურსო კომისიის ოქმში. გასაუბრების ეტაპზე საკონკუროს კომიისის გადაწყვეტილებით გადავიდა ერთი აპლიკანტი. **სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს კომისიის ოქმი #1 05.09.2023წ.** (კანდიდატების განაცხადების გადარჩევის შესახებ) **და ოქმი #2 .06.09.2023წ.** (ვაკანტური საათების შესავსებად შესაბამისი პირის შერჩევა).

ადგილზე ვიზიტის დროს teachers.jobs.ge-ზე ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის მიერ გამოცხადებული კონკურსის რამდენიმე განაცხადი, რომლითაც დადასტურდა საკვალიფიკაციო მოთხოვნები შესაბამისი საკანონმდებლო საფუძვლებით. დაცულია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს #174/ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დამტკიცებისა და შეწყვეტის წესის“ მოთხოვნები.

ექსპერტთა ჯგუფმა გადაამოწმა მასწავლებელთა პირადი საქმეები შემთხვევითი შერჩევის პრინციპით. პირად საქმეში იდო შემდეგი დოკუმენტაცია: პირადობის მოწმობის ასლი, დიპლომის ასლი, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა #100),

მასწავლებლის სერტიფიკატი, სერთიფიკატები გავლილი ტრენინგების შესახებ, CV, კადრების აღრიცხვის ფურცელი, ცნობები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნარკოლოგიური შემოწმების, ნასამართლობისა და უფლების ჩამორთმევის შესახებ. 2020 წლის შემდეგ სკოლაში დასაქმებულია 10 თანამშრომელი და **ყველა მათგანის შემთხვევაში იყო წარმოდგენილი ცნობები სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისათვის ნასამართლობისა და და უფლების ჩამორთმევის შესახებ.**

ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;

სკოლაში მასწავლებელების შერჩევისას გათვალისწინებულია ,,ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, ეროვნული სასწავლო გეგმისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული"მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესი". სკოლაში დასაქმებულია 74 თანამშრომელი, ამათგან 53 მასწავლებელი. მათგან 20 წამყვანი მასწავლებელია და 33 უფროსი. სკოლის მასწავლებლები სისტემატურად ზრუნავენ საკუთარი პროფესიული განვითარებისთვის; მონაწილეობენ სხვადასხვა საგანმანათლებლო პროექტსა და ღონისძიებაში; პროფესიული და კარიერული განვითარების მიზნით, ჩატარებულ ტრენინგებსა თუ სამუშაო შეხვედრებში.

სკოლაში დასაქმებული მასწავლებლების, სპეც. მასწავლებელის, ექიმის, ფსიქოლოგის, ენისა და მეტყველების სპეციალისტის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

სკოლას წარმოდგენილი აქვს მასწავლებელთა მონაცემები, ასევე ამონაწერი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემიდან მასწავლებელთა შესახებ. წარმოდგენილია თანამშრომელთა **კადრების აღრიცხვის ფურცლები.** ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა თანამშრომელთა პირადი საქმეები, დანიშვნის ბრძანებები, შრომით ხელშეკრულებები. უფროს და წამყვან მასწავლებლებთან სკოლას გაფორმებული აქვს განსხვავებული ხელშეკრულებები, ხელშეკრულებებში მითითებულია რომელი სტატუსის მასწავლებელთანაა გაფორმებული - წამყვან თუ უფროს მასწავლებელთან. შესაბამისად ასახულია განსხვავებული მოთხოვნები მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემის მოთხოვნების შესაბამისად. **სკოლას მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა სტატუსის მასწავლებელთან გაფორმებული ხელშეკრულებების ნიმუში. ხელშეკრულებები დანომრილია რიგითობის მიხედვით და გატარებულია შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალში, რომელიც დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და ხელმოწერით**.

ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის დროს გადაამოწმა ექიმის პირადი საქმე. სკოლის ექიმი შერჩეულია ღია საკონკურსო წესით 2016 წლიდან, ექიმის კვალიფიკაციაა ზოგადი პროფილის ექიმი, სამუშაო გამოცდილება - ევექსის პოლიკლინიკაში და ორგანიზაციაში "ექიმები საზღვრებს გარეთ". თუმცა **ექიმი არ არის სერტიფიცირებული. სკოლის ექიმის შერჩევის დროს სკოლა უნდა**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმძღვანელობდეს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებულიტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01-23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის შესაბამისად. ექიმთან გაფორმებულია ხელშეკრულება #5-23 31.12.2022წ. **ექიმის კვალიფიკაცია (ექიმი არ არის სერტიფიცირებული) არ შეესაბამება** საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანებას (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი). შესაბამისად **ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შეუსაბამო. არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ შესაბამისობის გეგმასთან ერთად წარმოადგინა ექიმის შესარჩევად ღია კონკურსის გამოცხადებისა და ვადების განსაზღვრის შესახებ დირექტორის ბრძანება #2-451 20.11.2023წ. კონკურსის დასრულების ვადაა 2023 წლის 10 დეკემბერი.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია ექიმის კვალიფიკაცია შესაბამისობაში მოიყვანოს საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/ სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/ სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების (№41/ნ/01-23/ნ2022 წლის 21 მარტი) მოთხოვნებთან შესაბამისობის გეგმაში გაწერილ ვადებში 17.11.2024წ-მდე. **ინდიკატორი 3.1.2.4. მეტწილ შესაბამისობაშია.**

5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;

სკოლაში დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის პრინციპები, კოორდინირებული მუშაობა სხვადასხვა კათედრასთან, ფოკუს ჯგუფებთან, სადაც ყველას აზრი მისაღებია და დასაფასებელი, გადაწყვეტილება კი მიიღება გუნდურად. ასევე გუნდი იღებს პასუხისმგებლობას მიღებულ გადაწყვეტილებაზე. ასეთი სასკოლო კულტურა შესაძლებლობების რეალიზების საშუალებას აძლევს თითოეულს. განსაკუთრებულ დამოკიდებულებას იჩენენ ახალ თანამშრომელთან. კოლექტივის წევრები მას თბილად და ყურადღებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იღებენ. ეცნობიან და აცნობენ დაწესებულების ძირითად ნორმებს. გუნდი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ახალი კადრის სოციალიზაციას შეუწყონ ხელი. კათედრებსა თუ სხვა მიზნობრივ ჯგუფებში ისინი გუნდურ გადაწყვეტილებას იღებენ საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების დროს. სკოლამ ბოლო ოთხი წლის განმავლობაში პრიორიტეტულ თემებზე განახორციელა სასკოლო პროექტები 2022-2023 წელს ფინანსური წიგნიერების მიმართულებით. პროექტის მიზნები და ამოცანები გაიწერა სწავლების სამივე საფეხურისთვის და მოიცვა თითქმის ყველა სტრუქტურული ერთეული.

სკოლა განმარტავს, რომ პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლის ყველა თანამშრომელს გაზიარებული აქვს გუნდური მუშაობის მნიშვნელობა. სკოლაში მასწავლებლები კომპეტენციიდან გამომდინარე საჭიროებისდა მიხედვით ითავსებენ ერთმანეთის ფუნქციებს, თანამშრომლობენ კათედრებზე, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას. წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ **კოლეგიური** სტრუქტურული ერთეულების საქმიანობაში მონაწილეობენ მასწავლებლები. **გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობა დასტურდება სკოლაში მოქმედი მმართველობითი კოლეგიური ორგანოს - პედსაბჭოს მასალებით.** კერძოდ, ოქმებიდან ჩანს მასწავლებლების ჩართულობა ისეთი სასკოლო საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილების მიღებაში, როგორიცაა სასკოლო სასწავლო გეგმის განხილვა, აკადემიური მოსწრების შედეგების განხილვა და სხვა. პედსაბჭო გადაწყვეტილებას იღებს ხმების უმრავლესობით. **მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს პედაგოგიური საბჭოს ოქმები: ოქმი #6 08.09.2022წ.** განსახილველი საკითხი - პედსაბჭოს წლიური სამუშაო გეგმის განრიგის დამტკიცება, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებული 2022-2023 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის დამტკიცება, დისციპლინურ კომიტეტში მასწავლებელთა წარმომადგენლის კანდიდატების არჩევა, საშემოდგომო გამოცდების შედეგები. **პედსაბჭოს ოქმი #7 23.06.2023წ. დღის წესრიგი:** 2022-2023 ს/წ განხორციელებული კურიკულუმის ანალიზი, 2023-2024 ს/წლის პრიორიტეტების განხილვა, პედაგოგიური საბჭოს თავმჯდომარის ადა მდივნის არჩევა. **ოქმებში** მოცემულია საბჭოს სხდომაში მონაწილე პირთა ნუსხა და კენჭისყრის შედეგები ცალკეულ საკითხებზე.

გარდა ამისა, მონაწილოება და გუნდურობა დასტურდება სკოლაში მოქმედი **სამეურვეო საბჭოს** წარმოდეგნილი ოქმებით **#3 05.09.2019წ.** სადაც განხილულია საკითხები: სასკოლო საწავლო გეგმის შეთანხება, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შეთანხმება, თვითმმართველობის არჩევნების თარიღის განსაზღვრა, დისციპლინურ კომიტეტში მშობელთ წარმომადგენლის კანდიდატის არჩევის საკითხი, ადამიანური რსურსების მართვის პოლიტიკის განსაზღვრა, ახალი შინაგანაწესის დამტკიცება. საკითხები გადაწყვეტილია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხმათა უმრავლესობით. **სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი #5 08.09.2022წ.** რომელზეც განიხილეს ზემოთაღნიშნული საკითხები 2022-2023 ს/წლისათვის.

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიური ორგანოები - საგნობრივი კათედრების სახით. საილუსტრაციო მტკიცებულების სახით სკოლას წარმოდგენილი აქვს **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის სხდომის ოქმი #5 22.05.2023წ.** სადაც დღის წესრიგში მოცემულია ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტაც კოლეგიურ მიდგომას საჭიროებს: მასწავლებელთა შიდა სასკოლო კონფერენციის დებულების განხილვა. კათედრის სამოქმედო გეგმის დამტკიცება, შემაჯამებელი დავალებების ანალიზის ფორმების განხილვა, კონფერენციის თემატიკის შერჩევა. ასევე წარმოადგენილია **უცხოური ენების კათედრის ოქმი #5 30.05.2023წ.** - საკითხი: კათედრის წევრების მიერ შიდა სასკოლო კონფერენციისათვის შემოთავაზებული თემების განხილვა, შეფასება და შერჩევა.

სკოლაში მოქმედებს ხარისხის განვითარებისა და **პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, სკოლას წარმოდგენილი აქვს ჯგუფის სხდომების** ოქმები: ოქმი #1 24.02.2023წ. ოქმი #2 01.06.2023წ. სადაც ასახულია 2022-2023 ს/წ განმავლობაში ჯგუფის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, კერძოდ მოსმენილი გაკვეთილების განხილვა. დასწრება მოხდა მათემატიკის, მუსიკის, ბუნებისმეტყველების, ქართულის, სამოქალაქო განათლების, ბიოლოგიის გაკვეთილებზე. სკოლას არ წარმოუდგენია დოკუმენტი ყველა მასწავლებლის მიერ გაკვეთილების ჩატარების თაობაზე. „მასწავლებლის პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის #390 დადგენილების 26.06.2020წ. თანახმად, წამყვანი და უფროსი მასწავლებლები ვალდებული არიან სასწავლო წლის განმავლობაში ჩაატარონ სქემით განსაზღვრული გაკვეთილების გარკვეული რაოდენობა. მიზანშეწონილია სკოლას ჰქონდეს განრიგი, რომელიც ასახავს მასწავლებლების მიერ ხარისხის მართვის ჯგუფის დასწრების ფორმატში ჩასატარებელი გაკვეთილების ნუსხას სასწავლო წლის განმავლობაში შესაბამისი საორიენტაციო თარიღის მითითებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში მოქმედებს მრჩეველთა საბჭო, რომლის მასალები წარმოდგენილია სკოლის მიერ. მრჩეველთა საბჭოს ოქმი #2 09.12.2022წ. საკითხი სკოლის ტერიტორიაზე სასკოლო დროს უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებით I სემესტრის განმავლობაში გატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.

სასკოლო დოკუმენტაციის შესწავლითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია გადაწყვეტილებათა მონაწილეობითი და გუნდურად მიღების პრინციპი.

ინდიკატორი 3.1.2.5 - დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში წარმატებით ხორციელდება ურთიერთდასწრება, მასწავლებლები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, ახორციელებენ დაკვირვებას პროცესზე, აკეთებენ თვითშეფასებას და აზიარებენ სასწავლო ჯგუფებში. პარალელური კლასის მასწავლებლები სინქრონულად მუშაობენ თემატურ მატრიცებზე. პროცესის დასრულების შემდეგ კათედრაზე წარადგენენ კურიკულუმის რეფლექსიებს. გამოცდილების გაზიარების საილუსტრაციოდ სკოლამ მოიყვანა რამდენიმე მაგალითი: 2022-2023 სასწავლო წელს დაწყებითი კლასების, ქართულისა და მათემატიკის მასწავლებლებმა შექმნეს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისათვის კითხვაში და მათემატიკაში რესურსები აქტივობის ბარათებით. შექმნილი რესურსები გაზიარდა კათედრებზე და გადაეცა რესურს ოთახს. მათი სასწავლო პროცესში გამოყენება და დანერგვა მოახდინეს სხვა მასწავლებლებმა. გარდა ამისა, თანამშრომლობაზე დაფუძნებული სასკოლო კულტურის ხელშეწყობის მიზნით 2022-2023 სასწავლო წელს **სკოლაში ჩატარდა მასწავლებელთა შიდა სასკოლო კონფერენცია.** კონფერენცია ჩატარდა ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე საკონფერენციო ნაშრომი განიხილეს საგნობრივმა კათედრებმა. კათედრის სხდომაზე კათედრის წევრებმა შეაფასეს ნაშრომები (მათივე შექმნილი შეფასების რუბრიკების მიხედვით) და მიიღეს გადაწყვეტილება კონფერენციაში მონაწილეობის მიზანშეწონილების შესახებ. კონფერენციაზე შერჩეული საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება მოხდა ზუგდიდის მასწავლებელთა რაიონულ კონფერენციაზე. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა კონფერნეციის მასალები, კერძოდ დირექტორის ბრძანება #2-141 18.05.2023წ. შიდა სასკოლო კონფერენციის დებულების დამტკიცების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესახებ. ბრძანებას თან ახლავს დებულების დანართი. დირექტორის ბრძანება #2-142 18.05.2023წ. სასკოლო კონფერენციის ჩატარების შესახებ, რომლითაც განისაზღვრა საორგანზაციო ჯგუფი და ჩატარების პერიოდი. სკოლამ წარმოადგინა მასწავლებლების მიერ დამზადებული კონფერენციის მოსაწვევი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზუგდიდის №5 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს 2019 წლის 05.09 სხდომის ოქმი №3;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის შინაგანაწესი ;
- მასწავლებელთა ტრენინგის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტი;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის საზოგადოებრივი კათედრის 22.05.2023 წლის სხდომის ოქმი N5;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის მასწავლებელთა შიდა სასკოლო კონფერენციის დებულება ;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 18.05.2023 წლის ბრძანება N 2-141 ბრძანება „ სკოლის სასკოლო კონფერენციის დებულების “ დამტკიცების შესახებ ;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 18.05.2023 წლის ბრძანება N2-142 სკოლაში შიდა სასკოლო კონფერენციის ჩატარების შესახებ ;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის დირექტორის 2022 წლის 12.09. №2-189 კათედრების დებულება;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლაში 08.06.2023 წელს ჩატარებული მასწავლებელთა პირველი სასკოლო კონფერენციის „ სწავლასწავლების თანამედროვე მეთოდები და გამოწვევები “ მოსაწვევი ბარათი ;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის მასწავლებლის კონფერენციაზე მიღებული სერთიფიკატო

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;

სკოლას გააზრებული აქვს დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვის, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრა და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელების მნიშვნელობა სკოლის განვითარებისათვის, ასევე ის, რომ მასწავლებლის საქმიანობის შეფასების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია სასწავლო პროცესზე დაკვირვება. დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტით სკოლაში შექმნილი ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ახორციელებს მასწავლებელთა საგაკვეთილო დაკვირვებას, მათ მიერ პროფესიული განვითარების მიზნით განხორციელებული აქტივობების განხილვასა და განმავითარებელი უკუკავშირების მიცემას. სასკოლო პროცესში გამოკვეთილი პრობლემების შესასწავლად სემესტრში ერთხელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები წარადგენენ თვითშეფასებებს. კათედრის წევრებთან ერთად აანალიზებენ სასწავლო პროცესის ძლიერ და სუსტ მხარეებს. კათედრის რეფლექსურ შეხვედრებზე ხდება მასწავლებელთა ინოვაციური საქმიანობების ანალიზი.

ამ ეტაპზე საჭიროებების დადგენა რაიმე წინასწარ განსაზღვრული მექანიზმით არ დასტურდება (სკოლას საჭიროებებს ადგენს მასწავლებლების ერთმანეთთან თანამშრომლობისა და ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობის ფარგლებში და ცალკე დოკუმენტის სახით არა აქვს ხარისხის ჯგუფის საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტი), თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან წინასწარ შემუშავებული კითხვარის ანალიზის საფუძველზე გეგმავს საჭიროებების დადგენის მექანიზმების შემუშავებას და განხორციელებას.

სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა. სკოლა ეტაპობრივად გეგმავს ამ დოკუმენტით გათვალისწინებული აქტივობების სასკოლო საზოგადოებაში დამკვიდრებას და გამოყენებას. სკოლაში დასაქმებულ პირთა შეფასებისა და მათი შემდგომი მოტივაციისათვის გათვალისწინებულია გამჭვირვალე და ობიექტური შეფასების სისტემა (მონიტორინგი, კათედრის წევრების ურთიერთდასწრება, შეფასების სისტემების ერთობლივად შემუშავება), რომელიც ხელს შეუწყობს დასაქმებულთა შესაძლებლობების მაქსიმალურ გამოვლენასა და მათ შემდგომ განვითარებას.

საჭიროებების დადგენის ერთ-ერთ ინსტრუმენტად **მტკიცებულებად წარმოდგენილი აქვს ინკლუზიური განათლების** შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნა, რომლითაც ხდება შესაბამისი სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება. საგნობრივი კათედრების მასალებში ასევე წარმოდგენილია საგაკვეთილო დაკვირვების წინასწარ შემუშავებული ფორმები. ხარისხის ჯგუფის მიერ სემესტრის განმავლობაში მონიტორინგის განხორციელება ხდება წინასწარ შედგენილი განრიგის შესაბამისად (გაკვეთილზე ფოკუსირებული დაკვირვების რუბრიკისა და მონაცემთა ანალიზის ფორმების მიხედვით). მონაცემთა შეგროვების შემდეგ მონიტორინგის ჯგუფი აანალიზებს მონიტორინგის შედეგებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს.
ინდიკატორი 3.2.1.1. - დაკმაყოფილებულია.

2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;

2023-2024 სასწავლო წელს მასწავლებელთა საქმიანობა შეფასდება სკოლის კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩოს შეთანხმებული ფორმის მიხედვით. სკოლა თვლის, რომ ეს საშუალებას მისცემს მას მასწავლებელთა შეფასება უფრო ობიექტური და გამჭვირვალე გახდეს. მომდევნო სასწავლო წლიდან ასევე ამოქმედდება სკოლის დონეზე შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინსტრუმენტები, რომელთა შემოთავაზება მოხდა კათედრებზე ავტორიზაციის პროცესის მხარდამჭერი ჯგუფის მიერ. ეს ინსტრუმენტები მოსწავლეთა შედეგების გაანალიზების საფუძველზე, საშუალებას მისცემს სკოლას სასწავლო პროცესი შეაფასოს სასკოლო დონეზე და განსაზღვროს მასწავლებელთა პრაქტიკული საქმიანობის შესაძლებლობები და საჭიროებები. აღნიშნული საჭირო ინტერვენციების სწორად დაგეგმვის შესაძლებლობას იძლევა.

სკოლას აქვს გაკეთებული ელექტრონული პორტალი - TEAMS-ის პლატფორმაზე, სადაც ასახულია სხვადასხვა სამუშაო სივრცეები: დამრიგებლების, საგნობრივი კათედრების, ინკლუზიური განათლების და სხვა. სკოლას გაკეთებული აქვს 2022-2023 ს/წლის მასალების არქივი, სადაც ერთ სივრცეში (TEAMS-ის პლატფორმაზე) თავმოყრილია ინფორმაცია პერსონალის მიერ განვლილი ტრენინგების, სემინარების, პროექტების, ვორქშოფების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. ადმინისტრაცია ახდენს მონაცემების ანალიზს და ხელს უწყობს კონკრეტულ პროგრამებში, კონკრეტულ ტრენინგზე, სემინარზე პერსონალის ჩართულობას. ეხმარება მათი პროფესიული ზრდისთვის საჭირო აქტივობების მოძიებაში და შემდეგ დარეგისტრირებაში. **ინდიკატორი 3.2.1.2. - დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

სკოლას გააზრებული აქვს, რომ ის ხელს უნდა უწყობდეს თითოეული პერსონალის კარიერულ წინსვლას, სწორად აფასებდეს საჭიროებებს და ახორციელებდეს სათანადო მხარდაჭერას, პერსონალის შესაძლებლობების შეფასებასა და აღიარებას. კარიერული ზრდის მაგალითად სკოლას მოტანილი აქვს მაგალითი: 2018-2019 სასწავლო წელს სკოლაში საკონკურსო წესით შერჩეულ ახალბედა პედაგოგს სკოლამ სადამრიგებლო პროგრამის განხორციელება დაავალა კლასში, რომელშიც ირიცხებოდა ოჯახის მზრუნველობას მოკლებული ბავშვი, ასევე რთული ქცევის მოსწავლე და სსსმ მოსწავლე. დაკისრებულმა ვალდებულებამ და თავისუფალმა სამუშაო გარემომ ახალბედა მასწავლებელს შესაძლებლობების რეალიზების საშუალება მისცა. სკოლა აღნიშნავს, რომ მასწავლებელი თავიდანვე გამოირჩეოდა პასუხისმგებლობითა და შრომისუნარიანობით, რომლის წყალობითაც მან სასკოლო საზოგადოების პატივისცემა დაიმსახურა. პირველი, რაც მის პრაქტიკულ საქმიანობაში გამოიკვეთა იყო კლასის მართვის სტილი, რამაც საგრძნობლად გააუმჯობესა კლასის აკადემიური მოსწრება. პირველივე შიდა საგაკვეთილო დაკვირვებამ მასწავლებლის შემოქმედებითი და ინოვაციური ხედვა გამოაჩინა. იმავე წელს სკოლა ჩაერთო პროექტ ახალი სკოლის მოდელის ფარგლებში. ამ უკანასკნელმა მისი პროფესიული შესაძლებლობები თვალსაჩინო გახადა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კომპლექსური დავალებების დანერგვა-განხორციელების პროცესში გამოიკვეთა მისი ისეთი უნარი, რასაც სიახლეების მიღება და კრეატიული გადახალისება ჰქვია. მასწავლებელმა, როგორც კი სკოლამ მას ამის შესაძლებლობა მისცა, დაიწყო ზრუნვა კარიერულ წინსვლაზე. ის ყველაზე მეტად განიცდიდა მასწავლებელთა სახლის მიერ ორგანიზებულ ტრენინგებში ჩართულობის დეფიციტს (როგორც კერძო სკოლიდან გადმოსული პედაგოგი). აღნიშნული საკითხი უკვე აღარ იყო მასწავლებლისთვის პრობლემა. სკოლის დირექტორთან კონსულტაციის შემდეგ შეარჩია საკითხი და კოლეგასთან ერთად დაიწყო კვლევა კლასის საჭიროებიდან გამომდინარე. კვლევაზე მუშაობის პროცესში ის აქტიურად თანამშრომლობდა დირექციასთან. სკოლა მას უზიარებდა გამოცდილებას და მუდმივად უწყობდა ხელს საჭიროებების დაკმაყოფილებას. პედაგოგის წარმატების პირველ ეტაპად გამოვყოფთ, მის პროფესიულ წინსვლას. უკვე დასაქმებიდან ერთ წელიწადში მასწავლებელმა წამყვანის სტატუსი მოიპოვა. სკოლის მხრიდან დაუფასებელი არ დარჩენილა მასწავლებლის შესაძლებლობები და მოტივაციის ამაღლების მიზნით სკოლამ ის ერთ-ერთ ლიდერ მასწავლებლად ჩართო USAID-ის მიერ ორგანიზებულ ლიდერ მასწავლებელთა ტრენინგებში. სკოლის მხრიდან მასწავლებლის აშკარა დაფასებასა და მხარდაჭერაზე მეტყველებს ის ფაქტი, რომ ყოველი სასწავლო წლის ბოლოს მას საპრეზენტაციო მასალა გააქვს მასწავლებელთა კონფერენციაზე. 2021-2022 სასწავლო წლის ბოლოს მან ეროვნულ კონფერენციაშიც მიიღო მონაწილეობა, ხოლო 2022- 2023 სასწავლო წელს რაიონულ კონფერენციაზე.

ასევე პერსონალის განვითარების საინტერესო მაგალითია მიმდინარე სასწავლო წელს კონკურსის წესით შერჩეული კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელი, რომელმაც 4 თვეში გაიარა მაძიებლობის პროგრამა. სკოლის პერსონალთან (ტუტორთან) აქტიური თანამშრომლობით; მაძიებლობის პერიოდშიც მის მიერ დაგეგმილი და განხორციელებული აქტივობები საინტერესო და შინაარსიანი იყო. უფროსი მასწავლებლის სტატუსის მინიჭების შემდეგ მან დაიწყო აქტიური საკლუბო საქმიანობა. ჩაერთო STEAM პროექტების განხორციელებაში. სემესტრის დასრულებამდე კლუბ „ნორჩ მკვლევარებში“ განახორციელა ოთხი პროექტი: 1.ჭკვიანი შუქნიშანი; 2. ატმოსფეროში მავნე აირების აღმოჩენა MQ-2 ტიპის სენსორის გამოყენებით; 3. მწვანე სახურავი; 4. ჭკვიანი ლამპიონები; ოთხივე პროექტის იდეა გააერთიანეს ბავშვებმა ჭკვიანი ქალაქის მაკეტში; მასწავლებელი ჩართულია eTwinning-ის საგანმანათლებლო პროგრამაში. ჩვენი სკოლის ახალბედა მასწავლებელმა საინტერესო გამოცდილებები გააზიარა პროგრამის ფარგლებში განხორციელებულ ჩართვებზე. სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უწყობს ადამიანური რესურსების პროფესიულ განვითარებას შიდა ფასილიტაციის გაძლიერების გზით. აღნიშნული დასტურდება ადგილზე ვიზიტის დრტოს მასწავლებლებთან შეხვედრისა და გასაუბრების დროს. ისტ-ის მასწავლებლის მიერაა შექმნილი მასწავლებელთა სამუშაო მასალების ელექტრონული სივრცე თიმსის პლატფორმაზე. **ინდიკატორი 3.2.1.3. - დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;

სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა სახის კონფერენცია, ინერგება სასკოლო პროექტები, ტარდება ვორქშოფები, რომელშიც ჩართულები არიან სკოლის თანამშრომლები. კონფერენციებში მონაწილეობა ეხმარება მათ არსებული ცოდნისა და გამოცდილების გაღრმავებაში. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში განხორციელდა სასკოლო პროექტი ,,ფინანსური წიგნიერება". პროექტის მიზნები გაიწერა რამდენიმე საგნობრივ კურიკულუმში (ქართულში, მათემატიკაში, საზოგადოებრივ მეცნიერებებში), რომლის ფარგლებშიც აქტივობები სინქრონულად განახორციელეს პარალელური კლასის მასწავლებლებმა. **ინდიკატორი 3.2.1.4. - დაკმაყოფილებულია.**

5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები რაც გამოიხატება დირექციის სრული გახსნილობით ახალი იდეების, ინიციატივების მიმართ. სკოლა ცდილობს, შექმნას მასწავლებლებისთვის კომფორტული, კოლეგიალური სამუშაო გარემო და საჭიროების შემთხვევაში, მოახდინოს მათი ინფორმირება და ფასილიტაცია. სწავლა-სწავლების თანამედროვე გამოწვევები, **მასწავლებელთა განვითარების ხელშეწყობის მიზნით ჩატარდა მასწავლებელთა შიდა სასკოლო კონფერენცია.** სკოლამ წარმოადგინა კონფერენციის მასალები. მნიშვნელოვანია, რომ მასში მონაწილეობდა სხვადასხვა კათედრა, რაც საშუალებას ქმნიდა მასწავლებლებს საჯაროდ წარმოედგინათ საკუთარი ინიციატივები. საკონფერენციო თემები ეხებოდა ისეთ საკითხებს, როგორიცაა კომპლექსური დავალებებით სწავლება ბუნებისმეტყველებაში, თამაშით სწავლა დაწყებით კლასებში, საგანმანათლებლო რესურსის მნიშვნელობა ტექსტის გაგება-გააზრების სტრატეგიებში, ინოვაციური გაკვეთილები სპორტში, ინოვაციური გაკვეთილები ქართულ ენასა და ლიტერატურაში ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით და სხვა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონფერენციის პირველი ეტაპი - საკონფერენციო თემების შერჩევა დარგობრივ კათედრებზე; მეორე ეტაპიკათედრებზე შერჩეული მრავალფეროვანი თემატიკის თემები წარდგენილ იქნა საზოგადოების წინაშე, კერძოდ: კომპლექსური დავალებებით სწავლების მნიშვნელობა, პროექტული სწავლების მნიშვნელობა, საგანმანათლებლო რესურსები ინკლუზიურ სწავლებაში, STEAM პროექტები.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფების შეფასების ოქმები;
- სკოლის უცხოური ენების კათედრის 30.05.2023 წლის სხდომის ოქმი N5;
- სკოლაში განხორციელებული STEAM პროექტების ანგარიში და STEAM პროექტების ფოტო-მასალა;
- რესურს -ოთახში ჩატარებული ვორქშოფების ანგარიშები;
- მასწავლებელთა შიდა სასკოლო კონფერენციის მოსაწვევი;
- თანხმობა პერსონალური მონაცემების დამუშავებაზე;

შეფასება:

○ გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
○ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის დაფუძნება პროცესულ მიდგომაზე გამოიხატება იმაში, რომ სკოლას შემუშავებული აქვს **ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი,** რომელიც განსაზღვრავს ხარისხის მაჩვენებლებს ისეთი შედეგების გათვალისწინებით, რომლებიც მნიშვნელოვან ზეგავლენას ახდენენ მოსწავლეთა განვითარებაზე.

სკოლა ეფექტური საქმიანობის წინაპირობად მიიჩნევს მონაცემების შეგროვების, ანალიზისა და შეფასების კარგად ორგანიზებული სისტემის ამოქმედებას და განსაზღვრავს ამ მონაცემების მოპოვების წყაროებს. 2023-2024 ს/წლის დასაწყისში სკოლამ განახორციელა სასკოლო გარემოს კვლევა და შეადგინა სკოლის თვითშეფასება. რის შემდეგაც შეიმუშაავა სტრატეგიული და ერთწლიანი სამოქმედო გეგმები. გეგმაში ასახულია თვითშეფასების შედეგად გამოვლენილი პრიორიტეტები და საჭიროებები. შემდგომ ეტაპზე გათვალისწინებულია პროცესების მონიტორინგი და შეფასება წინასწარ შთანხმებული კრიტერიუმების მიხედვით. სკოლა შეიმუშავებს საგანმანათლებლო საქმიანობის შეფასებისა და სკოლის ფუნქციონირების გაუმჯობესების მექანიზმებს. კერძოდ. სკოლის კურიკულუმის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვლევისა და შეფასების ჩარჩოს, სადაც გაწერილი იქნება კვლევისა და შეფასების ინსტრუმენტები; განხორციელების ვადები; გამოკვეთილი იქნება პროცესში ჩართული პირები და პროცესზე პასუხისმგებელი პირები. საბოლოოდ სკოლა დაადგენს ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფის მექანიზმებს. **ინდიკატორი 3.3.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;

სკოლის სტრუქტურული ერთეულებია: პედაგოგიური საბჭო, სამეურვეო საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, მრჩეველთა საბჭო და დისციპლინური კომიტეტი. სტრუქტურული ერთეულები საქმიანობას ახორციელებენ მოქმედი კანონმდებლობისა და სტრუქტურული ერთეულების დებულებების შესაბამისად. წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და სკოლაში ვიზიტის დროს განხორციელებული დაკვირვებით გამოიკვეთა, რომ **სწავლა-სწავლების პროცესში მთავარ როლს ასრულებს დირექტორი, რომელიც მოადგილესთან ერთად** წარმართავს სასწავლო პროცესის ხელმძღვანელობას და მონიტორინგს. საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, დანერგვისა და მონიტორინგისა შეფასების პროცესში ასევე მნიშვნელოვან როლს თამაშობს საგნობრივი კათედრები და ხარისხის განვითარების მართვის ჯგუფი. მასალების შესწავლით დასტურდება, რომ უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.

სკოლის შ ი ნ ა გ ა ნ ა წ ე ს შ ი , სამოქმედო გეგმაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში და ცალკეულ მარეგულირებელ წესებში გაწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი და ძირითადი პროცესები და ამ პროცესებში ჩართულო სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა რგოლის ფუნქციები.

მმართველობითი პროცესები (სკოლის ადმინისტრაციული მართვა, დირექციისა და ადმინისტრაციის ფუნქციები მართვის პროცესში, გაწერილია პასუხისმგებლობები და ანგარიშვალდებულებები) ასახულია სტრუქტურული ერთეულების მარეგულირებელ დოკუმეტში და შრომით ხელსეკრულებებში მოცემულ თანამდებობრივ ინსტრუქციებში.

ადგილზე ვიზიტის დროს ელექტრონულ ბაზაში დავათვალიერეთ მოსწავლის (მე-11 კლასელი) სტატუსის შეჩერების პროცედურა, რომელიც განხორციელდა 2023 წლის სექტემბერში. სტატუსის შეჩერების საფუძველი გახდა მშობლის განცხადება ოჯახური პირობებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებით. **სკოლას ცალკე დოკუმენტის სახით აქვს გაწერილი პროცედურები, წესები მოსწავლის სტატუსის შეჩერების, სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა/ამორიცხვისა და კლასიდან კლასში გადაყვანის შესახებ.**

შინაგანაწესის მუხლები არეგულირებს დისციპლინურ დევნას. განსაზღვრულია დასაქმებულის მიერ დისციპლინური გადაცდომისა და პასუხისგებლობის სახეები. მე-14 მუხლი განსაზღვრავს დასაქმებულთა (გარდა მასწავლებლებისა) დისციპლინური გადაცდომის განხილვაზე უფლებამოსილ ორგანოს და ადგენს დისციპლინური წარმოების წესს. მასწავლებლის დისციპლინური წარმოების წესი განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბრის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის შესაბამისად. **შინაგანაწესით განსაზღვრულია მოსწავლეთა მიმართ დისციპლინური წარმოების წესი.** სკოლის მანდატურის მიერ შედგენილ დარღვევის აღრიცხვის ფურცელზე რეაგირების ვადები და პირობები.

დამხმარე პროცესები (საკადრო პოლიტიკა, საქმისწარმოების პროცესები და სხვა) აღწერილია სხვა დოკუმენტებში. საკადრო პოლიტიკა განსაზღვრულია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. სკოლაში შემუშავებულია საქმისწარმოების ერთიანი წესები და პროცესები დოკუმენტური სახით. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეების ნიმუშები. მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოება ხორციელდებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 22 აგვისტოს #113/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მოსწავლის პირადი საქმის ფორმისა და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის პირადი საქმის წარმოების წესის“ შესაბამისად. თანამშრომელთა საქმეების დათვალიერებით დადგინდა, რომ მათი წარმოებისას დაცული იყო კანონმდებლობის მოთხოვნები.

სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები გათვალისწინებულია ხარისხის მართვის მექანიზმებით.
ადგილზე ვიზიტის დროს დავათვალიერეთ ელექტრონული ჟურნალი, რომლის სარგებლობის წესი შეესაბამება განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ დადგენილ რეგულაციებს. კერძოდ, სკოლა მოსწავლეებს უფიქსირებს არებს მოსწავლის გაცდენის შემთხვევაში.

შინაგანაწესით მოწესრიგებულია დამხმარე პროცესები - საკადრო საკითხები: შრომით ურთიერთობის წარმოშობის და შეწყვეტის წესი და პირობები, სამსახურში გამოუცხადებლობის წესი, წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესი, პერსონალის მატერიალური პასუხისმგებლობა, მასწავლებლის დისციპლინური პასუხისმგებლობის საფუძვლები. **ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;

სკოლის განმარტებით, სკოლაში მოქმედებს თანამშრომელთა, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერ წარმომადგენელთა გადაწყვეტილების გასაჩივრების განხილვის ეფექტური სისტემა **სამეურვეო საბჭოს** სახით. ასევე მოქმედებს მშობლების, მოსწავლეებისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებისგან დაკომპლექტებული **დისციპლინური კომიტეტი.** საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებელთა კონკურსებთან დაკავშირებით, სკოლაში იქმნება საპრეტენზიო კომისია. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. ნებისმიერი განცხადება/წერილი/ კორესპონდენცია, რომელიც შემოდის სკოლაში, ტარდება შემოსულ დოკუმენტაციაში და ედება შესაბამისი რეზოლუცია.

გადაწყვეტილებების გასაჩივრებისა და საჩივრების განხილვის პროცედურა გაწერილია სკოლის შინგანაწესით და მათზე რეაგირება ხდება კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. შინაგანაწესში დეტალურად არის აღწერილი სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა დისციპლინური გადაცდომების სახეები. დისციპლინური გადაცდომის შემთხვევაში მასზე რეაგირებისა და დისციპლინური სახდელის დაკისრების წესი/პირობები. გარდა ზემოაღნიშნულისა, სკოლაში მოქმედებს საქმისწარმოების ერთიანი წესი, რომლის მიხედვითაც, განსაზღვრულია სკოლაში დოკუმენტბრუნვის ორგანიზება. იგი ვრცელდება სკოლის ყველა სახის დოკუმენტაციაზე (მათ შორის ელექტრონულზე) და ყველა თანამშრომლისთვის ადგენს საქმისწარმოების ერთიან და სავალდებულო წესებს. ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის შესაბამისად, დირექტორის ბრძანებებში მითითებულია გასაჩივრების ვადა, წესი, ხოლო, რაც შეეხება ოქმებსა და სხვა დოკუმენტაციის გასაჩივრების წესს, აღნიშნული რეგულირდება კანონმდებლობით.

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია კანონის შესაბამისი გასაჩივრების წესი. კერძოდ, 22-ე მუხლი - განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი - ითვალისწინებს სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარის რეგისტრაციაში გატარებას და მათზე რეაგირება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ამასთანავე, „ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით დამტკიცებული „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2014 წლის 30 დეკემბერის №167/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებელთა დისციპლინური წარმოების წესის“ შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს **სკოლის დისციპლინური კომიტეტი,** რომელიც განიხილავს თავისი კომპეტენციის ფარგლებში დისციპლინური გადაცდომის შემთხვევებს და ახდენს სათანადო რეაგირებას. სკოლის განმარტებით, თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/ კანონიერი წარმომადგენლების განცხადების შეტანის საფუძველზე საჩივარს განიხილავს დისციპლინური კომიტეტი. სკოლაში არსებობს არჩეული დისციპლინური კომიტეტი 9 წევრის შემადგენლობით, თუმცა მოცემულ ეტაპზე სკოლას არა აქვს დისციპლინურ კომიტეტში საქმისწარმოების პრაქტიკა. სკოლის დირექტორის განმარტებით, დისციპლინურ საქმეებს აწესრიგებს თავად დირექტორი და სკოლაში არ დამდგარა დისციპლინური კომიტეტის შეკრებისა და რაიმე საკითხის განხილვის საჭიროება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის დირექტორი აქტიურადაა ჩართული საჩივრების განხილვის პროცესში იმ შემთხვევებში, რომელთა განხილვაც არ განეკუთვნება დისციპლინური კომიტეტის უფლებამოსილებას. დირექტორი განიხილავს და ახდენს კანონითა და შინაგანაწესით გათვალისწინებულ რეაგირებას. მისი განცხადებით, სკოლა არ ხასიათდება დისციპლინური გადაცდომების სიხშირითა და სირთულით. ამასთანავე, საჩივრების განხილვის პროცესში სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული ადმინისტრაციული წარმოების წესების დაცვით. მიმდინარე სასწავლო წელს სკოლაში რაიმე ტიპის საჩივრის ადმინისტრაციულ წარმოებას ადგილი არ ჰქონია, არც დისციპლინური კომიტეტის შეკრების საჭიროება დამდგარა. შესაბამისად, სკოლაში მოცემულ მომენტში არ არსებობს ზემოაღნიშნულ მექანიზმთან დაკავშირებული მასალები/აქტივობები.
ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

სკოლის შინაგანაწესში გაწერილია პერსონალის, მოსწავლისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებები. პერსონალის უფლებამოსილება, ასევე, გაწერილია მათთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში. გარდა ამისა

სკოლაში მოქმედი პერსონალისა და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის გამოხატულებაა სკოლის შინაგანაწესში გაწერილი პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. სკოლას აქვს შინაგანაწესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი დისციპლინური გადაცდომები და სახდელის ზომები.

სკოლას საქართველოს მთავრობის 2016 წლის 12 სექტემბრის N437 დადგენილებით დამტკიცებული „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების“ შესაბამისად, შემუშავებული აქვს ბავშვის მიმართ განხორციელებული **ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია.** სკოლაში ფუნქციონირებს **მრჩეველთა საბჭო,** რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის და მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვას.

სკოლას შემუშავებული აქვს მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) - მშობელთან ურთიერთობის კომუნიკაციის სტრატეგია დამტკიცებული 20. 06.2023 წ. ბრძანება 2-192. დოკუმენტი აწესრიგებს მხარეთა უფლება-მოვალეობებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები დეტალურად გაწერს იმ მექანიზმებს, რომლებსაც სკოლა იყენებს/შემდგომში გამოიყენებს მოსწავლის შესახებ მშობლებთან კომუნიკაციისა და აკადემიური მოსწრების შესახებ ინფორმირების მიზნით. გაწერილია მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა უფლებების დაცვის გარანტიები. განსაზღვრულია მშობლის ინფორმირების წესი, მოწესრიგებულია მშობლის უფლებები და ვალდებულებები. **დამრიგებლის საქმიანობა მოწესრიგებულია სადამრიგებლო პროგრამით,** რომელიც 2023-2024 ს/წ სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია. სკოლას წარმოდგენილი აქვს **სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულების ნიმუში,** რომლითაც რეგულირებულია სკოლისა და მშობლის ურთიერთვალდებულებები, მშობლის გაფრთხილების წესი და სხვა, რაც უზრუნველყოფს მშობლის უფლებების დაცვას.

პერსონალური მონაცემების დაცას აწესრიგებს სკოლის მიერ შემუშავებული **პერსონალური მონაცემების დაცვის წესი** და მონიტორინგის მექანიზმები. წესი აწესრიგებს მონაცემების დამუშავების, გამოყენების და გავრცელების პირობებს. წესი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. **ინდიკატორი 3.3.1.4. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრუქტურული ერთეულების: დამრიგებელი, დისციპლინარული კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, დებულებები.
- სკოლის „საქმისწარმოების წესი“.
- სკოლისა და მოსწავლის მშობელს შორის ხელშეკრულება;
- სკოლის მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება;
- სკოლის „მშობელთან ურთიერთობის კომუნიკაციის სტრატეგია “.
-

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;

სკოლას მიაჩნია, რომ სკოლის წარმატების ერთ-ერთი მთავარი პირობა საზოგადოებასთან ეფექტური კომუნიკაციაა. სკოლის ეფექტურ კომუნიკაციაში მოიაზრებს ურთიერთობას არა მხოლოდ სკოლის მოსწავლეებთან, მათ მშობლებსა და მასწავლებლებთან, არამედ ყველა დაინტერესებულ მხარესთან. სკოლის დირექტორის განმარტებით, მშობლებს, თანამშრომლებს და მოსწავლეებს გასაცნობად და კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში უკუკავშირის მისაღებად ეგზავნებათ სკოლის პოლიტიკის, მართვის დოკუმენტები, დებულებები, მარეგულირებელი წესები, სასკოლო სასწავლო გეგმა, ინფორმაცია შეფასების სისტემის შესახებ. აღნიშნული კომუნიკაცის დასტურდება სკოლის ელექტრონული საშუალებების ვიზუალური დათვალიერებით. პერიოდულად ტარდება საინფორმაციო შეხვედრები; საკითხები განიხილება პედაგოგიურ საბჭოზე, მშობელთა კრებებზე, მოსწავლეების შემთხვევაში, სადამრიგებლო საათის ფარგლებში. მოსწავლეს და მის მშობელს შეუძლია თვალყური ადევნონ აკადემიურ შედეგებსა და პროგრესს ელექტრონულ ჟურნალში. ელექტრონულ ჟურნალზე წვდომა აქვს მოსწავლეს, კლასის დამრიგებელს, მშობელს, სკოლის ადმინისტრაციას, შესაბამისად ყველა დაინტერესებულ მხარეს აქვს საშუალება მიიღოს ინფორმაცია. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს, კოლეგიალურ ორგანოებს აქვთ Teams-ის პლატფორმაზე გამოყოფილი სივრცე -ჯგუფები, სადაც ეგზავნებათ საჭირო დოკუმენტაცია, საჯარო ინფორმაციები, დაგეგმილ შეხვედრებზე დაუწყება, საჭირო შემთხვევებში იმართება შეხვედრები. ვიღებთ უკუკავშირს, როგორც საერთო სასაუბრო სივრცეში, ასევე პირად ველშიც. 2023-2024 ს/წლიდან სკოლა საზოგადფოების ინფორმირებისათვის იყენებს უკვე ვებ-გვერდსაც.

ინდიკატორი 3.3.2.1. - დაკმაყოფილებულია.

2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

სკოლაში ფუნქციონირებს კოლეგიალური ორგანოები: სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, საგნობრივი კათედრები, მოსწავლეთა თვითმმართველობა, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, მრჩეველთა საბჭო, ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლის წარმატების ერთ-ერთ განმსაზღვრელ ფაქტორად სკოლას კოლეგიალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორგანოების წევრების აქტიურობა და უფლებების სწორი დელეგირება მიაჩნია, რაც შიძლება ითქვას რომ უზრუნველყოფილია სკოლაში. კოლეგიალურ ორგანოებში წარმომადგენლობა ყოველთვის თანაბარი რაოდენობით არის წარმოდგენილი სამეურვეო საბჭოში (მშობელთა და მასწავლებელთა თანაბარი წარმომადგენლობა და ერთი მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი). დისციპლინარულ კომიტეტში- მასწავლებელი, მშობელი და მოსწავლე. პედაგოგიურ საბჭოში შედის ყველა პედაგოგი. მოსწავლეთა თვითმმართველობაში შედიან მოსწავლეები თანაბარი რაოდენობით წარმოდგენილი თითოეული კლასიდან. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა პედსაბჭოს, სამეურვეო საბჭოს და დისციპლინური კომიტეტის ოქმები. წარმოდგენილი მასალებით შესაძლებელია დავასკვნათ, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში, მართვის კოლეგიურ ორგანოებში აქტიური ჩართულობა. **ინდიკატორი 3.3.2.2. - დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ელექტრონული ჟურნალის ვიზუალური დათვალიერება
- სკოლის მრჩეველთა საბჭოს TEAMS ჯგუფის ვიზუალური დათვალიერება
- სკოლის სამეურვეო საბჭოს 08.09.2022 წლის N5 სხდომის ოქმი
- სკოლის პედ. საბჭოს 08.09.2022 წლის N6 სხდომის ოქმი
- სკოლის დისციპლინური კომიტეტის 12.10.2022 წლის N1 სხდომის ოქმი
- სკოლის დირექტორის ბრძანება მრჩეველთა საბჭოს შექმნის შესახებ 04.04.2023 წ. N2-85
- სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის 2022 წლის 11.10.N1 ოქმი
- სკოლის მრჩეველთა საბჭოს ოქმი N1; N2

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;

სკოლის ტერიტორიაზე უზრუნველყოფილია ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა და პირველადი დახმარების აღმოჩენა. სკოლის შენობა აშენებულია 1977 წელს, 4 სართულიანია და შედგება ორი ერთმანეთთან დაკავშირებული კორპუსისაგან. ძირითადი შენობა სასწავლო დანიშნულებისაა, დამხმარე შენობაში კი საკლასო ოთახების გარდა განთავსებულია სააქტო და სპორტული დარბაზები და სხვა დანიშნულების სივრცეები. უსაფრთხოების დაცვის კუთხით სკოლა ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად.

სკოლაში განსაზღვრულია დირექტორის 31 2019 წლის 27 თებერვალი №2-36 ბრძანებით დანიშნული სკოლაში უსაფრთხოებისა და **საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი,** რომელსაც ევალება დაიცვას სკოლაში თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოება და წესრიგი. გარდა ამისა, სკოლაში წესრიგის დაცვისა და სხვათა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, **ხორციელდება თამბაქოს მოხმარების მონიტორინგი,** სკოლის დირექტორის 2019 წლის 06 დეკემბრის № 2-355 ბრძანებით განსაზღვრული შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ.

შენობაში დაცულია სახანძრო უსაფრთხოების წესები, სკოლას დერეფნებში, ყოველი კიბის უჯრედის მიმდებარედ განთავსებული აქვს **ცეცხლმაქრები** დამუხტულ მდგომარეობაში, ცენტრალურ ფოიეში პირველ სართულზე კედლეზე დამონტაჟებულია სახანძრო სტენდი ცეცხლმაქრით. ცეცხლმაქრებით არის აღჭურვილი ლაბორატორიები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, საქვაბე. თითოეული დერეფნის თავსა და ბოლოში განთავსებულია **საევაკუაციო გეგმები,** რომლებიც შეესაბამება შენობის შესაბამისი ფლიგელის რეალურ მდგომარეობას. გეგმაზე მონიშნულია საევაკუაციო გასასვლელები კიბის უჯრედებში. თუმცა **შენობის ჭერზე არ არის დამონტაჟებული შესაბამისი გასასვლელის მანიშნებლები.** საევაკუაციო გეგმების გვერდზე ყოველ დერფანში გაკრულია სკოლის საგანგებო შტაბის წევრების შეტყობინების სქემა, რომელზეც მითითებულია საგანგებო შტაბის წევრების ტელეფონის ნომრები და მინიშნებულია რომელი პირი რაზეა პასუხისმგებელი. **მე-4 სართულზე დამონტაჟებულია სახანძრო კიბე, რომლის ასასვლელი დაკეტილ მდგომარეობაშია.**

2019 წელს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ ჩატარდა სკოლის ს ა ხ ა ნ ძ რ ო - ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი შემოწმება, რის საფუძველზეც გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები - სახანძრო უსაფრთხოების, საგანგებო სიტუაციების პრევენციისა და მათზე რეაგირების მოთხოვნების დარღვევების აღმოფხვრის თაობაზე - **ზედამხედველობის მიწერილობა 19.07.2019წ**. მიწერილობაში მითითებულია ის აღმოსაფხვრელი მიმართულებები, რომელიც სკოლამ უნდა უზრუნველყოს დათქმულ ვადებში. ვინაიდან სკოლის შენობა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას და პრაქტიკულად შეუძლებელი იქნებოდა სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაკმაყოფილება სკოლის შესაძლებლობების ფარგლებში, **სკოლამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ავტორიზაციის სამზადისში**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განახორციელა შემდეგი აქტივობები: 09.10.2023წ. გააფორმა შესყიდვის ხელშეკრულება #M77/10 საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან - სამშენებლო დოკუმენტაციის სახანძრო უსაფრთხოების სფეროს მარეგულირებელ ნორმებთან და სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა და შესაბამისი წინადადებების მომზადება.

სკოლამ წარმოადგინა ადამიანთა ევაკუაციის მართვის სისტემის პროექტი (გახმოვანება/მაუწყებლობა, ასევე ავარიული განათება), რომელიც მომზადებულია ინდ. მეწარმის მიერ, ახლავს განმარტებითი ბარათი და შენობის სართულების ნახაზები. ასევე სკოლამ წარმოადგინა სახანძრო-საგანგაშო სისტემის (სიგნალიზაციის) პროექტი თანდართული ნახაზებით. **სკოლას 18.04.2023წ. გაფორმებული აქვს ხელშეკრულება #320701-77 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან, სახანძრო უსაფრთხოების სისტემის გასამართად საჭირო პროექტირების მომსახურების შესყიდვის მიზნით დაფინანსების გამოყოფის შესახებ 4950 ლარის ოდენობით.**

სკოლას აქვს მიწერილობა შპს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან, რომლითაც ითხოვს დასკვნის მომზადებას შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის მიზნით.

სკოლას შენობის მდგრადობის დასადგენად გააკეთა განაცხადი ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში და **მიიღო სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს საინჟინრო ექსპერტის დასკვნა** #5004931323 10.08.2023წ. შენობის ტექნიკური მდგომარეობის - ექსპლუატაციის უსაფრთხოების დადგენის შესახებ, სადაც მითითებულია რომ შენობის ექსპლუატაცია უსაფრთხოა.

სკოლას აქვს შსს-ს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა - საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის წერილი სკოლისადმი #903419 04.10.2023წ. გეგმის შეთანხმების შესახებ, ასევე სკოლის დირექტორის ბრძანება #2-320 27.09.2023წ. "საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის დამტკიცების შესახებ".

სკოლის შენობას და სპორტულ დარბაზს აქვს რ ა მ დ ე ნ ი მ ე გასასვლელი კარი, რომელიც საევაკუაციო კარის ფუნქციას ასრულებს. სკოლის ეზოში შესვლა-გამოსვლა და გადაადგილება უსაფრთხოა, სკოლის მთელი პერიმეტრი შემოღობილია კაპიტალური ღობით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება **შრომის პირობების დაცვის წესები.** ელექტროგაყვანილობის სისტემა არ არის გამართული, მაგრამ ვიზუალური დათვალიერებით აკმაყოფილებს უსაფრთხოების ნორმებს. სკოლას ცალკე არ ჰყავს გამოყოფილი ელექტრო და სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი.

რაც შეეხება პირველად სამედიცინო დახმარებას, სკოლაში ფუნქციონირებს **ექიმის კაბინეტი,** რომელიც აღჭურვილია პირველადი სამედიცინო საშუალებებით, მათ შორის ცალკეული მედიკამენტებით. სკოლაში დასაქმებულია ექიმი, სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით ექიმი მუდმივ რეჟიმში დახმარებას უწევს სასკოლო საზოგადოებას ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების გამოვლენის შემთხვევაში. აღნიშნული **დასტურდება ექიმის მიერ წარმოებული ჩანაწერებით,** სადაც დაფიქსირებულია რა საჩივრით მიმართა მოსწავლემ ექიმს, როდის და რა რეაგირება მოახდინა ამაზე ექიმმა, რა მედიკამენტი გასცა. სასწრაფოს გამოძახების შემთხვევები იშვიათად ფიქსირდება, საჭიროების შემთხვევაში სკოლა უკავშირდება მშობელს, რომელიც თავად უზრუნველყოფს ბავშვის გაყვანას სახლში. **სკოლას ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლის ასისტენტი**, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლის უსაფრთხო გადაადგილებას შესვენების პერიოდში. მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნის შესაბამისად სკოლა სსსმ მოსწავლეებს სთავაზობს ფსიქოლოგის, ენისა და მეტყველების სპეციალისტის მომსახურებებს.

სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია **სკოლის საგანგებო შტაბის შექმნა.** შტაბის შემადგენლობაში შედის 8 წევრი. შტაბის ხელმძღვანელია სკოლის დირექტორის მ/შ.

სკოლაში დაწესებულია ასევე მასწავლებელთა **მორიგეობა, შედგენილია მორიგეობის გრაფიკი,** რომლის მეშვეობითაც დამატებით ხდება მოსწავლეთა უსაფრთხოების უზრუნველყოფა. მორიგეობის ცხრილები გამოკრულია ყველა დერფანში თვალსაჩინო ადგილებზე.

„ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29.01. ბრძანების თანახმად **შექმნილია მრჩეველთა საბჭო. სკოლას წარმოდგენილი აქვს მრჩველთა საბჭოს ომების ნიმუშები.**

სკოლის ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეო სათვალთვალო კამერები შიდა და გარე პერიმეტრზე. სულ დამონტაჟებულია 16 ვიდეო-კამერა სხვადასხვა სივრცეში, მათგან ერთია მოქმედი გარე პერიმეტრზე - შენობის ცენტრალურ შესასვლელთან. სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას უზრუნველყოფს 2 ღამის დარაჯი, დარაჯის სამსახურებრივი ინსტრუქციები და ვალდებულებები განსაზღვრულია მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით.

სკოლას ვიზიტის ეტაპზე არ ჰქონდა დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ. შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების **სააგენტოს წერილი სკოლისადმი #3208132 02.11.2023წ.** საინჟინრო პროექტების შესაბამისობის შესახებ. **არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა აქტივობები სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვების მიზნით და განსაზღვრა პერიოდი პრობლემის მოსაგვარებლად 16.11.2024წ-მდე.**

გარდა ამისა, ვიზიტის პერიოდში სკოლას სასკოლო ფართი გადაცემული ჰქონდა მესამე პირისათვის სამართლებრივი საფუძვლების (ბრძანება, შეთნხმება) გარეშე, რაც ეწინააღმდეგება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #99/ნ ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მოთხოვნას. კერძოდ, დამხმარე შენობის პირველ სართულზე გარკვეული სივრცე გადაცემულია ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის პროექტის ფარგლებში არსებული სასკოლო მოსამზადებელი ჯგუფისათვის. ასევე ძირითადი კორპუსის პირველ სართულზე ერთი ოთახი დათმობილი აქვს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მულიტიდისციპლინური გუნდისათვის. სკოლას აქვს მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტი სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსაგან სკოლის შესაბამის ოთახებში ჩატარებული სარემონტო სამუშოების შესახებ.

შესაბამისად ინდიკატორი შეფასებული იყო, როგორც შუსაბამო. **არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენის დროს სკოლამ შესაბამისობის გეგმაში გაწერა აქტივობები სასკოლო ფართის მესამე პირთათვის გადაცემაზე სამართლებრივი საფუძვლების მოპოვების მიზნით და განსაზღვრა პერიოდი პრობლემის მოსაგვარებლად 16.11.2024წ-მდე.**

სკოლას მიეცა რეკომენდაცია მოიპოვოს **დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ შესაბამისობის გეგმით გაწერილ ვადებში 16.11.2024 წლამდე და** აღმოფხვრას სახანძრო-ტექნიკური შემოწმების თაობაზე ზედამხედველობის მიწერილობაში 19.07.2019წ. მითითებული აღმოსაფხვრელი მიმართულებები. სკოლამ პრობლემის აღმოსაფხვრელად ავტორიზაციის სამზადისში განახორციელა შემდეგი აქტივობები: 09.10.2023წ. გააფორმა შესყიდვის ხელშეკრულება #M77/10 საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლას 18.04.2023წ. გაფორმებული აქვს ხელშეკრულება #320701-77 სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან საჭირო დაფინანსების გამოყოფის თაობაზე.

ასევე, სკოლას მიეცა რეკომენდაცია უზრუნველყოს სასკოლო ფართის გადაცემა მესამე პირისათვის სამართლებრივი საფუძვლების (ბრძანება, შეთნხმება) მიხედვით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის #99/ნ ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლამ განახორციელა რიგი აქტივობები პროცესის სამართლებრივი რეგულირების მიზნით, კერძოდ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიმართა სკოლამდელი სააღმზრდელო დაწესებულებათა მართვის ცენტრს. შესაბამისობის გეგმასთან ერთად სკოლამ წარმოადგინა ზუგდიდის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წერილი #1572066 17.11.2023წ.

ინდიკატორი 3.4.1.1. მეტწილად შესაბამისობაშია.

2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;

2019 წლის 29 იანვრის საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ №06/ნ ბრძანებით განსაზღვრულია სკოლის ტერიტორიაზე განსახორციელებელ პრევენციული ღონისძიებები და ეფექტური რეაგირების მექანიზმები. ფიზიკურად, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველსაყოფად. სასკოლო ტერიტორიაზე უსაფრთხოებას უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებული 2 დარაჯი და 2 მანდატური. გარდა ამისა, სკოლაში შემუშავებულია სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესი, დამტკიცებულია სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-204 24.06.2023წ. რომელიც განსაზღვრავს სკოლის შენობაში პირველადი დახმარების გაწევის წესსა და პროცედურებს. მისი მიზანია, განსაზღვროს პირველადი გადაუდებელი დახმარების ძირითადი ელემენტები და განსახორციელებელი ქმედებები. ასევე, ხანძარსაწინააღმდეგო უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, სკოლა აღჭურვილია ცეცხლმაქრებით და სხვა შესაბამისი ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით. ყველა სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოკრულია საგანგებო სიტუაციების სამსახურის ნომერი (112). სკოლაში წესრიგის დაცვისა და სხვათა ჯანმრთელობის უზრუნველსაყოფად, ხორციელდება თამბაქოს მონიტორინგი, შესაბამისი პასუხისმგებელი პირის მიერ. სკოლაში კონტროლდება მშობლისა და უცხო პირის ვიზიტი, რომელსაც უზრუნველყოფს სკოლის კარისკაცი. სკოლა აწარმოებს სპეციალურ ჟურნალს ვიზიტორების აღსარიცხად, სადაც დაფიქსირდება ვიზიტორის ვინაობა და მონაცემები. **ინდიკატორი 3.4.1.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში დირექციასთან ერთად ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფენ სკოლის პედაგოგები, ფსიქოლოგი, სკოლის ექიმი. **სკოლის დირექტორის ბრძანებით შემუშავებულია „ბავშთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურები“**. ამასთანავე სკოლას ჰყავს ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტები: სპეციალური მასწავლებელი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, სსსმ პირის ასისტენტი, რომლებიც უზრუნველყოფენ განსაკუთრებით მოწყვლადი ჯგუფის სსსმ მოსწავლეების ემოციურ, ფსიქოლოგიურ სტაბილურობასა და უსაფრთხოებას.

სკოლის დამრიგებლების მიერ ხდება **სადამრიგებლო საათის ფარგლებში** მოსწავლეთათვის ინფორმაციის მიწოდება, რათა იზრუნონ ერთმანეთის უსაფრთხოებაზე. იმგვარად იგეგმება აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ფსიქოლოგიურ უსაფრთხოებას. სასწავლო წლის განმავლობაში, სულ მცირე ერთხელ, დამრიგებელი უზრუნველყოფს მოსწავლეებისთვის საგანმანათლებლო-საინფორმაციო კამპანიას უსაფრთხოების მიმართულებით.

ამასთანავე, **სკოლაში მოქმედებს რჩეველთა საბჭო,** რომელიც უსაფრთხოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის მიწოდებას ახდენს სასკოლო საზოგადოებისათვის. ფსიქოლოგთან გასაუბრებით დადგინდა, რომ გარდა სსსმ მოსწავლეებისა, ცალკეულ შემთხვევებში ის ემსახურება ტიპიური განვითარების მოსწავლეებსაც სხვადასხვა სირთულის გამოვლენის შემთხვევაში, რისი საჭიროებაც პოსტპანდემიურ პერიოდში უფრო გაოიკვეთა. ის სათანადო რეკომენდაციებს აძლევს მოსწავლეს და მასწავლებელს.

სსიპ ზუგდიდის #5 საჯარო სკოლა გამოირჩევა სპეციფიურობით. შენობა მთლიანად სარეაბილიტაციოა, საკლასო ოთახებსა და დერეფნებში იატაკები, კედლები და ჭერები სავალალო მდგომარეობაშია, რაც სერიოზული დემოტივატორი შეიძლება იყოს პედკოლექტივისათვის. მიუხედავად ამისა, სკოლაში დაგვხვდა აქტიური და შინაარსიანი სასწავლო პროცესი, რაც გამოიხატა მრავალფეროვანი დოკუმენტაციის წარმოდგენაში. ასევე ყველა საკლასო ოთახსა და დერეფანში გამოფენილი დაგვხდა მოსწავლეთა უამრავი ნამუშევარი, სხვადასხვა საგნებში განხორციელებული პროექტების მასალები. გარდა ამისა, შენობაში არსებული სველი წერტილები და საკლასო ოთახები გამოირჩეოდა სანიტარული ნორმების დაცვით, რისი შენარჩუნებაც გაურემონტებელი შენობის პირობებში დიდ ძალისხმევასთან იქნება დაკავშირებული.

ინდიკატორი 3.4.1.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;

სკოლისთვის ერთ-ერთი პრიორიტეტია სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა. სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვასთან დაკავშირებით, სკოლა ხელმძღვანელობს „სკოლამდელი და ზოგადასაგანმანათლებლო დაწესებულებების მოწყობის, აღჭურვისა და სამუშაო რეჟიმის სანიტარიული წესებისა და ნორმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2001 წლის 16 აგვისტოს №308/ნ ბრძანების შესაბამისად. ასევე, სკოლის 2020 წლის 30 სექტემბრის დირექტორის №2-183 ბრძანებით, განსაზღვრულია სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად, სკოლაში დასაქმებულნი არიან შესაბამისი პირები, კერძოდ, დამლაგებლები, ექიმი, რომელიც კომპეტენციის ფარგლებში შეიმუშავებს რეკომენდაციას ჰიგიენური და სანიტარული ნორმების დაცვის კუთხით. გარდა ამისა, საგაკვეთილო პროცესის დასრულების შემდეგ საკლასო ოთახებს ანიავებენ და შესაბამისი წესით ასუფდავებენ.

ადმინისტრაცია უზრუნველყოფს ყველა საჭირო ნივთისა და ჰიგიენური საშუალებებით დამლაგებლების მომარაგებას. სკოლის დერეფნებში დამონტაჟებულია ხელის სანიტაიზერები. ტუალეტებში დევს თხევადი საპნები, ხელის გასამშრალებელი საშუალებები, ყველა საკლასო ოთახში, ტუალეტებსა და დერეფნებში დგას ნაგვის ურნები. ყოველდღიურად ამ პროცესს მონიტორინგს უწევს დირექცია და ექიმი.

სკოლას შემუშავებული აქვს **დამლაგებლის თანამდებობრივი ინსტრუქცია,** დამლაგებლის საქმიანობების აღწერა მოცემულია დამლაგებლის ხელშეკრულებაში. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს **დამლაგებელთან გაფორმებული ხელშეკრულება.**

სკოლაში ვიზიტის პერიოდში სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე, მათ შორის სველ წერტლებში დაცული იყო სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. თუ გავითვალისწინებთ იმ გარემოებას, რომ შენობა საჭიროებს სრულ რეაბილიტაციას, ბევრ ადგილას იატაკები, კედლები და ჭერები ძლიერადაა დაზიანებული და მათი სანიტარული დამუშვება დიდ ძალისხმევასთანაა დაკავშირებული, შეიძლება ითქვას, რომ სანიტარული ნორმების დაცვა სკოლის ძლიერი მხარეა. ვიზიტის პერიოდში სკოლის შენობის ყველა მონაკვეთში გამორჩეულად დაცული იყო სანიტარული ნორმები. **ინდიკატორი 3.4.1.4. - დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;

სკოლა უზრუნველყოფს სკოლის საზოგადოების, მოსწავლეთა, თანამშრომელთა, მშობელთა პერსონალურ მონაცემთა დაცვას ,,პერსონალური მონაცემთა დაცვის შესახებ'' საქართველოს კანონისა და სხვა მოქმედი სპეციალური კანონმდებლობის შესაბამისად. სკოლაში შემუშავებული და დირექტორის 2023 წლის 24 ივნისის №2-206 ბრძანებით დამტკიცებულია ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები". სკოლის განცახდებით, სკოლაში მონაცემები მუშავდება კანონის მოთხოვნების და მონაცემთა სუბიექტის უფლებების დაცვით. ასევე, მონაცემი მუშავდება კანონიერი და კონკრეტული მიზნების მისაღწევად, მონაცემები მუშავდება მხოლოდ იმ მოცულობით, რომელიც აუცილებელია შესაბამისი მიზნისთვის. სკოლის დირექციის მიერ მოხდა ,,პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესისა და მონიტორინგის მექანიზმების" გაცნობა თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის, რითაც მათ მიეწოდა ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ტიპის მონაცემები მუშავდება, რა სახით და რა მიზნით. სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების კითხვარის შევსების მიზნებისთვის სკოლის თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მშობლებს განემარტათ, რომ სკოლა მათ ინფორმაციას დამუშავების მიზნით, გადაუგზავნის შესაბამის უწყებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, სკოლას აქვს წერილობითი თანხმობა, მათი პერსონალური მონაცემების კონკრეტული მიზნით გამოყენებასთან დაკავშირებით.

მიზანშეწონილია სკოლას მშობლებისაგან ჰქონდეს წერილობითი თანხმობა მოსწავლეების ფოტო-ვიდეო გადაღებასთან დაკავშირებით, რათა სკოლამ სასკოლო დროს და სკოლის ტერიტორიაზე მოსწავლისათვის გადაღებული ფოტო-ვიდეო მასალა განათავსოს სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდზე სკოლის დანიშნულებისათვის.

ინდიკატორი 3.4.1.5. - დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;

სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები, რაც გამოიხატება სკოლაში ორი დოკუმენტის არსებობით: პერსონალური მონაცემების დაცვის წესი და მისი მონიტორინგის მექანიზმები და სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო მომსახურების ხელშეკრულება. მათი გაცნობის საფუძველზე დგინდება, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულია ნორმა, რომელიც არეგულირებს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალებით და ადგილზე დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლა გაცნობიერებული აქვს და ინფორმირებულია სკოლაში არსებულ ინფორმაციების დაცვის მექანიზმებზე. სკოლა იღებს შესაბამის ორგანიზაციულ-ტექნიკურ ზომებს, იმ ელექტრონული თუ მატერიალური დოკუმენტების დასაცავად, სადაც ინახება მონაცემები სუბიექტების შესახებ. სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა და **სკოლა უზრუნველყოფს ელექტრონული ინფორმაციის დაცვას არაავტორიზებული წვდომისა და დაზიანებისგან,** ასევე მონაცემთა ბაზების იმგვარ ადმინისტრირებას, რომ ინფორმაცია ყველა მოსწავლესა და აკადემიურ პერსონალს მიეწოდოს ინდივიდუალურად. **სკოლა იცავს პერსონალური მონაცემების კონფიდენციალობას** და მოქმედებს მონაცემთა სუბიექტის საუკეთესო ინტერესებიდან გამომდინარე. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და დისტანციური გაკვეთილების ჩატარების მიზნით, სკოლაში გამოიყენება ელექტრონული პროგრამა (Teams), რომელსაც ნერგავს და მის ტექნიკურ მხარდაჭერას უზრუნველყოფს საინფორმაციო სისტემა. ელექტრონულ პროგრამაში არსებული მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ სკოლაში დასაქმებული პირებისა და მოსწავლეებისთვის შესაბამისი საკლასო ჯგუფების მიხედვით. **სწავლების პროცესში, ელექტრონულ ჟურნალში დამუშავებულ მოსწავლეთა პერსონალურ მონაცემებზე, ინდივიდუალური მომხმარებლისა და პაროლის გამოყენებით, წვდომა აქვთ:** სკოლის დირექტორს, მოადგილეს, დამრიგებელს, საგნის მასწავლებლებს. სკოლას დაუშვებლად მიაჩნია ელექტრონული ჟურნალის წარმოების დროს მასწავლებლების მიერ შეფასებების გადატანა სხვადასხვა ფაილებში/წიგნაკებში მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების უკანონოდ გავრცელების თავიდან აცილების მიზნით გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც შეუძლებელია ჟურნალში ნიშნების გადატანა. ამ შემთხვევაში მასწავლებელი ვალდებულია ჟურნალში გადატანისთანავე დაუყოვნებლივ გაანადგუროს მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების შემცველი ჩანაწერები წიგნაკში. გარდა ამისა, მასწავლებელი ვალდებულია შეფასებები/დასწრებები ელექტრონულ ჟურნალში შეავსოს დაუყოვნებლივ სხვა ალტერნატიული ჩანაწერების გაკეთების გარეშე. სკოლას ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც ახორციელებს სკოლაში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალური მონაცემების დაცვის შესაბამისობის შემოწმებას მოქმედ კანონმდებლობასთან. **ინდიკატორი 3.4.1.6. - დაკმაყოფილებულია.**

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

სკოლის განმარტებით, დირექციის მხრიდან მუდმივად ხორციელდება მეთვალყურეობა მოსწავლეთა უსაფრთხოების შეფასების მიზნით, მათ შორის უსაფრთხოების მონიტორინგს მუდმივად ახორციელებს როგორც უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, ასევე დირექცია, კლასის დამრიგებლები, მორიგე მასწავლებლები, რომლებიც ანალიზს უკეთებენ ამ კუთხით არსებულ მდგომარეობას. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას, რაც აისახება დირექტორისადმი შედგენილ ანგარიშებში. სამომავლოდ სკოლაში იგეგმება სწავლის დაწყებამდე და დასრულების შემდეგ დეტალური ანალიზის და ანგარიშის შედგენა, რაც გამოყენებულ იქნება გამოვლენილი გამოწვევებისა და სისუსტეების გაუმჯობესებისთვის. სკოლის უსაფრთხოების დაცვის კონტროლის მიზნით დირექტორის ბრძანებით სხვადასხვა მიმართულებით განსაზღვრული არიან პასუხისმგებელი პირები, კერძოდ: თამბაქოს მონიტორიგზე პასუხისმგებელი პირი, სანიტარიულ-ჰიგიენური პირობების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, სახანძრო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.
ამ ეტაპზე აღნიშნული განხორციელებული მეთვალყურეობის დადასტურება წერილობითი ფორმით არ ხდება, თუმცა მომავალი სასწავლო წლიდან დაგეგმილია დამატებითი მექანიზმების შემუშავება.

სკოლას შექმნილი ჰყავს საგანგებო სიტუაციებზე რეაგირების მართვის ჯგუფი. სკოლის ყველა სართულზე კანონით დადგენილი წესით განთავსებულია ცეცხლმაქრები, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა და ცეცხლმაქრების გამოყენების წესი.

ინდიკატორი 3.4.1.7. - დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სახანძრო-საგანგებო სისტემის პროექტი;
- სკოლის დირექტორის 2019 წლის 27 თებერვლის №2-36 ბრძანება „სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა უსაფრთხოების დაცვის მიზნით";
- სკოლის დირექტორის 2019 წლის 06 დეკემბრის №2-355 ბრძანება „შენობაში და მის ტერიტორიაზე თამბაქოს მოხმარების აკრძალვასთან/შეზღუდვასთან დაკავშირებული ღონისძიებების განხორციელების შესახებ"
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 ივნისის №2-204 ბრძანება „სსიპ ქალაქ ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის სამედიცინო დახმარების აღმოჩენის წესის დამტკიცების შესახებ".
- სკოლის საევაკუაციო გეგმა (ვიზუალური დათვალიერება);
- ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარის შეძენის ამსახველი დოკუმენტაცია;
- სკოლის დერეფნებში მასწავლებლების მორიგეობის განრიგი;
- ხელშკრულება სპეციალური მასწავლებელთან, სსსმ პირის ასისტენტთან, ფსიქოლოგთან, ენისა და მეტყველების სპეციალისტთან.
- სკოლის დირექტორის 2020 წლის 9 სექტემბრის №2-183 ბრძანება „სანიტარულ კვანძებში სისუფთავის დაცვაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ".
- დირექტორის 2023 წლის 24 ივნისის №2-206 ბრძანება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმების დამტკიცების შესახებ";
- სკოლის თანამშრომელთა „თანხმობის განაცხადი პერსონალური მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☒ **მეტწილად შეესაბამება**
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).
   ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;

სკოლის შენობა აშნებულია 1977 წელს. სრული რეაბილიტაცია არ ჩატარებია, თუ არ ჩავთვლით ლოკალურად ჩატარებულ სარემონტო სამუშაოებს. მაგალითად, 2008 წელს ინფრასტრუქტურის სააგენტომ მოაწყო გარე სპორტული მოედანი, 2020 წელს კი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შიდა სპორტული დარბაზი სრულად. შენობა 2 კორპუსისაგან შედგება, ძირითადი კორპუსი 4 სართულიანია და დამხმარე კორპუსი 2 სართულიანი. უძრავი ქონების საკადასტრო კოდია №43.32.01.070. დაზუსტებული ფართობი 10815.00 კვ.მ. ფართი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით: შენობა-ნაგებობა №1 განაშენიანების ფართი 827.41 კვ.მ. ნაგებობა №2 განაშენიანების ფართი 826.86 კვ.მ. N3 განაშენიანების ფართი 20.04 კვ.მ (საქვაბე). თითოეული საკლასო ოთახის ფართობი შეადგენს 49მ2 მოსწავლეებს შეუძლიათ თავისუფლად გადაადგილდნენ დერეფანში, სკოლის ეზოში, ბიბლიოთეკაში, სასადილოში ამისათვის არ სჭირდებათ სკოლის პერიმეტრის დატოვება. შესვენების პერიოდში მოსწავლეებს შეუძლიათ გამოიყენონ სკოლის ფოიე და დაისვენონ.

პირველი სართულზე განთავსებულია 1 საკლასო ოთახი და სხვადასხვა დანიშნულების ოთახები: კომპიუტერული ლაბორატორია, მანდატურის ოთახი, სამასწავლებლო, დაცვის ოთახი, რესურს-ოთახი, სამედიცინო ოთახი, სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული სველი წერტილი.

მეორე სართულის ოთახების განლაგება და წყობა პირველი სართულის იდენტურია. მე-2 სართულზე განთავსებულია რვა საკლასო ოთახი საბაზო და საშუალო საფეხურის კლასებისათვის. ასევე დირექტორის კაბინეტი და სამდივნო, კომპიუტერული ლაბორატორია, სკოლას ცალკე არა აქვს სააქტო დარბაზი, მის ფუნქციას ასრულებს სკოლის დერეფანი/ფოიე, კეთილმოწყობილი ეზო და სპორტული დარბაზი. **მესამე სართულზე** რვა სტანდარტული საკლასო ოთახია, ასევე ბიბლიოთეკა. **მეოთხე სართულზე** ასევე რვა საკლასო ოტახი და სათავსო არქივისათვის.

საკლასო ოთახები (სულ 30 ოთახი) და დერეფნები სარემონტოა, თუმცა მოვლილია და სუფთა, ყველა ოთახში არის გამართული ელექტროგანათება, თუმცა არასაკმარისი ელექტრო განათება. თითოეულ საკლასო ოთახს აქვს ბუნებრივი განათება, ყველა სასწავლო ოთახს აქვს სამი ან ორი ფანჯარა. საკლასო ოთახებში დაზიანებულია კარები, დაზიანებული ფანჯრის საკეტები. დერეფნებში ხის იატაკი არის ამორტიზებული, ალაგ-ალაგ გამაგრებულია, ჭერსა და კედლებზე რიგ შემთხვევებში ჩამოშლილია ნალესი.

სკოლას მიეწოდება ცენტრალური წყალმომარაგება. ასევე სკოლას უწყვეტად მიეწოდება ელექტროენერგია, თუმცა სანათები მთლიანად შესაცვლელია. სკოლაში შემოყვანილია ბუნებრივი აირი. დამონტაჟებულია გათბობის ცენტრალური სისტემა. ბუნებრივ აირზე მომუშავე ბოილერით. საქვაბე განთავსებულია კანონმდებლობით დადგენილი წესით დამოუკიდებელ შენობაში. ამჟამად, საქვაბე არის მუშა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მდგომარეობაში, თუმცა მოუწესრიგებელია გათბობის მილები, რომელიც ზემოდან აწყვია იატაკზე მოუხერხებლად და ადვილად ზიანდება ბავშვების საკლასო ოთახებში თავისუფალი გადაადგილების დროს. სკოლის დერეფნებში არ გადის გათბობის მილი, შესაბამისად დერეფნები არ თბება.

დამხმარე შენობაში განთავსებულია სპორტული დარბაზი, რომელიც რებილიტირებულია, აქვს გასახდელები ვაჟებისა და გოგონებისათვის ცალ-ცალკე. სპორტ-დარბაზის მიმდებარედ მოწყობილია მოქმედი სველი წერტილი. სპორტ-დარბაზში კედელზე დამონტაჟებულია შვედური კედელი, დამონტაჟებულია კალათბურთის ფარები და ფრენბურთის ბადე, სათავსოში განთავსებულია სპორტული ინვენტარი (ლეიბები და სხვა), დარბაზის გასწვრივ მოწყობილია სკამები მაყურებლისათვის. დამხმარე შენობაშია განთავსებული ასევე ბუფეტი და რამდენიმე საკლასო ოთახი. ასევე სააქტო დარბაზი.

ყველა სართულზე დიდი და ნათელი დერეფნებია, რომლებიც ასრულებს სოციალიზაციის როლს შენობას.

კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია ინტერნეტ-ქსელში ჩართული 15 კომპიუტერით, ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა ლაბორატორია და შემოწმდა კომპიუტერების ინტერნეტ ქსელში ჩართულობა. ოთახში გამოკრულია კლასების მიერ ლაბორატორიით სარგებლობის განრიგი კვირის დღეების მიხედვით.

სველი წერტილები განლაგებულია ოთხივე სართულზე და სრულად კეთილმოწყობილია. სველ წერტილებში მოწყობილია ინდივიდულური კაბინები ჩამკეტი კარით. კაბინის კარებები, ხელსაბანები/ონკანები გამართულ მდგომარეობაშია.

ბიბლიოთეკაში დამონტაჟებულია წიგნების კარადები. წიგნადი ფონდი მოიცავს სასკოლო სახელმძღვანელოებს, მხატვრულ, შემეცნებით, სამეცნიერო, მეთოდურ ლიტერატურას და შეადგენს 1247 წიგნს. მათ შორის უცხოენოვანი წიგნების ფონდის აქვს. ბიბლიოთეკაში მოწყობილია ელექტრონული კატალოგი ანბანური პრინციპით, ადგილზე ვიზიტის დროს გავეცანით წიგნების დამუშავების წესს, რომელიც შეესაბამება დადგენილ მოთხოვნებს (წიგნები დანომრილი და დაშტამპულია სკოლის შტამპით). ბიბლიოთეკას აქვს კეთილმოწყობილი სამკითხველო სივრცე. სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის დებულება, აქვს ბიბლიოთეკის სამუშაო გეგმა 2023-2024 ს/წ.

საბუნებისმეტყველო ლაბორატორია აღჭურვილია საბუნებისმეტყველო საგნების – ქიმია, ფიზიკა ბიოლოგია- ლაბორატორიის კომპლექტის ცალკეული მასალებით, რომლებიც განთავსებულია ოთახის მომიჯნავე სათავსოში. მასწავლებლები იყენებენ საჭირო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რესურსებს სხვადასხვა კლასებში. კერძოდ, ქიმიური და ფიზიკური მოვლენების ამსახველი თვალსაჩინოებები, ქიმიის ლაბორატორიისათვის საჭირო ინვენტარი, რომლითაც მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ ჩაატარონ სასკოლო პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული ცდები. ლაბორატორიაში არის ხელსაბანი. კედელზე გამოკრულია ბიოლოგიის სასწავლო თვალსაჩინოებები, თვალსაჩინოებების საცავში არის ქიმიური რეაქტივებისა და ჭურჭლის ნუსხა. ლაბორატორიაში დგას საექსპერიმენტო მაგიდა. სკოლას შემუშავებული აქვს ლაბორატორიით სარგებლობის წესი. ???

პირველ სართულზეა სამედიცინო კაბინეტი 15 კვ.მ. რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ავეჯით, ტექნიკით, მედიკამენტებით, სადაც ხორციელდება სამედიცინო მომსახურების გაწევა. კაბინეტი აღჭურვილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთლობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ერთობლივი ბრძანების #41/ნ/01-23/ნ 21.03.2022წ. მე-4 მუხლით გათვალისწინებული იმ ინვენტარით, რომლითაც სკოლა მოამარაგა ინფრასტრუქტურის სააგენტომ.

შენობაში ყველა სართულზე მოწყობილია **საევაკუაციო გასასვლელები**, თუმცა არაა დამონტაჟებული შესაბამისი მიმანიშნებლები.

სკოლის ეზოში არის მავთულბადის ღობით გამოყოფილი ღია სპორტული მოედანი. მოედანი იზოლირებულია დასახლებული პუნქტისაგან და მოსწავლეების მიერ მისი სარგებლობა უსაფრთხოა.

ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით, სკოლის მისიით და მიზნებით განსაზღვრული და დაგეგმილი შედეგების მისაღწევად **სკოლას აქვს საჭირო რაოდენობის სასწავლო ინვენტარი - მერხები, სკამები, რაც შეესაბამება მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას.**

სკოლის მატერიალური რესურსის ჩამონათვალი: კლასების უმეტესობაში მოსწავლეთა რიცხოვნება 20-დან 29 მოსწავლემდეა. შესაბამისად კლასების უმეტესობაში დგას 20-ზე მეტი მერხი და სკამი. მერხები მოვლილ მდგომარეობაშია. ყველა კლასში დამონტაჟებულია დაფა, დგას მასწავლებლის მაგიდა. სკოლას შემუშავებული აქვს მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი. სკოლამ წარმოადგინა მერხებისა და სკამების მიღება-ჩაბარების აქტები, რომელთა მიხედვითაც სკოლას აქვს საკმარისი რაოდენობის საკლასო ინვენტარი იმისათვის, რათა დააკმაყოფილოს მოსწავლეთა არსებული მდგომარეობა - 694 მოსწავლე. სკოლა აღჭურვილია მასწავლებლის მაგიდით, მოსწავლის ინდივიდუალური მერხებით, სკამებით და სასკოლო დაფით. დონეების მიხედვით: I დონე 300 მერხი და სკამი; II დონე 50 მერხი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და სკამი ;III დონე 200 მერხი და სკამი ; IV დონე 150 მერხი და სკამი; დაფა 35. ადგილზე ვიზიტის დროს დავათვალიერეთ ინვენტარის წიგნი 2022წ. სკოლას გაფორმებული აქვს მიღება-ჩაბარების აქტები მტუკ-სა და შესაბამის პერსონალს შორის მატერიალური რესურსების გადაცემის თაობაზე.

სკოლაში ბოლო ინვენტარიზაცია ჩატარებულია 2022 წლის ნოემბერში - სკოლის დირექტორის ბრძანება #2-303-ის 09.11.2022წ. საფუძველზე. სკოლას წარმოდგენილი აქვს ინვენტარიზაციის სპეციალური ოქმი და უწყისი. ასევე საინვემტარიზაციო აღწერილობის აქტები.

სკოლა უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო საქმიანობისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით მოსწავლეთა არსებული რაოდენობისათვის - 694 და ასევე ბავშვთა ზღვრული რაოდენობისთვისაც (1000 მოსწავლე).

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

სკოლას გააჩნია სპორტული დარბაზი ზომით (23.45 x11,6 x 6), რომელიც კაპიტალურად გარემონტებულია. სკოლას ასევე გააჩნია ხელოვნურ საფარიანი კომბინირებული სპორტული მოედანი ზომით 30მ x16 მ, შემოღობვით, რომელიც არის სარეაბილიტაციო.

სკოლას აქვს საბუნებისმეტყველო და კომპიუტერული ლაბორატორია. კომპიუტერულ ლაბორატორიაში განთავსებულია 14 სამაგიდო კომპიუტერი, პროექტორი, ეკრანი; შემუშავებულია ციფრული განვითარების გეგმა, შემუშავებულია ლაბორატორიაში მუშაობის გრაფიკი, სარგებლობის წესი. სამასწავლებლოში კი 10 სამაგიდო კომპიუტერი, პრინტერი, ამ ეტაპისთვის სკოლას აქვს მუშა მდგომარეობაში 6 პროექტორი; გაზიარების ეკრანი-2; 8 ცალი პრინტერი; ყველა კომპიუტერი დატვირთულია ინტერნეტ ქსელით.

დაწესებულების ინფრასტრუქტურა, საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის, სკოლის მოსწავლეებისთვის, თანამშრომლებისთვის, მშობლებისთვის. სკოლის ყველა მოსწავლე და თანამშრომლისთვის ყოველთვის ღიაა ექიმის კაბინეტი, ასევე ბიბლიოთეკა, სადაც შეუძლიათ მოსწავლეებს როგორც წიგნების გამოწერა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე ბიბლიოთეკაში წაკითხვა, კომპიუტერების გამოყენება. სხვადასხვა დავალების შესასრულებლად-ინფორმაციის მოსაძიებლად, ასევე კომპლექსური დავალების შესაქმნელად, ტექსტების და რესურსების ამოსაბეჭდად.

სკოლა ამჟამად მუშაობს ერთ ცვლაში, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს 09:00 საათიდან 14:50 საათამდე. აღნიშნულ პერიოდში მოსწავლეებისთვის საჭიროებისამებრ ხელმისაწვდომია საკლასო ოთახები და მათში განთავსებული ინვენტარი, სკოლის ბიბლიოთეკა, სპორტული დარბაზი, სპორტული მოედანი, სააქტო დარბაზი, ბუფეტი, ექიმის კაბინეტი, სველი წერტილები, საერთო სივრცეები და ეზო. სკოლის ინფრასტრუქტურა, რომ შეესაბამებოდეს თანამედროვე მოთხოვნებსა და სტანდარტებს ამისათვის სკოლას უნდა ჩაუტარდეს რეაბილიტაცია, მოსწავლეები თავს გრძნობდნენ უფრო კომფორტულ გარემოში.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;

სკოლის ფიზიკური გარემო ნაწილობრივ ადაპტირებულია, რადგან სკოლას არ გააჩნია ლიფტი. სკოლაში შემოსასვლელ კიბეებს დამაგრებული აქვს პანდუსი, რაც სსსმ მოსწავლეს აძლევს შენობაში შესვლისა და გადაადგილების შესაძლებლობას. სკოლის პირველ სართულზე ფუნქციონირებს რესურს ოთახი, სსსმ მოსწავლეთათვის ადაპტირებული სველი წერტილები. რესურს ოთახი მთლიანად ადაპტირებულია სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე. სკოლას ჰყავს ორი სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, ასისტენტი, რომელიც ინდივიდუალურად მუშაობს თითოეულ სსსმ მოსწავლესთან და ეხმარება მათ საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებაში. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლების ინკლუზიურ გარემოს ტიპიური განვითარების მოსწავლეებისათვის.** კერძოდ, სკოლის მიერ უზრუნველყოფილია მოსწავლეები ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით, სასწავლო წიგნებით, საგნობრივი თვალსაჩინოებებით. სკოლა აღჭურვილია სათანადო ინფრასტრუქტურით, კეთილმოწყობილი საპირფარეშოებით.

ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;

შენობაში და ეზოში საკმარისადაა თავისუფალი სივრცეები მოსწავლეთა შეხვედრებისა და კულტურული ღონისძიებების მოწყობისათვის. დერფნებში გამოკრულია სხვადასხვა დროს და სხვადასხვა საგნებში განხორციელებული პროექტების მასალები და მოსწავლეთა მრავალფეროვანი ნამუშევრები.

სკოლას აქვს სასწავლო გეგმის შესაბამისი ბიბლიოთეკა. ექსპერტთა ჯგუფმა ადგილზე ვიზიტის დროს დაათვალიერა ბიბლიოთეკა და გაესაუბრა ბიბლიოთეკარს. ბიბლიოთეკაში განთავსებულია ყველა საგნის გრიფირებული სახელმძღვანელოების თითო ეგზემპლარი, დამხმარე და მხატვრული ლიტერატურა, ილუსტრირებული მასალები, ინგლისურენოვანი წიგნები, დამხმარე სახელმძღვანელოები, შექმნილია ბიბლიოთეკის ციფრული კატალოგი. უზრუნველყოფილია ქსელში ჩართული კომპიუტერით, ქსეროქსით პრინტერით. მოსწავლეები და მასწავლებლები სარგებლობენ სკოლის ბიბლიოთეკით, გახსნილი აქვთ მკითხველის ბარათი, სადაც ფიქსირდება საკითხავი წიგნის გატანა დაბრუნება, ბიბლიოთეკაში არის საკითხავი სივრცე, სადაც კითხულობენ და მართავენ დისკუსიას.

ბიბლიოთეკაში ტარდება სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებები: ერთ-ერთი იყო eTwinning-ის პროექტის ფარგლებში განხორციელებული ფოტო გამოფენა და ფოტო კონკურსი. მე-4 კლასლებთან წიგნის საუკეთესო მკითხველი 2022-2023ს/წ, კითხვის კვირეულის ფარგლებში. სკოლამ დოკუმენტური სახით წარმოადგინა კვირეულის მასალა ფოტო-სურათებით. სამოქმედო გეგმით დაგეგმილია 2023 წლის დეკემბრის თვში ანა კალანდაძის კვირეული ქართული ენის კათედრაზე, საუკეთესო მკითხველის კონკურსი - მე-4 კლასთან და ა.შ. ბიბლიოთეკას გარდა ბიბლიოთეკარისა ემსახურება ბიბლიოთეკარის თანამშემწეც, რომელიც სოციალური პროგრამის ფარგლებშია დასაქმებული 2023 წლის გაზაფხულიდან.

სკოლაში ფუნქციონირებს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელშიც განთავსებულია 14 კომპიუტერები, 1 პროექტორი და 1 ეკრანი. სკოლა უზრუნველყოფილია მუდმივი ინტერნეტით. მასწავლებლებს აქვთ შესაძლებლობა, იმუშაონ მოსწავლეებთან ერთად და მიიღონ ინტერნეტით მათთვის საჭირო ინფორმაცია. ელექტრონული ფოსტა zugdidi5@mes.gov.ge რომელიც ასრულებს საინფორმაციო და საკომუნიკაციო ფუნქციას. ასევე სკოლა უზრუნველყოფილია Wi-Fi სრულად დაფარვით. IT ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის განვითარების მხარდაჭერას. თვალსაჩინო ადგილებზე გამოკრული და განთავსებულია მოსწავლეთა ნამუშევრები, პროექტები, გამოფენები. რაც ხელს უწყობს მოსწავლეებს თავი იგრძნონ ჯანსაღ გარემოში. **ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია.**

5.. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

სკოლის სასწავლო და მატერიალური ბაზა (ტექნიკური აღჭურვილობა, სახელმძღვანელოები და სხვა სასწავლო მასალა, ხელმისაწვდომია მასწავლებლებისა და მოსწავლეებისათვის, გამოიყენება მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის და მათი განვითარების დონის შესაბამისად. სახელმძღვანელოების და ელექტრონული სასწავლო რესურსების შერჩევა ხდება ყოველწლიურად. ამ პროცესში ჩართულია საგნობრივი კათედრები, მასწავლებლები, ბიბლიოთეკარი, დირექტორი. რესურსები შეირჩევა ხდება პროგრამის საჭიროებებიდან გამომდინარე. ყველა მოსწავლეს და მასწავლებელს აქვს თანაბარი წვდომა შერჩეულ რესურსებზე. ყველა სახელმძღვანელო, როგორც ძირითადი ისე დამატებითი არის ბიბლიოთეკაში და ხელმისაწვდომია ყველასთვის. ბიბლიოთეკაში მოცემულია როგორც ბეჭდური, ასევე ციფრული რესურსები.

სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები-კომპიუტერები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატრული ლიტერატურა, კომპიუტერული ტექნიკა, ქსეროქსების აპარატები, სპორტული ინვენტარი და ა.შ. სკოლაში უზრუნველყოფილია საჭირო რესურსებზე წვდომა.

ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- სკოლის საკადასტრო გეგმა;
- ფინანსური ანგარიშების დოკუმენტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ ექსპერტიზის დასკვნა.
- სკოლის საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მიღება -ჩაბარების აქტი
- მიღება ჩაბარების აქტები (მერხების, პროექტორების, კომპიუტერების, დაფების, ადაპტირებული ავეჯის).
- სკოლის სამედიცინო კაბინეტის მიღება ჩაბარება, ვიზუალური დათვალიერება
- სკოლაში შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი სსიპ ინფრასტრუქტურული განვითარების სააგენტო.
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 ივნისის N2-201 ბრძანება „სსიპ ქალაქ ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის ბიბლიოთეკის მუშაობის წესის (დებულების) დამტკიცების შესახებ“.
- კომპიუტერული ტექნიკის განაწილების გეგმა;
- სკოლის სპეციალური მასწავლებლის შრომითი ხელშეკრულება
- სკოლის სსსმ პირის ასისტენტის შრომითი ხელშეკრულება
- სკოლის ინვენტარის შესყიდვის დოკუმენტაცია.
- სკოლის 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. კომპიუტერების საგაკვეთილო პროცესში გამოყენება შესაძლებელია კომპიუტერულ ლაბორატორიაში, სადაც მათი რაოდენობა შეადგენს 14-ს. ყველა კომპიუტერი მუშა მდგომარეობაშია, მათი გამოყენებით სკოლაში შეუფერხებლად ჩატარდა სადიაგნოსტიკო შეფასება IV და VIII კლასებში. ასევე პროექტის „ფინანსური წიგნიერების“ ფარგლებში საშუალო საფეხურზე გამოკითხვა forms-ის პროგრამის საშუალებით. ადგილზე ვიზიტის დროს დავათვალიერეთ აღნიშნული მასალები.

კომპიუტერები აქტიურად გამოიყენება, როგორც საგაკვეთილო პროცესის მსვლელობისას, ასევე კლუბური სამუშაოების შესრულებისას. სკოლაში გამოიყენება სხვა კომპიუტერულ ტექნიკაც - 7 პროექტორი, პროექტორის ეკრანი, რასაც მასწავლებლები საგაკვეთილო პროცესში ეფექტურად იყენებენ. კომპიუტერების საკლასო ოთახში გამოყენების განრიგზე პასუხისმგებელია სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი. მთელი შენობა დაფარულია wi-fi, მსოფლიო ბანკის პროექტით იგეგმება, სკოლების დამატებითი ტექნიკით მომარაგება, რომლის ფარგლებშიც სკოლა გეგმავს შექმნას საზიარო სივრცე მოსწავლეებისათვის (კლასგარეშე სამუშაოებისთვის), ასევე კომპიუტერების დამატებას ბიბლიოთეკასა და სამასწავლებლოში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპიუტერული ტექნიკის განაწილება სასკოლო სივრცეში: სამასწავლებლოში განთავსებულია 10 სამაგიდო კომპიუტერი; რესურს ოთახში 2 სამაგიდო კომპიუტერი და 1 პრინტერი; ბიბლიოთეკაში 2 სამაგიდო კომპიუტერი და პრინტერ -სკანერი; ადმინისტრაციისათვის განკუთვნილ ოთახებში 3 სამაგიდო კომპიუტერი; 2 პრინტერი და 1 პრინტერ-სკანერი; ექიმის კაბინეტში 1 სამაგიდო კომპიუტერი; მანდატურის კაბინეტში 1 სამაგიდო კომპიუტერი, 1 პრინტერი. კათედრის ხელმძღვანელებს 7 პორტატული კომპიუტერი, I – IV კლასების ხელმძღვანელებს 11 პორტატული კომპიუტერი; ინკლუზიური განათლების სპეციალისტებს 2 პორტატული კომპიუტერი;

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

სკოლაში შექმნილია საზიარო სივრცეები მასწავლებლებისთვის: სამასწავლებლო, სკოლის ბიბლიოთეკა. სკოლაში არის საზიარო სამუშაო სივრცე მოსწავლეებისთვისაც - კომპიუტერულ ლაბორატორიაში, ბიბლიოთეკაში და რესურს ოთახში, რომელსაც იყენებენ ძირითადად ის მოსწავლეები, რომლებსაც არ აქვთ სახლში კომპიუტერი, ასევე ხშირია შემთხვევა როდესაც სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში მოსწავლეებმა უნდა შეასრულონ ჯგუფური სამუშაოები. სკოლაში განთავსებული საზიარო სივრცეები კი მათ აძლევს შესაძლებლობას გამოიყენონ კომპიუტერული ტექნიკა დღის მანძილზე საჭიროების შემთხვევაში. სკოლის ბიბლიოთეკა არის ის სივრცე, სადაც მოსწავლესა და მასწავლებლებს შეუძლიათ ერთობლივად მუშაობა. მოსწავლეებისთვის განკუთვნილი სამუშაო სივრცეების გამოყენება შესაძლებელია ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით მთელი სამუშაო დღის განმავლობაში - 9:00 – 17:00 (უქმე დღეებში მუშაობა არაა შესაძლებელი. ამასთან კომპიუტერულ ლაბორატორიაში გამოკრულია განრიგი (გაკვეთილებისგან თავისუფალი დრო) და პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.6.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ინტერნეტით დაფარვის მიღება-ჩაბარების აქტი
- სკოლის კომპიუტერების მიღება-ჩაბარების აქტები
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 23 ივნისი №2- 202 ბრძანება „კომპიუტერულ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ“.
- სკოლის სამუშაო სივრცეების ვიზუალური დათვალიერება.
- სკოლის კომპიუტერული ლაბორატორიიდან პროექტორის გატანა/გამოყენების აღრიცხვის ჟურნალი.

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;

სკოლას საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების დაცვით შემუშავებული აქვს „საქმისწარმოების წესი,“ რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით. საქმისწარმოების წესი ადგენს ერთიან მოთხოვნებს დოკუმენტების მიღების, რეგისტრაციისა და მათი შენახვის წესთან დაკავშირებით. სკოლაში მოქმედი საქმისწარმოების წესი, თავის მხრივ, შეესაბამება საქართველოს 43 პრეზიდენტის 1999 წლის 1 ივლისს დამტკიცებულ „საქმისწარმოების ერთიანი წესების დამტკიცებისა და ამოქმედების შესახებ“ №414 ბრძანებულებას.

ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა საქმისწარმოების დოკუმენტაცია და ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა. სკოლაში იწარმოება ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი, საერთო და საკადრო ბრძანებები გამიჯნულია ერთმანეთისაგან და აქვს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სხვადასხვა ინდექსი. ასევე იწარმოება გასული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალი, შემოსული დოკუმენტაციის სარეგისტრაციო ჟურნალები მატერიალური სახით, შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი. ჟურნალები აკინძულია, ზონარგაყრილია, დანომრილია, დალუქულია და დამოწმებულია სკოლის ბეჭდითა და დირექტორის ხელმოწერით, რითაც უზრუნველყოფილია მათი სანდოობა და მთლიანობა. სკოლის ყველა აქტი და ოფიციალური წერილი ფორმდება სკოლის მიერ შემუშავებულ სატიტულო ფურცელზე. გარდა ამისა, 2012 წლის 29 სექტემბრიდან სკოლა იყენებს ელექტრონული დოკუმენტბრუნვის და ელექტრონული ხელმოწერის სისტემას ”eflow”-სა და Eschool-ის ბაზებს. სკოლა ელექტრონულად ახორციელებს მოსწავლეთა მობილობის და სტატუსის შეჩერების პროცედურებს. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს მშობლის განცხადების ნიმუში პირველ კლასში მოსწავლეთა მიღებაზე. ასევე მოსწავლის კლასში ჩარიცხვისა და კლასიდან ამორიცხვის ბრძანების ნიმუშები, რომლის საფუძველშიც მითითებულია მშობლის განცხადება ან/და შესაბამისი სკოლის მოთხოვნა. სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადითა და წესით ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები. ასევე, სკოლაში იწარმოება ბუღალტრული დოკუმენტაცია, რომელიც აკინძულია და კანონმდებლობით დადგენილი წესით. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის დირექტორის ბრძანებით #2-203 24.06.2023წ. განსაზღვრულია არქივზე პასუხისმგებელი პირი, ასევე დირექტორის ბრძანებით #2-206 24.06.2023წ. განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

2.. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;

სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები. კერძოდ, **საქმისწარმოება მიმდინარეობს ელექტრონული ფორმით.** სამდივნოში დამონტაჟებულია კომპიუტერი, რომელსაც საქმისწარმოების დროს იყენებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლაში მოქმედებს Eflow-ს სისტემა, სადაც ხდება ყოველი შემოსული და გასული დოკუმენტაციის გატარება, ასევე, იტვირთება დირექტორის თითოეული ბრძანება, წერილები, განცხადებები, სამსახურებრივი ბარათები. ასევე, მოქმედებს eschool-ის ელექტრონული სისტემა, სადაც ხდება სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა შესახებ მონაცმების ასახვა, მოსწავლეთა მობილობის პროცესის განხორციელება, მაძიებელ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებელთათვის ინფორმაციის აღწერა და ა.შ. eschool-ის სისტემაში ასახულია სკოლაში დასაქმებული ყველა თანამშრომელი. ადგილზე ვიზიტის დროს eschool-იდან ამოვიღეთ თანამშრომელთა და მასწავლებელთა მონაცემები. ამასთანავე, სკოლაში მოქმედებს სკოლის ოფიციალური ელექტრონული ფოსტა zugdidi5@mes.gov.ge. რომლის საშუალებითაც ხდება ინფორმაციების გაცვლა. სკოლას აქვს სოციალური ქსელი - ოფიციალური facebook გვერდი. სკოლაში იწარმოება ელექტრონული ჟურნალი, ასევე, მასწავლებლები და თანამშრომლები საკომუნიკაციოდ იყენებენ Teams პლატფორმას, სადაც ტარდება თანამშრომელთა ონლაინ სამუშაო შეხვედრები. Teams პლატფორმაზე სკოლას შექმნილი აქვს სივრცე საგნობრივი კათედრების მიხედვით, სადაც ატვირთულია კათედრის მასალები და ნებისმიერ მასწავლებელს შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს სკოლაში შემუშავებული დოკუმენტებით. **ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (eschool), რომელსაც მართავს სკოლის საქმისმწარმოებელი. ელექტრონული ბაზა, მუდმივად განახლებადია ინფორმაციის თვალსაზრისით და შეტანილია სავალდებულო ინფორმაცია: მოსწავლეთა და თანამშრომელთა მონაცემები, ცხრილები, კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები და სხვა. უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი, არქივზე პასუხისმგებელი პირი და პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი. **ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

სკოლას აქვს საგანმანათლებლო საქმიანობის კონტროლის განმახორციელებელ უწყებებთან ანგარიშგებისა და თანამშრომლობის ეფექტიანი გზა. აღნიშნული კომუნიკაცია ხორციელდება როგორც Eflow-ის და Eschool-ის, ასევე, ელექტრონული ფოსტის zugdidi5@mes.gov.ge. საშუალებით. სკოლა მუდმივ კომუნიკაციაშია რაიონულ რესურსცენტრთან, ხოლო საჭიროების შემთხვევაში. სკოლის დირექტორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კანონმდებლობის შესაბამისად, ყოველი წლის 10 დეკემბრამდე სამეურვეო საბჭოს წინაშე წარადგენს ანგარიშს ფინანსური საქმიანობისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. გარდა აღნიშნულისა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლის თანახმად, სკოლა, როგორც საჯარო დაწესებულება ყოველი წლის 10 დეკემბერს საქართველოს პარლამენტს, საქართველოს პრეზიდენტსა და საქართველოს პრემიერ-მინისტრს წარუდგენს, აგრეთვე „საქართველოს საკანონმდებლო მაცნეში" გამოაქვეყნებს ანგარიშს საჯარო ინფორმაციის შესახებ. ამასთანავე. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს წერილი 10 დეკემბრის ანგარიშის შესახებ.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 ივნისის №2-200 ბრძანება „საქმისწარმოების ერთიანი წესის დამტკიცების შესახებ"
- სკოლის სარეგისტრაციო ჟურნალების ნიმუშები (ბრძანებების, გასული/შემოსული დოკუმენტაციისა და შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი) - ვიზუალური დათვალიერება;
- Eflow, Eschool, Teams, Outlook და ელექტრონული ჟურნალის პროგრამების ვიზუალური დათვალიერება
- სოციალური ქსელის ლინკი - ვიზუალური დათვალიერება
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 ივნისის №2-203 ბრძანება „არქივზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ"
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 24 ივნისის №2-206 ბრძანება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ"
- სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის 8 დეკემბრის №8 სხდომის ოქმი ფინანსური და სასწავლო პროცესის დირექტორის ანგარიში
- სკოლის ანგარიში პრეზიდენტთან, პრემიერ მინისტრთან და პარლამენტის თავმჯდომარესთან.
- სკოლის სსსმ მოსწავლის შიდა მონიტორინგის ჯგუფის ანგარიში

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;

სკოლა საზოგადოების წინაშე წარადგენს საჯარო ინფორმაციას და აქვეყნებს სასკოლო სიახლეებს სოციალური ქსელის, ონლაინ სივრცეში შექმნილი ჯგუფების საშუალებით, მოსწავლეთა მშობლებს აქვთ წვდომა ელექტრონულ ჟურნალთან. ეცნობიან მასწავლებელთა კომენტარებს. საჭიროების შემთხვევაში, ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ ან გამოიკვრება თვალსაჩინო ადგილას. მშობლებთან კომუნიკაციის კუთხით, სკოლას შემუშავებული აქვს მშობლის ინფორმირების წესი (კომუნიკაციის სტრატეგია), სადაც დეტალურადაა გაწერილი მშობლებთან ურთიერთობის ფორმა და წესი. გარდა ამისა, ინფორმაციის გაზიარება ხდება დამრიგებლების მიერ მშობელთა კრებებზე. სკოლა თანამშრომლობს ეტალონთან და პლატფორმას იყენებს მიღწევების საზოგადფოებისათვის გასაზიარებლად.

კომუნიკაციის მაგალითად სკოლას მოყვანილი აქვს სასკოლო პროექტის ფარგლებში ჩატარებული სააღდგომო გამოფენა-გაყიდვა, სადაც წარმოდგენილი იყო მშობლების მიერ შექმნილი ხელთნაკეთი სააღდგომო აქსესუარები. ამის შესახებ ინფორმაცია განთავსდა სკოლის facebook გვერდზე 3 დღით ადრე, რომელიც გადააზიარეს სასკოლო საზოგადოების წევრებმა, რათა მომხდარიყო ფართო მასშტაბით ინფორმაციის გავრცელება, რასაც შედეგადა მოყვა სტუმართა სიმრავლე სკოლაში. ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღეს სკოლის მოსწავლეებმა, მშობლებმა და მოწვეულმა სტუმრებმა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განაცხადის შევსების მომენტში სკოლას არ ჰქონდა ვებ-გვერდი, თუმცა სკოლაში ვიზიტის პერიოდისათვის სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი - **skolebi.emis.ge სსიპ - ქალაქ ზუგდიდის №5 საჯარო სკოლა**

ინდიკატორი 3.6.3.1. არ არის დაკმაყოფილებული.

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;

სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას, აღნიშნული უზრუნველყოფილია სკოლის თანამშრომლების მიერ ინფორმაციის მუდმივად გადამოწმების გზით. **სკოლის facebook გვერდს ჰყავს 3 ადმინისტრატორი:** სკოლის დირექტორი, სკოლის დირექტორის მოადგილე და საინფორმაციო მენეჯერი, რომლებიც ურთიერთ შეთანხმებულად ათავსებენ ინფორმაციას. სხვა პირებისთვის კი ინფორმაციის გამოქვეყნება შეზღუდულია. სკოლის სოციალურ გვერდზე ქვეყნდება სკოლის შესახებ სიახლეები და ინფორმაცია, ასევე საგანმანათლებლო ვებ-პორტალი „ეტალონი“ აქვეყნებს ინფორმაციას, რომელსაც აწოდებს სკოლის დირექტორი ან დირექტორის მოადგილე. ყოველივე ეს არის გადამოწმებული, უტყუარი და სანდო. **ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია.**

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. რასაც ემსახურება პერიოდული ანგარიშები, რომელიც გარკვეულწილად წარმოადგენს არსებული ვითარების ანალიზს. 2022-2023 ს/წლის ბოლოს სკოლამ შეიმუშავა მშობელთა, თანამშრომელთა და მოსწავლეთა კითხვარები, რომელიც შემუშავებული იყო Microsoft 365- Forms-ის საშუალებით, რომლიდანაც მიღებული ინფორმაცია დამუშავდა იმგვარად, რომ გამოვლინდა სკოლის ძლიერი და სუსტი მხარეები. აღნიშნულის გამოვლენის შემდეგ დაიგეგმა გამოსწორებისა და გაუმჯობესების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მექანიზმები. სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში სისტემატურად ქვეყნდება ინფორმაციები სკოლაში მიმდინარე პროცესების შესახებ, სადაც ჩართულია კომენტარების ველი და ნებისმიერ ადამიანს აქვს საშუალება მოგვმართოს შეკითხვით, შესაბამისად მივიღოთ უკუკავშირი, რომელიც გამოყენებული და გათვალისწინებული იქნება საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღნიშნული დადასტურდა ადგილზე ვიზიტის დროს სოციალური ქსლის დათვალიერებით. **ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

გარდა იმისა, რომ ინფორმაციის გავრცელება პირებს შორის ხორციელდება პირისპირ, წერილობითი კომუნიკაციის, სატელეფონო კომუნიკაციის, სკოლაში თვალსაჩინო ადგილზე გამოკვრით, ეტალონის პლატოფრმით, სკოლის სოციალურ ქსელითა (Facebook) და მიზნობრივ ჯგუფებში გამოქვეყნებით. სკოლა უკვე იყენებს EMIS-ის მიერ შექმნილ ვებ-გვერდს, რომელზეც განთავსებული აქვს ინფორმაცია ქართულ ენაზე სკოლის შესახებ. **ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია.**

5.. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

სკოლაში ვიზიტის პერიოდში ვებ-გვერდზე განთავსებული იყო ინდიკატორის მოთხოვენბით გათვალისწინებული ყველა ინფორმაცია.

ინდიკატორი 3.6.3.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 20.06 №2-192 ბრძანება სკოლის მშობლებთან ურთიერთობის დებულების (კომუნიკაციის სტრატეგიის) დამტკიცების შესახებ“
- სკოლასა და ეტალონს შორის გაფორმებული ხელშეკრულება
- სკოლის სოციალური ქსელის ლინკი
- ვიზუალური დათვალიერება
- სკოლის საინფორმაციო დაფის ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

○ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;

სკოლის ფინანსურ რესურსს შეადგენს ერთ მოსწავლეზე გათვლილი ვაუჩერული დაფინანსება, სკოლის ექიმის თანამდებობრივი სარგო, სსსმ მოსწავლის დაფინანსება, მასწავლებლების კუთვნილი დანამატი; ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლები (იჯარა) და სხვა არასაბიუჯეტო შემოსავალი (ბანკის სარგებელი). სკოლის დირექტორის განმარტებით, ყოველი კალენდარული წლის დასაწყისში სკოლაში იქმნება ფინანსური სამოქმედო გეგმა-საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელიც წლის განმავლობაში სხვადასხვა მიზეზით (მაგალითად მოსწავლეთა მობილობა) გამოწვეული შეცვლილი ფინანსური დინამიკის შესაბამისად განიხილება, იცვლება და მტკიცდება სკოლაში არსებული სამეურვეო საბჭოს მიერ. დოკუმენტაციის შესწავლით დგინდება, რომ ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას სკოლის ფიზიკური გარემო იყოს უსაფრთხო, მოწესრიგებული, სასწავლო პროცესი შეუფერხებელი. ავტორიზაციის მხარდამჭერ ჯგუფთან მუშაობის პროცესში, სკოლამ შეიმუშავა განვითარების სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია სამოქმედო გეგმის შემუშავების და შესრულების მონიტორინგის მექანიზმები. 2023-2024 ს/წლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია სტრატეგიულ მიზნები და ამოცანების შესაბამისი წლის პრიორიტეტები. აღნიშნულის გათვალისწინებით სკოლა გეგმავს შეიმუშავოს ფინანსური გეგმა სამოქმედო გეგმის დაგეგმილი აქტივობების შესაბამისად. **ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

სკოლის ფინანსური რესურსების განკარგვა ხდება საჭიროებებიდან გამომდინარე, წინა წლის გამოცდილების გათვალისწინებით. სკოლას აქვს სამეურვეო საბჭოზე **დამტკიცებული ბიუჯეტი,** რომლის მიხედვითაც ხდება სკოლის ფინანსური რესურსის ხარჯვა. დამტკიცებულ ბიუჯეტში ბიუჯეტის ზრდისა თუ შემცირების შემთხვევაში ხდება სათანადო ცვლილებების შეტანა სკოლის დირექტორის შემუშავებითა და წარდგინებით. სკოლის ბიუჯეტში ცვლილებებს განიხილავს და ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო. 2023 წლის 19 სექტემბერს მოხდა ბიუჯეტის კორექტირება. ბიუჯეტის ცვლილების მიზეზი გახდა დამატებითი თანხის ჩარიცხვა ბიუჯეტში ექსპერტიზისათვის, ასევე მასწავლებელთა საათების ცვლილება 2023 წლის 15 სექტემბრიდან. სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება #2-311 08.09.2023წ. 2023-20245 ს/წ საათობრივი დატვირთვის დამტკიცების შესახებ. სკოლამ ასევე წარმოადგინა სამეურვეო საბჭოს შესაბამისი ოქმი ბიუჯეტში ცვლილების შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფინანსური რესურსების განკარგვას მონიტორინგს უწევს სამეურვეო საბჭო. დეკემბრის თვეში სკოლა დირექტორის სახით დეტალურ ანგარიშს წარუდგენს მას. სკოლას წარმოდგენილი აქვს დირექტორის ანგარიში სამეურვეო საბჭოსადმი. ბუღალტერი პერიოდულად აკეთებს საკლასო ხარჯთაღრიცხვას ბანკის ამონაწერის საფუძველზე, ხოლო წლის ბოლოს დგება ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი, სადაც დეტალურადაა აღწერილი წლის განმავლობაში შემოსული და გახარჯული ფინანსები. ბიუჯეტის აღსრულებაზე მონიტორინგი საშუალებას აძლევს სკოლის დირექტორს და სამეურვეო საბჭოს შეაფასოს სკოლის ფინანსური მდგომარეობა. მომავალში სკოლა გეგმავს შექმნას კვარტალური მონიტორინგის ანგარიში. **სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი,** რომელიც დამტკიცებულია 2022 წლის დეკემბერში. ბიუჯეტში ასახულია შემოსავლები, ხარჯები, ნაშთი. გასავალია: კომუნალურები, შრომის ანაზღაურება, სატრენინგო მომსახურებისთვის, სპორტული ინვენტარის შეძენა, საკანცელარიო ნივთები და სხვა. **სკოლას წარმოდგენილი აქვს დირექტორის ფინანსური ანგარიში სამეურვეო საბჭოს მიმართ.**

ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაესაუბრა სკოლის ბუღალტერს. იგი მონაწილეობს ბიუჯეტირების პროცესში, ბიუჯეტის შედგენაში მონაწილეობას ასევე იღებენ მასწავლებლები (ბუღალტერს სიტყვიერად აწვდიან ინფორმაციას საჭიროებების შესახებ) და დირექტორი. ბუღალტერი იმავდროულად არის შესყიდვების კოორდინატორი და მონაწილეობს შესყიდვების დაგეგმვასა და განხორციელებაში. ბუღალტერის კვალიფიკაცია შეესაბამება მოთხოვნილ სტანდარტებს (უმაღლესი - ეკონომისტის სპეციალობით). მას აქვს სკოლაში მუშაობის მრავაწლიანი გამოცდილება. კერძოდ, 1990 წლიდან მუშაობდა ზუგდიდის კ/სკოლაში - "ეროვნული სკოლა", რომელსაც შეუერთდა #16 და #10 საჯარო სკოლა. 2020 წლიდან მუშაობს ზუგდიდის #7 და #2 საჯარო სკოლაში და 2023 წლის სექტემბრიდა შეთავსებით მუშაობს #5 სკოლაში. ბუღალტერს გავლილი აქვს 2021 წელს ფინანსთა სამინისტროს ტრენინგ-კურსი. ბუღალტერს შესყიდვების კოორდინატორის ფუნქციები დაკისრებული აქვს დირექტორის ბრძანებით #2-309 06.09.2023წ.

სკოლას შემუშავებული აქვს „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული **შესყიდვების წლიური გეგმა,** რომელსაც ამტკიცებს დირექტორი ყოველი წლის 20 ნოემბრამდე. ასევე სკოლის დირექტორის ბრძანებით ხორციელდება ცვლილების შეტანა შესყიდვების გეგმაში. შესყიდვების გეგმის ცვლილების შემთხვევაში ხდება აღნიშნული ცვლილების ელექტრნულ ბაზაში EPLAN-ის ბაზაში ასახვა. სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანება 2023 წლის სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების შესახებ. ბაზრის კვლევა ხორციელდება ცალკეული შესყიდვების დროს. სკოლის დირექტორის განცხადებით, სამეურვეო საბჭოსთან, კათედრის ხელმძღვანელებთან, პედაგოგიურ საბჭოსთან, თვითმართველობასთან და ტექნიკურ პერსონალთან შეხვედრებით იგეგმება შესყიდვები. ტარდება საბაზრო კვლევა თითოეულ საქონელზე. სკოლა ამტკიცებს შესყიდვების წლიურ გეგმას წინასწარ შემუშავებული წესისა და ფორმის მიხედვით. შესყიდვების განხორციელების წესში გაწერილია თუ ვინ არის უფლებამოსილი პირი ბაზრის კვლევაზე. შესყიდვების გეგმის კორექტირება ხორციელდება განსაკუთრებულ შემთხვევებში. სკოლამ წარმოადგინა კორექტირებული შესყიდვების გეგმა - დირექტორის ბრძანება #2-325 20.09.2023წ. შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რჩევა: მიზანშეწონილია ბუღალტერმა აწარმოოს ფინანსური ანგარიშგება სკოლასთან პერიოდუალდ სამსახურებრივი ბარათების მეშვეობით შესყიდვების ოპერაციების განხორციელების დროს.

ავტორიზაციის მომენტისთვის სკოლა ფინანსურად მდგრადია. ფინანსური რესურსი ქმნის შესაძლებლობას ინფრასტრუქტურა იყოს გამართული, უსაფრთხო, მოწესრიგებული, ხოლო სასწავლო პროცესი შეუფერხებელი.

ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2023 წლის შესყიდვების წლიური გეგმა
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის ბრძანება N2-310 ბაზრის კვლევაზე უფლებამოსილი პირის დამტკიცების შესახებ.
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 18 ნოემბრის N2-311 ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესისა და შესყიდვების წლიური გეგმის დამტკიცების თაობაზე
- სკოლის სამეურვეო საბჭოს 2022 წლის დეკემბრის N9 სხდომის ოქმი
- 2022 წლის ფინანსური ანგარიში - სსიპ ქალაქ ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს ოქმი N8
- სპეც მასწავლებლის სამსახურეობრივი ბარათი
- დირექტორის ბრძანება #2-325 20.09.2023წ. შესყიდვების გეგმაში ცვლილების შეტანის შესახებ.
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

სკოლა მოსწავლეთა მხარდაჭერის მიზნით ხელმძღვანელობს საქართველოს კანონით „ზოგადი განათლების შესახებ“. რომლითაც განსაზღვრულია მოსწავლის უფლებები და თავისუფლებები, რაც საფუძვლად უდევს სკოლის შინაგანაწესს. სკოლის თითოეულ მოსწავლეს შეუძლია თანაბარ პირობებში, დისკრიმინაციის გარეშე, სასკოლო დროს ან სკოლის ტერიტორიაზე, ისარგებლოს კანონმდებლობით დადგენილი ყველა უფლებით. სკოლა ზრუნავს რომ მოსწავლეებს შეუქმნას უსაფრთხო გარემო, გეგმავს და ახორციელებს სხვადასხვა სასკოლო აქტივობებს, ახორციელებს სკოლის სასწავლო რესურსებით აღჭურვას.

გარდა ამისა სკოლას დირექტორის სამართლებრივი აქტით დამტკიცებული აქვს რეფერირების წესი. დირექტორის ბრძანებით განსაზღრულია ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირი და პირად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გასინჯვაზე უფლებამოსილი პირი. სკოლის ერთ-ერთ სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს **დისციპლინური კომიტეტი,** რომელიც თავის მხრივ (საჭიროების შემთხვევაში) განიხილავს მოსწავლეთა უფლებების შესაძლო დარღვევის შემთხვევებს. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს **მოსწავლეთა თვითმმართველობა.** მოსწავლეთა თვითმმართველობას თავისი წევრი ჰყავს დისციპლინურ კომიტეტში. შესაბამისად ისინი მონაწილეობას იღებენ დისციპლინურ წარმოებაში. განიხილავენ სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა მიერ სკოლის შინაგანაწესის, ხელშეკრულების პირობებისა და შრომის კოდექსის დარღვევის შემთხვევებს
ახორციელებენ სხვადასხვა სახის პროექტებს, როგორიცაა მაგალითად ბულინგთან დაკავშირებული აქტივობები სახელწოდებით: „არა ძალადობას“.

სკოლა სასწავლო წლის დასაწყისში აცნობს მოსწავლეებს და მათ მშობლებს სკოლის შინაგანაწეს, სადაც **მოსწავლის უფლებებისა და ინტერესების მარეგულიერებელი მთავარი დოკუმენტი სკოლის შინაგანაწესია.** გაწერილია თუ რა უფლებებით სარგებლობს მოსწავლე. შინაგანაწესში ასახულია #22 მუხლი - განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის მანდატურის სამსახური, ასევე მორიგე მასწავლებელბი შენობის ყველა სართულზე და მნიშვნელოვან ლოკალურ წერტილებში. მასწავლებელთა მორიგეობის გრაფიკი შედგენილია მათი ყოველდღიური დატვირთვის შესაბამისად (მორიგეობენ იმ დღეს, როდესაც მათი ცხრილი განტვირთულია). მორიგე მასწავლებლები ზედამხედველობენ მოსწავლეთა ქცევას საერთო სარგებლობის სივრცეებში. მორიგეობის განრიგები გამოკრულია ყველა სართულის დერეფანში. სკოლას ჰყავს 2 კარისკაცი სოციალური დასაქმების პროგრამის ფარგლებში, რომლებიც ასრულებენ შვეიცრის ფუნაციას და უზრუნველყოფენ უსაფრთხოების დაცვას. დირექტორის ბრძანებით #2-315 14.09.2023წ. განსაზღვრულია საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი - დირექტორის მოადგილე. სკოლაში გამოყოფილია ჯანმრთელობასა და უსაფრთხო კვებაზე პასუხისმგებელი პირები სკოლის ექიმი და მტუკის სახით დირექტორის ბრძანებით, რომელიც მონიტორინგს უწევს სკოლაში იჯარით გაცემულ ბუფეტში პროდუქტის უსაფრთხოებას (ბუფეტი ადგილზე აწარმოებს გარკვეულ პროდუქტს). ამავე ბრძანებით განსაზღვრულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე პასუხიმგებელი პირი - სკოლის ექიმი და მტუკი.

სკოლაში ასევე **დაცულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების უფლებები.** შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები. სსსმ მოსწავლეთა ინტერესების დაცვის უზრუნველსაყოფად სკოლას ჰყავს შესაბამისი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვალიფიკაციისა და უნარების მქონე ინკლუზიური განათლების სპეციალისტები. სკოლის შინაგანაწესით სკოლაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს, ყოფნა არ ეზღუდებათ სსსმ და შშმ მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს. მოსწავლეთა ჯანმრთელობის უფლების დაცვას ახორციელებს **სკოლის კვალიფიციური ექიმი.** სკოლის სტრუქტურული ერთეული მოსწავლეთა თვითმმართველობა სამეურვეო საბჭოში მიავლენს თავის წარმომადგენელს. მოსწავლეთა თვითმმართველობა შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის შინაგანაწესის შესახებ. ასევე უფლებამოსილია სამეურვეო საბჭოს წარუდგინოს წინადადებები სკოლისათვის მნიშვნელოვან საკითხთან დაკავშირებით. **ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;

მოსწავლეთა უფლებების დაცვის გარანტიები გაწერილია სკოლის შინაგანაწესში, რომელიც გამოკრული აქვს საინფორმაციო დაფაზე. შემუშავებულია შიდა ინსტრუქციები, განსაზღვრულია პასუხისმგებელი პირები. თითოეული დოკუმენტი არის საჯარო და ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის სკოლაში პერიოდულად ტარდება ღონისძიებები მოსწავლეთა უფლებებთან დაკავშირებით. კლასის დამრიგებლები ვალდებულნი არიან სასწავლო წლის დაწყებიდან უმოკლეს ვადაში გააცნონ სკოლის შინაგანაწესი როგორც მოსწავლეებს ისე მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს. ასევე ხორციელდება შინაგანაწესში განხორციელებული ცვლილების გაცნობა. სკოლის დერეფნებში თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ცხელი ხაზის ნომრები შესაბამისი ნიშნულებით. სკოლის შინაგანაწესი კლასის ხელმძღვანელების მიერ გაზიარებულია სასწავლო წლის დაწყებისთანავე მშობელთა კრებებზე; სკოლას შინაგანაწესი განთავსებული აქვს სკოლის სოციალურ გვერდზე და ვებ. გვერდზე, რითაც გამარტივებულია ხელმისაწვდომობა თითოეული დაინტერესებული პირისთვის.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-9 მუხლის შესაბამისად, სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულება საგანმანათლებლო მომსახურების შესახებ.. ასეთივე ხელშეკრულება ფორმდება მობილობის საფუძველზე ყოველი ახალი მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვისას რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში მკაფიოდ და დეტალურადაა გაწერილი სკოლის ვალდებულებები, მშობლისა და მოსწავლის უფლება-მოვალეობები, მოსწავლეთა და მშობელთა პერსონალური მონაცემების დაცვის მექანიზმი და წესი, სკოლის საქმიანობის ძირითადი მიმართულება და ზოგადი ქცევის წესი. აღნიშნული ხელშეკრულება ფორმდება სკოლაში ჩარიცხვისთანავე და ძალაშია სწავლის დასრულებამდე ან მოსწავლის ამორიცხვამდე/ სტატუსის შეჩერებამდე. გარდა ამისა, სკოლას შემუშავებული აქვს **მშობელთან ურთიერთობის დებულება,** რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის მშობელთან კომუნიკაციის პირობებს და მხარეთა უფლება- მოვალეობები. დებულება ეხმარება სკოლასა და მშობელს სწორი თანამშრომლობის ჩამოყალიბებაში. **ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის დირექტორის ბრძანება 2-23 06.02.2019 წელი „ პირად გასინჯვაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრა“;
- ინკლუზიური განათლების სპეციალისტების შრომითი ხელშეკრულებები (სპეც. მასწავლებელი, ფსიქოლოგი; ასისტენტი);
- სკოლის სპეც. მასწავლებლის სერთიფიკატი;
- სკოლის ექიმის შრომითი ხელშეკრულება;
- დირექტორის ბრძანება 2-92 21.04.2023წ „ბავშვთა დაცვის, მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრა“.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი N6 12.10.2022 წელი;
- სკოლის დისციპლინური კომიტეტის სხდომის ოქმი N1 12.10.2022 წელი;
- სკოლის მშობელთა კრების ოქმი ;
- სკოლის ვიზუალური მტკიცებულებები: ცხელის ხაზის ნომრები; ბროშურები; შეხვედრის ფორტო-მასალა
- სკოლის მშობლებთან შეხვედრის ანგარიშები;
- სკოლასა და მშობელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება;
- სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება

1.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;

მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებას და შეწყვეტას სკოლა ახორციელებს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. კერძოდ, სკოლაში **ჩარიცხვა ხორციელდება** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 11 იანვრის №04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესის შესაბამისად, ხოლო **მობილობა** საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ" 2012 წლის 19 სექტემბრის №193/ნ ბრძანების მიხედვით. სკოლა არსებული ადგილების რაოდენობის ფარგლებში იღებს ყველა მოსწავლეს, დისკრიმინაციის გარეშე. აღნიშნული პროცედურა საჯაროა და ხელმისაწვდომია-სკოლაში გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ინფორმაციის მსურველთათვის მიწოდებას ახორციელებს სკოლის კანცელარია და გამოკრულია ფოიეში, პირველკლასელ მოსწავლეთა მიღებისას I ეტაპზე გამოყოფილია ადგილები სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის, II ეტაპზე ხდება დედ-მამის შვილებისა და მასწავლებლის შვილების ჩარიცხვა, ინფორმაცია საჯაროა და მისი ნახვა დაინტერესებულ პირს შეუძლია, ასევე საინფორმაციო დაფაზე. სწავლის დასაწყისში მშობლებსა და მოსწავლეებს, დამრიგებლები კრებებზე აწვდიან ინფორმაციას სემესტრული გამოცდებისა და გაცდენების ექსტერნის გამოცდების შესახებ (30%) რა დროსაც მათ შეუძლიათ გამოიყენონ კანონიერი უფლება. სკოლის ექსტერნის, სემესტრული გამოცდების ჩატარების წინ ყველა მოსწავლეს წინასწარ შექმნილი გრაფიკის საფუძველზე უტარდებათ კონსულტაციები.

სკოლას აქვს დოკუმენტურად გაწერილი მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმები სასკოლო მარეგულირებელი დოკუმენტის სახით - **სკოლის დირექტორის ბრძანება #2-278 11.08.2023წ.**

ინდიკატორი 4.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს, რაც დასტურდება ელექტრონული ბაზებითა და მოსწავლეთა პირადი საქმეებით, რომელთა დათვალიერება მოხდა ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფის მიერ. მოსწავლეთა სკოლაში ჩარიცხვის დროს გამოიცემა სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. კლასის დაძლევა ხორციელდება პედაგოგიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე. მშობელთა განცხადები რეგისტრირდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის საშუალებით. eschool-ის საინფორმაციო სისტემაში არის ასახული მოსწავლეთა მონაცემები. მოსწავლის სკოლაში ჩარიცხვა ხდება ასევე უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზეც. სკოლა მოსწავლეთათვის სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის დროს ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის შესაბამისი ბრძანებით. სსსმ მოსწავლეთა ჩარიცხვა პირველ კლასში ხდება განსხვავებულ ვადებში (I ეტაპზე) მშობლის განცხადების და მულტიდისციპლინური გუნდის შეფასების საფუძველზე. საბაზო საფეხურის დაძლევა და საშუალო საფეხურის დასრულება განიხილება და მტკიცდება სკოლის პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმით და მტკიცდება დირექტორის ბრძანებით.

ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სტატუსის შეჩერების შემთხვევები. სკოლამ ჰყავს სტატუსშეჩერებული მოსწავლე, რომლის სტატუსის შეჩერება მოხდა მშობლის განცხადების საფუძველზე. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები: მშობლის განცხადება 04.08.2023წ. სკოლის დირექტორის ბრძანება #2-302 04.09.2023წ. მოსწავლის სტატუსის შეჩერების შესახებ. სკოლის შეტყობინება მშობლისადმი #MES 9 23 0001133830 12/09/2023, რომელიც შედგენილი და გაგზავნილია კანონმდებლობის მოთხოვნების სრული დაცვით. სკოლას აქვს მოსწავლის სტატუსის აღდგენის შემთხვევაც. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები მშობლის განცხადება სტატუსის აღდგენის თხოვნაზე 05.09.2023წ. დირექტორის ბრძნება #2-306 სტატუსის აღდგენის თაობაზე.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის მიერ მკაფიოდ არის განსაზღვრული მომსახურების სახეები და პროგრამები, რაც ძირითადად სავალდებულო საგნების სწავლებაში გამოიხატება სწავლების სამივე საფეხურზე შესაბამისი კურიკულუმით. ინფორმაციების მიწოდება მოხდება სადამრიგებლო საათზე, სოციალური ქსელით, საინფორმაციო დაფის მეშვეობით, სატელეფონო კომუნიკაციით და პირადი შეხვედრების დროს. .

პროგრამებისა თუ დამატებითი მომსახურებების შესახებ ინფორმაცია არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი და გამოკრულია სკოლაში თვალსაჩინო ადგილას. აღნიშნული საილუსტრაციოდ სკოლას მოყვანილი აქვს მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით სკოლაში ჩამოყალიბებული **სპორტული კლუბი „ ფალავნები“.** დაინტერესებული პირები გაეცნენ კლუბის წესდებას; მსურველებმა (მოსწავლის მშობელი/კანონიერი წარმომადგენლები) გააფორმეს შეთანხმება სკოლასთან. გარდა ამისა, სკოლაში მიმდინარე სასწავლო წელს ამოქმედდა **მოსწავლის მხარდამჭერი 2 აკადემიური პროგრამა - რემედიაცია და დაწევისა და დაჩქარების პროგრამა.** სკოლის დირექციამ ჩაატარა საინფორმაციო შეხვედრები, სადაც მოსწავლის მშობლებს გააცნო პროგრამის მიზნები, ამოცანები, დაანახა პროგრამაში ჩართვის საჭიროება. პროგრამაში ჩართვის სურვილი დადასტურდა შეთანხმების გაფორმებით სკოლასთან. სკოლა სწავლის დასრულებისთანავე მეხუთე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს სთავაზობს მეორე უცხოური ენის არჩევისას არჩევანს (მინიმუმ ორი უცხოური ენა), რა დროსაც გათვალისწინებულია მოსწავლეთა (მშობელთა) ინტერესები და სკოლის შესაძლებლობები. სკოლაში მეოთხე კლასის დასასრულს ტარდება დამრიგებლისა და ენის სპეციალისტების მიერ ერთობლივი საინფორმაციო კამპანია ენის არჩევასთან დაკავშირებით. მშობლები შეჯერდებიან და წყვეტენ, რომელი უცხო ენა სურთ ისწავლონ მათმა შვილებმა, რასაც განცხადებით ადასტურებენ, კლასის დამრიგებელი კი ოქმით. აღნიშნულთან დაკავშირებით სკოლას წარმოდგენილი აქვს მშობელთა კრების ოქმის ნიმუში. ამ ეტაპზე სკოლას მოსწავლეებისთვის ფასიანი მომსახურება არ აქვს შეთავაზებული.
ინდიკატორი 4.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. სკოლა ინფორმაციას ავრცელებს სოციალური ქსელის საშუალებით, რომლის სანდოობაზეც პასუხისმგებელია სკოლა. ადმინისტრაციული აქტით სკოლას ჰყავს განსაზღვრული საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლას ამოქმედებული აქვს სკოლის ვებ. გვერდი და სოციალური გვერდი, რითაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფილია განახლებული ინფორმაციის საჯაროობა. ასევე სკოლა აქვს საინფორმაციო დაფა, მასწავლებლებსა და კლასის დამრიგებლებს შექმნილი აქვთ მშობელთა სივრცე ხდება დაინტერესებულ პირთა ინფორმირება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 2.02. №2-29 ბრძანება „სსიპ - ქალაქ ზუგდიდის N5 საჯარო სკოლში 2023-2024 სასწავლო წელს პირველ კლასში ჩასარიცხ მოსწავლეთა რიცხოვნობის განსაზღვრის შესახებ“;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 16.03. №2.68 ბრძანება „სტატუსის შეჩერება“;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 23.05. №2-148ბრძანება „საფეხურის დაძლევა“;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 16.01. №2-3ბრძანება „მობილობა“;
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 31.01. №2-18 ბრძანება „ჩარიცხვა“.
-

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;

სკოლისათვის თითოეული მოსწავლის მხარდაჭერა და განვითარება პრიორიტეტულია, რაც დასტურდება სკოლაში მოქმედი მექანიზმებით. კერძოდ, სკოლაში ხდება მოსწავლეთა სირთულეებისა და არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა, მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინება. სკოლამ განახორციელა ღონისძიებები და შექმნა მოსწავლის მხარდამჭერი აკადემიური პროგრამები: რემედიაციის პროგრამა, დაწევისა და დაჩქარების პროგრამა, სკოლის პირველკლასელთა და სსსმ მოსწავლეთა ფსიქო - ემოციური მხარდამჭერი პროგრამა - ტრანზიციის პროგრამა, რომელიც ხელს უწობს სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან.

რემედიაციის პროგრამა მოქმედებს 2022-2023 ს/წლიდან, მათ შორის მიმდინარე სასწავლო წელსაც მოქმედებს დაწყებით საფეხურზე და მასში ჩართულია მუშაობს 3 მოსწავლე. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები: დოკუმენტი - რემედიაციის პროცესი, მე-2 კლასის მასწავლებელი - ქართული ენა და ლიტერატურა, მშობლის თანხმობის ფორმა; დოკუმენტი - რემედიაციის პროცესი - მე-3 კლასის მასწავლებელი, მუშაობს 2 მოსწავლესთან - ორივე მათემატიკაში, მშობლის თანხმობის ფორმა. ამ მოსწავლეების სწავლაში ჩამორჩენა დადგინდა 2022-2023 ს/წ საკლასო დონეზე ჩატარებული დიაგნოსტიკური წერების საფუძველზე.

დაწევისა და დაჩქარების საპილოტე პროგრამა - მასწავლებლის სახლის პროგრამაა განათლების მეორე შანსის პროგრამის ფარგლებში, რომლის ბენეფიციარები არია რისკის ქვეშ მყოფი მოსწავლეები, რომლებმაც შესაძლოა ვერ მიიღონ საბაზო განათლება სოციალური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრობლემების გამო. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება პედსაბჭოს ოქმი #10 15.12.2022წ. სადაც ასახულია ეს პროგრამა. საპილოტე პროგრამაში ჩართულია 16 მოსწავლე - მე-8-9 კლასელი. პროგრამა ამოქმედდა 2022-2023 ს/წლიდან და მასში მე-7 კლასის მოსწავლეები ჩაეთნენ (დღეს უკვე მე-8-9 კლასელები არიან). დამრიგებლებმა შეარჩიეს რისკის ქვეშ მყოფი ბავშვები ადმინისტრაციასთან შეთანხებით და ჩართეს ამ პროგრამაში. ამ ბავშვებს ჩაუტარდათ სადიაგნოსტიკო ტესტი, გამოიყენეს პრეტესტი დონეების მიხედვით. პროგრამაში ჩართულია ზუგდიდის უნივერსიტეტი, რომლის მომსახურებით მოსწავლეები სარგებლობენ კვირაში სამჯერ.

ტრანზიიის პროგრამა - 2023-2024 ს.წ. დაიწყო სკოლაში. ტრანზიციის ხელშეწყობის პროგრამა და მასთან დაკავშირებული პრაქტიკა ინკლუზიურობის პრინციპს ეფუძნება და ის ყველა ბავშვისა და ოჯახის სკოლაში ტრანზიციასთან დაკავშირებულ უნიკალურ საჭიროებებს ეხმიანება. ტრანზიიცის პროგრამის მასალები ატვირთულია საგანმანათლებლო პორტალზე ეტალონი ჯი. **ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;

სკოლის განმარტებით, სკოლამ ოფიციალური რეგისტრაციის გავლის შემდეგ 60 პირველკლასელის მშობელს სკოლის Facebook გვერდზე გაუგზავნა მისასალმებელი მოკლე ტექსტური შეტყობინება და ღია ბარათი იმის ნიშნად, რომ მათ სკოლაში ელიან. სკოლით დაინტერესებული მშობლებისთვის სოციალურ ქსელში აიტვირთა საინფორმაციო ბროშურა და ბუკლეტი, რომელიც სათანადო ინფორმაციას მარტივად და ყველასათვის ხელმისაწვდომად აცნობს სკოლით დაინტერესებულ ოჯახებს. ადგილზე ვიზიტის დროს ესქპერტება დაათვალიერეს აღნიშნული მასალები. დაგეგმილია პროგრამის ფარგლებში პირველკლასელთა ვიზიტის დღე სკოლაში გარემოს გაცნობის მიზნით. მომავალი პირველკლასელთა მასწავლებლებს დაგეგმილი აქვთ საინტერესო-სახალისო აქტივობები: მხიარულ ანიმატორებთან შეხვედრის მოწყობა სკოლის ხელოვნურსაფარიან სპორტულ მოედანზე; კლასის დამრიგებლები ვალდებული არიან სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში დაგეგმონ ისეთი აქტივობები, რომელიც ხელს შეუწყობს პირველკლასელთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ამ მიზნით აწყობენ კლასის საათებს თემებზე : „გავიცნოთ ერთმანეთი“, „ გავეცნოთ სასკოლო გარემოს“.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;

მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მასწავლებლის, დამრიგებლის, სკოლის დირექციის მხრიდან. **სკოლაში ამუშავებულია სკოლის მოსწავლის მხარდამჭერი აკადემიური პროგრამა** : რემედიაცია; დაწევისა და დაჩქარების პროგრამა. რემედიაცია გულისხმობს სწავლაში არსებული პრობლემების შემცირებას ან აღმოფხვრას ხელახლა და/ან სწავლების გზით, კონკრეტული აქტივობების საშუალებით. სკოლა ახდენს მოსწავლეთა იდენტიფიცირებას, სარემედიაციო მეცადინეობებისთვის დროისა და ადგილის განსაზღვრას, მეთოდური რესურსებითა და მასალით უზრუნველყოფას. დაწევისა და დაჩქარებული სწავლების პროგრამის მომხმარებლები არიან 12- 13 წლის მოსწავლეები. პროგრამაში ჩართვის კრიტერიუმებია - სკოლის ვადაზე ადრე მიტოვების რისკები, ღრმა აკადემიური ჩამორჩენა, ჩაბარებული აქვთ გაცდენების ექსტერნი და მიღებული შეფასებები არ აღემატება 5 ქულას, ჩაბარებული აქვთ საშემოდგომო გამოცდა, სწავლის შედეგების თვალსაზრისით, მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ თანატოლებს - საგნების უმეტესობაში წლიური შეფასება არის 5, რთული ან ასოციალური ქცევები, არა აქვთ ან მინიმალური მხარდაჭერა აქვთ ოჯახისგან. კლასის დამრიგებელი აგროვებს მოსწავლის აკადემიური პრობლემების შესახებ ინფორმაციას, აანალიზებს შესაძლო რისკებს და სკოლის დირექციასთან შეთანხმებით იწვევს მოსწავლის მშობელს. სკოლა იღებს მშობელთან ერთად შესაბამის გადაწყვეტილებას. აღნიშნული პროგრამის მოქმედების შესახებ სკოლის მოსწავლები და მშობლები ინფორმირებული არიან. **ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;

სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. მოსწავლეს დროულად მიეწოდება ინფორმაცია სკოლის ექსტერნის, ოლიმპიადების, სემესტრული გამოცდების ჩატარების შესახებ. წინასწარ შედგენილი გრაფიკის საფუძველზე საჭიროებისამებრ უტარდებათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კონსულტაციები. ინფორმაცია აღნიშნულთან დაკავშირებით მოსწავლეებს მიეწოდებათ MICROSOFT TEAMS-ის პლატფორმაზე შექმნილ დახურულ ჯგუფში. ჯგუფს ქმნის საინფორმაციო მენეჯერი. ჯგუფში გაწევრიალებული არიან კლასის დამრიგებლები და საგნის მასწავლებლები. საჯარო სახის ინფორმაციები ასევე გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე სკოლის ცენტრალურ ფოიეში.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;

სკოლა დიდ ყურადღებას აქცევს დამატებით/არაფორმალურ აქტივობებს, რისი დადასტურებაცაა სკოლის დერფნებსა და საკლასო ოთახებში გამოკრული მასალები, რომლებიც ასახავს მოსწავლეთა მიერ განხორციელებულ საკლასო თუ სასკოლო დონის ღონისძიებებს. სკოლა 2020 წლიდან აქტიურად ახორციელებს სასკოლო პროექტებს პრიორიტეტულ თემებზე. სკოლაში სხვადასხვა პროექტზე მუშაობდნენ კლუბები: „ნორჩი მკვლევარები“, „ ნორჩი ფინანსისტები“ და „პერსონა “.

2022-23 წელს განხორციელდა სასკოლო პროექტი ფინანსურ წიგნიერებაში „ ვაგროვებთ მარტივად და ჭკვიანურად “. ამ პროექტის ფარგლებში კლუბის წევრებმა მიიღეს გუნდური ფინანსური გადაწყვეტილება, დაგეგმეს ექსკურსია და შეადგინეს ხარჯთააღრიცხვა. მოაწყვეს სკოლაში ქართული ნუმიზმატიკის გალერეა. დააორგანიზეს შეხვედრები წითელი ჯვრის წარმომადგენლებთან და მოაწყვეს საქველმოქმედო აქცია - დონაციის ყუთები სკოლაში. კლუბის საქმიანობას ფასილიტაციას უწევდნენ პროექტის მხარდამჭერი გუნდიდან მასწავლებლები. სკოლა ახდენდა მოსწავლეთა აქტივობების წახალისებას და ინიციატივების მხარდაჭერას საჭირო მატერიალური რესურსებით.

ასევე საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით შეიქმნა სპორტული კლუბი „ ფალავანი“, შექმნეს კლუბის წესდება და ლოგო. დღევანდელი მდგომარეობით კლუბში ირიცხება 20 მოსწავლე. სკოლაში აქტიურად ფუნქციონირებს **მოსწავლეთა თვითმმართველობა,** რომელიც აქტიურად იყო ჩართული შიდა სასკოლო სპორტული ფესტივალის ჩატარებაში. მათ შექმნეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გულშემატკივართა გუნდები, თვითონ დაამზადეს სიგელები (სკოლის თვითმმართველობის ლოგოთი), თავად მოსწავლეებს მიყავდათ რეპორტაჟები თამაშების დროს. **ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია.**

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

სკოლამ ადმინისტრაციისა და კლასის დამრიგებლების ჩართულობით ჩაატარა საჭიროებათა კვლევა 2023 წელს. კვლევის მიზანი იყო სასკოლო გარემოს შეფასება - რამდენად უსაფრთხო და მხარდამჭერია სასკოლო გარემო. forms-ის აპლიკაციის გამოყენებით VIII-IX-X XI XII კლასების მოსწავლეებში. ანკეტირების კითხვები შეირჩა უსაფრთხო სკოლის რამოდენიმე ელემენტზე დაყრდნობით: უსაფრთხოება - დაცულობის ხარისხი; მხარდაჭერის ხარისხი; აღიარება-პატივისცემა მიმღებლობა; ჩართულობა; გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 68 რესპონდენტმა.

მოსწავლეების გარდა სკოლის მდგომარეობის გაანალიზების მიზნით forms-ის აპლიკაციის გამოყენებით გამოიკითხნენ დაწყებითი, საბაზო, საშუალო საფეხურის მშობლები. კითხვები შეირჩა კომუნიკაციის სტრატეგიების რამოდენიმე ელემენტზე დაყრდნობით: ინფორმირებულობა, მხარდაჭერის ხარისხი, აღიარება-მიმღებლობა, ჩართულობა, გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 183 მშობელმა. გამოკითხვის პროცესში დაცული იყო ანონიმურობა; შედეგების ანალიზმა სკოლას საშუალება მისცა შეეფასებინა ძლიერი და სუსტი მხარეები და დაეგეგმა ინტერვენციები. კვლევა საფუძვლად დაედო სვოტ-ანალიზის მომზადებას. ადგილზე ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო გამოკითხვის მასალებს მატერიალური სახით. **ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის მოსწავლის მხარდამჭერი პროგრამა - ტრანზიციის მასალები
- სკოლის პედაგოგიური საბჭოს ოქმი N10 15 დეკემბერი 2022 წელი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 ივნისი, #2-196 ბრძანება „სსიპ ქალაქ ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულების დამტკიცების შესახებ“;
- ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება
- ვიზუალური დათვალიერება (საინფორმაციო ბროშურა, ბუკლეტი; facebook-გვერდის სქრინი)
- სკოლის სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში ჩატარებული კლასის საათის რეფლექსია.
- სკოლის მოსწავლის მხარდამჭერი აკადემიური პროგრამა - რემედიაციის მასალები.
- სკოლის მოსწავლის მხარდამჭერი აკადემიური პროგრამა - დაწევისა და დაჩქარების პროგრამის მასალები.
- სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა (შეფასების სისტემა)
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 22 ივნისი №2-197 ბრძანება „სსიპ ქალაქ ზუგდიდის №5 საჯარო სკოლაში 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში ზოგადი განათლების საბაზო-საშუალო საფეხურების გარდა მე-12 კლასისა მოსწავლის მიერ კონკრეტული საგნისთვის წლის მანძილზე დათმობილი საათების 30% -ის და მეტის გაცდენის გამო, ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი მიღწევის დონის ექსტერნატის ფორმით დაძლევის გამოცდის ჩატარების მიზნით საგამოცდო კომისიის შექმნის შესახებ“ ;
- ვიზუალური დათვალიერება (საინფორმაციო დაფა; ჯგუფის სქრინი)
- სკოლის თვითმმართველობის დებულება ;
- სასკოლო პროექტის ფინანსური წიგნიერების ფარგლებში შექმნილი პროდუქტები (მოსაწვევი ბარათი; ქართული ნუმიზმატიკის პოსტერი; კლუბის ლოგო. პროექტის პოსტერი; ფლაიერები გალერეისთვის; ბროშურები საბავშვო დეპოზიტებზე მშობლებისთვის).
- პროექტის შემაჯამებელი აქტივობის ფოტომასალა;
- სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის 10.11.2022 წლის სხდომის ოქმი N2
- სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის 2022 -2023 წლის სამოქმედო გეგმა
- სკოლის მშობელთა ანკეტირების მასალები/ანალიზი
- სკოლის მოსწავლეთა ანკეტირების მასალები /ანალიზი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან #1/12 15.08.2022წ. მემორანდუმის საგანია, მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობა პარტნიორი სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიული უნარების განვითარების საორიენტაციო კურსების განხორციელების მიზნით. ეს კურსებია: საინფორმაციო ტექნოლოგიები, რეპორტიორობა სკოლაში და საექთნო საქმე. სკოლა აწარმოებს მოსწავლეებთან საინფორმაციო კამპანიას, სრულყოფილად აწვდის ინფორმაციას შემოთავაზებული კურსების შესახებ და კოორდინაციას უწევს კურსებში მოსწავლეთა ჩართულობას. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა მოსწავლეების მიერ სხვადასხვა კურსის ფარგლებში აღებული სერტიფიკატები.

სკოლას ასევე გაფორმებული აქვს სხვა მემორანდუმი შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან #1 15.03.2019წ.. მემორანდუმით გათვალისწინებულია თანამშრომლობა მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული სამაგისტრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის „ დაწყებითი განათლება“ და მასწავლებლის მომზადების 60 კრედიტიანი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. მემორანდუმით გათვალისწინებულია უნივერსიტეტის სტუდენტების პედაგოგიური პრაქტიკის გავლა და პრაქტიკის კვლევა სკოლაში. სკოლა უზრუნველყოფს საჭიროების შემთხვევაში სასკოლო პრაქტიკის შეუფერხებელ განხორციელებას. **ინდიკატორი 4.2.2.1. დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;

სსიპ ქალაქ ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის მოსწავლეს და მის მშობელს ან კანონიერ წარმომადგენელს ინფორმაცია მიეწოდება TEAMS-ის დახურული ჯგუფის მეშვეობით. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს გამოცხადებულ ღია კარის დღეებზე, საინფორმაციო შეხვედრებზე. **ინდიკატორი 4.2.2.2. დაკმაყოფილებულია.**

3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს. ამ ეტაპზე **სკოლა ახორციელებს შეხვედრებს პროექტის „მე ვირჩევ პროფესიას“ ფარგლებში,** სადაც წარმატებული ადამიანები ხვდებიან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს, აცნობენ ამა თუ იმ პროფესიას და ეხმარებიან კარიერის დაგეგმვაში. გამოცდილებამ აჩვენა, რომ სწორედ ამ შეხვედრების შემდგომ მოსწავლეებს მიუღიათ გადაწყვეტილება პრიფესიის არჩევასთან დაკავშირებით. სკოლა მიიჩნევს, რომ სასურველია კიდევ უფრო გახშირდეს შეხვედრები და გახდეს რეგულარული როგორც სასკოლო სივრცეში, გასვლითი აქტივობების სახით კონკრეტულ სასწავლებლებში. სკოლას აქვს გამოცდილება წარმატებული კურსდამთავრებულების სტუმრობის, რაც მომავალში უფრო ინტენსიური გახდება. **ინდიკატორი 4.2.2.3. დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- გაფორმებული მემორანდუმი სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტთან არსებული მრავალპროფილიანი კოლეჯი და სსიპ ქალაქ ზუგდიდის N5 საჯარო სკოლას შორის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- გაფორმებული მემორანდუმი სსიპ შოთა მესხიას ზუგდიდის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტსა და სსიპ ქალაქ ზუგდიდის N5 საჯარო სკოლას შორის;
- რეპორტიორობის, საეთნო საქმის და საინფორამციო ტექნოლოგიების კურსის დამთავრების სერტიფიკატები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;

სკოლას ინკლუზიური განათლების მრავაწლიანი გამოცდილება აქვს, ჯერ კიდევ 2008 წლიდან ემსახურება სსსმ მოსწავლეებს და უკვე სკოლაში ჩამოყალიბებულია გარკვეული ტრადიაცია და კულტურა ამ მიმართულებით. 2009 წლიდან ზუგდიდის #5 სკოლა სამიზნე სკოლა იყო საქართველოს განათლების სამინისტროსა და საგარეო საქმეთა სამინისტროსათვის საქართველოს 9 რეგიონს შორის. რესურსოთახი მოწყობილია ნორვეგიულ;ი პროექტის ფარგლებში 2009 წელს.

ამჟამად სკოლაში ირიცხება 18 სსსმ მოსწავლე. თითოეული მოსწავლისთვის სკოლას შექმნილი აქვს ისგ ჯგუფი, რომელშიც გაერთიანებულია თითოეული საგნის მასწავლებელი, ბავშვის მშობელი და სპეციალური პედაგოგი. სკოლას ჰყავს ორი სპეციალური პედაგოგი, ფსიქოლოგი, ენისა და მეტყველების სპეციალისტი, სსსმ პირის ასისტენტი. სპეციალურ მასწავლებლებს განაწილებული ჰყავთ მოსწავლეები - 9 მოსწავლესთან ერთი მუშაობს, 9 მოსწავლესთან მეორე. ისინი მონაწილეობენ დიაგნოსტირებში, ეხმარებიან საგნის მასწავლებლებს, ესწრებიან გაკვეთილებს საგნის მასწავლებლის თხოვნის შემთხვევაში. სსსმ მოსწავლეები გამოირჩევიან სხვადასხვა უნარის დარღვევით, ერთი შშმ მოსწავლეა (მე-3 კლასელი) ცერებრალური დამბლით და მრავლობითი დარღვევებით. მას ასისტენტი ემსახურება პირველი კლასიდანვე. სპეც-მასწავლებელი ეხმარება მოტორიკაში. მისთვის საგანგებო გრაფიკია შედგენილი. სპეც-მასწავლებელს გავლილი აქვს 120 საათიანი ტრენინგი 2016 წელს, ასევე ტრენინგი რთული ქცევის მართვაში ორგანიზაცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

"საქართველოს ბავშვების" ორგანიზებით. ერთ-ერთი სპეც-მასწავლებელი იმყოფებოდა პოლონეთში პროექტის "ისინი ჩვენს შორის არიან" ფარგლებში 2012-13-14წწ.

სკოლას ჰყავს ერთი ფსიქოლოგი, რომელიც ერთი წელია რაც მუშაობს #5 სკოლაში, ქცევითი თერაპევტია. ფსიქოლოგის მომსახურება ესაჭიროება სხვადასხვა ასაკის და დარღვევის 14 სსსმ მოსწავლეს, ვისაც დასკვნაში უწერია ფსიქოლოგის მოსმახურების საჭიროება. ფსიქოლოგი რესურს-ოთახში ატარებს შეხვედრებს განრიგის მიხედვით, ასევე ესწრება გაკვეთილებს იმ დროს, როცა ბავშვის ქცევა რთულია და მასწავლებელი ითხოვს დასწრებას. ფსიქოლოგმა გასაუბრებისას აღნიშნა, რომ მშობლებთან აქტიური კომუნიკაცია აქვთ, არ უჭირთ მათთან თანამშრომლობა. ფსიქოლოგი პარალელურად მუშაობდა ნეირო-განვითარების ცენტრში, სადაც #5 სკოლის სსსმ ბავშვების ნაწილი დადიოდა და ამან გაადვილა ბავშვებთან მუშაობა. ფსიქოლოგოს უწევს ასევე ტიპიური განვითარების ბავშვებთან მუშობა მასწავლებლის მომართვის შემთხვევაში, იყო მშობლის მომართვის შემთხვევაც ოჯახური კონფლიქტის გამო კონსულტაციის გაწევის მიზნით. ტრენინგები გაიარა 2022 წლის ნოემბერში მასწ. სახლთან. ფსიქოლოგს გაწერილი აქვს სკოლაში სამუშაო განრიგი - ორშაბათი, ოთხშაბათი და პარასკევი კვირაში 10 საათის ფარგლებში.

სკოლას ჰყავს მეტყველების თერაპევტი, რომელიც მე-4 წელია რაც #5 სკოლაში მუშაობს. ამჟამად მას 12 ბავშვთან უწევს მუშაობა კვირაში 10 საათის განმავლობაში. სსს მოსწავლეები პირველიდან მე-10 კლასის ჩათვლით არიან და მათი სამუშაო სივრცე რესურს-ოთახია. რესურს-ოთახში დაწესებული სამუშაო განრიგი. სკოლამ შეიძინა სხვადასხვა სასწავლო რესურსები მასწავლებლების თხოვნით.

სკოლას ჰყავს 3 ასისტენტი, მათ შორის ერთი შტატით და 2 სოციალური დახმარების პროგრამის ფარგლებში, რამაც სკოლაში გააუმჯობესა ინკლუზიური განათლება.

მულტიდისციპლინარული გუნდის გადაწყვეტილებით განისაზღვრა მოსწავლის საჭიროებები, თუ რომელ საგანში უდასტურდება მოსწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის საჭიროება, ასევე დამატებითი სერვისების საჭიროებები. დაიგეგმა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ჯგუფის შეხვედრები. შემუშავდა მოსწავლის ინდივიდუალური განრიგი. ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენისას სკოლა ხელმძღვანელობდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმით. სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლებმა ყველა სამიზნე ცნებასთან მიმართებაში დასახეს გრძელვადიანი მიზნები. სსსმ მოსწავლის სასწავლო კურიკულუმი შეიქმნა თემატური მატრიცის დიზაინით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლა მიმართულია ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნისაკენ და მისი ხედვა დეკლარირებულია დაწესებულების შიდა დოკუმენტებში - სკოლის მისიაში და ხედვაში. სკოლის შინაგანაწესში სასწავლო პროცესის მარეგულირებელ ნორმებით სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გარეშე პირებს ეკრძალებათ სკოლის შენობაში ან სკოლის ტერიტორიაზე შესვლა სკოლის დირექციასთან შეთანხმების გარეშე. ეს შეზღუდვა არ ვრცელდება სსსმ და შშმ მოსწავლეთა მშობელზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეების კურიკულუმები გაზიარებულია დაინტერესებული საზოგადოებისათვის (კათედრები, პედაგოგიური საბჭო, ი.ს.გ-ს ჯგუფები). სწავლის დაწყებამდე ტარდება ისგ ჯგუფის შეხვედრები, სადაც მშობელსა და მასწავლებლებს შორის ხდება ინფორმაციის გაზიარება უსაფრთხოების დამატებით საკითხებთან დაკავშირებით. სსსმ მოსწავლეებისთვის აკადემიური წარმატების მიღწევის საქმეში სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან მოსწავლის მხარდასაჭერად ბავშვის სწავლებისა და განვითარების პროცესში. სკოლაში ამზადებენ მშობლების რესურსების ბარათებს, რაც შესაძლებელს ხდის საყოფაცხოვრებო ნივთებით შეიქმნას საინტერესო დამხმარე სასწავლო რესურსი. სკოლაში დაცულია სსსმ მოსწავლის შესახებ ინფორმაციის კონფიდენციალურობა. მასწავლებლის შემთხვევაში ადმინისტრაცია აწარმოებს საუბრებს მშობელთან და მისი თანხმობის შემთხვევაში მშობელი ავსებს მომართვის ფორმას. შეფასების შემდეგ სკოლა ახორციელებს გათვალისწინებულ სამუშაოებს (ი. ს. გ- ს ჯგუფის შექმნა, საჭიროებების განსაზღვრა).

ისგ-ის განხორციელებისას სკოლა დის მნიშვნელობას ანიჭებს ეფექტურ კომუნიკაციას სასწავლო პროცესში ჩართულ ყველა რგოლს შორის - მოსწავლე, თანაკლასელები, მასწავლებელი, მშობელი, ადმინისტრაცია. სკოლას გააჩნია სსსმ მოსწავლეების მშობლებთან ეფექტური კომუნიკაციის პრაქტიკა. ასევე სკოლა დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო პროცესის ეფექტურ მენეჯმენტს, რისი პრაქტიკაც სკოლას გააჩნია. სსსმ მოსწავლის მშობლები აქტიურად ერთვებიან სასკოლო ცხოვრებაში. ისინი მონაწილეობენ კლასის აქტივობებში, სპორტულ ღონისძიებებში. სკოლის მთავარი გამოწვევა ამ მიმართულებით არის მოსწავლის იდენტიფიცირების პროცესში მშობლის არასათანადო ჩართულობა. სკოლის განმარტებით, უტყუარი სიგნალების არსებობის შემთხვევაშიც მშობლები არ მოდიან თანამშრომლობაზე, ობიექტურად ვერ აფასებენ ბავშვის საჭიროებებს და ანკეტირების დროს არ არიან გულახდილები. ხშირ შემთხვევაში სსსმ მოსწავლის მშობლებს აქვთ საკმაოდ მაღალი მოლოდინები. მოსწავლის მცირე პროგრესი რომელიც მასწავლებელს ახარებს, ხშირად მათთვის შეუმჩნეველია. სკოლა ცდილობს გააზიაროს სკოლაში პედაგოგიური საქმიანობის საუკეთესო მაგალითები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2022 წლის12 სეტემბერი №2-218 ბრძანება,,სსიპ ქალაქ ზუგდიდის N5 საჯარო სკოლაში სსსმ მოსწავლისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის (ისგ) შექმნის შესახებ“;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის 2022-2023 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა. /ინკლუზიური განათლება /
- სკოლის დირექტორის 2023 წლის 31 მაისი №2-151 ბრძანება „სსიპ ქალაქ ზუგდიდის №5 საჯარო სკოლაში ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის შექმნის შესახებ“ ;
- სკოლის ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის 2023 წლის 02 ივნისი №1 ოქმი
- სკოლის ისგ-ს ჯგუფის შეხვედრის 2023 წლის 20 ივნისი №2 ოქმი
- სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის მასალები;
- სკოლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის რეკომენდაციები და დასკვნებ

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე.

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა არც ერთი ფასიანი წრე დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით. ერთადერთი დამატებითი მომსახურების შეთავაზება სკოლის მხრიდან არის **კვების სერვისი,** რისთისაც სკოლამ მიიღო შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან უფლება საქმიანობის განხორციელების შესახებ. მიიღო სამეურვეო საბჭოს მხრიდან თანხმობა იჯარით ფართის გაცემასთან დაკავშირებით, ნებართვა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მხრიდან და შემდეგ ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსგან, აუქციონის წესის ფართის იჯარით გაცემასთან დაკავშირებით. ჩატარდა აუქციონი, იჯარის ხელშეკრულება სამი წლის ვადით გაუფორმდა გამარჯვებულს. იჯარის ხელშეკრულება დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში. იჯარის ხელშეკრულების დადებიდან ათი დღის ვადაში ყველა საჭირო დოკუმენტაცია სკოლამ წარუდგინა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები: აუდიტის შეფასების დასკვნა 20.09.2022წ. ჩატარებული აუქციონის შედეგები და ინფორმაცია გამარჯვებულზე. შესაბამისი უწყებებების თანხმობები. ბუფეტის მოიჯარეს გარკვეული სახის პროდუქტი შემოაქვს მზა სახით სარეალიზაციოდ, რამდენიმე დასახელების პურ-ფუნთუშულობას კი აწარმოებს ადგილზე. ექსპერტთა ჯგუფმა ვიზიტის დროს დაათვალიერა ბუფეტისათვის გამოყოფილი ცივრცე, სადაც დამონტაჟებულია ელექტრო საცხობი ქურა. ბუფეტში პროდუქციის წარმოებას მონიტორინგს უწევს სკოლის ექიმი, რომელსაც დირექტორის ბრძანებით აქვს დავალებული აღნიშნული საქმიანობა.

ინდიკატორი 4.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას ვიზიტის პერიოდში არ ჰქონდა არც ერთი ფასიანი წრე დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურების სახით. **ინდიკატორი ვერ ფასდება შესაბამისი მომსახურების არარსებობის გამო.**

3. მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. **ინდიკატორი ვერ ფასდება შესაბამისი მომსახურების არარსებობის გამო.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1.ნებართვა ქონების მართვის ეროვნულ სააგენტოს.
2.იჯარის ხელშეკრულება
3. იჯარაზე ანხმობა-სამინოსტროდან
4.აუდიტის დასკვნა
5.კვების ობიექტის თანხმობის წერილი
6.ნებართვა იჯარაზე
7.აუქციონი
8.ინფორმაცია გამარჯვებულზე
9.თანხმობა ბუფეტის ფუნქციონირებაზე

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

დაწყებითი საფეხური

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ადგილზე ვიზიტით დადასტურდა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მთლიანობაში გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის წარმართვას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები, სკოლის შინაგანაწესი, საგნობრივი კათედრების ფუნქციები) შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ დაწყებით საფეხურზე **საბუნებისმეტყველო საგნების** კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის პროექტი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. ამ კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათ გაითვალისწინეს წინა წლების გამოცდილება, მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები, ჩატარებული კომპლექსური დავალებები და ასე შემუშავდა **საბუნებისმეტყველო საგნების** კურიკულუმების პირველადი ვერსია.

ესთეტიკური აღზრდის კათედრის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ, დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. **მათემატიკის** კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებაში ჩართული იყო კათედრის თითოეული პედაგოგი; შუალედური სასწავლო მიზნების შერჩევა/ ჩამოყალიბება მოხდა წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელებული დავალებების რეფლექსიებმა გამოკვეთა ძლიერი მხარეები, შეფასდა მოსწავლეთა ჩართულობა პროცესში, თუ რამდენად საინტერესო აღმოჩნდა მათთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი და ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიტანეს იგივე კომპლექსური დავალებები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოში. მაგალითად, რაოდენობრივი წიგნიერების მიმართულებით ახალ სასწავლო წელს ისევ აირჩიეს და შეიტანეს კურიკულუმში შემდეგი საინტერესო კომპლექსური დავალებები **მათემატიკაში**: „სალაროს მოწესრიგება“; „ექსკურსიის დაგეგმვა“; „საქართველოს რეგიონები“ და „ყვავილების ორანჟერეა“.

საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით დაწყებით საფესურზე (მე და საზოგადოება, ჩვენი საქართველო) წარმოდგენილი კურიკულუმები შექმნილია მასწავლებელთა არსებული გამოცდილების საფუძველზე (სკოლა ჩართულია „ახალი სკოლის მოდელში“- ზოგადი განათლების რეფორმა) . მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პარალელური კლასის მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ თემებს, გამოყოფენ საკითხებს და აკავშირებენ ცნებებს საკითხებსა თუ ქვესაკითხებს, ჯერდებიან კომპლექსური დავალების პირობასა და განხორციელების ეტაპებზე. დაწყებით საფეხურზე **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ პედაგოგებს კათედრაზე განაწილებული აქვთ ფუნქციები , რაც ასახულია ოქმებში (დაწყებითი კათედრის ოქმი N 7); აგრეთვე კურიკულუმის ჩარჩოები გვიჩვენებს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება - კომპლექსური დავალებებიის იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა ამუშავებს შუალედური მიზნებს, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებსა და შეფასების ინსტრუმენტებზე. ახალი სასწავლო წლის კურიკულუმი იგეგმება წინა წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე. **უცხოური ენების** მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ ისინი აანალიზებენ მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ძლიერ და სუსტ მხარეებს და აღნიშნული ანალიზის სფუძველზე გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის საქმიანობას: მაგალითად, რა ცვლილებებია საჭირო თემატურ მატრიცებში, კომპლექსურ დავალებებში, როგორ გააუმჯობესონ მოსწავლეებში საუბრის უნარ-ჩვევები და ა.შ. ისინი ასევე ცდილობენ, გათვალისწინებული იყოს მოსწავლეებისა და მშობლების აზრიც. მაგალითად, თუ მოსწავლეებს აქვთ რაიმე განსხვავებული იდეა რომელიმე კომპლექსური დავალების პირობასთან დაკავშირებით და ეს იდეა არის რელევანტური, ისინი ითვალისწინებენ მათ ინტერესს და საშუალებას აძლევენ, გააკეთონ არჩევანი ან ცვლიან იმ ვერსიით, რომელიც მოსწავლეებსათვის იყო სასურველი. სკოლის საქმიანობის გაანალიზებაზეა საუბარი სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ დოკუმენტშიც, რომლის მიხედვითაც სკოლა იყენებს SWOT -ანალიზს, რომელიც მათ ეხმარება სკოლის შიდა და გარე ფაქტორების ანალიზში.

ტექნოლოგიების წარმოდგენილ კურიკულუმებში ძირითადად თავმოყრილია კომპლექსური დავალების იდეეები. ინტერვიუს დროსამ კათედრის მასწავლებლებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ერთმანეთთან აქტიურად თანამშრომლობდენ. ითვალისწინებდნენ ერთმანეთის მოსაზრებებს, გამოცდილებებს, მოსწავლეთა საჭიროებებსა და სასკოლო საზოგადოების ინტერესებს. წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და ინტერვიუს შემდეგ გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც მოსწავლე განიხილება კონკრეტული გამოცდილების, ინეტერესებისა და ხასიათის მქონე ინდივიდად. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

დაწყებით საფეხურზე **ბუნებისმეტყველებაში** სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით ჩანს ყოველ კლასში გამოკვეთილი სავალდებულო თემების საკითხები და მათი შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნები, რომელთა ანალიზითაც შეიძლება დავადასტუროთ, რომ სასწავლო კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერესებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და პრიორიტეტები , რაც დადგინდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, კერძოდ, მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით. **სკოლის** თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ **ესთეტიკური აღზრდის** კურიკულუმის შემუშავების პროცესში მშობელთა მეტი ჩართულობის და მათი ინტერესების უზრუნველსაყოფად სკოლაში არსებოს „მშობელთა სათათბირო". სკოლა აღნიშნავს, რომ მაქსიმალურად მეტი მშობლის ჩასართავად მომავალში გამოიყენებენ კითხვარებს, ანკეტირებას, ინტერვიურებას. **მათემატიკის** კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ დაწყებითი საფეხურის კურიკულუმის შემუშავება ხორციელდება სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებით. კერძოდ, წლის მანძილზე დაგროვილი გამოცდილება, როგორც ფორმალურ ასევე არაფორმალურ განათლებაში, მასწავლებლების რეფლექსიები, კათედრის სხდომებზე მიღებული გადაწყვეტილებები, მოსწავლეთა თვითშეფასებები, მშობელთა გამოკითხვისა და ინკლუზიური განათლების განხორციელების შიდა მონიტორინგის შედეგები გამოკვეთს სასკოლო საზოგადოების ძლიერ მხარეს, რომლის გათვალისწინება ხდება ახალი კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების წევრები სხვადასხვა ფორმით იღებდნენ მონაწილეობას. მაგ; მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება მოხდა იმ კუთხით, რომ დანერგვის პროცესში გაანალიზდა კომპლექსური დავალებების შესრულება და კათედრაზე გამოიკვეთა ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთაც მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი; ასევე გაკეთდა გამოწვევების ანალიზი, მათ გამომწვევ მიზეზებზე დასკვნების გაკეთებით დაიგეგმა, სასკოლო კურიკულუმში განსახორციელებელი ცვლილებები. მოსწავლეთა ინტერესებს ადგენენ დაკვირვებისა და კითხვების საშუალებითაც, აქტიურია მშობელთა ჩართულობა , რაც ვლინდება მათთვის კომპლექსური დავალების ბარათების გაცნობით.

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით, ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში სასკოლო საზოგადოების ინტერესები წინარე გამოცდილებას ეყრდნობა; სკოლა აანალიზებს დაწყებითი საფეხურის მოსწავლეთა შედეგებს, გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს მშობლებთან გასაუბრების შედეგად მიღებულ ინფორმაციას. მასწავლებლებსა და კათედრის ხელმძღვანელებს ეკისრებათ ვალდებულებები ამ მიმართულებით, რაც გაწერილია სკოლის მიერ მტკიცებულებად წარმოდგენილ დოკუმენტში- ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია"; ასევე, კარგად ჩანს დაწყებითის კათედრის მიერ წარმოდგენილ ოქმებში.

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით, უცხოური ენების კათედრა ცდილობს მოსწავლეების მოსაზრეებების გათვალისწინებას სასწავლი პროცესში კომპლექსურებთან მიმართებით. გარდა ამისა, კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსურები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკსა და კავშირშია მათ ყოველდღიურობასთან. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და კურიკულუმების შედგენისას ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებასა და პრაქტიკას.

კომპიუტერული**ტექნოლოგიების** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში, საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-წარმართვის დროს, ისინი აქტიურად ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს-შესაძლებლობებს, მათ ინტერესებს, მოტივაციასა და წინარე გამოცდილებას. აქვთ აქტიური კომუნიკაცია მშობლებთან.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე **ბუნებისმეტყველების საგნობრივი** კურიკულუმის შექმნისას, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. კათედრაზე შეხვედრების დროს , კურიკულუმზე მუშაობისას, მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შერჩეული კომპლექსური დავალებების შესახებ ხდება მშობლების ინფორმირება, უგზავნიან მათ ბარათებს და იღებენ მშობელთა უკუკავშირებს. **ესთეტიკური აღზრდის კათედრის** მასწავლებლები OneDrive-ს საგნობრივი ჯგუფის რესურსებისათვის იყენებენ ბლოგებს, შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის. აქ მშობლებს და მოსწავლეებს ეგზავნებათ მშობლის ბარათი, კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა. მომავალი სასწავლო წლისათვის ფიქრობენ კიდევ უფრო მეტად ჩართონ სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შექმნაში. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით,** აღსანიშნავია, რომ სკოლაში პარალელური კლასების მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ შუალედურ სასწავლო მიზნებს და მუშაობენ ერთსა და იმავე კომპლექსურ დავალებაზე; შექმნილი და განხორციელებული თემატური მატრიცის შესახებ გამოცდილებას აზიარებენ ჯგუფებში, კათედრაზე. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მტკიცებით,** პედაგოგებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ კომპლექსური ტიპის დავალებების იდეების შემუშავებაში ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, უკუკავშირს; მოსწავლეებთან ერთად გეგმავენ და ახორციელებენ პროექტებს. მასწავლებლები საგნობრივი კათედრების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დონეზე ახორციელებენ სასწავლო პროცესის ანალიზს, გამოკვეთენ მასწავლებელთა და მოსწავლეთა მიგნებებს. მშობელთა ინტერესებისა და შესაძლებლობების გათვალისწინება და სასკოლო კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულობა სკოლას დაგეგმილი აქვს სასკოლო ცხოვრებაში მათი აქტიური მონაწილეობით.

სახელმწიფო ენის ექსპერტის ინფორმაციით, საგნობრივი კურიკულუმების პრეზენტაციებს ეცნობა ყველა პედაგოგი, ერთმანეთთან შეთანხმებით დგინდება შესასწავლი თემები და საკითხები სამიზნე ცნებებთან მიმართებაში, იგეგმება კომპლექსური დავალებების იდეები და მათი განხორციელება, საჭირო ძირითადი რესურსების შესასწავლ საკითხებთან დაკავშირებით, ასევე, ერთად მუშავდება შეფასების ინსტრუმენტები. ამასთან ერთად, გათვალისწინებულია მოსწავლეთა და მშობელთა შეხედულებები მათი გამოკითხვის შედეგად მიღებული უკუკავშირის საფუძველზე. სკოლას ცალკე დოკუმანტად აქვს წარმოდგენილი ,,მშობელთან ურთიერთობის სტრატეგია", რაც იმის დასტურია, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასკოლო საზოგადოების მთლიანობასა და თანამშრომლობას.
ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით, კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ საგნობრივი კურიკულუმის შედგენისას ისინი ერთობლივად მუშაობდნენ, ითვალისწინებდნენ სკოლის მისიას, ხედვას, ღირებულებებს, მოსწავლეთა წინარე ცოდნას, ინტერესებსა და საჭიროებებს, ვინაიდან სასკოლო საზოგადოების ნებისმიერ წევრს აქვს თავისი როლი და პასუხისმგებლობა კურიკულმის განვითარებაში. ასევე გაითვალისწინეს ქოუჩების მითითებები და წინარე გამოცდილება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების შესახებ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ მშობელთა საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექანიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. შექმნილი კურიკულუმები ხელმისაწვდომი და საჯაროა
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის საზოგადოებისთვის. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით,** საგნობრივი კურიკულუმისა და მისი მხარდამჭერი დოკუმენტების (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ.) გაზიარება ხდება პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ყოველივე განიხილება კათედრებზე, პედაგოგებს შორის, ხოლო საზოგადოებისათვის ტექნიკური გაზიარება ხდება თიმსისა და ვანდრაივის პლატფორმაზე, ასევე სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“

ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები დაწყებით საფეხურზე გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეიმჩნევა დაწყებითის, საბაზო და საშუალო საფეხურის პედაგოგებს შორის მჭიდრო თანამშრომლობა, რაც კარგად ჩანს კურიკულუმებში გაწერილ საკითხთა ურთიერთმიმართებაში. სკოლის მიერ წარმოდგენლი კათედრის ოქმები ცხადყოფს, რომ განიხილება ისეთი საკითხები, როგორებიცაა წარმატებული პრაქტიკის გაზიარება და შემაჯამებელი კომპლექსური დავალებების ერთობლივი ანალიზი. პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ ისინი ეცნობიან სხვადასხვა საგნის კურიკულუმებსაც და ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს. ამასთანავე, მოსწავლეებსაც აცნობენ მათ და უზრუნველყოფენ მშობელთა კრებებზე მშობლების ინფორმირებულობას. **ტექნოლოგიების** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი ელექტრონული საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა, სოციალური მედია და ა.შ. დასტურდება (მტკიცებულებები): წარმოდგენილი კურიკულუმი, სკოლის ციფრული განვითარების გეგმა, კურიკულუმი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის 7 წლიანი სტარატეგიული განვითარების გეგმა 2023-2030
- სსიპ ქალაქ ზუგდიდის N5 საჯარო სკოლის სტატუსის მაძიებლის საავტორიზაციო განაცხადი
- კურიკულუმები (I-VI კლასები)
- კურიკულუმების შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია
- კათედრის ოქმები
- მშობლებთან ურთიერთობის სტრტეგიის დოკუმენტი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები კლასების მიხედვით სკოლამ სრულად წარმოადგინა. ჩარჩო-დოკუმენტებში კარგად ჩანს მოსწავლეებზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, რასაც განაპირობებს კურიკულუმში გაწერილი ყველა სამიზნე ცნების დამუშავება, ნაჩვენებია შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობისას საჭირო რესურსების მრავალფეროვნება ცხადყოფს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის განვითარება მხოლოდ სახელმძღვანელოთი არ შემოიფარგლება და სხვადასხვა ინსტრუმენტს ითვალისწინებს. მაგალითად, ანიმაციურ ფილმებს, ილუსტრაციებს, პოსტერის ნიმუშებს და ა.შ. (პერსონაჟის დახატვა /გამოძერწვა, ილუსტრირებული ანბანის ნიმუშის მიხედვით ,,ჩემი ილუსტრირებული ანბანის" შექმნა - I კლასი, კომპლექსური დავალება - პერსონაჟის წერილი პერსონაჟს ,,ნაცარქექიას" მიხედვით- II კლასი). **სკოლის მიერ მოწოდებულ დაწყებითი საფეხურის ბუნებისმეტყველების კურიკულუმი** ყველა არის პროცესზე ორიენტირებული პროგრამა, რომელიც აჩვენებს, თუ როგორ ხდება მოსწავლის მიერ ცოდნის კონსტრუირება და აღიარებს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების პროცესის წარმმართველ ძალას; სადაც გათვალისწინებულია ესგ-ის საგნობრივი სტანდარტის მისაღწევ შედეგეგბი, იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა თავისებურებებს და შესაძლებლობებს. პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებული აქტივობები მიმართულია მოსწავლეთათვის სასწავლო საგნობრივი შედეგების გაუმჯობესებისკენ. შემუშავებულ კურიკულუმში კომპლექსური დავალებები ეფუძნება მოსწავლეთა წინარე ცოდნის გახსენებას, ცოდნათა ურთიერთკავშირს და ეროვნული სასწავლო გეგმის მისაღწევ შედეგებს.თითოეულ კურიკულუმში წარმოდგენილია ყველა სავალდებულო თემა, თემაში- ყველა სამიზნე ცნების გააქტიურება ხდება. **ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი კათედრის** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმი ორივე საგანში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მუსიკა) ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მოთხოვნებს და მასში იკვეთება მეთოდური ორიენტირები. ორივე საგანში პროცესის დაგეგმვა ხდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ქცეცნებებისა და საფეხურეობრივი შედეგების მიხედვით. დოკუმენტებიდან იკვეთება, რომ უპირატესობა კომპლექსური ტიპის დავალებებს ენიჭება და ისინი განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები.

მათემატიკის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებმა მოსწავლეთა ასაკობრივი ჯგუფის გათვალისწინებით შეიმუშავეს და წარმოადგინეს კურიკულუმის ჩარჩოები. შემუშავებული I-VI კლასის მათემატიკის საგნის კურიკულუმები ორიენტირებულია საგნობრივი სტანდარტის გრძელვადიან მიზნებზე; კურიკულუმში სწორადაა წარმოდგენილი იერარქიული კავშირები გრძელვადიანი მიზანს-სამიზნე ცნებას, ქვეცნებას, შუალედური სასწავლო მიზნებს- კომპლექსური დავალებას, თემას და საკითხს შორის. შერჩეულია საჭირო რესურსები; კომპლექსური დავალებები, რომლებიც თავიანთი ბუნებით ფარავს ყველა ტიპის დამსწავლელის მოთხოვნებს, იძლევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არჩევანის შესაძლებლობას. კურიკულუმზე მუშაობა გაგრძელდება მთელი წლის განმავლობაში. კომპლექსური დავალების ბარათებში წარმოდგენილი სამიზნე ცნებები, საკითხები, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები და აქტივობები ადასტურებს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომას. **უცხოურ ენებში** შემუშავებული კურიკულუმებიც წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, სამივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ინგლისური ენის პირველი კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების თანახმად, მათ უნდა მოიტანონ ოჯახის ფოტოსურათი და ისაუბრონ თავიანთი ოჯახის წევრებზე. ისინი თავად წყვეტენ, რომელი ფოტო მოიტანონ და როგორ წარადგინონ პრეზენტაცია. მეორე კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ერთ-ერთი დავალებით მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ პოსტერი საყვარელ უცხოურენოვანი ან ქართული ზღაპრებისა და მულტფილმების პერსონაჟებზე. მათ ევალებათ პოსტერის გააფორმება ილუსტრაციებით და წარწერებით. მოსწავლეები ამ შემთხვევაშიც თავად წყვეტენ, რომელი ზღაპრები და გმირები აირჩიონ, როგორ გააფორმონ პოსტერი და რა ფორმატით (თაბახაზე, ვორდის ფაილში აწყობილი თუ PPT-ში წარმოდგენილი და .აშ.), რა ინფორმაცია დაიტანონ მასზე და ა.შ. ამდენად, მოსწავლეები თავად არიან საკუთარი სასწავლო პროცესის წარმმართველნი და დავალებას ასრულებენ საკუთარი ინტერესებიდან და შესაძლებლობიდან გამომდინარე. **ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** ტექნოლოგიების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებების იდეები, რომლთა შესრულებისას მოსწავლეს განუვითარდება შემოქმედებითი აზროვნება და ლოგიკურ-ალგორთმული უნარები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. შემოთავაზებული კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს გლობალურ ფუნქციურ უნარებს ,როგორებიცაა: შემოქმედებითობა, კომუნიკაცია , კოლაბორაცია; მაგალითად, მე-3 კლასის კურიკულუმში წარმოდგენილი საკითხი **„პერსონაჟის (მეზობლის) დღიურის ჩანაწერის შექმნა“(მოთხრობა „გულკეთილი ქვრივის“ მიხედვით)** და კომპლექსური დავალების პირობა **„მოიგონე ან გაიხსენე და დაწერე ამბავი იმის შესახებ, თუ როგორ აჯობა სიკეთემ ბოროტებას“**- ხელს უწყობს შემოქმედებითი უნარების გაღვივებას. მე-2 კლასში კი შემოთაზებულია კომპლექსური დავალება- **“ნაცარქექიას” ილუსტრაციის ზეპირად აღწერა;** აღნიშნული ნიმუშები, რომლებიც მოიცავს როგორც განხორციელებულ კომპლექსური დავალებებს, ისე კომპლექსური დავალებების იდეებს , დაწყებით საფეხურზე ხელს უწყობს გლობალურ- ფუნქციური უნარების, გრძელვადიანი სამიზნე ცნებებისა და შედეგების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ცნობით,** 1-ლი და მე-4 კლასების ; მე-5 და მე-6 კლასების ბუნებისმეტყველების კურიკულუმის ჩარჩოებში სწორად არის გააზრებული, წინარე გამოცდილება, ასევე მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე ორიენტირებული აქტივობები.

ესთეტიკური აღზრდიის საგნებში სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებსა და მტკიცებულებებში ორივე საგანში - დაწყებითი საფეხურის მუსიკა და სახვითი ხელოვნება- ჩანს, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული საასწავლო გეგმით განსაზღვრულ გძელვადიანი მიზნების, გლობალურ-ფუნქციური უნარების, სამიზნე ცნებებისა და შედეგების გათვალისწინებით, სკოლას კურიკულუმის ჩარჩო აქვს წარმოდგენილი ყველა კლასში, მისი სტრუქტურული ერთეულებით თუ ვიმსჯელებთ, სკოლას და კათედრას გააზრებული აქვს საფეხურეობრივი და საგნობრივი მოთხოვნილება; დაწყებითი საფეხურის ორივე საგანში **მუსიკა და ხელოვნებაში** 1-6 კლასებში კურიკურულუმით დასტურდება, რომ სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალებები განიხილება შუალედურ სასწავლო მიზნებად. კათედრასთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესის განახლებისთანავე კვლავ გადახედეს თავიანთ შექმნილ კურიკულუმებს და მათში შეიტანეს შესწორებები, უკვე არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების მოთხოვნათა გათვალისწინებით. **მათემატიკის კურიკულუმებში ჩაშენებულია** კომპლექსური დავალებების (მაგ. “მხიარული სტარტები“ , „დავეხმაროთ წითელქუდას“ , „სალაროს ორგანიზება“ „სასაჩუქრე ყუთები“) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს კი აკეთებს რეფლექსიას იმაზე, თუ რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ. 21-ე საუკუნის ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებას ასევე ხელს უწყობს გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებული სხვა კომპონენტები, სასკოლო პროექტები, კლასის საათები, საკლუბო საქმიანობა. სკოლას ამ მიმართულებით აქვს გამოცდილება (მაგ, ფინანსური წიგნიერება პროექტი ,,ვაგროვებთ მარტივად და ჭკვიანურად“). **საზოგადოებრივი მეცნიერებების** საგნობრივი კურიკულუმები (”მე და საზოგადოება III-IV კლასი, “ჩვენი საქართველო” - V-VI კლასი) საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის კათედრის მასწავლებლებმა წარმოადგინეს სამიზნე ცნებებზე ფოკუსირებით, რომლებსაც უფრო აზუსტებს და მკაფიოს ხდის სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული ქვეცნებები. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მათ მიერ შექმნილი საგნობრივი კურკიკულუმების ჩარჩოებზე დაყრდნობით გეგმავენ ისეთი სხვადასხვა მეტაკოგნიტური სტრატეგიების სასწავლო პროცესში გამოყენებას , რომლებიც მოსწავლეს აუმაღლებს მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობას. სკოლის მიერ წარმოდგენილი **უცხოური ენის კურიკულუმები** მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კერძოდ: **წარმოდგენილი კურიკულუმების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ხელს უწყობს თითქმის ყველა გლობალური ფუნქციური უნარის განვითარებას. კერძოდ:**

შემოქმედებითობის, როდესაც მათ უწევთ საკუთარი ფანტაზიის საფუძველზე შექმნან პოსტერი სხვდასხვა თემატიკაზე, გააკეთონ დიორამები საყვარელ ცხოველზე, გაითამაშონ ესა თუ ის დიალოგი სხვდასხვა თემატიკაზე, შექმნანან ოჯახის გენიალოგიური ხე, წარმოადგინონ პრეზენტაციები სხვდასხვა თემებზე, შექმნან ილუსტრირებული ტექსტი თემაზე "ჩემი დღე'' და ა.შ.

კრიტიკული აზროვნების, მაგალითად, მე-6 კლასის გერმანული ენის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლემ უნდა შექმნას ვიდეორგოლი, სადაც ისაუბრებს შემდეგ კითხვებზე დაყრდნობით: ''რა გჭირდება დღეს სკოლაში? რა გიდევს ჩანთაში? რა დღეა? რომელია საყვარელი საგანი? ''. იმისათვის, რომ მოსწავლემ შეასრულოს აღნიშნული დავალება, მას სჭირდება, გაიხსენოს თავისი ცხრილი, თუ რა გაკვეთილები აქვს იმ კონკრეტულ დღეს და შემდეგ გაიაზროს, რა ნივთები დასჭირდება და რატომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგნების მიხედვით; შემდეგ დაფიქრდეს, როგორ გადაიღოს ვიდეო- რგოლი, მარტო შეძლებს ვიდეოს გადაღებას, თუ დასჭირდება დამხმარე, რა ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები დასჭირდება და ა.შ. ამდენად, აღნიშნული დავალება მოსწავლისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას. კრიტიკული აზროვნების განვითარებას უწყობს ხელს სხვა დავალებებიც იმდენად, რამდენადაც ყველა მათგანი საჭიროებს ზემოთ ხსენებული პროცესების მსგავს სააზროვნო პროცესებს. მოცემულ კურიკულუმებში წარმოდგენილია რამდენიმე როლური თამაში, სადაც მოსწავლეებმა უნდა მოირგონ ესა თუ ის როლი (მაგალითად გამყიდველი და მყიდველი თანსაცმელების მაღაზიაში). მსგავსი ტიპის აქტივობები მოსწავლეებს ხდის ანგარიშვალდებულს ერთმანეთის მიმართ იმდენად, რამდენადაც მათ აქვთ საერთო მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად სჭირდებათ შეთანხმებული მუშაობა. კურიკულუმებში მოცემული დანარჩენი კომპლექსური დავალებები არის ინდივიდუალურად შესასრულებელი, თუმცა ხსენებული დავალებების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ რომ სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება, მოსწავლეს შესთავაზოს იმგვარი დავალებები, რომ ხელი შეეწყოს კოლაბორაციული უნარის განვითარებას. **ექსპერტი ყურადღებას ამახვილებს** ერთ-ერთი კომპლექსურ დავალებაზე რუსული ენის ფარგლებში (კლასი 6), რომელიც მოსწავლეეებს სთხოვს პრეზენტაციის გაკეთებას საყვარელ საჭმელებზე. მის შესასრულებლად მოსწავლეს სჭირდება საკუთარ თავს ჰკითხოს, თუ რა საჭმელები უყვარს, შემდეგ გადაწყვიტოს - პრეზენტაცია რა ფორმატით წარადგინოს (PPT-ის პროგრამით, პოსტერის სახით თუ ვიდეორგოლის სახით და ა.შ) და როგორ გააფორმოს იგი. როგორც ვხედავთ, მას აქვს სრული ავტონომიურობა დავალების შესრულებისას. მსგავს პროცესებს მოითხოვს ყველა სხვა წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებიც დაწყებით საფეხურზე. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ უცხოური ენების კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ ფუნქციური უნარების განვითარების ხელშეწყობის მნიშვნელობა და აქვთ შესაბამისი აქტივობების შეთავაზების როგორც მზაობა, ისე- გამოცდილება. ზოგიერთი კომპლექსური დავალება მოსწავლეებისგან მოითხოვს ილუსტრირებული აღწერითი ტექსტის შექმნას (კლასი IV, ინგლისური ენა), წერილის მიწერას (რუსული, კლასი V) და ა.შ. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს წერითი უნარ-ჩვევის განვითარებას და გადის შემდეგ სამიზნე ცნებებსა და შედეგებზე: სამიზნე ცნებები :ტექსტი (ტექსტის სტრუქტურა), სამეტყველო ქმედება (კომუნიკაციის სიტუაციური მახასიათებლები, წერის სწავლის სტრატეგიები), ენობრივი საშუალებები(გრამატიკა, ლექსიკა) შედეგები - Iუცხ.დაწყ.(I)6, Iუცხ.დაწყ.II.4. **ექსპერტის აზრით,** წარმოდგენილი კურიკულუმები ხელს უწყობს კულტურათა დიალოგის სამიზნე ცნებისა და შედეგების დაფარვასაც. მაგალითად მე-2 ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კლასის ინგლისური ენის ერთ-ერთი კომპლექსური დავალებაა პოსტერის შექმნა საყვარელ უცხოურენოვან და ქართულ ზღაპრებზე ან მულტფილმების გმირებზე. მათ ევალებათ პოსტერის გაფორმება ილუსტრაციებით და წარწერებით. აღნიშნული დავალებით მოსწავლეები გაეცნობიან სხვა ქვეყნის ზღაპრებს/მულტფილმებს და შეადარებენ ერთმანეთს. ასევე, ინგლისური ენის მე-3 კლასის ერთ-ერთი კოპლექსური დავალების მიხედვით მოსწავლეეებმა უნდა შექმნან ე.წ. LAPBOOK-ი აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოსა და ამერიკაში. ამდენად, შეგვიძლია ვიმსჯელოთ, რომ სკოლას აქვს ამ მიმართულებით მუშაობის როგორც გამოცდილება, ისე მზაობაც. რაც შეეხება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებს (შედეგები: Iუცხ.დაწყ.(I)1,2,3), რომლებიც კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას მიემართება, **ექსპერტის აზრით,** ხდება მათი დაფარვაც, რადგან მოსწავლეებს მოუწევთ ტექსტებზე მუშაობა და მისი გააზრება სხვდასხვა აქტივობისთვის. მაგალითად, იმისათვის, რომ მოსწავლემ გააკეთოს პრეზენტაცია აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით საქართველოსა და ამერიკაში, მას ჯერ დასჭირდება გაეცნოს გარკვეულ ინფორმაციას, გაანალიზოს იგი შინაარსობრივად და შემდეგ დაიწყოს პოსტერის აწყობაზე მუშაობა. ტექსტის დამუშავება დასჭირდება მოსწავლეს მეგობრის პროფილის შესაქმნელად იმდენად, რამდენადაც ჯერ ის უნდა გაეცნოს წიგნში მოცემულ ნიმუშს, გაანალიზოს, რა ტიპის ინფორმაცია სჭირდება და რაზე გაამახვილოს ყურადღება და შემდეგ გააკეთოს მისეული ვერსია და ა.შ. მსგავსი პროცესებია საჭირო თითქმის ყველა კომპლექსური დავალების შესასრულებლად და ამდენად, ხელი ეწყობა კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას. **ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებითაც,** მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები და სტემ-პროექტი, რომელიც წარდგენილი ჰქონდათ სხვადასხვა კონკურსზე, მიემართება კონკრეტულ ცნებებსა და ქვეცნებებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სახელმწიფო ენის სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლისთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური გეგმების შემუშავებას. სკოლამ დაწყებით საფეხურზე დოკუმენტად წარმოადგინა ,,კომპლექსური დავალების ადაპტირება ისგ-ში“, რომელიც სამ ეტაპადაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გაწერილი, დეტალურადაა ასახული აქტივობები და ადაპტირებული კომპლექსური დავალება(ვაჟა- ფშაველას ,,შვლის ნუკრის ნაამბობის“ მიხედვით), რომელსაც ახლავს ფოტომასალაც. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში კონსულტაციებს გადიან სპეცმასწავლებელთან და ყოველთვის ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. ასევე, სწავლებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების პრონციპებს. **საბუნებისმეტყველო კათედრის მასწავლებელთა ინტერვიუებისას მათ აღნიშნეს,** რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში; თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ მასწავლებელები ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად მიდგომებსა და სტრატეგიებს, ხდება როგორც კომპლექსური დავალების ფორმისა და შინაარსის, ასევე, სამიზნე ცნებების რაოდენობისა და მისაღწევი შედეგების მოდიფიცირება/ადაპტირება; ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა პორტფელიოს დათვალიერებისას აღმოჩნდა ,რომ მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვებას და მის ანალიზს, ასევე მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, შესაძლებლობების დადგენას, ახდენენ მოსწავლის ბარათებით, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკებით. აქვთ რემედიაციის პროგრამაც, რომლითაც მოსწავლის შესაძლებლობებს არგებენ სასწავლო პროცესს.

ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის აზრითაც, სკოლაში ჩამოყალიბებულია პოზიტიური სასწავლო გარემო, რომელშიც ყველა მოსწავლეა ჩართული. სასწავლო პროცესი ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლლობებს, სკოლას წარმოდგენილი აქვს სსსმ მოსწავლეთა ინდ. სასწავლო გეგმები, მასწავლებლის ანგარიშის ფორმები და სსსმ მოსწავლეთა მონიტორინგის ფორმები, სადაც ჩანს მათი მიღწევები და შესაძლებლობები, ასევე საჭიროებების ანალიზი., მოსწავლეთა შეფასება და მასწავლებელთა თვითრეფლექსია. სკოლას აქვს ორივე საგნის საგნობრივი კურიკულუმი და ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა, შეხვედრის ოქმები და სხვა, რაშიც ჩანს , როგორ ითვალისწინებენ დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს . **უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის აზრით,** კათედრის მასწავლებლები, საჭიროებიდან გამომდინარე, ამარტივებენ დავალებებს კონკრეტული მოსწავლეებისთვის, თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. მაგალითად, მათ თქვეს, რომ თუკი მოსწავლეებს მოეთხოვებათ წერილის დაწერა და მასწავლებელმა იცის, რომ კონკრეტული მოსწავლე არის სუსტი და იგი ვერ დაწერს წერილს დამოუკიდებლად, მას აძლევს შაბლონს, რომელშიც უნდა შეავსოს გარკვეული ინფორმაცია. **ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის ცნობით კი,** ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მათ მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. აქტიურად არიან ჩართულები სხვადასხვა პროექტებში, ზუგდიდის ტექნოპარკში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;**

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის აზრით, ქართული ენისა და ლიტერატურის დაწყებით საფეხურზე სკოლა იყენებს განმავითარებელ შეფასებას ყველა კლასში და განმსაზღვრელს- V-VI კლასებში. სკოლამ დოკუმენტად წარმოადგინა ,,მოსწავლეთა განმავითარებელი შემაჯამებელი დავალებების შეფასების ინსტრუმენტები“ , რომელშიც აღნიშნულია, რომ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩასატარებლად შეირჩა რესურსი 25.1 ინსრტუმენტი 7 (შედეგების შესწავლა კომპლექსური დავალებაზე დაყრდნობით); წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებში ჩაშენებულია შეფასების კრიტერიუმები. სკოლამ დაწყებით საფეხურზე წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები თემებთან მიმართებაში (მაგალითად, მე-6 კლასში ანა კალანდაძის ლექსთან ,,შემოდიოდა ჩვენში კალანდა“) , პედაგოგებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ კათედრის წევრებმა ერთად შეიმუშავეს შეფასების კრიტერიუმები. მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს, ითვალისწინებს მოსწავლეზე ორიენტირებულ სასწავლო პროცესს და ეყრდნობა თემატურ კონტექსტებს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის აზრით, ს**კოლას სასკოლო–სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს მოსწავლის შეფასების მიზნები და ამოცანები, რაც დაწყებით საფეხურზე განმავითარებელ შეფასებასთან ერთად მე–5 კლასის მეორე სემესტრსა და მე–6 კლასში განმსაზღვრელ შეფასებასაც გულისხმობს. კომპლექსურ დავალებებს დართული ჰქონდა შეფასების რუბრიკები, რომლებიც გამომდინარეობდა ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტებიდან და მიმართული იყო გრძელვადიან მიზნებზე. სკოლა მოსწავლის შეფასების მექანიზმად, ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად, იყენებს სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიას, რომელიც წარმოადგენს სწავლა-სწავლების პროცესში მეთოდიკური ორიენტირების რეალიზების საშუალებას. სკოლას დოკუმენტურად წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ცხრილები. **ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის აზრით,** მუსიკისა და ხელოვნების საგნობრივ კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების რაოდენობით თუ ვიმსჯელებთ, კომპლექსური დავალებაში ჩაშენებული უნდა იყოს შეფასების კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზე შესაძლებელია მოსწავლეთა განმავითარებელი შეფასება. სკოლის მიერ წარმოდგენილ მიმდინარე სასწავლო წლის სასწავლო გეგმაში და **დოკუმენტში-მოსწავლეთა შეფასების პოლიტიკა**- მკაფიოდაა ჩამოყალიბებული მოსწავლის შეფასების მიზანი, პრინციპები და მიდგომები, სადაც იკვეთება, რომ სკოლა იყენებს განმავითარებელი შეფასების მრავალფეროვან ინტურმენტებს (მაგ. **დიაგნოსტიკური შეფასება, დაკვირვება საგაკვეთილო პროცესში, შეფასების ტიპი-ზეპირი განმავითარებელი. კომპლექსური დავალებები**). პედაგოგიური საბჭოს ოქმებში აღნიშნულია, რომ სკოლა ახდენს თვითრეფლექსიასა და მოსწავლეთა საჭიროებების დიაგნოსტირებას, რომელსაც ახლავს სამოქმედო გეგმა, მტკიცებულებებში წარმოდგენილია (ინდ გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და მოსწავლეთა შეფასებები), სსსმ მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი. იკვეთება, რომ სკოლა ობიექტურად ახერხებს სსსმ მოსწავლეთა შეფასებას, ზრუნავს მათ განვითარებაზე, მასწავლებელს შეუძლია ნებისმიერი შესაძლებლობების მქონე მოსწავლეებისთვისაც შექმნას განმავითარებელი შეფასების რუბრიკა, რომელიც აუცილებლად მიმართული იქნება გრძელვადიანი მიზნებისაკენ. მტკიცებულების სახით წარმოდგენილ დოკუმენტაციებში (საგნობრივი კურიკულუმები მუსიკასა და ხელოვნებაში, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები , მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრების განრიგი და მოსწავლეთა ნამუშევრები-ფოტომასალა) სკოლა გამოთქვამს მზაობას, შექმნას განმავითარებელი შეფასებების მრავალფეროვანი რუბრიკები, კომპლექსური დავალებების შეფასების პროცესში“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის აზრით, დაწყებით საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და , როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. ისინი სისტემატურად უზიარებენ ერთმანეთს საუკეთესო პრაქტიკასა და მიგნებებს , მსჯელობენ პრობლემებზე და ერთად განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს. კათედრის ოქმებში კარგად ჩანს, რომ სხდომებისას ქართული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ენისა და ლიტერატურის მასწავლებელები დიდ ყურადღებას უთმობენ პრაქტიკული სწავლებისას გამოვლენილ პრობლემებს, აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს, განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს და ცდილობენ, სწავლა- სწავლების კონსტრუქტივისტული პრინციპების დაცვას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის აზრით,** საგნობრივი კურიკულუმებიდან ჩანს, რაც მასწავლებლებთან ინტერვიუების დროსაც დადასტურდა, კურიკულუმის შედგენისას მასწავლებლები კათედრაზე მოახდინეს წინა წლების სასწავლო პროცესის ანალიზი, რომლის საფუძველზეც შეიტანეს ცვლილებები კურიკულუმში; მაგალითად, კათედრებს შერჩეული აქვთ და წარმოდგენილი სადიაგნოსტიკო შეფასების ერთ-ერთი ინსტრუმენტი , რომლის მიხედვითაც აპირებენ ორჯერ სადიაგნოსტიკო შეფასების ჩატარებას მოსწავლეთა წინარე ცოდნის დადგენის მიზნით,მაგრამ გათვალისწინებული /გაწერილი სექტემბრის თვის ნაცვლად ატარებენ ოქტომბრის შუა რიცხვებში .პროცესი მიმდინარეობს . ანალიზის შემდეგ მიღებული შედეგების შესაბამისად გეგმავენ გარკვეული ღონისძიებების გატარებას, ღონისძიებების ეფექტიანობას შეამოწმებენ მეორე სადიაგნოსტიკო შეფასებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის აზრითაც,** სკოლას წარმოდგენილი აქვს „კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის" დოკუმენტი, რომელშიც შუალედურ სასწავლო მიზნებზე მსჯელობისას გარკვეული პუნქტი ეთმობა წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხურის პედაგოგებმა ინტერვიუს დროს ისაუბრეს, იმასთან დაკავშირებით, რომ საგნობრივი კურიკულუმების („მე და საზოგადოება", „ჩვენი საქართველო") დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებენ წინარე საკუთარ პედაგოგიურ გამოცდილებას, კერძოდ, კათედრის სამუშაო შეხვედრებზე მსჯელობენ მოსწავლეთა შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიების შესახებ, იზიარებენ კოლეგების გამოცდილებას, ახორციელებენ საგნობრივი კურიკულუმების („მე და საზოგადოება", „ჩვენი საქართველო") მონიტორინგსა და შეფასებას და, წინარე გამოცდილებიდან გამომდინარე, შეაქვთ ცვლილებები მათში, მაგალითად: ასახავენ უკვე განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებს, სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებას და გამოწვევებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თემატური ერთეულები, კომპლექსური დავალებების ნიმუშები დაწყებით და საბაზო საფეხურზე ხელოვნებასა და მუსიკაში
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და შეფასებები
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა /დებულება და კოლეგებთან შეხვედრების ფოტო მასალა
- საგნობრივი კურიკულუმები, განხორციელებული პროექტებიმ სხვადასხვა ღონისძიებებში კათედრის მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები
- პროექტები და მათი რეფლექსიები
- შეფასების ფორმები განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- გერმანული, რუსული და ინგლისური ენის კურიკულუმები დაწყებითი საფეხურისთვის ;
- შეფასების სისტემა
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი

სახელმწიფო ენა:

- კურიკულუმები
- კათედრის ოქმები
- შეფასების რუბრიკები
- კომპლექსური დავალებები
- სკოლის ციფრული განვითარების გეგმა

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**
3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**
4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**
5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

უცხოური ენებში მოსწავლეებს უწევთ სხვდასხვა ტიპის დავალებების შესრულება, იქნება ეს პრეზენტაციები, როლური თამაშები, პოსტერების შედგენა, ილუსტრირებული ტექსტის შედგენა თუ წერილის მიწერა. ყველა მათგანი მოითხოვს შემოქმედებითობას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **საბუნებისმეტყველო საგნებში** სკოლის ბაზაზე განხორციელებული სასკოლო პროექტებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართვას, რაზეც მეტყველებს არამარტო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არამედ სკოლის სოციალური ქსელებიც. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის მოსაზრებით,** კომპლექსური დავალებები დაწყებითი საფეხურის ხელოვნების საგანში 1-2-3-4 -5-6 კლასებში ჩანს, თუ რა შემოქმედებით პროდუქტები შექმნეს და შექმნიან მოსწავლეები მიმდინარე სასწავლო წელს; მაგალითად, მოსწავლეები მუშაობენ შემდეგ თემებზე: წელიწადის დროები, მე ჩემი ოჯახი და მეგობრები და დღესასწაულები, რაზედაც მოსწავლეები შემოქმედებით პროდუქტს ქმნიან, სადაც ყველა სავალდებულო ბლოკი მუშავდება . წარმოდგენილი დოკუმენტებით მტკიცდება, რომ ხელოვნება-მუსიკის სწავლებისას დაწყებით საფეხურზე მოსწავლე ჩართულია აქტიურ შემოქმედებით პროცესში.

მათემატიკის სწავლებისას ამ მიმართულებით სკოლაში უდიდესი ყურადღება ეთმობა არაფორმალურ განათლებას, სოციალური თუ სხვადასხვა პროექტების დაგეგმვას და განხორციელებას, არაფორმალური აქტივობები მოსწავლეებს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას.(მაგალითად სასკოლო პროექტი ფინანსურ წიგნიერებაზე „ ვაგროვებთ მარტივად და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჭკვიანურად“). მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში არის პოზიტიური სასკოლო კულტურა და მოწესრიგებული საკლასო კლიმატი, რაც განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია მოსწავლის შემოქმედებით პროცესებში ჩართულობისათვის. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის აზრით,** საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლებს, წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები, გადმოსცენ და ახსნან იდეები თავიანთი სიტყვებით როგორც წერილობით, ასევე - დისკუსიების სახით. მაგ: „შექმენი ბუკლეტი ილუსტრაციებით, ოჯახის ბინადარი ცხოველების/ფრინველების/ ოთახის მოვლა-პატრონობის შესახებ”. “ერთი დღით მოირგე მანდატურის როლი და აღწერე დღიურში” (მე და საზოგადოება-მე-3 კლასი). **სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის აზრით,** დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, აქტიურად ჩაერთონ შემოქმედებით პროცესში. ამის მაგალითია კომპლექსური დავალებების იდეები და კომპლექსური დავალებები , რომელთა განხორციელების პროცესი სრულადაა აღწერილი წარმოდგენილ ნიმუშებში. ამის მაგალითია კომიქსის შექმნა ნინო ნაკაშიძის მოთხრობა ,,ჩიტის ბუდის“ მიხედვით და სურათის აღწერა(1-ლი კლასი), მოთხრობა ,,გულკეთილი ქვრივის“ პერსონაჟის (მეზობლის) დღიურის ჩანაწერის შექმნა (მე-2 კლასი); თემატურ მატრიცაში წარმოდგენილია კომპლექსური დავალების პირობა: ,,ყურადღებით წაიკითხე მოთხრობა ,,ბიჭი მალხაზი“. წარმოიდგინე, რომ ამ ამბის მთხრობელი შენ ხარ, ხოლო მალხაზი და რეალური მთხრობელი შენი მეგობრები არიან. დაარქვი მთხრობელ პერსონაჟს სახელი და გადმოეცი მოთხრობის შინაარსი“, რომელიც ააქტიურებს მოსწავლეთა შემოქმედებით უნარებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას. მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ კარგად იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც, შესაბამისად, მზად არიან ამ მიმართულებით ნაყოფიერი მუშაობისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

უცხოური ენების მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ როდესაც ახალ მასალაზე გადადიან, პირველ რიგში, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ამის შემდეგ აანალიზებენ რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს სამიზნე თემის ირგვლივ და ცდილობენ მასზე დაყრდნობით ეტაპობრივად გადავიდნენ ახალ მასალაზე. ამ კუთხით ნათელი სურათის მომცემი იქნებოდა მატრიცები, მაგრამ რადგან სკოლას წარმოდგენილი არ აქვს ისინი, ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქ. ზუგდიდის N5 საჯარო სკოლაში სკოლაში, უცხოური ენების კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული გამოცდილება და მზაობა ამ კუთხით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის ინფორმაციით,** ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალ კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. ამის დამადასტურებელ მაგალითად გამოდგება, როგორც კომპლექსურ დავალებებში მოცემული ცხოვრებისეული კონტექსტ-მაგალითები, ასევე საკოლო პროექტები და არაფორმალური ღონისძიებები, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა სასწავლო პროექტები, მოსწავლის შესრულებული ნამუშევრები. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის აზრითაც,** ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის ორივე საგნში (მუსიკა, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) კომპლექსური დავალებების იდეები, შინაარსობრივი საკითხები მოსწავლეს საშუალებას აძლევს გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა მეცნიერების თვალსაზრისით და ა.შ. მასწავლებლებმა ინტრევიუს დროს აღნიშნეს, რომ სასწავლო პროცესში ახალი ცოდნის გადაცემა ხდება წინარე ცოდნის გამოყენებით. მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა სასწავლო პროექტები, მოსწავლის შესრულებული ნამუშევრები. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებთან ინტერვიუს და საგნობრივი კურიკულუმების („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“) ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის ხუთივე პრინციპის დაცვით. **სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით,** კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. ამასთან ერთად, პედაგოგთა წინარე გამოცდილების სურათს იძლევა მასწავლებლების თვითშეფასების ფორმები, რეფლექსიები, ანგარიშები , კათედრის შეხვედრის ოქმები, საიდანაც დგინდება, რომ ისინი აკვირდებიან და აფასებენ მოსწავლეებს სასწავლო პროცესში, ამის შემდეგ კი მიღებულ გამოცდილებაზე, მოსწავლეთა სასწავლო შედეგებზე, საჭიროებებსა და ინტერესებზე დაყრდნობით გეგმავენ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უცხოური ენების ექსპერტის აზრით, მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შესრულების ბოლოს და მისი შესრულების ეტაპებზე საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. გარდა ამისა, თავად გეგმავენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესსაც. **საბუნებისმეტყველო საგნებში,** დაწყებით საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება, სასწავლო პროცესში გამოიყენონ თვითშეფასების რუბრიკები, მეტაკოგნიტური სქემები, დიაგრამები, ხელს უწყობენ მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებასა და დამუშავებას, პრეზენტაციას, რაც, საბოლოო ჯამში, მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს; საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია კურიკულუმში გაწერილ აქტივობებში; **ესთეტიკური საგნების** კათედრის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციებში (სასწავლო გეგმა, სტრატეგიული გეგმა, კათედრის გეგმები, სსსმ მოსწავლეთა მორიტორინგის ფორმები, სკოლის შინაგანწესი, სასკოლო საგნობრივ კურიკულუმები, მოსწავლეთა შემაჯამებლები და მათი ანალიზი) უმრავლეს შემთხვევაში სკოლა წარმოაგენს ხედვას მიმდინარე სასწავლო წელს როგორ ახდენდა და სამომავლოდ როგორ შეძლება გაკეთდეს აქცენტი სწავლის სწავლაზე. წარმოდგენილ მტკიცებულებებში (სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება-მუსიკა საგნობრივი ჩარჩო კურიკულუმები) ჩანს ამ ხედვის დამადასტურებელი აქტივოვებები წინა სასწავლო წლის მაგალითზე მაგ. თუ როგორაა წახალისებული სასწავლო პროცესში მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. ჩანს თუ როგორ უზრუნველყოფს მასწავლებელი მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვას და მონიტორინგს. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი ცნობით კი** კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც იგეგმება მიმდინარე სასწავლო წელს. კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობას და წარმატებას . მოსწავლეთა თვითშეფასების ინსტრუმენტები, მათ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შორის კომპლექსური დავალების პირობის მესამე ნაწილი - მასწავლებლის მიერ დასმული შეკითხვები, მოსწავლეების მხრიდან კომპლექსური დავალების პრეზენტაციის პროცესში გამოკვეთს მოსწავლისგან მისივე სასწავლო პროცესის დაგეგმვას, მონიტორინგსა და შეფასებას. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე.

სახელმწიფო ენაში სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია როგორ მუშაობენ დაწყებით საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის" უნარზე. მას ნიმუშად მოყავს ა. სულაკაურის ,,ბიჭი და ძაღლის" სწავლებისას (მე- 5 კლასის კურიკულუმი) მიმართებაში წარმოდგენილი კონტექსტ - მაგალითები : მხ. ფილმი „ჰაჩიკო"; მხ.ფილმი „ბიჭი და ძაღლი", ნოდარ დუმბაძის „ძაღლის" ეკრანიზაცია და ამ საკითხებთან მიმართებაში კომპლექსური დავალების იდეა: ,, წარმოიდგინე, როგორი იქნებოდა ძაღლის ცხოვრება მანამდე, სანამ დაიწყებოდა ნაწარმოებში მოთხრობილი ამბავი (ნაგაზის ცხოვრება ბიჭთან შეხვედრამდე) და წერილობით გადმოეცი შენ მიერ მოფიქრებული სიუჟეტი." **ტექნოლოგიების ექსპერტის ინფორმაციით,** ჩარჩოში წარმოდგენილ თითოეული კომპლექსური დავალების იდეასთან მიმართებით, ბუნებრივია, ნათლად ვერ გამოიკვეთება სწავლის სწავლაზე მიმართული სტრატეგიები და კონკრეტული აქტივობები, (რადგან ჯერ მატრიცები არ არის შემუშავებული), თუმცა კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების იდეებიდან და მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე ნათლად გამოიკვეთა, რომ კურიკულუმი მიმართულია სააზროვნო უნარების განვითარებისკენ; მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

უცხოური ენების სწავლებისას სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით (გერმანული, კლასი V), მოსწავლემ თვის გერმანელ თანატოლს, რომელთანაც ონლაინ ნაცნობობა აკავშირებს, უნდა გააცნოს თავისი ოჯახი. მეგობრის თხოვნაა, რომ რომელიმე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პლატფორმის გამოყენებით („ვსწავლობთ თამაშით“ „Power point”, „Scratch”) შექმენას „გენეალოგიური ხე“ საკუთარ ოჯახზე შესატყვისი წარწერებით გერმანულ ენაზე და გააცნოს ისინი მას. აღნიშნული დავალებისთვის მოსწავლეს დასჭირდება გაიხსენოს ის პროგრამები, რომლებიც მას აქვს ნასწავლი კომპიუტერული ტექნოლოგიების ფარგლებში, შემდეგ მან უნდა გადაწყვიტოს, რომელი მათგანი იცის ყველაზე უკეთ, გაიხსენონს მისი გამოყენების წესები და შექმნას გენეალოგიური ხე. გარდა პროგრამის არჩევისა, მას დასჭირდება განსაზღვროს რომელი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები დასჭირდება ამ პრეზენტაციისთვის გერმანულად და აარჩიოს შესაბამისად. მსგავს პროცესებს მოითხოვს სხვა კომპლექსური დავალებებიც. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ცნობით,** ორივე საგნის საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები უზრუნველყოფს მოსწავლეებში სამიზნე ცნებების გააზრებას ცოდნის სამი კატეგორიის ჭრილში, წარმოდგენილი დოკუმენტებით, საგნობრივი კურიკულუმითა და კომპლექსური დავალებებით ნათლად ჩანს, რომ მოსწავლეები ფლობენ თეორიულ ცოდნას და ახდენენ მის პრაქტიკაში რეალიზებას. **მათემატიკაშიც** ყველა კლასში არჩეული კომპლექსური დავალებები, ექსპერტის აზრით, ხელს შეუწყობს მოსწავლეებში დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, კომპლექსური დავალება „ სალაროს მოწესრიგება“ განხორციელებისას მოსწავლეებს უწევთ პროცედურული ცოდნის გამოყენება (მიმატება, გამოკლების მოქმედებების შესრულება)და ამ ცოდნის ცხოვრებისეულ სიტუაციაში გამოყენება (სალაროში არსებული ფულის კუპიურების დათვლა/ანგარიში). **სახელმწიფო ენის ექსპერტის მოსაზრებიდან ირკვევა, რომ** დაწყებითი საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის კურიკულუმი ორიენტირებულობა მოსწავლეთა დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის მიღებაზე კარგად ჩანს როგორც დაგეგმილი კომპლექსური დავალებების იდეებში, ისე განხორციელებულ ღონისძიებებში, რომლებიც სკოლამ წარმოადგინა. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმებით და ინტერვიუზე დაყრდნობით დგინდება, რომ ქართული ენის კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა სასწავლო პროცესში დეკლერატიული, პროცედურული და პირობისეული ცოდნის განვითარებაზე გააკეთოს აქცენტები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

უცხოური ენების ექსპერტის მოსაზრებით, საგნის სწავლებისას დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობით, მათ შორის კომპლექსური დავალებებით ხდება გარკვეული ინტეგრირება კომპიუტერულ ტექნოლოგიებთან. ინგლისური ენის მე-6 კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა გამოკითხონ საკუთარი ოჯახის წევრები ან/და მეგობრები, ჩაინიშნონ პასუხები და მოამზადონ მონაცემების ცხრილი, რომელსაც წარმოადგენენ კლასის წინაშე. როგორც ვხედავთ, მათ დასჭირდებათ მათემატიკაში ნასწავლი მასალის გახსენება მონაცემების დამუშავებასთან დაკავშირებით. მსგავსი ტიპის ცოდნის ურთიერთდაკავშირების მაგალითებს ვხდებით სხვა კომპლექსურების ნაწილშიც. ამდენად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხდება ცოდნათა ურთიერთდაკავშირება იმდენად, რამდენადაც მოსწავლეებს უწევთ სხვდასხვა საგნის ფარგლებში ნასწავლი მასალის გამოყენება უცხოური ენების კომპლექსური დავალებების შესასრულებლად. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ინფორმაციით,** კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს მათ იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები და რესურსები, მოსწავლისა და მასწავლებლის პორტფოლიო, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების სრული ანალიზი, რომელიც კიდევ უფრო კარგად ჩანს სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის დროს ინდ. სამოქმედო გეგმებში და მონიტორინგის გეგმებში. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ცნობით,** მასწავლებლებს გააზრებული აქვთ, რომ თითოეული საგანი მყარად არის დაკავშირებული სხვა საგნებთან და დიდ ყურადღებას დაუთმობენ საკითხის განხილვას სხვადასხვა სფეროების ერთმანეთთან შედარებითი ანალიზით. მაგალითად, მეორე კლასში, მათემატიკაში განხორციელებული კომპლექსური დავალება, -„დავეხმაროთ წითელქუდას“ იძლეოდა რამდენიმე საგანთან ინტეგრაციის საშუალებას (ქართული ენა და ლიტერატურა, სახვითი ხელოვნება, ტექნოლოგიები). პრობლემა- როგორ უნდა იპოვოს წითელქუდამ ბოქლომის კოდი, რათა, მან მგლის მიერ ჩაკეტილი ბებია გაათავისუფლოს. მოსწავლეები პრობლემის მათემატიკური მინიშნებებით ამოიცნობენ კოდის 3 ციფრს . ამ დავალების შესრულების შემდეგ კი მოსწავლეებს ევალებოდათ, დაეწერათ მოთხრობა, თუ როგორ დაეხმარა წითელქუდას და პროგრამა „ვსწავლობთ თამაშის“ გამოყენებით შეექმნა 3 სცენიანი სიუჟეტი. ამ დავალების ფარგლებში მოხდა მათემატიკის, კომპიუტერულ ტექნოლოგიებისა და ქართულის ინტეგრირება. **ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით,** კურიკულუმის ჩარჩოს საფუძველზე შეიძლება ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ითქვას, რომ შუალედური მიზნების სათანადოდ განხორციელების შემთხვევაში შესაძლებელი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება, მით უფრო, კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე. მისი აზრით სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე რთულია იმის მტკიცება, რამდენად მოახდენს მასწავლებელი პრაქტიკაში ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას, თუმცა ინტერვიუს დროს მასწავლებელთა გამოცდილება, ხედვა მას აძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებლები შეძლებენ ცოდნათა ურთიერთდაკავშრებას და ორგანიზებას. 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში წარმოდგენილი დაგეგმილი კომპლექსური დავალებების სპეციფიკა გაამარტივებს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები, თემატური ერთეულები დაწყებით და საბაზო საფეხურზე ხელოვნებასა და მუსიკაში
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, შეფასების მორიტორინგის ფორმები და შეხვედრების გეგმები პრეზენტაციებით
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა /დებულება და კოლეგებთან შეხვედრების ფოტო მასალა
- საგნობრივი კურიკულუმები, განხორციელებული პროექტები სხვადასხვა ღონისძიებებში კათედრის მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები
- გაკვეთილის გეგმები და რეფლექსიები.
- სასკოლო კურიკულუმები - სახელმწიფო ენაში
- სასკოლო ღონისძიებები -

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კომპლექსური დავალებები
- გერმანული, რუსული და ინგლისური ენის კურიკულუმები დაწყებითი საფეხურისთვის

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მოსაზრებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმში სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები. კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები. რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს კომპლექსური დავალების შესრულება რა მიმართულებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უნდა მოხდეს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობისთვის. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ინფორმაციით,** სკოლას საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო აქვს წარმოდგენილიმ ყველა კლასის ორივე საგანში, რომელშიც დაზუსტებულია სარეკომენდაციო თემები, სამიზნე ცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, დაკონკრეტებულია კომპლექსურ დავალებებთან მიმართებით ქვეცნებები, წარმოდგენილია ძირითადი რესურსი, როგორც სახელმძღვანელო დანართები. **უცხოური ენების ექსპერტის აზრით, სკოლაში** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით იმდენად, რამდენადაც თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ გააცნობიერონ მაგალითად, რა არის წერილის მთავარი მახასიათებლები, თემა და მიზანი, ვინ არის მისი მსმენელი და შესაბამისად აარჩიონ ესა თუ ის ენობრივი მასალა. კონკრეტული დავალების ფარგლებში დაეუფლონ კონკრეტულ საკითხს, მაგალითად ისწავლონ ხილსა და ბოსტნეულთან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, წარსული დროის ფორმები და ამბის თხრობა, ისწავლონ ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები და ა.შ. **ტექნოლოგიების ექსპერტის მტკიცებით კი,** კათედრა ორიენტირებულია კომპლექსური დავალებებით სწავლებაზე, რაც მათ მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმშიც ნათლად არის ასახული. საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოში მიმართულებები, სამიზნე ცნებები, ქვეცნებები, საკითხები, კომპლექსური დავალების პირობები, საკვანძო კითხვები ერთმანეთთან სწორადაა დაკავშრებული. გარდა ამისა, ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს აქვთ მზაობა სასწავლო პროცესის სწორად წარმართვისა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის ინფორმაციით, მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. **მისი აზრით,** ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რაც ვლინდება კომპლექსური დავალების განხორციელების დროს.

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ცნობითაც დაწყებითი საფეხურის საგნობრივ (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება I-VI) ჩარჩო კურიკულუმებში წარმოდგენილი საგნობრივი ძირითადი ორიენტირები, თემები და კომპლექური დავალებების იდეები, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი ხელოვნებასა და მუსიკაში ცხადყოფს, რომ გათვალისწინებულია მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები. შერჩეული თემები და კომპლექსური დავალებები მიმართულია არა მხოლოდ მოსწვალეთა ფიზიკური და შემეცნებითი სფეროს, არამედ სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზეც. ორივე საგნის სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას, სხვადასხვა პროექტებში მონაწილეობისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარი ემოციებზე, გრძნობებზე, დამოკიდებულებებზე მსჯელობა, ხელოვნებაში შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა. სკოლის მიმდინარე სასწავლო გეგმიდან და მისიიდან გამომდინარე, ნათლადაა წარმოდგენილი სკოლის ხედვა დაწყებითი საფეხურის მოსწავლეების პიროვნული ზრდის და განვითარების პროცესთან მიმართებით, რაც აისახება მათ მიერ წარმოდგენილ მომავალი სასწავლო წლის ჩარჩო-კურიკულუმებით განსაზრვრულ სასწავლო პროცესში. ამასთან სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს განხორცილებული აქვს სხვადასხვა საგნებში პროექტები(დანართი პროექტების ღონისძიებებ), სადაც ჩანს რომ ჩართული იყო ორივე საგანი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სხვადასხვა აქტივობებით. ნათლად წარმოჩინდა, რომ პროექტები მიზანი და მიმართულებები ხელს უწყობს მოსწავლეების პიროვნულ და ფსიქო-სოციალური განვითარებას. **უცხოური ენების ექსპერტის ცნობით,** ზოგიერთი წარმოდგენილი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეებს უწევთ საბოლოო ნაშრომის წყვილებში წარდგენა, მაგალითად დიალოგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გათამაშება საყიდლებზე, ცხოველების მაღაზიაში და ა.შ. მოსწავლეებს კომპლექსური დავალებების დროს უწევთ საკუთარი სამუშაო პროცესისა და ნაშრომის შეფასება: რა გამოუვიდა კარგად, რა ვერ გააკეთა სწორად და რატომ, სახავს ახალ გზებს და ცდილობს, გაუმჯობესოს იგი. ამ გზით და ასევე მასწავლებლებისგან მიღებული განმავთიარბელელი შეფასებით მათ საშუალება აქვთ, იცოდნენ, რა გამოსდით კარგად, რა აქვთ გასაუმჯობესებელი და რა შედეგი ექნებათ მიღებული უკუკავშირის გაუთვალისწინებლობის შემთხვევაში. ამდენად, ხელი ეწყობა თვითმართვის უნარის გამომუშავებას, რომელიც მოიაზრებს საკუთარი ქცევებისა და ემოციების მართვის უნარს სტრესულ სიტუაციებში, იმედგაცრუებისა და მარცხის გადატანას, ნებისყოფის გამომუშავებას რეგულარული საქმიანობითა და წესების დაცვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით, მოქმედი სასკოლო კურიკულუმით სკოლის შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას. შეფასება სასწავლო პროცესშია ინტეგრირებული და მოსწავლისათვის ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმად და მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. შეფასება ცოდნის აგებასა და გამოყენებაზეა ფოკუსირებული, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და გამომდინარეობს მათგან. ასეთი შეფასება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. სკოლას წარმოდგენილი აქვს შეფასების რუბრიკები, რომლებსაც , როგორც პედაგოგები აღნიშნავენ, მიზნობრივად იყენებენ. **მაგ: ბუნების გაკვეთილებზე** მოსწავლეები ფასდებიან პრეზენტაციის, საკლასო და საშინაო დავალების რუბრიკებით. მასწავლებლები მოტივირებული არიან, ხელი შეუწყონ მოსწავლის ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების განვითარებას. შეფასების სისტემა მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება, კონსტრუქციული უკუკავშირები, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება ეხმარება მოსწავლეებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას, ასევე მათი პორტფოლიოს დათვალიერებისას, გაირკვა, რომ ხშირად მიმართავენ შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებს, რათა მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ადეკვატური თვითშეფასება და დაინახონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ინფორმაციით კი ვიგებთ, რომ** მასწავლებლებთან გასაუბრების შემდეგ წარმოდგენილი იქნა მუსიკასა და ხელოვნებასი კონკრეტული შეფასების რუბრიკების რამდენიმე ნიმუში, რომელტა საფუძველზეც შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას: მათ შორის განმავიტარებელ კომენტარსაც. **უცხოური ენების ექსპერტი** სკოლის თვითშეფასების კითხვარითა და მასწავლებლებთან ინტერვიუების ანალიზით ასკვნის, რომ მოსწავლეების მიერ შესასრულებელი აქტივობები ფასდება მთლიანობაში და ეძლევა შესაბამისი უკუკავშირი. მათ საშუალება აქვთ მთლიანობაში დაინახონ საკუთარი შესაძლებლობები კონკრეტულ დავალებასთან მიმართებით, გაიგონ რა აქვთ გამოსასწორებელი და იმუშაონ მის გაუმჯობესებაზე. **სახელმწიფო ენის ექსპერტის აზრით,** სკოლაში არსებული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას. დაწყებით საფეხურზე გამოიყენება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასება : 1-დან მე-5 კლასის პირველი სემესტრის ჩათვლით მხოლოდ განმავითარებელი, ხოლო მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან- განმავითარებელიცა და განმსაზღვრელიც. სკოლამ წარმოადგინა როგორც განსაზღვრელი, ისე განმავითარებელი შეფასებების რუბრიკები. მაგალითად, მე-6 კლასში კონკრეტულ თემასთან მიმართებაში (ანა კალანდაძის ლექსთან ,,შემოდიოდა ჩვენში კალანდა“) განმსაზღვრელი შეფასების კრიტერიუმები უზრუნველყოფს წერილობითი ნამუშევრების ქულებით შეფასებას. სკოლის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია ჰოლისტური შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის ეფექტიანად იყენებენ მათ. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით („მე და საზოგადოება“, „ჩვენი საქართველო“) შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. დაწყებითი საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად III, IV, V (პირველ სემესტრში) კლასებში მოსწავლეებს აფასებენ განმავითრებელი შეფასებით V კლასის მეორე სემესტრში და VI კლასში განმსაზღვრელი და განმავითარებელ შეფასებით. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. **სკოლის თვითშეფასების კითხვარში** ვკითხულობთ, რომ შეფასების რუბრიკები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, რომელიც განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ და დაამტკიცა კათედრამ. საკლასო ოთახების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ შეფასების რუბრიკები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, რათა მოსწავლეებმა თვითონ შეაფასონ საკუთარი თავი კრიტერიუმების მიხედვით, როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, ისინი აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს და მშობლებს. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა წინასწარ იცის ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით,** სასწავლო პროცესში გამოყენებული შეფასება (ტესტები, კომპლექსურები) არის ვალიდური, შეესაბამება ესგ-ს მიზნებს, ზომავს მისაღწევ შედეგებს და არ სცდება სასწავლო პროგრამას. მასში ასახულია მხოლოდ ის ცოდნა და უნარი, რომლის გაზომვაც არის დაგეგმილი. მასწავლებლებთან გასაუბრებით იკვეთება, რომ კათედრაზე მოქმედებს **მოსწავლის განმსაზღვრელი შეფასების ერთიანი რუბრიკები**. სასწავლო წლის დაწყებისთანავე მოსწავლეებსა და მათ მშობლებს აქვთ ინფორმაცია თუ რა მიზანი აქვს შეფასებას, რა ფორმით (წერითი/ზეპირი გამოცდა, ტესტირება თუ სხვ.) მოხდება შეფასება და ასევე რა შედეგი ექნება მას.

უცხოური ენების ექსპერტის მოსაზრებით კი, წარმოდგენილი რუბრიკების კრიტერიუმები არის ცალსახა და არ იძლევა სხვადასხვანაირად ინტერპრეტირების საშუალებას. რუბრიკებში ბუნდოვანებას იწვევს კონკრეტულ კრიტერიუმზე მინიჭებული ქულათა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დიაპაზონი (0-1, 10-9. 8-7, 0-3 და ა.შ). მაგალითად, ზეპირმეტყველების შეფასების რუბრიკაში წარმოდგენილი კრიტერიუმს '' გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანმიმდევრულად ავითარებს მას'' მინიჭებული აქვს 0-1-2 ქულა და არაა გაწერილი, თუ როდის იწერება 0, როდის- 1 და რა შემთხვევაში იღებს მოსწავლე მაქსიმალურ 2 ქულას. ბუნდოვანია, რაზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს მასწავლებელმა კონკრეტულ მოსწავლეს ეკუთვნის 1 ქულა, თუ -2 ქულა. გარდა ამისა, წარმოდგენილი რუბრიკები არაა მორგებული კონკრეტულად უცხოურ ენებს და კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურებზე. იმისათვის, რომ შეფასების პროცესი იყოს სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური, საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა და გამუჯობესება ხსენებული ხარვეზის გათვალისწინებით, რადგან სკოლას აქვს რუბრიკების შემუშავებისა და გამოყენების გარკვეული გამოცდილება. **სახელმწიფო ენის ექსპერტის მტკიცებით კი,** ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის მიერ წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები უზრუნველყოფს სამართლიან, ობიექტურ, ვალიდურ და გამჭირვალე შეფასებას. ცალ- ცალკე და დეტალურადაა გაწერილი სხვადასხვა ტიპის წერილობითი ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. დაწყებით საფეხურზე ასევე მნიშვნელოვანია განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლის ამსახველი დოკუმენტები სკოლას ცალკეც აქვს წარმოდგენილი და კომპლექსურ დავალებებშიც, დანერგილია სოლოტაქსონომია. პედაგოგებმა ისიც აღნიშნეს, რომ ყოველთვის ცდილობენ ობიექტურ უკუკავშირს და გამოთქვეს მზაობა ეფექტიანად გამოიყენონ შეფასების ინსტრუმენტები ახალი სასწავლო წლისთვის. **ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ ქოუჩინგის პროცესში შეიქმნა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი, თუ რას და როგორ შეაფასებს მასწავლებელი, რაზე უნდა გაამახვილონ მოსწავლეებმა ყურადღება კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სკოლაში არსებობს პრაქტიკა,რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლაში ტრადიციულად ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. სადიაგნოსტიკო წერები(მაგ.მე-4 კლასში).საგნის მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრაზე. ასევე დირექცია ახდენს სკოლის საერთო შედეგების სტატისტიკურ ანალიზს სემესტრული შედეგების საფუძვლზე და ახორციელებს რეფლექსიას. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის აზრით,** ამ ეტაპზე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ძირითადად წარმოდგენილია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, პრაქტიკულად განხორციელებულ და წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დასახვეწია დაგეგმილსა და განხორციელებულს შორის შესაბამისობის დადგენის მექანიზმები, რასაც გეგმავენ მიმდინარე სასწავლო წელს. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის აზრით,** ამ ეტაპზე სკოლაში შეფასებების ვერიფიკაცია ხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ, 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელსაც დაევალება შეფასების ვერიფიკაცია ორი მიმართულებით: **1. კომპლექსური დავალების შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება და კონსტრუქციული უკუკავშირი**, **2. სკოლის დონეზე პროცესის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება შეფასების ინსტრუმენტებით**. ვერიფიკაცია დაფუძნებული იქნება შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაზე, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ინდიკატორი შეფასდა როგორც „შეესაბამება“ **სახელმწიფო ენის ექსპერტის მოსაზრებით კი,** სკოლას კარგად აქვს გააზრებული ვერიფიკაციის მექანიზმის მნიშვნელობა. წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლა ცხადყოფს, რომ ხდება შეფასების სისტემის ვერიფიკაცია, შიდა მონიტორინგის ინსტრუმენტად განიხილულია სკოლაში ჩატარებული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, სადიაგნოსტიკო წერები. როგორც მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. ამის მტკიცებულებად სკოლამ გვიჩვენა კათედრის ოქმები, სადაც აღნიშნული საკითხები დღის წესრიგშია წარმოდგენილი, ასევე , გაკვეთილზე დაკვირვების შედეგების ამსახველი პრეზენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტექნოლოგიების ექსპერტის მოსაზრებით, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და საგნობრივი ინტერვიუების პროცესში გამოიკვეთა, სკოლაში კონკრეტული მექანიზმი ვერიფიკაციისთვის არ აქვთ, მაგრამ არსებული შეფასების სისტემის ეფექტიანობის განსასაზღვრად იყენებენ შემაჯამებელი წერების ანალიზებს. მომავალი სასწავლო წლიდან სკოლა გეგმავს სადიაგნოსტიკო შეფასების შედეგად განახორციელოს სტატისტიკური ანალიზი და რეფლექსია. კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ინტერვიუების საფუძველზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

სკოლაში ფუნქციონირებს ელექტრონული ჟურნალი, ასევე ხორციელდება განმავითარებელ შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის/ მონაცემების/მტკიცებულებების აღრიცხვა და შენახვა, კანონით გათვალისწინებული ვადების ფარგლებში. სკოლაში ინახება მოსწავლის პირადი საქმეები,სადაც დამრიგებელს შეაქვს მოსწავლეთა შეფასებები განმავითარებელი კომენტარების სახით 1-4 კლასში და მე-5 - მე-6 კლასებში განმსაზღვრელი შეფასება შესაბამისი ქულებით. **მათემატიკის ექსპერტის ინფორმაციით,** სკოლა ახორციელებს შეფასებებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და სათანადოდ აღრიცხვას. კანონმდებლობის ფარგლებში-დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს. 2020-2021 სასწავლო წლამდე სკოლას ყველა წესის დაცვით ჰქონდა საშუალება მატერიალური ჟურნალის წარმოების, 2020-2021 სასწავლო წლიდან სკოლა წარმატებით ართმევს თავს ელექტრონული ჟურნალის წარმოებას. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დაარქივებულია და ინახება: ანბანური წიგნი, ატესტატების წიგნი, ბრძანების წიგნი, პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი და სხვ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ელექტრონულ ჟურნალში შეტანილია განმავითარებელი შეფასების კომენტარები და განმსაზღვრელი შეფასების ქულები მე-5 კლასის მე-2 სემესტრიდან. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- კათედრის ოქმები
- სასწავლო პროექტები
- ინდ სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- სტრატეგიული გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- შემაჯამებლები და მათი ანალიზი
- ცხოური ენების კურიკულუმები
- კოლის თვითშეფასების კითხვარი

სახელმწიფო ენა:

- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კათედრის ოქმები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, სკოლამ უნდა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავება და განხორციელება, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა. თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემებზე ორიენტირებული კომუნიკაცია და გაზიარებული პასუხისმგებლობა სასკოლო გარემოს პოზიტიურ მართვას უწყობს ხელს. სკოლის მისიასა და ხედვაში მთავარი ორიენტირი არის მოსწავლე.ა მასწავლებლები ცდილობენ მოსწავლეებს შეუქმნან მიმღებლობითი გარემო. საგნობრივი კათედრების წევრებს ხშირად აქვთ შეხვედრები, რომლებზედაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედ. კოლექტივსა და დირექციას შორის, იღებენ ბევრ საჭირო რჩევას და რეკომენდაციას. მზრუნველობითი დამოკიდებულება აქვთ ბავშვებთან, დადებითად ფასდება პედაგოგთა და მშობელთა თანამშრომლობა.

როგორც **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი აღნიშნავს,** მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა , რომ კათედრის მუშაობის პრიორიტეტებია: სასწავლო პროცესში თანამშრომლობა, საერთო პასუხისმგებლობის აღება, საერთო მიზნის მისაღწევად აქტივობების გამართვა. ამის ნათელი დადასტურებაა ურთიერთდასწრება და „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. **უცხოური ენების კათედრის** მასწავლებლებმა ინტერვიუსას განაცხადეს, რომ ცდილობენ, მოსწავლეებს შეუქმნან კომფორტული გარემო და დაეხმარონ მათ ამა თუ იმ სირთულის დაძლევაში. მაგალითად, თუკი რომელიმე მოსწავლე ვერ იგებს რაიმე საკითხს, უხსნიან თავიდან. თუ რომელიმე დავალება რთულია კონკრეტული მოსწავლისთვის, მაგალითად დასაწერი აქვთ წერილი და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლე ვერ ახერხებს დამოუკიდებლად დაწერას, აძლევენ შაბლონს, სადაც გამოყოფილია ის ადგილები, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეცვალოს თავისი სიტუაციიდან გამომდინარე და ა.შ. გარდა ამისა, იმისათვის, რომ კარგად გაართვან თავი კომპლექსურ დავალებებს, ჯერ აჩვენებენ ნიმუშებს (იქნება ეს სახელმძღვანელოში მოცემული ნიმუში თუ სხვა დამატებითი სახით) და შემდეგ სთხოვენ მისეული ვერსიის შექმნას. დახმარებას უწევენ როგორც სსმ მოსწავლეებს ისე, ტიპური განვითარების მოსწავლეებსაც. თვითშეფასების კითხვარში ნახსენებია, რომ **მასწვლებლები** სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე საჭიროებების შესაბამისად. **სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით,** სკოლას აქვს მოსწავლეთა და მასწავლებელთა ბარათები, რათა ხელი შეუწყოს მათ საჭიროებებსა და ინტერესებს. ასევე, ფუნქიონირებს ,,მოსწავლეთა მხარდამჭერი პროგრამა- რემედიაცია", რომელიც სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა და რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის აზრით, სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; სკოლა ზრუნავს, ხელი შეუწყოს მოსწავლის, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ჩართულობას და თვითრეალიზებას (პროექტები/სოციალური/სასწავლო/ინტეგრირებული აქტივობები). სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები,რასაც ადასტურებს როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუ, ასევე- წარმოდგენილი დოკუმენტაცია. **ესთეტიკური აღზრდის კათედრაზეც** სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებლად. სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭიროებები. იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, რაზეც ინტერვიუს დროსაც ისაუბრეს მასწავლებლებმა. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დიფერენცირებული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიდგომების გამოყენება, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მუდმივი მონიტორინგი. სკოლას გათვალისწინებული აქვს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარება, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომელთა ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის დაგეგმვა თითოეული მოსწავლის საჭიროების მაქსიმალურად გათვალისწინებით. სკოლა ასევე გეგმავს, **მათემატიკის** საგნობრივი მიმართულებებით განახორციელოს სასწავლო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებელთა ინტერვიუების გაანალიზების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ **კომპიუტერული ტექნოლოგიების** მიმართულებით და ასევე, კომპიუტერული ტექნოლოგების ჩართულობით ხორციელდება მრავალფეროვანი აქტივობები; **სტემ პროექტები, ჰაკათონები; სახელმწიფო ენის ექპერტის აზრითაც,** სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეზე, სკოლა ყველაფერს აკეთებს მის ხელშესაწყობად. ტარდება სადამრიგებლო საათები , წახალისებულია მოსწავლეთა აქტივობები და მათი წარმატება გაზიარებულია სკოლის მიერ. პედაგოგები ზრუნავენ მოსწავლეთა საჭიროებების დადგენაზე. ამის მაგალითია დაწყებით საფეხურზე ჩატარებული კვლევები, რომლებიც ეფუძნება გაკვეთილებზე დაკვირვებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის აზრით, დაწყებით საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში განხორციელებული სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, კონფერენციები, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; **ესთეტიკური აღზრდის** კათედრაზე მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღინიშნეს , რომ თანამშრომლობითი კულტურა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს. ასევე აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო წლის კურიკულუმს, ერთად არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება.

სახელმწიფო ენის ექსპერტის აზრით, კი სასწავლო პროცესი თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. ეს კარგად ჩანს როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში, ისე - მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას. ისინი გუნდურად გეგმავენ და ახორციელებენ სხვადასხვა სასწავლო და შემეცნებით აქტივობას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუავშირს, მჭიდროდ ურთიერთობენ მშობლებთან. ამ მიზნით შემუშავებული აქვთ ,,მშობელთან ურთიერთობის სტრატეგია", რომელიც დოკუმენტად აქვთ გაწერილი და წარმოდგენილი, რაც ადასტურებს ამ მიმართულებით მუშაობის ეფექტიანობას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზეც** კოლეგები თანამშრომლობენ გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და მოსაზრებებს, ესწრებიან და განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს. როგორც სკოლის თვითშეფასების კითხვარიდან ირკვევა და პედაგოგებმა ინტერვიუს დროსაც აღნიშნეს, ისინი იყენებენ "კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტს, თვითშფასების ინსტრუმენტებს შორის ყველაზე ხშირად მიმართავენ რეფლექსიის ზეპირ ან წერილობით ფორმას, გაკვეთილის შემდგომ აკეთებენ ჩანაწერებს, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, ისწავლონ ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. მასწავლებლებთან და დირექტორთან პირისპირ გასაუბრება, განხორციელებული და წარმოდგენილი სასკოლო აქტივობები, პროექტები ადასტურებს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობას, თანამშრომლობით კულტურას სასკოლო საზოგადოებს წევრებს შორის. საკლასო რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, რომელიც აძლევს მოსწავლეებს საშუალებას, ისაუბრონ პირად საკითხებსა და საკუთარ პრობლემებზე. მათ შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს დირექტორს ან სხვა მასწავლებელს, რომლებიც ყოველთვის გულისყურით მოუსმენენ და დაეხმარებიან. აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარებს სხვადასხვა ფორმით: დისკუსია, სასწავლო ექსკურია, როლური თამაში, გამოფენა, კონკურსი.

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით, სკოლას აქვს მზაობა იმისა,რომ ერთობლივად დაგეგმონ გაკვეთილები, ერთმანეთს გაუზიარონ გამოცდილება, დაესწრონ ერთმანეთის გაკვეთილებს და გასცენ პოზიტიური უკუკავშირი. სკოლაში შემუშავებულია კონფლიქტების მართვის და ძალადობის პრევენციის სისტემები, შესაბამისი რეგულაციებითა და პრაქტიკით (მაგ: კლასში ქცევის წესები და პროცედურები. პრევენციის სახით წახალისების სხვადასხვა ფორმები და სტრატეგიები). **სახელმწიფო ენის ექსპერტის აზრითაც,** პოზიტიური კლიმატის არსებობა იგრძნობა როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. მოსწავლეები და მასწავლებლები ერთობლივად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და სხვადასხვა ღონისძიებებით ცდილობენ, შექმნან სასიამოვნო გარემო. ამის დასტურია მრავალფეროვანი აქტივობების ამსახველი ფოტომასალა, რომელიც სკოლამ წარმოადგინა. პოზიტიური გარემოს შექმნას ემსახურება მოსწავლეთა მხარდამჭერი -სარემედიაციო- პაკეტის შემუშავება, მშობლებთან მჭიდრო კომუნიკაცია მათი რჩევების გათვალისწინების მიზნით. ისეთი კომპლექსური დავალებების შეთავაზება, რომლებიც ემპათიის უნარ-ჩვევების გამომუშავებასა და სიკეთის კეთების სურვილს უღვივებს მოსწავლეებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სადამრიგებლო პროგრამები
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- სასწავლო პროექტები და რეფლექსია
- საგნობრივი კურიკულუმი
- ინდ სასწავლო გეგმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კლასის სადამრიგებლო საათი და სამოქმედო გეგმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსწავლეთა შესრულებული ნამუშევრები
- უცხოური ენების კურიკულუმები.
- თვითშეფასების კითხვარი

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში ჩანს სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება. მონტორინგის მიზანია, გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. სკოლას აქვს მზაობა, სკოლის ადმინისტრაციამ და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კათედრებმა პერიოდულად მოახდინონ მონიტორინგი და შეფასება . სკოლა სამომავლოდ გეგმავს მონიტორინგისა და შეფასების ეფექტური მექანიზმის შექმნას. **რ**ოგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. დაწყებით საფეხურზე მასწავლებელთა შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. **საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტის აზრით,** არსებობს კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით შექნილი რეფლექსიები და თვითრეფლექსიები. **უცხოური ენების ექსპერტის ინფორმაციით,** 2023-2024 წლისთვის კი იგეგმება სასკოლო წერების ტრადიციის შემოღება, რომლის მიზანიც იქნება სასკოლო დონეზე კურიკულუმების შუალედური და წლიური შეფასება. იგეგმება შეფასების ჯგუფის ფორმირება, რომლის ფუნქცია-მოვალეობაც მონიტორინგის წარმოება. რადგან სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება და ასევე, მზაობას აცხადებს ამ მიმართულებით მუშაობის გაუმჯობესებაზე, **ქართული ენისა და ლიტერატურის** დაწყებით საფეხურზე სკოლა მიმართავს კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამის მონიტორინგსა და შეფასებას. დოკუმენტად წარმოდგენილ ,,კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიაში" კარგადაა დაგეგმილი და დეტალურდაა გაწერილი აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებული პროცესი. ამის დასტურია, ასევე, ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის ოქმები. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის ინფორმაციით,** სკოლამ მის მიერ წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტში გამოთქვა მზაობა, რომ შექმნილი სამუშაო ჯგუფი კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების განხორციელების მექანიზმებსაც შეიმუშავებს, რომლითაც გაიზომება კურიკულუმის განხორციელების პროცესი. 2023-24 წლისათვის სკოლას არჩეული აქვს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგს, რამდენად ხარისხიანად მიმდინარეობს დაგეგმილი აქტივობების შედეგად მიღწეული მიზანი . იგეგმება სასკოლო წერების შემოღება შუალედური და წლიური შეფასებისთვის (თვითშეფასების დოკუმენტი). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

ესთეტიკური აღზრდის კათედრაზე მასწავლებლებმა განაცხადეს, რომ მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას . გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კვლავ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების პირველი მოდელი იქნა შერჩეული. ამ ეტაპისათვის მონიტორინგს კათედრის წევრები ახორციელებენ, ესწრებიან ერთმანეთს საგაკვეთილო პროცესში, აფასებენ, აჯამებენ და გეგმავენ შემდეგ ნაბიჯებს პროცესის უკეთ შეფასებისათვის.

სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება **საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში** კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. **მათემატიკის კათედრაზეც** ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ესწრებიან სკოლის პედაგოგებს გაკვეთილებზე, სკოლაში დანერგილია ე.წ. კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა, რომლის ფარგლებში კოლეგები აკვირდებიან სასწავლო პროცესებს სხვადასხვა მიმართულებით. ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები პედაგოგებს ჩატარებული გაკვეთილის ფარგლებში აძლევენ უკუკავშირებსა და რეკომენდაციებს გამოკვეთილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების განვითარებას და აღიქმება პოზიტიურ მოვლენად. **ტექნოლოგიების ექსპერტის ინფორმაციით,** მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ მონიტორინგი და შეფასება საჭიროა მიღწევებისა და არსებული გამოწვევების გამოსაკვეთად, რათა ამის შემდგომ პროცესები იმგვარად დაიგეგმოს, რომ შესაძლებელი იყოს ეფექტიანი პრაქტიკის გათვალისწინება და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. ამ პროცესებში მნიშვნელოვანია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის ჩართულობა, რაც უნდა უზრუნველყოს სკოლამ. **დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში**, პედსაბჭოზე წარადგენს მოსწავლეთა შედეგების სტატისტიკურ ანალიზს. დაწყებითი საფეხურის **ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები** მზაობას გამოთქვამენ აღნიშნული პროცესის მხარდასაჭერად. **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ცნობით,** საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის დაწყებითი საფეხურის პედაგოგების მიერ გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ სკოლა ახორციელებს მონიტორინგსა და შეფასებას, პედაგოგები იღებენ უკუკავშირს; ასევე მათი მხრიდან გამოითქვა მზაობა, რომ მონიტორინგისა და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან ერთ-ერთ საჭიროებად აღიქვან, შესაბამისად მათ მიეცათ რჩევა: სკოლაში მონიტორინგისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასების მეთოდოლოგია ჩამოყალიბდეს იმგვარად, რომ სკოლის მენეჯმენტის გუნდს მიეცეს საშუალება, გამოიყენოს წარსული გამოცდილება და გააუმჯობესოს სასკოლო საზოგადოების ჩართულობა. გამოიკვეთოს მიღწევები - ამოქმედდეს ისეთი მექანიზმები, რომლებითაც იდენტიფიცირებული იქნება ის სფერო, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მასწავლებლებსაც და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებსაც მიეცემათ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით შესაძლებლობა ექნებათ დაგეგმონ სწავლის პროცესი, რათა მათ შეძლონ შეაფასონ საკუთარი მუშაობის პროცესი და მოძებნონ გამოსავალი გამოწვევებზე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კატედრის მასწავლებლებთან პირისპირ საუბრისას გამოიკვეთა, რომ, მათი აზრით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარიდან. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრთა მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს, დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის ჯგუფის მიერ მიწოდებულ უკუკავშირებს, განმავითარებელი შეფასების კომენტარებს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. **უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** სკოლის თვითშეფასების კითხვარში ნახსენებია, რომ სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა გულისხმობს მოსწავლეების პროგრესის უზრუნველყოფას საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. ამ მიმართულებით სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დიაგნოსტიკური შეფასება, სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა დიაგნოსტიკური კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეების გამოსავლენად სკოლაში ჩატარდა დიაგნოსტიკური წერები, რომელთა საშუალებით განისაზღვრება კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები . მათი თქმით, მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის აზრითაც, სკოლა ცდილობს, დახვეწოს და განავითაროს კურიკულუმები და შეფასების ინსტრუმენტები სუსტი მხარეების გამოვლენით და მათი გაუმჯობესების გზით, რადგან მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემათა გადაჭრის საუკეთესო საშუალებას. **ქართული ენისა და ლიტერატური** დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები კარგად იაზრებენ ამის აუცილებლობას და პროცესის მხარდასაჭერად გამოთქვამენ მზაობას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე კი** მასწავლებლები მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან ერთად ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც მათ ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. სკოლაში ჩატარდა დიაგნოსტიკური წერები, რომლებმაც გამოავლინა ძლიერი და სუსტი მხარეები (თვითშეფასების კითხვარი). საზოგადოებრივი მეცნიერებების დაწყებითი საფეხური პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ მომავალი სასწავლო წლიდან უფრო დახვეწენ მონიტორინგისა და შეფასების სისტემას, რადგანაც ის უნდა განსაზღვრავდეს პრობლემის გადაჭრის გზას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი
- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის განხორციელების რეფლექსია
- ერთლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა
- 7 წლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- კურიკულუმები
- კომპლექსური დავლების რეფლექსია
- მოსწავლეთა მხარდაჭერის დოკუმენტი
- ,,მშობელთან ურთიერთობის სტრატეგია“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და მასწავლებლებთან გასაუბრების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს, რაც გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით(მაგ.მოსწავლეზე დაკვირვება, მასწავლებლის, უკუკავშირი და სხვა..) მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება მრავალფეროვანი წყაროებიდან(მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი). მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ დაწყებითების კათედრაზე მოსწავლეთა შეფასება ხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის ინფორმაციით, სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე -სასკოლო დონეზე , რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. **საბუნებისმეტყველო კათედრა**ზე აპრობირებული პრაქტიკაა შეფასებისას მონაცემების შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების გამოყენება, შემაჯამებელი დავალებები, მასწავლებლების ანგარიშები, გამოყენებული დიაგნოსტიკური განმავითარებელი შეფასებები, მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, უკუკავშირები და შესასვლელ-გასასვლელი ბილეთები. მათი განხილვა-ანალიზით გროვდება ინფორმაცია თითოეული მოსწავლის თავისებურებების და საჭიროების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია შეფასების დროს. **სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით,** სასწავლო პროცესის შეფასება დაწყებით საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. სკოლამ წარმოადგინა განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები წერილობითი და ზეპირი ნამუშევრების შეფასებებთან დაკავშირებით როგორც ჰოლისტური, ისე კონკრეტულ თემასთან მიმართებაში (მე-6 კლასი). გაირკვა , რომ მათ იყენებენ მე-5 კლასის მეორე სემესტრიდან. აგრეთვე, აქვთ განმავითარებელი შეფასებების გამოყენების გამოცდილება, წარმოდგენილია რუბრიკები სოლოტაქსონომიაზე დაყრდნობით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით, დაწყებითი საფეხურის მიერ წარმოდგენილი შეფასების რუბრიკებიდან, გასაუბრებიდან, განხორციელებული კომპლექსური დავალებიდან ჩანს, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებთ. იმავეს ამტკიცებს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტიც, რომლის ინფორმაციითაც** კათედრაზე შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, როგორც მოსწავლის შესაძლებლობების, ასევე მათი ოჯახური და ჯანმრთელობის მდგომარეობით. სკოლა წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ შეფასება გამოიყენება არამარტო მოსწავლეების აკადემიური მიღწევების დასადგენად, არამედ მათი სუსტი და ძლიერი მხარის გამოსავლენად. ინფორმაციის შეგროვებისას მასწავლებლები ეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, თანაკლასელთა გარემოს, სოციალურ მდგომარეობას და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. კლასის დონეზე ხდება შემაჯამებელი დავალებების რაოდენობრივი ანალიზი, მოსწავლეები გარდა საკლასო-საშინაო აქტივობებისა, ფასდებიან კვლევით აქტივობებში, პროექტებზე და სხვა კლასგარეშე ღონისძიებებში მიღებული მონაწილეობის საფუძველზე.

უცხოური ენების კათედრის მასწავლებლები ცდილობენ, შეფასება მოხდეს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, ისინი აფასებენ არა მხოლოდ კონკრეტულ დავალებას, არამედ ამ დავალებაზე მუშაობის პროცესს, რაშიც მოიაზრებენ- რა გააკეთა მოსწავლემ გაკვეთილზე, სახლში რა დრო დაუთმო დავალებაზე მუშაობას და რისი მოტანა შეძლო გაკვეთილისთვის, როგორ გაართვა თავი დამოუკიდებელ სამუშაოს და ა.შ. **საგნობრივი ექსპერტის ტექნოლოგიების** მასწავლებლებთან ინტერვიუებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას მასწავლებლები ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც, მაგალითად, ეს შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, მათი ძლიერი თუ სუსტი მხარეები და ა.შ. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დამრიგებლების საშუალებით. **სახელმწიფო ენის** მასწავლებელები სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს, რომლებიც წარმოდგენილია სკოლის სასწავლო გეგმაში. 2022-2023 სასწავლო წლის განმავლობაში განმავითარებელი შეფასება სოლოტაქსონომიით ხდებოდა. ასევე გაკვეთილზე გაიცემოდა, კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის დროს, განმავითარებელი ზეპირი სიტყვიერი შეფასებები. **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ცნობით,** მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას ახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს სასკოლო თუ არასასკოლო გარემო: სასკოლო/ სასწავლო ექსკურსიები, შემეცნებითი გასვლები, სხვადასხვა წრეებში ჩართულობა და სხვა, რადგან მოსწავლეთა შესწავლა სხვადასხვა კონტექსტში აუცილებელია სრულყოფილი შეფასებისათვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

დაწყებითების კათედრის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით და ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, მასწავლებლები ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს (ტესტირება, დიაგნოსტიკური წერა, ექსპერიმენტი, კომპლექსური დავალებები, საკლასო და საშინაო დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, ოლიმპიადები და სხვა), რაც თავის მხრივ მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. გარდა ამისა, კომპლექსური დავალებები შეფასების სხვადასხვა, მრავალფეროვანი ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობას იძლევა. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების , ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ცნობით,** კათედრა შეფასებისას მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, შემაჯამებელი დავალები, მასწავლებლების ანგარიშები, გამოყენებული დიაგნოსტიკური განმავითარებელი შეფასებები, მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, უკუკავშირები და შესასვლელ-გასასვლელი ბილეთები. მათი განხილვით/ანალიზით გროვდება ინფორმაცია თითოეული მოსწავლის თავისებურებების და საჭიროების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია შეფასების დროს. **ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** მასწავლებელთა ინტერვიურების დროს გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება მრავამხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილია თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და ამის სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. საგაკვეთილო პროცესების დროს ყურადღება მახვილდება მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებაზე და შეფასების სისტემაც, შეფასების რუბრიკების სახით, ამის გათვალისწინებითაა შექმნილი. **სახელმწიფო ენის ექსპერტის აზრითაც,** სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ საჭიროებათა კვლევები მონაცემთა შეგროვების მიზნით. გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის ყველაზე ტიპური და გამოყენებადი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საგანმანათლებლო სფეროში : მშობელთა გამოკითხვა, ინტერვიუ, ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი, ასევე ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესისას იყენებენ თვისებრივ და რაოდენობრივ დაკვირვებას, ტესტირებას და ა.შ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ამ მიმართულებით მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.**

მათემატიკის ექსპერტის აზრით, სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. შეფასება ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით.

ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით, მასწავლებლები ახდენენ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, შეფასებისას ითვალისწინებენ გარე ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე (გამოცდილება, ემოციური მდგომარეობა, ინტელექტი, ჯანმრთელობა და სხვა). **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის მოსაზრებით,** მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით საბუნებისმეტყველო კათედრა ითვალისწინებს და მომავალშიც გაითვალისწინებს სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს; ისეთებს, როგორებიცაა სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, ხელისშემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობები, წინარე ცოდნა და სასკოლო მზაობა, რომელიც ეფუძნება ესგ სასწავლო მიზნებს. **ტექნოლოგიების ექსპერტის ცნობით,** კომპიუტერული ტექნოლოგიების მასწავლებელები შეფასებისას იყენებენ სხვადასხვა ტიპის რუბრიკებს, ქოუჩინგის პროცესშიც შექმნეს და წარმოადგინეს რუბრიკის ნიმუშები. ისინი გეგმავენ შეფასების რუბრიკების წარმოდგენასა და განვითარებას ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების გათვალისწინებით მომავალი სასწავლო წლისთვის, ასევე გეგმავენ დიაგნოსტიკური შეფასების წარმოებას. კომპიუტერული ტექნოლოგიების საგნობრივი კათედრა შეფასებისას ეყრდნობა როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებს, ინდივიდუალურ საჭიროებებსა და სოციალურ ფაქტორებს. **საზოგადოებივი მეცნიერებების** კათედრის დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე პედაგოგები შეფასებას ახორციელებენ სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით და ითვალისწინებენ კლასის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს. მასწავლებლები შეფასებისას იყენებენ მულტიფაქტორული მიდგომას, რაც გულისხმობს მოსწავლის დიფერენცირებული პროფილის შემუშავებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის ჩარჩო
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი
- ბრძანება სკოლის კურიკულუმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლას გაწერილი აქვს კურიკულუმის განვითარების ეტაპები, ასევე აქვთ მზაობა, შექმნან მონიტორინგისა და შეფასების ინსტრუმენტები, შეფასების ვერიფიკაციის ფორმები და ა. შ . **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის აზრით,** სკოლამ წარმოადგინა თავისი გამოცდილება, რომლის მიხედვითაც კათედრის ხელმძღვანელები სასწავლო წლის განმავლობაში 2-ჯერ სკოლის ადმინისტრაციას წარუდგენენ სრულ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი და შესრულებული აქტივობების შესახებ, როგორებიცაა ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები, შიდა დაკვირვების გაკვეთილები კათედრის მიერ მომზადებული უკუკავშირებით; კათედრაზე ჩატარებული სამუშაო და რეფლექსური შეხვედრები; მასწავლებლების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები ; დაგეგმილი და ჩატარებული დიაგნოსტიკური წერები; კათედრის წევრების მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესი- კომპლექსური დავალებების შექმნაზე; კათედრები აჯამებენ საქმიანობას და აფასებენ ჯგუფის ძლიერ და სუსტ მხარეებს , გეგმავენ ინტერვენციებს , რომელთაც ითვალისწინებენ შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისას. ბუნებრივია, ეს პროცესი ვერ იქნება კურიკულუმის რევიზიის ტოლფასი , თუმცა კათედრების ანგარიშები მნიშვნელოვანი მიმართულებაა მონიტორინგში. სკოლის დირექცია ცდილობს, გააერთიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, განსაზღვრავს პრიორიტეტებს და შეიმუშავებს სარეკომენდაციო პაკეტს მომავალი სასწავლო წლისათვის. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრაზე** შექმნილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი 2023-24 სასწავლო წლისათვის, სადაც ახლად შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე, კურიკულუმის ჩარჩოზე დაყრდნობით, ახალ სამიზნე ცნებებზე მისაღწევი შედეგებით შექმნილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმი. შუალედური მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები და პროექტები. **სახელმწიფო ენის ექსპერტის აზრითაც,** სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი, რომელშიც გაწერილია ვადები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარების ეტაპების შესაბამისად. პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, როგორ უნდა განხორციელდეს პროცესი, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობა, ვერიფიკაცია, გადანაწილებული აქვთ პასუხისმგებლობები და გამოთქვამენ მზაობას, ხელი შეუწყონ აღნიშნული მექანიზმის განხორციელების პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომ კათედრის წევრებმა იმუშავეს გასული წლის შედეგებზე და მომავალი წლის სასკოლო კურიკულუმი სწორედ გასული წლის შედეგების გაანალიზებით დაიგეგმა. თვითშეფასების ფორმიდან ჩანს, რომ სკოლა აგრძელებს ამ მიმართულებით მუშაობას და სამომავლოდ დახვეწს აღნიშნულ მექანიზმს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის ინფორმაციითაც,** კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება სასწავლო პროცესში მიღებულ წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. **უცხოური ენების ექსპერტის ცნობით,** თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, კურიკულუმის რევიზიის შედეგების ანალიზი ხდება ორი მიმართულებით: რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა პროცესს და რა ფაქტორები უწყობდა ხელს. მონაცემები გროვდება სხვადასხვა მიმართულებით ; ყველა საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს : სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის სასწავლო გეგმის შესამუშავებლად. სკოლას გააჩნია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განსაზღვრის და შესაბამისად სარეკომენდაციო პაკეტის მომზადების გამოცდილება. 2023-2024 სასწავლო წელს კი ამოქმედდება პროცესის შეფასების და მონიტორინგის შეთანხმებული ფორმა. შეფასდება სასწავლო პრაქტიკის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები, მომზადდება სარეკომენდაციო პაკეტები და შეიტანენ ცვლილებებს კურიკულუმში . 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები კი შემუშავებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული მნიშვნელოვანი სარეკომენდაციო პაკეტების მიხედვით კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩო/ მისი ელემენტებით და შეფასების ინსტრუმენტებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის** დაწყებითი საფეხურის მასწავლებლებს წარმოდგენილი აქვთ საგნობრივი კურიკულუმები ("მე და საზოგადოება", "ჩვენი საქართველო"), კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში " სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და განვითარების მეთოდოლოგია". კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება - კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება, მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- განხორციეელებული კურიკულუმის რეფლექსია
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი

შეფასება:

☒ **შეესაბამება**
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო კურიკულუმი (საბაზოსაფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

საბაზო საფეხური

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ადგილზე ვიზიტით დადასტურდა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მთლიანობაში გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის წარმართვას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები, სკოლის შინაგანაწესი, საგნობრივი კათედრების ფუნქციები) შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ საბაზო საფეხურზე , მაგალითად, **საბუნებისმეტყველო საგნების** კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის პროექტი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მათ გაითვალისწინეს წინა წლების გამოცდილება. **საბაზო საფეხურის** კათედრაზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები, ჩატარებული კომპლექსური დავალებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია. **ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის ცნობით, სკოლის მიერ წარმოდგენილ** მეთოდოლოგიაში აღწერილია პრინციპები, რომელსაც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესი, კურიკულუმის განვითარების ეტაპებზე გასახორციელებელი აქტივობები; ჩანს, როგორ ხდება ფუნქციების, პასუხისმგებლობების განაწილება სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. კურიკულუმები მუშავდება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, ხოლო ახლდება - წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ, დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. **მათემატიკის ექსპერტიც საუბრობს სკოლის მიერ წარმოდგენილ** ,,კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაზე" და აღნიშნავს, რომ დოკუმენტის მიხედვით სკოლა საკუთარი პრიორიტეტების, მოსწავლეთა საჭიროებების, ადგილობრივი სასკოლო თემის მოლოდინებისა და სკოლისთვის ხელმისაწვდომი რესურსების გათვალისწინებით შეიმუშავებს სასკოლო კურიკულუმს. სკოლამ 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმების შედგენა დაიწყო აღნიშნული მეთოდოლოგიის საფუძველზე , თუმცა როგორც „ახალი სკოლის მოდელში ჩართულ სკოლას", ჰქონდა მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მიხედვით კურიკულუმის შემუშავების მნიშვნელოვანი გამოცდილებაც. კურიკულუმის ჩარჩოს შემუშავებაში ჩართული იყო კათედრის თითოეული პედაგოგი; შუალედური სასწავლო მიზნების შერჩევა/ ჩამოყალიბება მოხდა წინარე გამოცდილების გათვალისწინებით. 2022-2023 სასწავლო წელს განხორციელებული დავალებების რეფლექსიებმა გამოკვეთა ძლიერი მხარეები, შეფასდა მოსწავლეთა ჩართულობა პროცესში, თუ რამდენად საინტერესო აღმოჩნდა მათთვის კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესი და ამ გამოცდილებაზე დაყრდნობით შეიტანეს იგივე კომპლექსური დავალებები ახალი სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოში. მაგალითად ახალ სასწავლო წელს ისევ აირჩიეს და შეიტანეს კურიკულუმში შემდეგი საინტერესო კომპლექსური დავალებები: „კუთხით გასროლილი სხეულის მოძრაობის აღწერა"; „სკოლის შენობის სიმაღლის დადგენა" და სხვა.

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურზე კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ინტერესებსა და პრიორიტეტულ საკითხებს. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ საბაზო კლასების პედაგოგები მჭიდროდ თანამშრომლობენ როგორც ერთმანეთთან, ისე -სხვა საგნების მასწავლებლებთან სამივე საფეხურზე. კათედრის წევრებს შორის,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათი შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ნაწილდება ფუნქციები , რაც მიზნად ისახავს კურიკულუმის შემუშავებისას ყველას ჩართულობას , მათი შეხედულებების გათვალისწინებას , კათედრებს შორის თამშრომლობით ურთიერთობას. აგრეთვე, კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება - კომპლექსური დავალებების იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა გვიჩვენებს შუალედურ მიზნებს, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით მუშავდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს. **უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით, მ**ასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ ისინი აანალიზებენ მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ძლიერ და სუსტ მხარეებს და აღნიშნული ანალიზის სფუძველზე გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის საქმიანობას. მაგალითად, რა ცვლილებებია საჭირო თემატურ მატრიცებში, კომპლექსურ დავალებებში, როგორ გააუმჯობესონ მოსწავლეებში საუბრის უნარ-ჩვევები და ა.შ. ისინი ასევე ცდილობენ გათვალისწინებული იყოს მოსწავლეებისა და მშობლების აზრიც. მაგალითად, თუ მოსწავლეებს აქვთ რაიმე განსხვავებული იდეა რომელიმე კომპლექსური დავალების პირობასთან დაკავშირებით და ეს იდეა არის რელევანტური. ისინი ითვალისწინებენ მათ ინტერესს და საშუალებას აძლევენ, გააკეთონ არჩევანი ან ცვლიან იმ ვერსიით, რომელიც მოსწავლეებისათვის იყო სასურველი. სკოლის საქმიანობის გაანალიზებაზეა საუბარი სკოლის შვიდწლიან სტრატეგიულ დოკუმენტშიც, რომლის მიხედვით სკოლა იყენებს SWOT -ანალიზს, რაც მათ ეხმარება სკოლის შიდა და გარე ფაქტორების ანალიზში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით ჩანს ყოველ კლასში სავალდებულო თემების რომელი საკითხები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებია გამოკვეთილი. სავალდებულო თემების, საკითხებისა და შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზით შეიძლება დავადასტუროთ, რომ სასწავლო კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს, ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და პრიორიტეტები , რაც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დადგინდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, კერძოდ, მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით. სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში მშობელთა მეტი ჩართულობის და მათი ინტერესების უზრუნველსაყოფად სკოლაში არსებობს „მშობელთა სათათბირო". სკოლა აღნიშნავს, რომ მაქსიმალურად მეტი მშობლის ჩასართავად მომავალში გამოიყენებენ კითხვარებს, ანკეტირებას, ინტერვიურებას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის აზრით,** სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში (ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების წევრები სხვადასხვა ფორმით იღებდნენ მონაწილეობას. მაგ: მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინება. დანერგვის პროცესში კომპლექსური დავალების შესრულებიდან გაანალიზდა ის პრიორიტეტული მიმართულებები , რომელთაც მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი, ასევე -გამოწვევები. ასევე დაკვირვებისა და კითხვების საშუალებითაც ადგენენ მოსწავლეთა ინტერესს. კომპლექსური დავალების ბარათების აცნობენ მშობლებს. ისგ-ს შედგენისას ჩართულია სპეცმასწავლებელი და მშობელი. **უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** უცხოური ენების კათედრა ცდილობს, მოსწავლეების მოსაზრეებების გათვალისწინებას სასწავლი პროცესში კომპლექსურებთან მიმართებით. გარდა ამისა, ისინი ცდილობენ კონკრეტული აქტივობების მათზე მორგებას ასაკისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით. კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და კომპლექსურები შეესაბამება მოსწავლეთა ასაკსა და კავშირშია მათ ყოველდღიურობასთან. ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან და კურიკულუმების შედგენისას ითვალისწინებენ ერთმანეთის მოსაზრებესა და პრაქტიკას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე მაგალითად, **ბუნებისმეტყველების** საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. კათედრაზე შეხვედრების დროს , კურიკულუმზე მუშაობისას, მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შერჩეული კომპლექსური დავალებების შესახებ ხდება მშობლების ინფორმირება, უგზავნიან მათ ბარათებს და იღებენ მშობელთა უკუკავშირებს. **ესთეტიკური აღზრდის კათედრის** მასწავლებლები იყენებენ OneDrive-ს საგნობრივი ჯგუფის რესურსებისათვის, ბლოგებს, შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის. აქ მშობლებს და მოსწავლეებს ეგზავნებათ მშობლის ბარათი, კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა. მომავალი სასწავლო წლისათვის ფიქრობენ კიდევ უფრო მეტად ჩართონ სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შექმნაში.

მათემატიკის საგნობრივი ექსპერტისათვის აღსანიშნავია , რომ სკოლაში პარალელური კლასების მასწავლებლები ერთად განსაზღვრავენ შუალედურ სასწავლო მიზნებს და მუშაობენ ერთსა და იმავე კომპლექსურ დავალებაზე; შექმნილი და განხორციელებული თემატური მატრიცის შესახებ გამოცდილებას აზიარებენ ჯგუფებში, კათედრაზე. **სახელმწიფო ენის ექსპერტისათვის მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ** სკოლას ცალკე დოკუმანტად აქვს შემუშვებული ,,მშობელთან ურთიერთობის სტრატეგია", რაც იმის დასტურია, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასკოლო საზოგადოების მთლიანობასა და თანამშრომლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

საბაზო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების შესახებ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ მშობელთა საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექანიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. შექმნილი კურიკულუმები ხელმისაწვდომი და საჯაროა სკოლის საზოგადოებისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგოგიური საბჭოს სხდომაზე. ინტერვიუს დროს გამოიკვთა, რომ წლის დასაწყისში მასწავლებლები მშობლებს უზიარებენ კომპლექსური დავალების ბარათებს. მასწავლებლები სამუშაო შეხვედრაზე ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებას და გამოწვევებს, განიხილავენ წარმატებული გაკვეთილის მახასიათებლებს, ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს და აკვირდებიან, თუ როგორ მუშაობს ერთი და იგივე მეთოდი სხვადასხვა კლასში. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით,** საგნობრივი კურიკულუმისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისი მხარდამჭერი დოკუმენტების (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ.) გაზიარება ხდება პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ყოველივე განიხილება კათედრებზე, პედაგოგებს შორის, ხოლო საზოგადოებისათვის ტექნიკური გაზიარება ხდება თიმსისა და ვანდრაივის პლატფორმაზე, ასევე სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024.
- კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.
- კათედრის ოქმები
- მშობელთა კრების ოქმი

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;**

საბაზო საფეხურის კურიკულუმები, **სახელმწიფო ენის ექსპერტის მოსაზრებით,** სკოლამ ყველა კლასის მიხედვით წარმოადგინა. მოცემული ჩარჩო- დოკუმენტები სრულყოფილად წარმოაჩენს ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პროცესს . დოკუმენტაციაში კარგად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, სკოლას ასევე ნაჩვენები აქვს შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად და ის ძირითადი რესურსები, რომელთა დახმარებითაც გეგმავენ შედეგზე გასვლას. ნათელია, რომ სისტემატური უკუკავშირი აქვთ მოსწავლეებთან, რაც ეხმარებათ მათი ინტერესების გათვალისწინებაში. ვინაიდან სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა , შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და მის განვითარებას ახალი სასწავლო წლისთვის. **მათემატიკის ექსპერტის მოსაზრებითაც, საგანში სკოლის მიერ წარმოდგენილი** კომპლექსური დავალებები, რომელიც თავისი ბუნებით ფარავს ყველა ტიპის დამსწავლელის მოთხოვნებს, იძლევა არჩევანის შესაძლებლობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით, სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით, იქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. **უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით, ამ საგანში** შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, სამივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, ინგლისური ენის მე-7 კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების თანახმად, მოსწავლეებმა უნდა დაწერონ ბლოგპოსტი საკუთარი სამყაროს შესახებ. იმავე კლასის კურიკულუმის მეორე კომპლექსური დავალების ფარგლებში მათ უნდა **დაწერონ სტატია** ქუჩაში მომხდარი რაიმე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემთხვევის შესახებ. ორივე დავალების შემთხვევაში ისინი თავად წყვეტენ, რა ინფორმაცია გამოიტანონ და როგორ წარადგინონ პრეზენტაციები. მსგავსადაა აგებული საბაზო საფეხურის სხვა კურიკულუმებიც სამივე უცხოური ენის შემთხვევაში. ასევე, მასწავლებლებთან ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მათ მიერ განხორციელებული აქტივობების ფარგლებში მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს, რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსურის დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს.

2. **კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);**

ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის კურიკულუმებში, **სახელმწიფო ენის ექსპერტის აზრით,** კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობასა და გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას: **კრიტიკული აზროვნებას, შემოქმედებითობას, კომუნიკაციას, კოლაბორაცას, მოქალაქეობასა და ხასიათს**. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ VII კლასში შემოთავაზებული კომპლექსური დავალების პირობები : სკოლაში სწავლა-სწავლებასთან დაკავშირებით საჯარო სიტყვის მომზადება და წარდგენა (სიმულაციური სიტუაციისთვის), ილია ჭავჭავაძის მოთხრობის „სიტყვა წინამძღვრიანთკარის სამეურნეო სკოლის გახსნაზე“ სწავლებისას; ასევე, ნოდარ დუმბაძის ,,ჰელადოსის“ მიხედვით გაწერილი პირობა: ,, მისწერე წერილი შენ მიერ არჩეულ პერსონაჟს, გადმოეცი შენი ფიქრები, განცდები, დამოკიდებულებები“.

VIII კლასში ამავე მიზნებს ემსახურება კომპლექსური დავალების იდეა: ,, შეადარეთ ნოდარ დუმბაძის მოთხრობა „ბოშები“ მის კინოვერსიას , ლეილა გორდელაძის მხატვრულ ფილმს: „ჩემი ბოშები“.“ ინტერვიუსას პედაგოგებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებებზეც: მოსწავლეთა მიერ შექმნილი წიგნებზე, პოსტერებსა და ნახატებზე, რომლებიც ხელს უწყობს ამ უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის აზრით,** საბაზო საფეხურის ორივე საგანში: მუსიკასა და ხელოვნებაში, მე-7 - მე-9 კლასებში კურიკურულუმით დასტურდება, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალებები განიხილება შუალუდურ სასწავლო მიზნებად, წარმოდგენილი აქვთ ორივე საგანში მტკიცებულებად კომპლექსური დავალებების ნიმუშებიც, , მგავსი ტიპის დავალებებით იკვეთება , რომ სასწავლო პროცესში, მოსწავლეები აზროვნებენ, თანამშრომლობენ, ადარებენ, ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს, რომელშიც თანამშრომლობა და გუნდურობაც იკვეთება, ყოველი დავალების შესრულებისას მოსწავლეს უწევს აზროვნება, საკუთარ თავთან დიალოგი, პრობლემების გადაჭრის გზების ძიება, რითაც ის აქტიურია სასწავლო პროცესში, კათედრაზე ინტერვიუს დროს წარმოდგენილ მტკიცებულებებს და ეროვნულ სასწავლო გეგმას თუ მოვიყვანთ არგუმენტად, დასტურდება , რომ კომპლექსური ტიპის დავალებების შეთავაზებისას მოსწავლეებს უვითარდებათ გლობალური ფუნქციური უნარები და მიიღწევა საფეხურეობრივი შედეგი. მიუხედავად ზემოთ მოყვანილი არგუმენტებისა, წარმოდგენილ კურიკულუმებში იკვეთება მცირე უზუსტობები, მაინც **კურიკულუმი მიემართება ესგ გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალურ -ფუნქციურ უნარები, მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). მათემატიკის ექსპერტის აზრით,** წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების (მაგ. "ქალაქის ან უბნის სავალი ნაწილის დაგეგმარება" მეშვიდე კლასი, ,, განძის რუკა" მერვე კლასი „სამუხრუჭე მანძილი"მეცხრე კლასი) პირობებიდან ჩანს, რომ შესაძლებელია დავალების შესრულების პროცესში ამ უნარების გააქტიურება. მოსწავლეს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად უწევს ითანამშრომლოს მასწავლებელთან და თანაკლასელებთან, იაზროვნოს კრიტიკულად, დასახოს გეგმა, გააკეთოს დასკვნები, მოსწავლე დავალების წარდგენის დროს საუბრობს იმ გზაზე, იმ სტრატეგიებზე, რომელთა მეშვეობითაც შეძლო დავალების შესრულება, ბოლოს აკეთებს რეფლექსიას იმაზე, რა გაუჭირდა, რა გააკეთა კარგად, რას შეცვლიდა სამომავლოდ და ა. შ. მოსწავლეებს მოუწევთ ერთად მუშაობა, რათა წარმოადგინონ ერთობლივი პრეზენტაციები და სხვა საერთო ნამუშევრები. ეს კი ხელს შეუწყობს საერთო პასუხისმგებლობის უნარის განვითარებას. გამომდინარე იქიდან, რომ პროექტებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს გუნდურ მუშაობას, საერთო მიზნების დასახვას საკითხის საკვლევად და შესასწავლად, ფუნქციების გადანაწილებას და პასუხისმგებლობის აღებას ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეებში კოლაბორაციული უნარის განვითარებასაც. **უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის აზრით, ამ საგნებში** ზოგიერთი კომპლექსური დავალება მოსწავლეებისგან მოითხოვს წერილის მიწერას უცხოელი თანატოლისთვის (მე-8 კლასი, რუსული ენა), აღწერითი ტექსტის დაწერას საყვარელი საქმიანობის შესახებ (გერმანული ენა, კლასი მე-7) , ბლოგპოსტის შექმნას (ინგლისური ენა, კლასი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მე-7) და ა.შ. აღნიშნული დავალებები ხელს უწყობს წერითი უნარ-ჩვევის განვითარებას. წარმოდგენილი კურიკულუმები ხელს უწყობს კულტურათა დიალოგის სამიზნე ცნებისა და შედეგების დაფარვასაც. მაგალითად, მე-8 კლასის რუსული ენის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით მოსწავლეებმა უნდა გააკეთონ ზეპირი პრეზენტაცია სახელწოდებით, ''ჩემი მოგზაურობის შესახებ'', სადაც მოსწავლემ უნდა წარმოიდგინოს, რომ იმოგზაურა უცხო ქვეყანაში და გააკეთოს შედარება ქვეყნებს შორის (მსგავსება-განსხვავებები). მე-9 კლასის ინგლისური ენის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ კითხვები ლეგენდებთან დაკავშირებით. ამისათვის მათ დასჭირდებათ გარკვეული ინფორმაციის მოძიება და დამუშავება, რათა შეძლონ კითხვების შედგენა თანაკლასელებისთვის. მსგავსი პროცესებია საჭირო თითქმის ყველა კომპლექსური დავალების შესასრულებლად და ამდენად, ხელი ეწყობა კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას. ყოველივე ზემოთ ხსენებულიდან გამომდინარე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

3. **სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;**

სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით, სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებზე და შესაძლებლობებზე ორიენტირება. თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლისთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდ. გეგმების შემუშავებას. საბაზო საფეხურზე , მე-7 კლასში, მტკიცებულებადაა წარმოდგენილი მოსწავლესთან სამუშაო ინდივიდუალური სასწავლო გეგმა , რომელშიც გაწერილია სამუშაო ჯგუფის კალენდარი, მოსწავლის ძლიერი და სუსტი მხარეები, ხოლო ქართული ენისა და ლიტერატურის საგნობრივ ჭრილში წარმოდგენილ ინდ. გეგმაში იკვეთება როგორც სამიზნე ცნებებთან მიმართება, ისე მოკლევადიანი მიზნები, კომპლექსური დავალების სახით. ისგ-ში ასევე გვხვდება შეფასების რუბრიკა. აქედან გამომდინარე, ნათელია, რომ სკოლა ეფექტიანად მუშაობს ინკლუზიური მიმართულებით. ინტერვიუსას ისიც გამოიკვეთა, რომ პედაგოგები სწავლებისას იყენებენ დიფერენცირებული სწავლების პრონციპებს. **ბუნებისმეტყველების** მასწავლებელთა პორტფელიოს დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვებას და მის ანალიზს, ასევე მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, შესაძლებლობების დადგენას, ახდენენ მოსწავლის ბარათებით, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკებით. აქვთ რემედიაციის პროგრამაც,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რომლითაც მოსწავლის შესაძლებლობებს არგებენ სასწავლო პროცესს. **უცხოური ენების ექსპერტის აზრით,** სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები იმდენად, რამდენადაც კომპლექსური დავალებები მათ აძლევს საშუალებას, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, აარჩიონ ესა თუ ის საკითხი და შეასრულონ დავალება. ასევე, სსმ მოსწავლეებისთვის აქვთ ადაპტირებული კომპლექსური დავალებები და როგორც ინტერვიუს დროს აღნიშნეს, საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ დავალებების გამარტივებას კონკრეტული მოსწავლეებისთვის, თუკი ამის საჭიროებას დაინახავენ. მაგალითად, მათ თქვეს, რომ თუკი მოსწავლეებს მოეთხოვებათ წერილის დაწერა და მასწავლებელმა იცის, რომ კონკრეტული მოსწავლე არის სუსტი და იგი ვერ დაწერს წერილს დამოუკიდებლად, მას აძლევს შაბლონს, რომელშიც უნდა შეავსოს გარკვეული ინფორმაცია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას ყველა კლასში . მაგალითად, **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** სკოლის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია საკმაოდ მრავალფეროვანი ნიმუშები : ესეს, ინტერვიუს, თხზულების, პრეზენტაციის, ზეპირმეტყველების, პროექტის, რეფერატის, დისკუსიის და სხვა შეფასების რუბრიკები, სადაც ქულებთან ერთად გაწერილია შესაბამისი კრიტერიუმები. კონკრეტულ თემებთან მიმართებაში რუბრიკები არ გვხვდება, მაგრამ, ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ყოველთვის მიზნობრივად იყებენებ მათ და ხშირად მიმართავენ განმავითარებელ შეფასებასაც. სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათები. მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის ინფორმაციით,** ამ ეტაპზე სკოლა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს მისდევს. შესაბამისად **ბუნებისმეტყველების** პედაგოგები იყენებენ შესაბამისად როგორც ანალიტიკურ, ასევე ჰოლისტური შეფასების რუბრიკებს. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ ბუნებისმეტყველებაში განმავითარებელი შეფასება ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მასწავლებლის მიერ მიცემული უკუკავშირის გზით. ასევე მოსწავლეები წერილობითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი შეფასებით ფასდებიან ყოველი კლასის ბოლოს. მოსწავლეთა შედეგების გაზიარება ხდება კათედრის შეხვედრებზე. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ცნობით,** სკოლა გამოთქვამს მზაობას, შექმნას განმსაზრვრელი და განმავითარებელი შეფასებები მრავალფეროვანი რუბრიკები დამატებით ყველა კლასისთვის ყველა თემაზე, კომპლექსური დავალებების შეფასების პროცესში“. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასება ხდება სამიზნე ცნებებთან მიმართებით და მომავალ წელს გეგმავენ თემებთან მიმართებით კონკრეტული რუბრიკების შექმნას. წარმოდგენილი დოკუმენტების და მასწავლებლებთან გასაუბრების დროს წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ **რომ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის ცნობით,** სკოლას სასწავლო გეგმით განსაზღვრული აქვს მოსწავლეთა შეფასების შესაბამისი მიზნები და ამოცანები, რაც ,საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლა-სწავლების პროცესის მახასიათებლებიდან გამომდინარე, განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების გამოყენებას გულისხმობს. საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრამ წარმოადგინა როგორც განმსაზღვრელი, ასევე განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლებიც მრავალმხრივია და ვალიდურია. განმავითარებელი შეფასების რუბრიკა შექმნილია სამიზნე ცნების მკვიდრი წარმოდგენების, ხოლო განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა - სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევის ინდიკატორების გამოყენებით. საგნობრივმა კათედრებმა V-XII კლასებისთვის შეიმუშავეს 10 ქულიანი განმსაზღვრელი შეფასების სისტემა შესაბამისი რუბრიკებითა და კრიტერიუმებით, რომლებიც კონკრეტული საგნის სპეციფიკაზეა მორგებული. ყოველ კონკრეტულ საგანში შესაფასებელი აქტივობები მორგებულია კურიკულუმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. პარალელური კლასების მოსწავლეთა შეფასება ხდება ერთი და იმავე კრიტერიუმებზე დაყრდნობით. VII-IX კლასებისთვის შემუშავებულია განმავითარებელი კომენტარების ფორმები/სქემები . განმავითარებელი შეფასება აღწერს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. განმავითარებელი შეფასების საშუალებით ვაფასებთ მოსწავლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და სასწავლო უნარებს. ცოდნის სამივე კატეგორიის ათვისების პროცესის დასადგენად გამოიყენება ზეპირი და წერილობითი კომენტარები და რუბრიკები. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს მასწავლებლები იყენებენ ყოველდღიურ რეჟიმში საგაკვეთილო პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

საბაზო საფეხურზე **ქართულ ენასა და ლიტერატურაში** კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და , როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. ისინი სისტემატურად ესწრებიან ერთმანეთს და ერთად განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს . სკოლას აქვს წარმოდგენილი კომპლექსური დავალების რეფლექსია მე-9 კლასში ქართულ ენასა და ლიტერატურაში სასკოლო პროექტ ,,ფინანსური წიგნიერების" ფარგლებში (კომპლექსური დავალების პირობა ,, იგავი ,,ტალანტების" პიესად გადაკეთება) , მოცემულ დოკუმენტში კარგად ჩანს , თუ როგორ დეტალურად აანალიზებს პედაგოგი საკუთარ პრაქტიკას და თვითრეფლექსიის საფუძველზე ცდილობს საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებს გამოვლენას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის მოსაზრებით,** მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა აზრი, რომ საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვის დროს მნიშვნელოვანია, საუკეთესო პრაქტიკულ გამოცდილებაზე დაყრდნობით დაგეგმონ სწავლა/სწავლების პროცესი. ამ პროცესში კათედრა განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს კოლეგებს შორის თანამშრომლობას, კერძოდ, საერთო პროექტების განხორციელების და ინტეგრებული გაკვეთილების ჩატარების, გამოცდილება, რაც იძლევა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების საშუალებას. მაგ. განახორციელეს **ინტეგრირებული პროექტი** მათემატიკის კათედრასთან ერთად **'სმარტ ქალაქი"** ახლა მუშაობენ ინტეგრირებულ გაკვეთილზე **„მარტივი მექანიზმები ცოცხალ ორგანიზმში"**(ფიზიკა,ბიოლოგია) . **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** შესწავლილი დოკუმენტაციიდან ირკვევა, რომ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში არსებული წარმატებული გამოცდილებისა და გამოწვევების შესახებ ინფორმაციის მოგროვება და ანალიზი. კერძოდ, კათედრებზე შემაჯამებელი დავალებების ანალიზის, მასწავლებლების თვითრეფლექსიის, კოლეგების ურთიერთშეფასების საფუძველზე ხდება ხარვეზების გამოვლენა, გადაჭრის გზების დასახვა, გამოცდილების გაზიარება. არსებული გამოცდილების გათვალისწინებით იქმნება საგნობრივი კურიკულუმები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- თემატური ერთეულები , კომპლექსური დავალებების ნიმუშები დაწყებით და საბაზო საფეხურზე ხელოვნებასა და მუსიკაში
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, შეფასების მორიტორინგის ფორმები , სამუშაო შეხვედრები
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა /დებულება და კოლეგებთან შეხვედრების ფოტო მასალა
- საგნობრივი კურიკულუმები, განხორციელებული პროექტებიმ სხვადასხვა ღონისძიებებში კათედრის მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები
- პროექტები ნიმუშები და რეფლექსიები
- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- მასწავლებლის რეფლექსიები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ცნობით, საბაზო საფეხურზე, ბუნებისმეტყველებაში სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, ხდება მათი ინიციატივების წახალისება და შეხედულებების გათვალისწინება. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები სასწავლო შემოქმედებით პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას ისახავს მიზნად. ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება კომპლექსური დავალებები, რომელთა ფარგლებშიც ვითარდება მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი უნარები. ამავე მიზანს ემსახურება სხვადასხვა ტიპის საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობები. სკოლის ბაზაზე განხორციელებული სასკოლო პროექტებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართვას, რაზეც მეტყველებს არამარტო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არამედ სკოლის სოციალური ქსელებიც. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,**. კურიკულუმებში დაგეგმილი საკითხების შესწავლის პროცესი მოსწავლისაგან ითხოვს ფიქრს, მსჯელობას, მოსაზრებების ჩამოყალიბებას, პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას, ნასწავლის სხვადასხვა კონტექსტში განხილვას. მოსწავლე ხდება საკუთარი სასწავლო პროცესის დამგეგმავი, თანამშრომლობს კლასელებთან, იზიარებს პასუხისმგებლობას და შესაბამისად არის მოტივირებული. აქტიურ შემოქმედებით პროცესებში ჩართულობას განსაკუთრებით უწყობს ხელს კომპლექსური ბუნების დავალებები, სკოლაში არაფორმალური აქტივობები (მაგალითად, სასკოლო პროექტი: : ვაგროვებთ მარტივად და ჭკვიანურად) ასევე ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის ცობით,** საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები ხელს შეუწყობს მოსწავლებს, წარმოაჩინონ საკუთარი მრავალფეროვანი შემოქმედებითი ინიციატივები და მიგნებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გადმოსცენ და ახსნან იდეები თავიანთი სიტყვებით, როგორც წერილობით, ასევე- დისკუსიების სახით. სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე ფუნქციონირებს სამოქალაქო განათლების კლუბი) , რომელიც სხვადასხვა პროექტებს ახორციელებს. **სახელმწიფო ენის ექსპერტის ინფორმაციით,** მასწავლებლებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მათ კარგად იციან კომპლექსური დავალებების შედგენაც და მისი განხორციელებაც, ასევე, ჩატარებული აქვთ სხვადასხვა პროექტი და ღონისძიება. მაგალითად, სასკოლო პროექტ ,,ფინანსური წიგნიერების" ფარგლებში - ,,ლიტერატურის როლი ფინანსურ წიგნიერებაში", მე-9 კლასში ამ მიმართულებით განახორციელეს კომპლექსური დავალება- იგავის პიესად გადაკეთება, რომლის აქტივობები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს , მონაწილეობა მიიღონ შემოქმედებით პროცესში. ეს და სხვა ღონისძიებები საშუალებას გვაძლევს, აღვნიშნოთ, რომ ამ მხრივ სკოლა საკმაოდ წარმატებულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის ცნობით, ინტერვიუს დროს პედაგოგებმა ისაუბრეს დაგეგმვის პროცესში წინარე გამოცდილების ანალიზზე, თუ როგორ ხდება სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლეთა წინარე ცოდნის გათვალისწინება და მასზე დაყრდნობთ ახალი კურიკულუმის აგება, სადაც თითოეული მოსწავლის მზაობა, შესაძლებლობები და ინტერესებია გათვალისწინებული. წარმოდგილ საგნობრივ კურიკულუმებში კათედრას განსაზღვრული აქვს კომპლექსური დავალება, როგორც შუალედური სასწავლო მიზანი და მიზნად ისახავს კომპლექსური დავალებებით სწავლა/სწავლებას და დავალებების პირობის სრულყოფას ყველა კრიტერიუმის გათვალისწინებით, შესაბამისად კომპლექსური დავალებებით მუშაობის პროცესში გათვალისწინებულია წინარე ცოდნის გააქტიურება, ასევე კონტექსტ მაგალითები, რომლებიც წარმოდგენილია საბაზო საფეხურის კურიკულუმში. მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ამის დამადასტურებელ მაგალითად გამოდგება, როგორც კომპლექსურ დავალებებში მოცემული ცხოვრებისეული კონტექსტ-მაგალითები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ასევე საკოლო პროექტები და არაფორმალური ღონისძიებები, მტკიცებულების სახით წარმოდგენილი იქნა სასწავლო პროექტები, მოსწავლის შესრულებული ნამუშევრები. **სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით კი,** კურიკულუმის განხორციელებისას გათვალისწინებულია ცოდნის დაშენება წინარე ცოდნაზე. ეს ჩანს მოცემულ ჩარჩოებში, რომლებშიც წარმოდგენილი საკითხები ააქტიურებს მოსწავლეთა ცოდნას და ხელს უწყობს ახალი ცოდნის კონსტრუირებას. პროცესი თემატურადაა დაგეგმილი. ამასთანავე, წარმოდგენილ დავალებათა იდეებიდან ჩანს, რომ კომპლექსური დავალებების პირობები ისეა ჩამოყალიბებული, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტები შემოიტანოს. მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სახის მეთოდებს: **ვარაუდების რუკა, შესასვლელი ბილეთები, დამაზუსტებელი კითხვები და ა. შ.** საბაზო საფეხურზე წარმოდგენილი მასწავლებლის რეფლექსიიდან ჩანს, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას (იგავის პიესად გადაკეთება -მე-9 კლასი) ხდება წინარე ცოდნის გააქტიურება მოსწავლეებისთვის სხვადასხვა ჟანრის ტექსტის ნიმუშის (ილუსტრირებული) ჩვენებით, რომელთაგან უნდა ამოიცნონ პიესა; კომპლექსურის პირობის გაცნობის შემდეგ პიესის შინაარსობრივი და სტრუქტურული მახასიათებლების გახსენება და ა. შ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ საბაზო საფეხურზე სწავლებისას სკოლა ითვალისწინებს კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;**

სკოლაში კარგად აპრობირებულია ის გამოცდილება, რომ რომ მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შესრულების ბოლოს და მისი შესრულების ეტაპებზე საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს, თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ, თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. გარდა ამისა, მოსწავლეების ხშირად თავად გეგმავენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესსაც. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ცნობით, კი** სასწავლო პროცესში ძირითადად კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურდება ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებას, საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. მოსწავლე ჩართულია ისეთ აქტივობებში, რომლებიც მას შეძენილი ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას აძლევს. სწორედ ასეთია ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსური დავალებები, კომპლექსური ტიპის დავალებები, სასწავლო პროექტები, სასწავლო ექსკურსიები, რაც ხელს უწყობს სწავლის სწავლას. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა მასწავლებლების მზაობა, რომ მათ შეუძლიათ მეტაკოგნიტური სტრატეგიების ინტეგრირება საბუნებისმეტყველო საგნებში, მაგ, საბაზო საფეხურზე მასწავლებლებს აქვთ გამოცდილება სასწავლო პროცესში გამოიყენონ თვითშეფასების რუბრიკები, მეტაკოგნიტური სქემები, დიაგრამები, ხელს უწყობენ მოსწავლეთა მიერ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიებასა და დამუშავებას, პრეზენტაციას, რაც, საბოლოო ჯამში, მოსწავლეთა შემეცნებითი უნარების განვითარებას უწყობს ხელს; საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. **სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ასახულია, როგორ მუშაობენ საბაზო საფეხურზე სკოლის პედაგოგები მოსწავლეების ,,სწავლის სწავლის“ უნარზე. კომპლექსურ დავლებებში მასწავლებელი ყურადღებას ამახვილებენ ისეთ კითხვებზე, რომლებიც მოსწავლეებს ამ უნარის განვითარების საშუალებას მისცემს , მაგალითად: რამდენად შეძლო საჭირო გრამატიკის, ლექსიკის გამოყენება კომუნიკაციისას , პრეზენტაციის წარდგენისას; რა გაუძნელდა, რა გაუადვილდა და რატომ; რა დაბრკოლებებს წააწყდა დავალებაზე მუშაობის პროცესში და როგორ გადაჭერა ისინი, ან რატომ ვერ შეძლო მათი გადაჭრა;

4. **სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);**

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის ცნობით, სკოლაში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით (ინგლისური ენა, კლასი VIII), მოსწავლემ უნდა მოამზადოს **ვიდეორეპორტაჟი** ქიმიის ლაბორატორიაში მომხდარი ხანძრის შესახებ. აღნიშნული დავალებისთვის მოსწავლეს დასჭირდება გაიხსენოს რეპორტაჟის მახასიათებლები, სწორად შეარჩიოს ინტონაცია და არავერბალური საშუალებები, ასევე მას, ალბათ, დასჭირდება ხანძრის დაკავშირება ქიმიის საგანთან. მაგალითად, ექსპერიმენტის დროს რომელიმე აალებადი ნივთიერების არასწორად გამოყენებასთან. მოსწავლემ ასევე უნდა შეარჩიოს სწორი ლექსიკური და გრამატიკული ერთეულები ნასწვლი მასალიდან და ა.შ. მსგავს პროცესებს მოითხოვს სხვა კომპლექსური დავალებებიც. **მათემატიკის ექსპერტის ცნობით კი,** სკოლის ახლად შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. ყველა კლასში არჩეულია კომპლექსური დავალებები, რომელთა განხორციელებაც ხელს შეუწყობს, რომ დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე-7 კლასში მათემატიკაში განხორციელდა კომპლექსური დავალება „მოგზაურობა“, რომელიც უკავშირდებოდა ცხოვრებისეულ გამოცდილებას, ამ ეტაპზე წინარე ცოდნაა მოქმედებები რაციონალურ რიცხვებზე , მასშტაბის ცნება, რაზე დაყრდნობითაც მათ უნდა დაადგინონ პროპორციულ სიდიდეებს შორის დამოკიდებულება (განვლილ მანძილსა და საჭირო თანხას შორის, ასევე სიჩქარესა და დროს შორის). დაგეგმილი აქტივობები ხელს შეუწყობს მოსწავლეებში კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარის განვითარებას, ასევე კეთებით სწავლება აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას და დაეხმარება საკითხის უკეთესად გაგება-გააზრებაში. **საზოგადოებრივი მეცნიერებებ**ის კათედრის საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებში (ისტორია, სამოქალაქო განათლება, გეოგრაფია) კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა საგაკვეთილო პროცესი განახორციელონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული, პირობისეული) ორიენტირებით და ასახონ შესაბამის თემატურ მატრიცებში , ვინაიდან მხოლოდ ასე შეძლებენ დაეხმარონ მოსწავლეებს საგნობრივი საკითხების შინაარსობრივ გააზრებაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. მაგ: მე-7 კლასში, საგან მოქალაქეობაში - მოსწავლეებმა უნდა შექმნან ბუკლეტი ადიქციის საფრთხეების შესახებ.

5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

საბაზო საფეხურის კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები. ვინაიდან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ეს გარემოება ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს, ეს ოპერაციები აწარმოოს. შესაბამისად, სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება. მოსწავლეებს ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში დაეხმარებათ არაფორმალური აქტივობები და პროექტები. მაგალითად, საბაზო საფეხურზე განხორციელებული **STEAM პროექტი-„ჭკვიანი შუქნიშანი“,** რომელიც აერთიანებს **ფიზიკა, ტექნოლოგია, მათემატიკა, ინჟინერიას.** ახდენს ამ საგნების ინტეგრირებას. საბოლოო პროდუქტი არის ჭკვიან ქალაქში შუქნიშნისა და ლამპიონის მოდელის შექმნა სიმულაციური პროგრამა **TINKERCAD-ის** გამოყენებით. ამ პროექტზე მუშაობა მოსწავლეებს უვითარებს ინტერდისციპლინარულ, შემოქმედებით, ექსპერიმენტულ, ძიებაზე დაფუძნებულ უნარებს. **ინგლისური ენის** მე-8 კლასის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა შეადგინონ კითხვები ლეგენდებთან დაკავშირებით. ლეგენდების თემა დაკავშირებულია ისტორიის საგანთან და რამდენიმე მათგანი ნასწავლი აქვთ კიდეც ისტორიის ფარგლებში. მსგავსი ტიპის კავშირები სხვა საგნებთან ხშირია კომპლექსურ დავალებებში . პედაგოგებმა გამოთქვეს მზაობა, რომ გააგრძელებენ ისეთი კომპლექსური დავალებების შერჩევას, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას, შესაბამისად შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში საზოგადოებრივი მეცნიერებების საბაზო საფეხურზე მოქმედ კლასებში კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესში ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. ასევე მასწავლებლები გეგმავენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და ატარებენ ინტეგირებულ გაკვეთილებს როგორც კათედრაზე შემავალ საგნებთან, ასევე სხვა კათედრებთან.(მაგ: **სამოქალაქო განათლება და მათემატიკა). სახელმწიფო ენის ექსპერტის ცნობით,** საბაზო საფეხურის საგნობრივ კურიკულუმში მე- 9 კლასში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებაში გამოყენებულია აქტივობა ,,ვარაუდების გამოთქმა" ვარაუდების ცხრილის, გასასვლელი ბილეთების გამოყენებით, როლებიც მოსწავლეებს დაეხმარება ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- თემატური ერთეულები კომპლექსური დავალებების ნიმუშები დაწყებით და საბაზო საფეხურზე ხელოვნებასა და მუსიკაში
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, შეფასების მორიტორინგის ფორმები
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა /დებულება და კოლეგებთან და სპეციალისტებთან შეხვედრების ფოტო მასალა
- საგნობრივი კურიკულუმები, განხორციელებული პროექტებიმ სხვადასხვა ღონისძიებებში კათედრის მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები
- პროექტის განხორციელებისთვის საჭირო რესურსების შესახებ
- შეფასების ფორმები
- კურიკულუმები
- მასწავლებლის რეფლექსია
- კომპლექსური დავალება
- უცხოური ენების კურიკულუმები
- საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმებში სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები (მაგ: **კომპლექსური დავალება მე-7 კლასი-მოქალაქეობა-საკითხი:ადრეული ქორწინება,** მუშავდება ცნება **დემოკრატია და სამოქალაქო მონაწილეობა**). კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები. რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს რა მიმართულებით უნდა მოხდეს კომპლექსური დავალების შესრულება. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზიდან და კათედრის წევრებთან ფოკუს-ჯგუფის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგად ჩანს, რომ , მაგალითად, **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კათედრას აქვს გამოცდილება და მზაობა მოცემულ ინდიკატორთან შესაბამისობისთვის. **ესთეტიკური აღზრდის** ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტის ცნობით წარმოდგენილი დოკუმენტებში იკვეთება სკოლის მზაობა და ამ მიმართულებით მათი განვითარების პერსპექტივა. ის აღნიშნავს, რომ სკოლის მიერ დამატებით წარმოდგენილი იქნა დოკუმენტები: სასწავლო პროექტი, მოსწავლის მიერ შესრულებული დავალება , პროექტები და მათი რეფლექსიები. **უცხოური ენების ექსპერტის აზრით,** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით იმდენად, რამდენადაც თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ გააცნობიერონ, მაგალითად, რა არის წერილის მთავარი მახასიათებლები, თემა და მიზანი, ვინ არის მისი მსმენელი და შესაბამისად აარჩიონ ესა თუ ის ენობრივი მასალა. კონკრეტული დავალების ფარგლებში დაეუფლონ კონკრეტულ საკითხს, მაგალითად, ისწავლონ წერილის წერის სტრუქტურა, ბლოგპოსტის წერა, ფორმალური და არაფორმალური გამონათქვამები, ხანძართან დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, წარსული დროის ფორმები და ამბის თხრობა და ა.შ.

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით, კათედრის საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ საგნების- **ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა** - საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობის საშუალებას იძლევა. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე, გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რაც ვლინდება კომპლექსური დავალების განხორციელების დროს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის აზრით,** სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო მოსწავლეთა ჰარმონიული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განვითარებისათვის; კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი შეფასებები და კომენტარები, დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლას-საათები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, თვითშეფასების ამაღლებაში, სოციალური უნარების განვითარებაში და ემოციების მართვაში. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ცნობით კი,** ორივე საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, მოსწავლეებს ნამუშევრის შექმნისას, სხვადასხვა პროექტში მონაწილეობისას უწევთ თვითგამოხატვა, მუსიკალური ნაწარმოების მომსენისას და მსჯელობისას უწევთ საკუთარ ემოციებზე, გრძნობებზე, დამოკიდებულებებზე მსჯელობა, ხელოვნებაში შემოქმედებითი პროდუქტების შექმნა. ამასთან, სკოლას მიმდინარე სასწავლო წელს განხორციელებული აქვს სხვადასხვა საგანში პროექტები (დანართი პროექტები), რომლებშიც ჩანს, რომ ჩართული იყო ორივე საგანი (მუსიკა/სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება) სხვადასხვა აქტივობით. სკოლას წარმოდგენილი აქვს სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები და აქტივობები, მოსწავლის / მასწავლებლის პორტფოლიო, მოსწავლეთა შედეგების ანალიზი და ანგარიში მოსწავლეებისა და მასწავლებლის დონეზე, აგრეთვე საგნობრივი კათედრების ოქმები და ინდივიდუალური სასწავლო გეგმების, მათი მონიტორინგის დოკუმენტებში იკვეთება, თუ როგორ ზრუნავენ მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. **სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის აზრითაც,** სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო- ემოციურ განვითარებაზე. ამის ნათელი მაგალითია კურიკულუმებში მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები და პირობები. ასევე, დამატებითი ღონისძიებები, რომლებსაც ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა ახორციელებს და რომლის შესახებაც ინტერვიუსას ისაუბრეს პედაგოგებმა. მათ ასევე წარმოადგინეს მე-9 კლასში განხორციელებული პროექტი ,,ლიტერატურის როლი ფინანსური წიგნიერებში“. გარდა ამისა, სკოლაში დანერგილია სადამრიგებლო საათი. მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ მათთვის პრიორიტეტულია მოსწავლეთა ფსიქო- ემოციური განვითარების ხელშეწყობა, ამიტომ სასწავლო პროცესში კვლავ გეგმავენ ამ მიმართულებით მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქმედი სასკოლო კურიკულუმით სკოლის შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას. შეფასება სასწავლო პროცესშია ინტეგრირებული და მოსწავლისათვის ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმად და მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმებს. შეფასება ცოდნის აგებასა და გამოყენებაზეა ფოკუსირებული, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და გამომდინარეობს მათგან. ამავე მოსაზრებას ავითარებს **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი.** მისი აზრით, მასწავლებლები მოტივირებული არიან, ხელი შეუწყონ მოსწავლეს ცოდნის, უნარებისა და დამოკიდებულების განვითარებას. შეფასების სისტემა მოსწავლეთა შესაძლებლობებზეა ორიენტირებული და მორგებული. განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება, კონსტრუქციული უკუკავშირები, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება ეხმარება მოსწავლეებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას, ასევე მათი პორტფოლიოს დათვალიერებისას, გაირკვა, რომ ხშირად მიმართავენ შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებს, რათა მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ადეკვატური თვითშეფასება და დაინახონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით კი, საბაზო** საფეხურზე დანერგილია შეფასების სისტემა, რომელიც, ძირითადად, ხორციელდება და ხელს უწყობს მოსწავლის მრავალმხრივ განვითარებას, მისი ცოდნის, უნარების, ღირებულებისა და დამოკიდებულებების ჩამოყალიბებას. კათედრებზე შემუშავებულია შეფასების რუბრიკები.გამოიყენება განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები. მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე, იციან სოლო ტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის, მნიშვნელობა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე . 2023-2024 სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს გამოიყენოს დიაგნოსტიკური შეფასების ინსტრუმენტი. **სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის აზრით,** სკოლაში იყენებენ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებს. სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკები (ესეს, თხზულების , რეფერატის, დისკუსიის, პრეზენტაციის, ინტერვიუს და სხვა). მოცემულ ნიმუშებში კრიტერიუმები კარგადაა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებული და უზრუნველყოფს წერილობითი და ზეპირი ნამუშევრების შეფასებას. სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლეთა თვითშეფასების ბარათები. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ პრაქტიკაში ყოველთვის იყენებენ ,, გასასვლელ ბილეთებსაც“, რომლებიც ეხმარება მათ ობიექტურ შეფასებაში. მე-9 კლასის პედაგოგის მიერ წარმოდგენილ კომპლექსური დავალების რეფლექსიაში აღწერილია მათი გამოყენება კონკრეტული დავალებისას. შეიძლება ითქვას, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობას შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და მასწავლებლებთან ინტერვიურების შედეგად გამოიკვეთა, რომ საბაზო საფეხურზე საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით (ისტორია, გეგოგრაფია, მოქალაქეობა) შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. საბაზო საფეხურის საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრის მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეებს აფასებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელ შეფასებით. წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში განსაზღვრულია შეფასების მიზანი, ე.ი. შეფასების ინსტრუმენტის შერჩევა ხორციელდება გარკვეულ მიზანზე ორინეტირებით. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ გეგმავენ მომდევნო წლისთვის განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებზე იმუშაონ სავალდებულო თემის ფარგლებში შედეგების მიღწევების ინდიკატორებზე დაყრდნობით, ხოლო განმავითარებელი შეფასებები მოსწავლეებს მისცენ საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად ცნების მკვიდრი წარმოდგენების მიხედვით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციითაც მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ისინი აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს და მშობლებს. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა წინასწარ იცის ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათი ნაშრომი. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ცნობით კი,** ორივე საგანში დაწყებით საფეხურზე წარმოდგენილი იქნა შეფასების მრავალფეროვანი რუბრიკები; ინტერვიუს დროსაც გამოიკვეთა მასწავლებელთა მზაობა, რადგან მათ იციან მეთოდები, როგორ შექმნან შეფასების რუბრიკები სწორად, რათა მოსწავლეებს მოტივაცია არ დაეკარგოთ და სტანდარტით გათვალისწინებულ საფეხურის მისაღწევ შედეგზეც გავიდნენ. **უცხოური ენების ექსპერტის ცნობით კი, სკოლის მიერ** წარმოდგენილი რუბრიკების კრიტერიუმები არის ცალსახა და არ იძლევა სხვადასხვანაირად ინტერპრეტირების საშუალებას. თუმცა **რუბრიკებში ბუნდოვანებას იწვევს** კონკრეტული კრიტერიუმებისათვის მინიჭებული ქულათა დიაპაზონი (0-1, 10-9. 8-7, 0-3 და ა.შ). მაგალითად, ზეპირმეტყველების შეფასების რუბრიკაში წარმოდგენილი კრიტერიუმს - „გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანმიმდევრულად ავითარებს მას''- მინიჭებული აქვს 0-1-2 ქულა და არაა გაწერილი, როდის იწერება 0, როდის - 1 და რა შემთხვევაში იღებს მოსწავლე მაქსიმალურ 2 ქულას. ბუნდოვანია, რაზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს მასწავლებელმა კონკრეტულ მოსწავლეს ეკუთვნის 1 ქულა, თუ 2 ქულა. გარდა ამისა, წარმოდგენილი რუბრიკები არაა მორგებული კონკრეტულად უცხოურ ენებს და კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურებზე. იმისათვის, რომ შეფასების პროცესი იყოს სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური, საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა და გაუმჯობესება ხსენებული ხარვეზის გათვალისწინებით. ვინაიდან სკოლას აქვს რუბრიკების შემუშავებისა და გამოყენების გარკვეული გამოცდილება , მასწავლებლებიც გამოთქვამენ მზაობას , რომ გააუმჯობესებენ არსებულ რუბრიკებს ამა თუ იმ ნაწილში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის ცნობით, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა,რომ სკოლაში არსებობს პრაქტიკა,რომელიც გვიჩვენებს თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით, სკოლაში ტრადიციულად ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. სადიაგნოსტიკო წერები. საგნის მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრაზე. ასევე დირექცია ახდენს სკოლის საერთო შედეგების სტატისტიკურ ანალიზს სემესტრული შედეგების საფუძვლზე და ახორციელებს რეფლექსიას. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ინფორმაციით,** სკოლამ მტკიცებულების სახით წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმებიმ სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები და აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის შედეგების ანალიზი. მათ მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში და კათედრის ოქმებში, შემაჯამებელ შეხვედრებში ჩანს, რომ სკოლა მუდმივად განიხილავს მოსწავლეთა მიღწევებს, ანალიზდება მოსწავლეთა მიღწევის შედეგები, ხდება მოსწავლეთა ნამუშევრების პრეზენტაციები და გამოფენები. ამ ეტაპზე სკოლის ვერიფიკაციის მექანიზმი ძირითადად წარმოდგენილია სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში, სასკოლო სასწავლო გეგმაში, პრაქტიკულად განხორციელებულ და წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში. გასაუბრების დროს აღინიშნა, რომ დასახვეწია დაგეგმილსა და განხორციელებულს შორის შესაბამისობის დადგენის მექანიზმები, ამიტომ გეგმავენ, მიმდინარე სასწავლო წელს შექმნან შესაბამისი დოკუმენტი, რომელიც უფრო სრულყოფილი იქნება და მეტი დაკვირვების საშუალებას მისცემთ მათ. **მათემატიკის ექსპერტის აზრით,** ამ ეტაპზე სკოლაში შეფასებების ვერიფიკაცია ხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ, 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელსაც დაევალება შეფასების ვერიფიკაცია ორი მიმართულებით: 1. კომპლექსური დავალების შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება და კონსტრუქციული უკუკავშირი, 2. სკოლის დონეზე პროცესის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება შეფასების ინსტრუმენტებით. ვერიფიკაცია დაფუძნებული იქნება შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაზე, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველყოფაზე. სკოლაში ვერიფიკაციის მექანიზმზე პასუხისმგებლნი არიან სკოლის დირექცია და ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები. როგორც გასაუბრებით დადგინდა, მიმდინარეობს მოსწავლეებზე დაკვირვება, მათი ნამუშევრების ანალიზი და მაწავლებლებისთვის რეკომენდაციების მიცემა. სკოლის შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი გულისხმობს ყველაფერს, რაც შეფასებას უკავშირდება. სკოლამ წარმოადგინა **"შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმის"** დოკუმენტი, რომლის შესაბამისად შეფასების კრიტერიუმების შემუშავება და შეთანხმება კათედრაზე ხორციელდება, ხოლო ვერიფიკაციის პროცესის მონიტორინგს უზრუნველყოფს სკოლის ადმინისტრაცია და დაკვირვების შედეგად ხდება მასწავლებლის მიერ შემუშავებული შეფასების რუბრიკებისა და სისტემის მოქმედ საგნობრივ სტანდარტებთან შესაბამისობის დადგენა. სკოლა მომავალში გეგმავს ვერიფიკაციის მექანიზმების დახვეწასა და განვითარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სკოლა ახორციელებს შეფასებებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და სათანადოდ აღრიცხვას. კანონმდებლობის ფარგლებში-დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს. 2020-2021 სასწავლო წლამდე სკოლას ყველა წესის დაცვით ჰქონდა საშუალება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მატერიალური ჟურნალის წარმოების, 2020-2021 სასწავლო წლიდან სკოლა წარმატებით ართმევს თავს ელექტრონული ჟურნალის წარმოებას. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას, დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დაარქივებულია და ინახება: ანბანური წიგნი, ატესტატების წიგნი, ბრძანების წიგნი, პირადი საქმეები, პედაგოგიური საბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი და სხვ. სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება, უზრუნველყოს მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვა. ეს არის მოსწავლის პირადი საქმეები, რომელთაც ავსებენ კლასის დამრიგებლები, კლასის საფეხურის დაძლევის ბრძანებები. მატერიალური ჟურნალები შენახული გარკვეული ვადით, დამრიგებლები აწარმოებენ შეფასებასთან დაკავშირებულ ყოველწლიურ ანგარიშს. იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასებეის შედეგად მიღებული მონაცემების 3 წლის ვადით შენახვა. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ცნობითაც,** სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვას და შესაბამისი ვადით შენახვას , რაც დადასტურდა გასაუბრების შედეგად, მასწავლებლებმა ისაუბრეს მის მნიშვნელობაზე დოკუმენტის არსებობაზე, რომელიც ადმინისტრაციასთან და კლასის დამრიგებლებთან ინახება. **სახელმწიფო ენის ექსპერტის ინფორმაციითაც,** სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც დასტურდება გასაუბრებაზე მასწავლებელთა მიერ წარმოდგენილმა ნიმუშებითა და სკოლის მიერ გამოგზავნილი დოკუმენტაცით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის ცნობით კი ,** კათედრაზე ერთი წლის ვადით ინახება მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შეფასებები საგნების მიხედვით. მომავალში იგეგმება ამ დოკუმენტაციის აღრიცხვა საფეხურების მიხედვით და შენახვა 3 წლის ვადით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- კათედრის ოქმები
- სასწავლო პროექტები
- ინდ სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- სტრატეგიული გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- შემაჯამებლები და მათი ანალიზი
- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, სკოლამ უნდა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავება და განხორციელება, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემო, სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა. თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემებზე ორიენტირებული კომუნიკაცია და გაზიარებული პასუხისმგებლობა სასკოლო გარემოს პოზიტიურ მართვას უწყობს ხელს. სკოლის მისიასა და ხედვაში მთავარი ორიენტირი არის მოსწავლე. მასწავლებლები ცდილობენ, მოსწავლეებს შეუქმნან მიმღებლობითი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გარემო. კათედრის წევრებს ხშირად აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედ. კოლექტივსა და დირექციას შორის, იღებენ ბევრ საჭირო რჩევას და რეკომენდაციას. მზრუნველობითი დამოკიდებულება აქვთ ბავშვებთან, დადებითად ფასდება პედაგოგთა და მშობელთა თანამშრომლობა. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით,** მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა , რომ კათედრის მუშაობის პრიორიტეტებია: სასწავლო პროცესში თანამშრომლობა, საერთო პასუხისმგებლობის აღება, საერთო მიზნის მისაღწევად აქტივობების გამართვა; ინდივიდუალური მიდგომა, სასწავლო პროცესში წარმოქმნილი სირთულეების მხარდაჭერა. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია ინკლუზიურობასა და მიმღებლობაზე, როგორც კოლეგებს შორის ისე, მასწავლებელსა და მოსწავლეს, მოსწავლეთა შორის. არსებულის ნათელი დადასტურებაა ურთიერთდასწრება და „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი.

უცხოური ენების ექსპერტის ცნობით, მასწავლებლებმა ინტერვიუსას განაცხადეს, რომ ცდილობენ, მოსწავლეებს შეუქმნან კომფორტული გარემო და დაეხმარონ მათ ამა თუ იმ სირთულის დაძლევაში. მაგალითად, თუკი რომელიმე მოსწავლე ვერ იგებს რაიმე საკითხს, უხსნიან თავიდან. თუ რომელიმე დავალება რთულია კონკრეტული მოსწავლისთვის (მაგალითად, დასაწერი აქვთ წერილი და მოსწავლე ვერ ახერხებს დამოუკიდებლად დაწერას) აძლევენ შაბლონს, სადაც გამოყოფილია ის ადგილები, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეცვალოს თავისი სიტუაციიდან გამომდინარე და ა.შ. გარდა ამისა, იმისათვის, რომ კარგად გაართვან თავი კომპლექსურ დავალებებს, ჯერ აჩვენებენ ნიმუშებს და შემდეგ სთხოვენ მისეული ვერსიის შექმნას. დახმარებას უწევენ როგორც სსმ მოსწავლეებს, ისე - ტიპური განვითარების მოსწავლეებსაც. თვითშეფასების კითხვარში ნახსენებია, რომ **მასწვლებლები** სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე საჭიროებების შესაბამისად. **სახელმწიფო ენის ექსპერტის აზრითაც,** სკოლაში კარგად ჩანს მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემოს არსებობა. კათედრის წევრები ურთიერთანამშრომლობენ და ერთობლივად გეგმავენ სხვადასხვა აქტივობას. საბაზო საფეხურზე სხვადასხვა კლასის მოსწავლეები და მასწავლებლები ერთად ახორციელებენ ღონისძიებებს, მოსწავლეთა ჩართულობით ხდება გადაწყვეტილებების მიღება. სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოება სრულად იღებს პასუხისმგებლობას მოსწავლის , მშობლის და სასკოლო თემის წინაშე, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებსა და ინტერესებს. ამის დასტურია ,,მშობელთა სტრატეგიული ურთიერთობის" დოკუმენტი, მშობელთა კრების ოქმები, მათი გამოკითხვის ბარათები და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებები, ასევე ,,მოსწავლეთა მხარდამჭერი პროგრამა- რემედიაცია". მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ მათთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

სკოლის მისია და ხედვა ორიენტირებულია მოსწავლეზე, წარმოდგენილი დოკუმენტაციით აგრეთვე დასტურდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავებას და განხორციელებას. ეს ყველაფერი, კი მხარდამჭერი და პოზიტიური გარემოს დასტურია. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: ეროვნების, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესის მიუხედავად. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ინფორმაციით,** სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებლად. სადამრიგებლო საათის შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლის საჭროებები. იმართება კომპლექსური დავალების დროს შექმნილი პროდუქტების გამოფენა. სკოლა აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, რაზეც ინტერვიუს დროსაც მასწავლებლებმაც ისაუბრეს. **მათემატიკის ექსპერტის ცნობითაც,** მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა , რომ კათედრის მუშაობის პრიორიტეტებია: სასწავლო პროცესში თანამშრომლობა, საერთო პასუხისმგებლობის აღება, საერთო მიზნის მისაღწევად აქტივობების გამართვა; ინდივიდუალური მიდგომა, ყველა იმ შეფერხებაზე მხარდაჭერა , რომელიც წარმოიშობა სასწავლო პროცესში. სასწავლო პროცესი დაფუძნებულია ინკლუზიურობაზე და მიმღებლობაზე, როგორც კოლეგებს შორის ისე, მასწავლებელსა და მოსწავლის, მოსწავლეთა შორის. არსებულის ნათელი დადასტურებაა ურთიერთდასწრება და „კრიტიკული მეგობრის" ინსტიტუტი. სასწავლო პროცესი მორგებულია მოსწავლეზე, სკოლა ყველაფერს აკეთებს მის ხელშესაწყობად. ტარდება სადამრიგებლო საათები , წახალისებულია მოსწავლეთა აქტივობები და მათი წარმატება გაზიარებულია სკოლის მიერ. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა შემუშავებისას აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, რათა გათვალისწინებული იყოს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის კონკრეტული ინტერესები და შესაძლებლობები, წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა ბარათები, რომლებიც გვიჩვენებს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, კონფერენციები, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას; სწორედ ამიტომ **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის აზრით,** საბაზო საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში განხორციელებული სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ცნობით,** კათედრის წევრთა შორის გუნდური მუშაობა, გამოცდილების გაზიარება, სკოლაში მიმდინარე ერთ-ერთი პროცესია. კათედრის წევრებს გააზრებული აქვთ, რომ პრობლემის გადაჭრის გზების მოსაძებნად მნიშვნელოვანია თანამშრომლობა. კათედრა მზადაა, სასწავლო პროცესში არსებული გამოწვევების გადაწყვეტაში ჩართოს სრულიად სასკოლო საზოგადოება.

სახელმწიფო ენის ექსპერტის აზრითაც, სკოლაში სასწავლო პროცესი თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. ეს კარგად ჩანს როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში, ისე - მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას. შემუშავებული აქვთ კათედრის სამოქმედო გეგმა. ისინი გუნდურად ახორციელებენ სხვადასხვა სასწავლო და შემეცნებით აქტივობას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუკავშირს, მჭიდროდ ურთიერთობენ მშობლებთან. ეფექტური კომუნიკაციისთვის შემუშავებული აქვთ სპეციალური დოკუმენტი ,, მშობელთან ურთიერთობის სტრატეგია“, რომლის მიზანიც სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაძლიერებაა. სკოლა მშობელთა კრებებზე დეტალურად განიხილავს აქტუალურ საკითხებს. **საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის აზრით,** კოლეგები თანამშრომლობენ გაკვეთილის დაგეგმვის პროცესში, ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას და მოსაზრებებს, ესწრებიან და განიხილავენ ჩატარებულ გაკვეთილებს. თვითშფასების ინსტრუმენტებს შორის ყველაზე ხშირად მიმართავენ რეფლექსიის ზეპირ ან წერილობით ფორმას, გაკვეთილის შემდგომ აკეთებენ ჩანაწერებს, სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას; სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის კომუნიკაცია არის უწყვეტი და დინამიური. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. ჯგუფის მიზანია სკოლაში სწავლების ხარისხის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამაღლებაზე ზრუნვა, მასწავლებლის შეფასების ობიექტური სისტემის დანერგვით მასწავლებლის პროფესიული განვითარება და ხელშეწყობა, სკოლაში თანამშრომლობითი კულტურის განვითარება, სკოლის მასწავლებლებისათვის პროფესიულ განვითარებაში დახმარება. კათედრის მიერ ერთობლივად შემუშავებული სასკოლო კურიკულუმები ცხადყოფს ასევე, რომ სკოლის საქმიანობა ეფუძნება თანამშრომლობით კულტურას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს, ისწავლონ ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. მასწავლებლებთან და დირექტორთან პირისპირ გასაუბრება, განხორციელებული და წარმოდგენილი სასკოლო აქტივობები, პროექტები ადასტურებს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობას, თანამშრომლობით კულტურას სასკოლო საზოგადოებს წევრებს შორის. საკლასო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, რომელიც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, ისაუბრონ პირად საკითხებსა და საკუთარ პრობლემებზე. მათ შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს დირექტორს ან სხვა მასწავლებელს, რომლებიც ყოველთვის გულისყურით მოუსმენენ და დაეხმარებიან. აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარებს სხვადასხვა ფორმით: დისკუსია, სასწავლო ექსკურია, როლური თამაში, გამოფენა, კონკურსი. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის მოსაზრებით,** გასაუბრების დროს შესამჩნევი იყო მასწავლებლებს შორის პოზიტიური დამოკიდებულება. კათედრაზე მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან , ატარებენ საკლასო თუ სასკოლო ღონისძიებებს, ჩართულები არიან სხვადასხვა პროექტში და მოსწავლეებიც დიდი ინტერესით ერთვებიან ასეთ აქტივობებში. სკოლას აქვს მზაობა იმისა , რომ მასწავლებლებმა ერთობლივად დაგეგმონ გაკვეთილები, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება, დაესწრონ ერთმანეთის გაკვეთილებს და გასცენ პოზიტიური უკუკავშირი. სკოლაში შემუშავებულია კონფლიქტების მართვის და ძალადობის პრევენციის სისტემები, შესაბამისი რეგულაციებითა და პრაქტიკით (მაგ: კლასში ქცევის წესები და პროცედურები. პრევენციის სახით წახალისების სხვადასხვა ფორმები და სტრატეგიები). **უცხოური ენების კათედრაზე** ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ, იყვნენ პოზიტიურები და მოსწავლეებს ჯერ დაანახონ დადებითი მხარეები და შემდეგ მიუთითონ გამოსასწორებელ ასპექტებზე. ასევე, ცდილობენ კოლეგებთანაც ჰქონდეთ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პოზიტიური დამოკიდებულება და არსებული პრობლემები დაძლიონ კონსტრუქციულად. ასევე, გეგმავენ სხვდასხვა სოციალურ ღონისძიებას, რომლებიც ხელს უწყობენ პოზიტიური გარემოს შექმნას და ერთმანეთზე ზრუნვას. **სახელმწიფო ენის ექსპერტის აზრითაც,** პოზიტიური კლიმატის არსებობა იგრძნობა როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. მოსწავლეები და მასწავლებლები ერთობლივად არიან ჩართული სასკოლო ცხოვრებაში და მრავალფეროვანი აქტივობებს ახორციელებენ მშობლებთან ერთად. სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენას, მათი მიღწევებისა და წარმატებების გაზიარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა მათი კოლეგიალობა და გუნდურობა, ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა და პოზიტიური ურთიერთობები, რაც უდიდეს როლს ასრულებს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში და საუკეთესო შედეგების მიღწევის პირობაა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სადამრიგებლო პროგრამები
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- სასწავლო პროექტები და რეფლექსია
- საგნობრივი კურიკულუმი
- ინდ სასწავლო გეგმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კლასის სადამრიგებლო საათი და სამოქმედო გეგმები
- მოსწავლეთა შესრულებული ნამუშევრები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- სასკოლო ღონისძიებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- კურიკულუმები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. დაწყებით საფეხურზე მასწავლებელთა შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. არსებობს კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით შექნილი რეფლექსიები და თვითრეფლექსიები. ამ ეტაპზე ხორციელდება კურიკულუმების მონიტორინგი კათედრისა და ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ, მიმდინარე სამუშაო პროცესებზე დაკვირვებით. 2023-2024 წლისთვის კი იგეგმება სასკოლო წერების ტრადიციის შემოღება, რომლის ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიზანიც იქნება სასკოლო დონეზე კურიკულუმების შუალედური და წლიური შეფასება. მონიტორინგის მიზანია, გაირკვეს, მიმდინარეობს თუ არა სასწავლო პროცესი დაგეგმილის შესაბამისად. აქვს თუ არა პროცესებს სასკოლო საზოგადოების მოლოდინების შესაბამისი შეფასება. შემაჯამებელი დავალებების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება კურიკულუმის მონიტორინგი. **დირექტორის მოადგილე** სასწავლო დარგში, პედსაბჭოზე წარადგენს მოსწავლეთა შედეგების სტატისტიკურ ანალიზს. ამ პროცესებში აქტიურად მონაწილეობენ ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურის მასწავლებლები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;**

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის მოსაზრებით, მოსწავლის შეფასების პროცესი ემსახურება ისევ მოსწავლეების ინტერესებს, კურიკულუმის დახვეწას და განვითარებას . გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ ხორციელდება იმ ინსტრუმენტებისა და მტკიცებულებების იდენტიფიცირება , სადაც შესაძლო შეუსაბამობების მაღალი ალბათობაა. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა , რომ მომავალი სასწავლო წლისთვის კვლავ შეფასების პირველი მოდელი იქნა შერჩეული. ამ ეტაპისათვის მონიტორინგს კათედრის წევრები ახორციელებენ, ესწრებიან ერთმანეთს საგაკვეთილო პროცესში, აფასებენ, აჯამებენ და გეგმავენ შემდეგ ნაბიჯებს პროცესის უკეთ შეფასებისათვის . **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის აზრით,** საბაზო საფეხურზე მასწავლებელთა რეფლექსიები და თვითრეფლექსიები მოწმობს, რომ სკოლას გააზრებული აქვს სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერისა და დახმარების მნიშვნელობა სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების პროცესში. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მათი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასების სისტემა სასკოლო საზოგადოების მხრიდან აღქმულია, როგორც მხარდამჭერი მექანიზმი. ისინი ცდილობენ, ისწავლონ წარსულ გამოცდილებას და გააუმჯობესონ სასკოლო საზოგადოების წევრების ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობა. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;. ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები წინასწარ შედგენილი განრიგის მიხედვით ესწრებიან სკოლის პედაგოგებს გაკვეთილებზე, სკოლაში დანერგილია ე.წ. კრიტიკული მეგობრის პრაქტიკა, რომლის ფარგლებში კოლეგები აკვირდებიან სასწავლო პროცესებს სხვადასხვა მიმართულებით. ხარისხის მართვის ჯგუფის წევრები პედაგოგებს ჩატარებული გაკვეთილის ფარგლებში აძლევენ უკუკავშირებსა და რეკომენდაციებს გამოკვეთილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სკოლაში დანერგილია „კრიტიკული მეგობრის“ პრაქტიკა. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების განვითარებას და აღიქმება პოზიტიურ მოვლენად. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ სკოლის გუნდური მუშაობის პრინციპი ითვალისწინებს მხარდაჭერას ყველა დონეზე, მნიშვნელობა არა აქვს, ეს იქნება მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი თუ სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

მასწავლებლებთან პირისპირ საუბრისას გამოიკვეთა, რომ, მათი აზრით, მონიტორინგი და შეფასება ემსახურება წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის გზების ძიებას. იგივე შეგვიძლია დავასკვნათ სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების კითხვარიდან. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრთა მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს, დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის ჯგუფის მიერ მიწოდებულ უკუკავშირებს, განმავითარებელი შეფასების კომენტარებს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. სკოლის თვითშეფასების კითხვარში ასევე ნახსენებია, რომ სკოლაში ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვა გულისხმობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეების პროგრესის უზრუნველყოფას საგნობრივი სტანდარტებით განსაზღვრულ შედეგებთან მიმართებით. ამ მიმართულებით სწავლა-სწავლების პროცესში მნიშვნელოვან როლს თამაშობს დიაგნოსტიკური შეფასება, სკოლის მიერ განხორციელებული მონიტორინგის შედეგად გამოიკვეთა დიაგნოსტიკური კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, რომელთა გამოსავლენად სკოლაში ჩატარდა დიაგნოსტიკური წერები; განისაზღვრა ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის, რაც სამომავლოდ აისახება ცვლილებების სახით. მათი თქმით, მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს პრობლემის გადაჭრის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი
- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის განხორციელების რეფლექსია
- ერთლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა
- 7 წლიანი სამოქმედო გეგმა

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის და მასწავლებლებთან გასაუბრების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს. შეფასების ჰოლისტური ხასიათი გულისხმობს ინტეგრირებულ, ერთიან და სისტემურ მიდგომას და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით. მონაცემების შეგროვება ხდება სხვადასხვა წყაროს თუ რესურსის გამოყენებით.(მაგ.მოსწავლეზე დაკვირვება, მასწავლებლის, უკუკავშირი და სხვა..) მოსწავლეთა შესახებ ინფორმაციის შეგროვება ხდება მრავალფეროვანი წყაროებიდან(მოსწავლე, თანატოლი, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი). მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობით ჩანს, რომ დაწყებითების კათედრაზე მოსწავლეთა შეფასება მოხდება განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებით. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით, ს**კოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე , რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. საბუნებისმეტყველო კათედრა შეფასებისას მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, შემაჯამებელი დავალები, მასწავლებლების ანგარიშები, გამოყენებული დიაგნოსტიკური განმავითარებელი შეფასებები, მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, უკუკავშირები და შესასვლელ-გასასვლელი ბილეთები. მათი განხილვით/ანალიზით გროვდება ინფორმაცია თითოეული მოსწავლის თავისებურებების და საჭიროების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია შეფასების დროს.**უცხოური ენების ექსპერტის ცნობით,** ინტერვიუსას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ შეფასებისას ცდილობენ, მოსწავლე შეფასდეს სხვადასხვა საკითხებში. მაგალითად, როდესაც მას აქვს შესასრულებელი კომპლექსური დავალება, ახდენენ არა მხოლოდ ამ კონკრეტული დავალების შეფასებას, არამედ ითვალისწინებენ სხვა ასპექტებსაც, მაგალითად, პრეზენტაციის უნარს, ინფორმაციის მოძიებისა და დამუშავების ხარისხს, გამართულად მეტყველებას, შემოქმედებითობას, კომპლექსური დავალების განხორციელების ეტაპებზე მისი ჩართულობის ხარისხსს, თანამშრომლობით უნარებს და ა.შ. მასწავლებლების ნათქვამი დასტურდება შეფასები რუბრიკებითაც. **სახელმწიფო ენის ექსპერტის ინფორმაციით,** სასწავლო პროცესის შეფასება საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წერილობითი ნამუშევრების შეფასებებთან დაკავშირებით: დეტალურადაა გაწერილი **ესეს, ინტერვიუს, თხზულებისა, ზეპირმეტყველების, დისკუსიისა** თუ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. გასაუბრებით გაირკვა , რომ აქვთ ჯგუფური მუშაობისა და სოლოტაქსონომიით შეფასების გამოცდილება, რომლის ამსახველი დოკუმენტი სკოლამ მტკიცებულებად წარმოადგინა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;**

მათემატიკის ექსპერტის აზრით, სკოლის მიერ წარმოდგენილ შეფასების სხვადასხვა ინსტრუნმენტზე დაკვირვება იძლევა წარმოდგენას, რომ კათედრას აქვს გამოცდილება, კურიკულუმის შეფასებისას გამოიყენოს მასწავლებლის თვითშეფასება, საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მოსწავლეთა გამოკითხვა. ასევე კათედრაზე, სამუშაო ჯგუფებში, მასწავლებლებთან, მშობლებთან, საგნობრივ ექსპერტებთან საერთო შეხვედრებზე გამოკვეთილი კურიკულუმის დანერგვის პროცესში შექმნილი სირთულეების გათვალისწინება ახალი კურიკულუმის შექმნისას, არის დასტური იმისა, რომ სკოლაში შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, შეფასება ხორციელდება სხვადასხვა კონტექსტის გათვალისწინებით, როგორც მოსწავლის შესაძლებლობების, ასევე მათ ოჯახური და ჯანმრთელობის მდგომარეობით. სკოლა წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნავს, რომ შეფასება გამოიყენება არამარტო მოსწავლეების აკადემიური მიღწევების დასადგენად, არამედ მათი სუსტი და ძლიერი მხარის გამოსავლენად. ინფორმაციის შეგროვებისას მასწავლებლები ეყრდნობიან სხვადასხვა გარემოდან მიღებულ მონაცემებს, თანაკლასელთა გარემოს, სოციალურ მდგომარეობას და სხვა. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. კლასის დონეზე ხდება შემაჯამებელი დავალებების რაოდენობრივი ანალიზი, მოსწავლეები გარდა საკლასო-საშინაო აქტივობებისა, ფასდებიან კვლევით აქტივობებში, პროექტებზე და სხვა კლასგარეშე ღონისძიებებში მიღებული მონაწილეობის საფუძველზე. **სახელმწიფო ენის ექსპერტის მოსაზრებით,** მასწავლებელები სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს, რათა კარგად წარმოჩნდეს მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესები და შესაძლებლობები. სკოლამ წარმოადგინა საკმაოდ მრავალფეროვანი რუბრიკები, როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი. ისინი ცხადყოფს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები საბაზო საფეხურზე საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს, გამოხატონ თავიანთი შესაძლებლობები ყველა მიმართულებით. გათვალისწინებულია ასევე მოსწავლეთა თვითშეფასება , შემუშავებულია ,,თვითშეფასების ბარათები“ და ,,გასასვლელი ბილეთები“.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოგენილ კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ასევე სტრატეგიული განვითარების გეგმაში ნათლად ჩანს სკოლის მზაობა და ხედვა მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდების შესახებ, მაგალითად, ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი, თვითშეფასება. მასწავლებელთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ შეფასების პროცესში გარკვეულწილად გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესების კვლევა, გასაუბრება და სხვა. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის აზრით,** შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვება მასწავლებლების , ასევე ხარისხის მართვის წევრებისა და დირექციის მეშვეობით. მასწავლებლებმა ისაუბრეს მოსწავლეთა შეფასების მრავალფეროვანი მეთოდებზე და მოსწავლეთა მონაცემების შეგროვებისას მათი შეფასების მნიშვნელობაზე. **საბუნებისმეტყველო კათედრა** შეფასებისას მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს: **შემაჯამებელი დავალებები, მასწავლებლების ანგარიშები, გამოყენებული დიაგნოსტიკური განმავითარებელი შეფასებები, მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, უკუკავშირები და შესასვლელ-გასასვლელი ბილეთები**. მათი განხილვით/ანალიზით გროვდება ინფორმაცია თითოეული მოსწავლის თავისებურებების და საჭიროების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია შეფასების დროს. **სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის აზრით,** სკოლაში ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს ჩატარებული აქვთ საჭიროებათა კვლევები მონაცემთა შეგროვების მიზნით. გამოყენებულია მრავალფეროვანი მეთოდები, მათ შორის ყველაზე ტიპური და გამოყენებადი საგანმანათლებლო სფეროში : **მშობელთა გამოკითხვა, ინტერვიუ, ანკეტირება, ფოკუს-ჯგუფი,** ასევე, ჩანს, რომ საგაკვეთილო პროცესისას იყენებენ თვისებრივი და რაოდენობრივი დაკვირვებას, ტესტირებას და ა.შ. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ამ მიმართულებით მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასკოლო სასწავლო გეგმაში მოცემულია მოსწავლეთა შეფასების პრინციპები, რომლებიც ეროვნული სასწავლო გეგმიდან გამომდინარეობს. წარმოდგენილი დოკუმენტაციით შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, კათედრა გეგმავს კომპლექსური დავალებებით სწავლებას, რაც იძლევა მრავალფეროვანი კონტექსტის გათვალისწინების საშუალებას. შეფასება ხორციელდება შესაბამისი რუბრიკებით. ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით მასწავლებლები ახდენენ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, შეფასებისას ითვალისწინებენ გარე ფაქტორებს, რომლებიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე(გამოცდილება, ემოციური მდგომარეობა, ინტელექტი, ჯანმრთელობა და სხვა). მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით **საბუნებისმეტყველო კათედრა** ითვალისწინებს და მომავალშიც გაითვალისწინებს სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს, ისეთებს, როგორებიცაა სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, ხელისშემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობები, წინარე ცოდნა და სასკოლო მზაობა, რომელიც ეფუძნება ესგ სასწავლო მიზნებს. **უცხოური ენების ექსპერტის აზრით,** სკოლის თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, მოსწავლის შეფასებაში პრიორიტეტი ენიჭება კომპლექსური კონტექსტის მქონე დავალებებს, რომელთა შესრულება მოსწავლეს უბიძგებს ცოდნის სხვადასხვა კომპონენტის ინტერაქტიულად და თანადროულად გამოყენებისკენ. **ქართული ენისა და ლიტერატურის** საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც კარგადაა გააზრებული როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი შეფასებებისას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის ჩარჩო
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი
- ბრძანება სკოლის კურიკულუმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- შეფასების რუბრიკები
- მასწავლებელთა საჭიროების კვლევა
- კურიკულუმები
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი*

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც მოიაზრებს კურიკულუმის რევიზიის შედეგების საფუძველზე სარეკომენდაციო პაკეტის შექმნას. ასევე სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც სასწავლო პროცესის მუდმივ გაუმჯობესებისკენ არის მიმართული. კურიკულუმის განვითარება გულისხმობს მიმდინარე პროცესების მუდმივ შესწავლასა და რეფლექსიას, რომელიც დასახული მიზნების მიღწევისკენ და პროცესების გაუმჯობესებისაკენაა მიმართული. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ კათედრის სხდომებზე განიხილავენ, რა გამოცდილება დაგროვდა სასწავლო წლის მანძლზე; როგორ შეიძლება ამ გამოცდილების გამოყენება სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისათვის; რა უნდა გაითვალისწინონ ახალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შედგენისას ადმინისტრაციის, მასწავლებლის, მოსწავლის და მშობლის დონეზე.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის აზრით, შექმნილია კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი 2023-24 სასწავლო წლისათვის . სტანდარტიდან გამომდინარე, კურიკულუმის ჩარჩოზე დაყრდნობით, ახალ სამიზნე ცნებებზე მისაღწევი შედეგებით შექმნილი აქვთ საგნობრივ კურიკულუმი. შუალედური მიზნის მიღწევის ერთ-ერთ საშუალებად განისაზღვრება კომპლექსური დავალებები და პროექტები. სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება. კერძოდ, კათედრის ხელმძღვანელები, სასწავლო წლის განმავლობაში 2-ჯერ, სკოლის ადმინისტრაციას წარუდგენენ სრულ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი და შესრულებული აქტივობების შესახებ , როგორიცაა ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები , შიდა დაკვირვების გაკვეთილები კათედრის მიერ მომზადებული უკუკავშირებით, კათედრაზე ჩატარებული სამუშაო და რეფლექსური შეხვედრები და ა.შ. კათედრები აჯამებენ საქმიანობას და აფასებენ ჯგუფის ძლიერ და სუსტ მხარეებს , გეგმავენ ინტერვენციებს , რომელთაც ითვალისწინებენ შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისას. ასევე, აღნიშნულია, რომ სკოლის დირექცია ცდილობს, გააერთიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, განსაზღვროს პრიორიტეტები და შეიმუშაოს სარეკომენდაციო პაკეტი მომავალი სასწავლო წლისათვის. ამავე დოკუმენტში ნახსენებია, რომ 2023-2024 სასწავლო წლისთვის მომზადდება პროცესის მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო; პროცესი მიიღებს სისტემურ ხასიათს. შეგროვდება მეტი ინფორმაცია მონიტორინგის პროცესში , რათა გამოიყენონ შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტი- სასწავლო პროცესზე დაკვირვება , მოსწავლის მიღწევის შედეგების გაზომვა სადიაგნოსტიკო წერებით და ა.შ. **საზოგადოებრივი მეცნიერებების** ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ექსპერტის მოსაზრებით, სკოლას აქვს მზაობა, რათა შექმნას კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი სასკოლო სტრუქტურის ყველა დონისთვის, სადაც გათვალისწინებული იქნება დაგროვილი გამოცდილება, ჩატარებული გაკვეთილის, კომპლექსური დავალების, პროექტის რეფლექსიები. კათედრები შეიმუშავებენ ახალ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს, რომელიც გათვალისწინებული იქნება მომდევნო წლის კურიკულუმში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

ინტერვიუირებისას გამოიკვეთა ის , რომ საბაზო საფეხურზე კურიკულუმის დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებული იქნა წინა სასწავლო წლის გამოცდილება, კერძოდ, გაანალიზებული იქნა თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის პროცესის რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის განმსაზღვრელი რესურსები, ინსტრუმენტები და შეფასების რუბრიკები. მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად დანახული მიგნებები აისახა ახალი სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმში. **უცხოური ენების ექსპერტის ცნობით,** თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, სკოლაში კურიკულუმის რევიზიის შედეგების ანალიზი ხდება ორი მიმართულებით: რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა პროცესს და რა ფაქტორები უწყობდა ხელს. მონაცემები გროვდება სხვადასხვა მიმართულებით ; ყველა საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის სასწავლო გეგმის შესამუშავებლად. სკოლას გააჩნია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განსაზღვრის და შესაბამისად სარეკომენდაციო პაკეტის მომზადების გამოცდილება. 2023-2024 სასწავლო წელს კი ამოქმედდება პროცესის შეფასების და მონიტორინგის შეთანხმებული ფორმა. შეფასდება სასწავლო პრაქტიკის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები, მომზადდება სარეკომენდაციო პაკეტები და შეიტანენ ცვლილებებს კურიკულუმში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- განხორციეელებული კურიკულუმის რეფლექსია

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხური

სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	☐ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ **შეესაბამება** ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ადგილზე ვიზიტით დადასტურდა, რომ სკოლას აქვს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც მთლიანობაში გვიქმნის წარმოდგენას იმის შესახებ, თუ როგორ გეგმავს სკოლა 2023-2024 სასწავლო წლის წარმართვას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის (კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სასკოლო სასწავლო გეგმის ძირითადი საგანმანათლებლო პრინციპები, სკოლის შინაგანაწესი, საგნობრივი კათედრების ფუნქციები) შინაარსის მიხედვით ჩანს, რომ საშუალო საფეხურზე **საბუნებისმეტყველო საგნების** კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები და პრიორიტეტები და სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის პროექტი ერთობლივი თანამშრომლობის შედეგია. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის პროექტზე მუშაობისას მათ გაითვალისწინეს წინა წლების გამოცდილება. **საშუალო** საფეხურის კათედრაზე პედაგოგებმა განიხილეს გასულ სასწავლო წელს მოსწავლეების მიღწევები, სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეები, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული გრძელვადიანი და შუალედური მიზნები, სტანდარტები და მასში შესული ცვლილებები, ჩატარებული კომპლექსური დავალებები. შემუშავდა კურიკულუმების პირველადი ვერსია. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ცნობით,** მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ იკრიბებიან სასწავლო წლის დაწყებამდე, განიხილავენ გასული სასწავლო წლის ძლიერ და სუსტ მხარეებს და ცდილობენ, დაგეგმონ კურიკულუმის ისეთი ჩარჩო, რომელშიც აღმოფხვრილი იქნება წინა სასწავლო წლის პრობლემები. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის** ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინფორმაციით, სკოლას წინარე გამოცდილების გათვალისწინებით შემუშავებული აქვს **საშუალო საფეხურზე** საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, სადაც ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, ყველა კლასში ერთი კომპლექსური დავალება მაინც. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლითა და ჩატარებული გასაუბრებების მიხედვით სასკოლო სასწავლო გეგმის შინაარსითა და განხორციელებული სასწავლო პროცესით შეიქმნება მოსწავლეების შესაძლებლობების გამოვლენის, სწავლისა და თანაბარი განვითარების ხელშემწყობი გარემო. **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე** მასწავლებლებმა ინტერვიუს დროს აღნიშნეს, რომ პარალელური კლასის მასწავლებლები იკრიბებიან და განიხილავენ თემებს, გამოყოფენ საკითხებს და აკავშირებენ ცნებებს საკითხებსა თუ ქვესაკითხებს, ჯერდებიან კომპლექსური დავალების პირობასა და განხორციელების ეტაპებზე. ითვალისწინებენ პრიორიტეტებს დაგეგმვის დროს. **ქართული ენისა და ლიტერატურის** საშუალო საფეხურზე კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება - კომპლექსური დავალებებიის იდეები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. სკოლა გვიჩვენებს შუალედური მიზნებს, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად. დოკუმენტაციის საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ კათედრის წევრები თანხმდებიან თემატურ საკითხებზე, შეფასების ინსტრუმენტებსა და დანერგვის მექანიზმებზე. სასწავლო წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიებისა და მიგნებების საფუძველზე გამოტანილი დასკვნების გათვალისწინებით მუშავდება მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმი. სკოლას აქვს წარმოდგენილი **„კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია“. უცხოური ენების ექსპერტის ცნობით,** მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ ისინი აანალიზებენ მათ მიერ შესრულებული სამუშაოების ძლიერ და სუსტ მხარეებს და აღნიშნული ანალიზის სფუძველზე გეგმავენ მომდევნო სასწავლო წლის საქმიანობას. სკოლის საქმიანობის გაანალიზებაზეა საუბარი სკოლის 7 წლიან სტრატეგიულ დოკუმენტშიც. მისი მიხედვით, სკოლა იყენებს SWOT -ანალიზს, რომელიც მათ ეხმარება სკოლის შიდა და გარე ფაქტორების ანალიზში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალო საფეხურზე **ბუნებისმეტყველებაში** სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოების მიხედვით ჩანს ყოველ კლასში სავალდებულო თემების რომელი საკითხები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნებია გამოკვეთილი. სავალდებულო თემების, საკითხებისა და შუალედური სასწავლო მიზნების ანალიზით შეიძლება დავადასტუროთ, რომ სასწავლო კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებსა და ინტერესებს. გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და პრიორიტეტები , რაც დადგინდა მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს, კერძოდ მოსწავლის პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობებით. **საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ცნობით,** სკოლის მიერ წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმებში **(ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა)** ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესი. კურიკულუმის შემუშავებაში სასკოლო საზოგადოების წევრები სხვადასხვა ფორმით იღებდნენ მონაწილეობას. მაგ; კათედრაზე გამოიკვეთა ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომელთაც მოსწავლეებმა კარგად გაართვეს თავი, ასევე გაკეთდა გამოწვევების ანალიზი და დაიგეგმა, თუ რა ცვლილება უნდა განხორციელდეს სასკოლო კურიკულუმში. ასევე დაკვირვებისა და კითხვების საშუალებითაც ადგენენ მოსწავლეთა ინტერესს. კომპლექსური დავალების ბარათებს აცნობენ მშობლებს. კურიკულუმის შექმნისას გათვალისწნებულია სსსმ მოსწავლეების ინტერესი, ისგ-ს შედგენისას ჩართულია სპეცმასწავლებელი და მშობელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და მასწავლებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ საშუალო საფეხურზე **ბუნებისმეტყველების** საგნობრივი კურიკულუმის შექმნისას სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. კათედრაზე შეხვედრების დროს , კურიკულუმზე მუშაობისას, მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან. კომპლექსური დავალებების შერჩევისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები. შერჩეული კომპლექსური დავალებების შესახებ ხდება მშობლების ინფორმირება, უგზავნიან მათ ბარათებს და იღებენ მშობელთა უკუკავშირებს. **ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებში, მათ შორის კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგიაში, ნათლად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იკითხება, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. მასწავლებელთა ინტერვიუებნიდან იკვეთება, რომ კათედრაზე განიხილება თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები, განხორციელებული კომპლექსური დავალებები, გამოყენებული რესურსები. ყოველივე ზემოთ აღნიშნულის საფუძველზე პედაგოგებს შეაქვთ ცვლილებები კურიკულუმში. მასწავლებლები იყენებენ OneDrive-ს საგნობრივი ჯგუფის რესურსებისათვის, ბლოგებს, შექმნილია Teams-ის და Facebook-ის ჯგუფები თითოეული კლასისთვის. აქ მშობლებს და მოსწავლეებს ეგზავნებათ მშობლის ბარათი, კომპლექსური დავალების პირობა, შეფასების რუბრიკა. მომავალი სასწავლო წლისათვის ფიქრობენ კიდევ უფრო მეტად ჩართონ სასკოლო საზოგადოება კურიკულუმის შექმნაში.

სკოლას ცალკე დოკუმანტად აქვს შემუშვებული **,,მშობელთან ურთიერთობის სტრატეგია“,** რაც იმის დასტურია, რომ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სასკოლო საზოგადოების მთლიანობასა და თანამშრომლობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის აზრით, საშუალო საფეხურის კურიკულუმით განსაზღვრული საკლასო, სასკოლო და კლასგარეშე აქტივობების შესახებ მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ინფორმაცია მიეწოდებათ მშობელთა საერთო კრებებსა თუ სოციალურ ქსელში არსებული დახურული ჯგუფების საშუალებით. სკოლაში ვიზიტის პერიოდში, საგნის მასწავლებლები, მათ მიერ დაგეგმილი მიზნობრივი აქტივობების მოსწავლეების მშობლებისთვის ინფორმაციის მიწოდების ერთ-ერთ მექანიზმად სადამრიგებლო პროგრამით გაწერილ დამრიგებლის ფუნქციას ასახელებენ. შექმნილი კურიკულუმები ხელმისაწვდომი და საჯაროა სკოლის საზოგადოებისთვის. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის აზრით,** საგნობრივი კურიკულუმისა და მისი მხარდამჭერი დოკუმენტების (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, სასკოლო სასწავლო გეგმის აკადემიური კალენდარი, არაფორმალური სწავლის სხვადასხვა საშუალებები და ა.შ.) გაზიარება ხდება პედაგოგიურ საბჭოზე, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით. ყოველივე განიხილება კათედრებზე, პედაგოგებს შორის, ხოლო საზოგადოებისათვის ტექნიკური გაზიარება ხდება თიმსისა და ვანდრაივის პლატფორმაზე, ასევე სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში და ხელმისაწვდომი იქნება ყველა დაინტერესებული პირისთვის. **ქართული ენისა და ლიტერატურის** მასწავლებლებმა კათედრაზე ინტერვიუში აღნიშნეს, რომ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმების გაზიარებაზე ზრუნავენ არა მარტო კათედრის შიგნით სხვადასხვა საფეხურზე, არამედ მთლიანად სასკოლო საზოგადოებას აწვდიან ინფორმაციას. ეს ხდება პედაგოგიური საბჭოს კრებებსა და მშობელთა კრებებზე , მშობლებთან ინტენსიური კომუნიკაციის გზით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია;
- საგნობრივი კურიკულუმების ჩარჩოები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024.
- კურიკულუმები;
- სასკოლო-სასწავლო გეგმა.
- კათედრის ოქმები

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

სახელმწიფო ენის ექსპერტის ცნობით, ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურის კურიკულუმები სკოლამ ყველა კლასის მიხედვით წარმოადგინა. მოცემული ჩარჩო- დოკუმენტები სრულყოფილად წარმოაჩენს ყველა სამიზნე ცნების დამუშავების პროცესს . დოკუმენტაციაში კარგად ჩანს მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დაგეგმვის გზები და მათ განვითარებაზე ზრუნვა, სკოლას ასევე ნაჩვენები აქვს შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად და ის ძირითადი რესურსები, რომელთა დახმარებითაც გეგმავენ შედეგზე გასვლას. ნათელია, რომ სისტემატური უკუკავშირი აქვთ მოსწავლეებთან, რაც ეხმარებათ მათი ინტერესების გათვალისწინებაში. ვინაიდან სკოლას აქვს გამოცდილება და მზაობა , შეიძლება ითქვას, რომ მათ მიერ შემუშავებული კურიკულუმები უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და მის განვითარებას ახალი სასწავლო წლისთვის.

ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის აზრით, ამ საფეხურზე მუსიკასა და ხელოვნებაში საგნები სავალდებულო პროექტების სახით ისწავლება, სკოლის არჩევანია, რომელ საგანში აირჩევს პროექტს, მაგრამ მოსწავლის ასარჩევია, რომელ პროექტში მიიღებს მონაწილეობას. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში საგნობრივი კურიკულუმი ორივე საგანშია წარმოდგენილი, კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტის მოთხოვნებს და მასში იკვეთება მეთოდური ორიენტირები. ორივე საგანში პროცესის დაგეგმვა ხდება გრძელვადიანი სასწავლო მიზნნების, სამიზნე ცნებების, მკვიდრი წარმოდგენების, ქცეცნებებისა და საფეხურეობრივი შედეგების მიხედვით. დოკუმენტებიდან იკვეთება, რომ უპირატესობა პროექტულ სწავლებას ენიჭება, სადაც კომპლექსური დავალებებიც შედის და განიხილება, როგორც შუალედური სასწავლო მიზნები. სკოლას აქვს მომავალი სასწავლო პროცესის ხედვა გაწერილი და ეს კათედრაზეც გამოიკვეთა ინტერვიუს დროს, მასწავლებელმა ისაუბრა საწავლო პროცესის მიმდინარეობაზე, კურიკულუმის შექმნა მათ ამ დრომდე არ ევალებოდათ , რადგან ამ საფეხურზე მხოლოდ მე-10 კლასის სახელმძღვანელო და ორივე საგანში მეთოდური სახელმძღვანელო არსებობს, რომლის მიხედვითაც მუშაობენ პედაგოგები. სკოლა ახორციელებს სხვადასხვა პროექტს, სხვადასხვა საგნებში, რომლებიც მტკიცებულების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სახით არის წარმოდგენილი. მაგალითად: მუსიკა მე-11 კლასში ახორციელებს თემაზე: ეროვნული იდენტობისა და ეროვნული მუსიკალური აზროვნების საკითხები ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედებაში; ხელოვნებაში: კულტურული მემკვიდრეობა და ხელოვნება როგორც გამოსახვის საშუალება/ხელოვნება და მისი ფუნქციები თანამედროვე სამყაროში. ასევე განხორციელებული პროექტები: ფინანსური წიგნიერება,-ნუმიზმატიკა და გალერეა, რასაც თან ახლავს მასწავლებლის რეფლექსია. შემიძლია ვთქვა, რომ სასკოლო კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესს და ემსახურება მათი განვითარების გზას.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის მოსაზრებით, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივი კურიკულუმებით (ისტორია, საქართველოს ისტორია, მოქალაქეობა, გეოგრაფია) სასწავლო პროცესი დაგეგმილია მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით, სადაც გათვალისწინებულია მოსწავლის კონკრეტული შესაძლებლობები და ინტერესები. პედაგოგებმა საგნობრივი კურიკულუმები საგნობრივ სტანდარტებზე დაყრდნობით წარმოადგინეს გრძელვადიანი მიზნებისა და მისი შესაბამისი შედეგების გათვალისწინებით, ხოლო შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განსაზღვრეს სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების და საჭიროებების მიხედვით. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სავალდებულო თემების, სამიზნე ცნებების, ქვეცნებების, საკითხთა კლასტერების, კონტექსტ-მაგალითების, კომპლექსური დავალების იდეებისა და გამოყენებული რესურსების დონეზე. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ პედაგოგები იყენებენ დიფერენცირებულ და ინკლუზიურ მიდგომას. **უცხოური ენების ექსპერტის მოსაზრებით, სკოლის მიერ** შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას იმდენად, რამდენადაც მასში მოცემული კომპლექსური დავალებები/აქტივობები, სამივე უცხო ენის შემთხვევაში, საშუალებას იძლევა, მოსწავლე იყოს სასწავლო პროცესის სუბიექტი და საკუთარი სწავლის პროცესის წარმმართველი. ასევე, მოსწავლეებს საშუალებას აძლევს, გამოავლინონ საკუთარი შესაძლებლობები, გამოხატონ საკუთარი ემოციები და ინტერესები. მაგალითად, გერმანული ენის X კლასის კურიკულუმის ერთ-ერთი კომპლექსური დავალების მიხედვით, მოსწავლეებმა უნდა დაწერონ სტატია მე-20 საუკუნეში მომხდარი გახმაურებული შემთხვევის შესახებ. მოსწავლეები თავად წყვეტენ, კონკრეტულად რომელ მოვლენებს აარჩევენ სტატიისთვის, როგორ გააფორმებენ სტატიას და ა.შ. მსგავსი თავისუფლება აქვთ მოსწავლეებს სამივე უცხოური ენის სხვა კურიკულუმების შემთხვევებშიც. ასევე, მასწავლებლებთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინტერვიუებისას გამოიკვეთა, რომ მათ მიერ განხორციელებული აქტივობების ფარგლებში მოსწავლე თავად აგებს ცოდნას და საკვანძო შეკითხვებზე პასუხის გაცემით ეტაპობრივად მიდის საბოლოო პროდუქტამდე, იაზრებს, რა ცოდნა და უნარები სჭირდება ამა თუ იმ კომპლექსური დავალების შესასრულებლად და გააზრებულად აგებს საკუთარ სწავლის პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2.კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);

სახელმწიფო ენის ექსპერტის განცხადებით, ქართული ენისა და ლიტერატურის საშუალო საფეხურის კურიკულუმებში კარგად იკვეთება ეროვნული სასწავლო გეგმის გრძელვადიან მიზნებთან მიმართება. კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს ყველა სამიზნე ცნებაზე მუშაობასა და გლობალურ-ფუნქციური უნარების განვითარებას. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ X კლასში შემოთავაზებული კომპლექსური დავალების პირობა: ,, იაკობ ხუცესის ნაწარმოების „შუშანიკის წამება“ მინიშნებებზე დაყრდნობით პირადი მოსაზრების ამსახველი ესეს დაწერა თემაზე: „გმირი და ანტიგმირი შუა საკუნეების ჰაგიოგრაფიულ ნაწარმოებსა და ჩვენს თანამედროვეობაში“, რომელიც საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, გადმოსცენ საკუთარი მოსაზრებას იმის თაობაზე, თუ ვინ მიაჩნიათ „გმირად'' და „ანტიგმირად“ თანამედროვე სამყაროში

(შეუძლიათ , იმსჯელონ როგორც თანამედროვე ლიტერატურულ ან კინოგმირზე, ასევე რეალურად არსებულ ადამიანებზე).

XII კლასში ამავე მიზნებს ემსახურება კომპლექსური დავალების იდეა: ,, დაწერეთ პირადი მოსაზრების გამომხატველი ესე თემაზე : „რის ალეგორიულ გამოხატულებად შეიძლება მივიჩნიოთ „ჯაყოს ხიზნების“ მთავარი მოქმედი პირები“ (ისტორიულ კონტექსტთან მიმართებაში). ინტერვიუსას პედაგოგებმა ისაუბრეს მათ მიერ განხორციელებული კომპლექსური დავალებებზეც: მოსწავლეთა მიერ შექმნილ წიგნებზე, პოსტერებსა და ნახატებზე, რომლებიც ხელს უწყობს ამ უნარების, როგორც პოზიტიური სასწავლო გარემოს მახასიათებლების, განვითარებას. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** კურიკულუმები სრულად მიემართება ეროვნული

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები). მათემატიკის კურიკულუმში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები (მაგ. **"სკოლის შენობის სიმაღლის დადგენა", „კვლევის დაგეგმვა", „ფინანსური გადაწყვეტილება**"). კომპლექსური დავალებებზე მუშაობა ხელს შეუწყობს გლობალური ფუნქციური უნარების (6 უნარის) განვითარებას. სამიზნე ცნებები და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები, მკვიდრი წარმოდგენები და შედეგები გააზრებულია გრძელვადიან მიზნებად. ფუნქციური უნარების განვითარებას ხელს შეუწყობს სასკოლო პროექტი: **„ფინანსური წიგნიერება-„ვაგროვებთ მარტივად და ჭკვიანურად";** კურიკულუმებში აქტივობები დაგეგმილია ისე, რომ მოსწავლეებში განვითარდეს თანამშრომლობა, ეფექტური კომუნიკაცია, თვითრეგულაცია, რეალური პრობლემების გადაწყვეტისა და ინოვაციის უნარები, შეძლონ ცოდნის კონსტრუირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;

სახელმწიფო ენის ექსპერტის ინფორმაციით, სასწავლო პროცესისას სკოლა ითვალისწინებს ინკლუზიურ მიდგომებს. იკვეთება კონკრეტულ მოსწავლეთა საჭიროებებზე , ინტერესებსა და შესაძლებლობებზე ორიენტირება. თვითშეფასების ფორმაში აღნიშნულია, რომ სკოლისთვის ეს საკითხი პრიორიტეტულია და სკოლის მართვის პოლიტიკა თვალყურს ადევნებს სსსმ მოსწავლეთა ინდ გეგმების შემუშავებას. საშუალო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა, რომ სკოლა ეფექტიანად მუშაობს ინკლუზიური მიმართულებით და მასწავლებლები იყენებენ დიფერენცირებული სწავლების პრონციპებს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის ცნობითაც,** სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით საშუალო საფეხურზე იკვეთება სწავლების დიფერენცირებული/ ინკლუზიური მიდგომები- კომპლექსური დავალებების პირობა იმგვარადაა წარმოდგენილი, რომ მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ინტერესის, საჭიროების და შესაძლებლობების მიხედვით წარმოაჩინოს საკუთარი ცოდნა/უნარები. დიფერენცირებული/ინკლუზიური მიდგომები უფრო ნათლად გამოიკვეთა მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს, გამოჩნდა, რომ მასწავლებლები ინფორმირებული არიან ამ კუთხით. ინტერვიუებისას მათ აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ აქტივობებში; თვითშეფასების კითხვარში მოცემულია, რომ მასწავლებელები ითვალისწინებენ დიფერენცირებული სწავლა-სწავლების ძირითად მიდგომებსა და სტრატეგიებს, ხდება როგორც კომპლექსური დავალების ფორმისა და შინაარსის, ასევე, სამიზნე ცნებების რაოდენობისა და მისაღწევი შედეგების მოდიფიცირება/ადაპტირება; ბუნებისმეტყველების მასწავლებელთა პორტფოლიოს დათვალიერებისას აღმოჩნდა ,რომ მოსწავლის სწავლის პროცესის შესახებ მონაცემების შეგროვებას და მის ანალიზს, ასევე მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გამოვლენას, შესაძლებლობების დადგენას, ახდენენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლის ბარათებით, მოსწავლის თვითშეფასების რუბრიკებით. აქვთ რემედიაციის პროგრამაც, რომლითაც მოსწავლის შესაძლებლობებს არგებენ სასწავლო პროცესს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;

სახელმწიფო ენის ექსპერტის ცნობით, ქართული ენისა და ლიტერატურის საბაზო საფეხურზე სკოლა იყენებს როგორც განმსაზღვრელ, ისე განმავითარებელ შეფასებას ყველა კლასში . სკოლის სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია საკმაოდ მრავალფეროვენი ნიმუშები : ესეს, ინტერვიუს, თხზულების, პრეზენტაციის, ზეპირმეტყველების, პროექტის, რეფერატის, დისკუსიის და სხვა შეფასების რუბრიკები, სადაც ქულებთან ერთად გაწერილია შესაბამისი კრიტერიუმები. მტკიცებულებად გვხვდება კონკრეტულ თემებთან მიმართებაში კომპლექსური დავალების შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების რუბრიკა (მე-11 კლასი) , სკოლას აქვს შემუშავებული მოსწავლეთა ბარათები. მათ მიერ შემუშავებული შეფასების ინსტრუმენტები მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. ამ ეტაპზე სკოლა განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს მისდევს. შესაბამისად , პედაგოგები იყენებენ შესაბამისად როგორც ანალიტიკურ, ასევე ჰოლისტურ შეფასების რუბრიკებს.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის აზრით, საგნობრივმა კათედრებმასკოლასი V-XII კლასებისთვის შეიმუშავეს 10 -ქულიანი განმსაზღვრელი შეფასების სისტემა შესაბამისი რუბრიკებითა და კრიტერიუმებით, რომლებიც კონკრეტული საგნის სპეციფიკაზეა მორგებული. ყოველ კონკრეტულ საგანში შესაფასებელი აქტივობები მორგებულია კურიკულუმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. პარალელური კლასების მოსწავლეთა შეფასება ხდება ერთსა და იმავე კრიტერიუმებზე დაყრდნობით. მე-10-მე-11 კლასებისთვის შემუშავებულია განმავითარებელი კომენტარების ფორმები/სქემები თითოეული საგნობრივი კათედრისთვის. განმავითარებელი შეფასება აღწერს თითოეული მოსწავლის განვითარების დინამიკას და მიმართულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. ცოდნათა ურთიერთდაკავშირების მტკიცებულებად გამოდგება STEM პროექტი-"სმარტ ქალაქი", რომელიც განხორციელდა საბუნებისმეტყველო და მათემატიკის კათედრების (ი.ს.ტ.-ის ჩართულობით) და რომელზეც ფიზიკის მასწავლებელმა ისაუბრა და გამოიკვეთა მოსწავლეთა ცოდნათა ურთიერთდაკავშირება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. **დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.**

სახელმწიფო ენის ექსპერტის აზრით, საშუალო საფეხურზე ქართულ ენასა და ლიტერატურაში კურიკულუმის დაგეგმვის პროცესი ითვალისწინებს წინარე გამოცდილებას და , როგორც ინტერვიუსას პედაგოგებმა აღნიშნეს, ეფუძნება მისი ანალიზისას გამოტანილ დასკვნებს. ისინი სისტემატურად ესწრებიან ერთმანეთს და განიხილავენ უკეთესი შედეგების მიღწევის შესაძლებლობებს . სკოლას აქვს წარმოდგენილი კათედრის ოქმები, რომლებშიც განხილულია სემესტრული შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ურთიერთანამშრომლობა; ჩანს , რომ პედაგოგები, საკუთარი პრაქტიკიდან გამომდინარე, თვითრეფლექსიის საფუძველზე ცდილობენ საკუთარი ძლიერი და სუსტი მხარეებს გამოვლენას. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების** კათედრა განსაკუთრებით ყურადღებას აქცევს კოლეგებს შორის თანამშრომლობას, კერძოდ, საერთო პროექტების განხორციელების და ინტეგრებული გაკვეთილების ჩატარების, გამოცდილება, რაც იძლევა ცოდნათა ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირების საშუალებას. ცოდნათა ურთიერთდაკავშირების მტკიცებულებად გამოდგება STEM პროექტი-"სმარტ ქალაქი' რომელიც განხორციელდა საბუნებისმეტყველო და მათემატიკის კათედრების (ი.ს.ტ.-ის ჩართულობით). **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული გეგმა
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
- პროექტები ნიმუშები, მასწავლებელთა რეფლექსიები
- თვითშეფასების ფორმა
- მოსწავლეთა ნამუშევრები
- საგნობრივი კურიკულუმი
- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- კომპლექსური დავალებები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3 კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;**

   ვინაიდან, მოსწავლეებს უწევთ სხვადასხვა ტიპის დავალებების შესრულება, იქნება ეს პრეზენტაციები, სტატიის დაწერა, ვიდეო რგოლის მომზადება თუ ბრიფინგის ჩატარება. ყველა მათგანი მოითხოვს შემოქმედებითობას და აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით, საშუალო** საფეხურზე, **ბუნებისმეტყველებაში** სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, მოსწავლეებს შესაძლებლობა ეძლევათ, თავისუფლად გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები, ხდება მათი ინიციატივების წახალისება და შეხედულებების გათვალისწინება. მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სასწავლო პროექტები, კომპლექსური დავალებები, თემატური მატრიცები, მოსწავლეთა ინტერესებზე დაფუძნებული შეფასების რუბრიკები სასწავლო შემოქმედებით პროცესში მოსწავლეთა ჩართულობას ისახავს მიზნად. ამ მიზნით საგაკვეთილო პროცესში გამოიყენება კომპლექსური დავალებები, რომლის ფარგლებშიც ვითარდება მოსწავლეთა კრიტიკული და შემოქმედებითი უნარები. ამავე მიზანს ემსახურება სხვადასხვა ტიპის საკლასო თუ კლასგარეშე აქტივობები. სკოლის ბაზაზე განხორციელებული სასკოლო პროექტებიც ხელს უწყობს მოსწავლეთა შემოქმედებით პროცესებში ჩართვას, რაზეც მეტყველებს არამარტო სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, არამედ სკოლის სოციალური ქსელებიც. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ცნობით, კი** ინტერვიუს დროს სკოლა გამოთქვამს მზაობას, რომ მომავალი სასწავლო წელი ისე დაგეგმონ ,რომ სასწავლო პროცესი იძლეოდეს მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. **მათემატიკის ექსპერტის ცნობითაც, საგნის** კურიკულუმიდან ჩანს, რომ მთავარი აქცენტი კეთდება კეთებით სწავლაზე. ასევე სასწავლო პროცესში განხორციელებული არაფორმალური აქტივობები მოსწავლეებს მისცემს აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სკოლაში **საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე** ფუნქციონირებს მოსწავლეთა კლუბები (სამოქალაქო განათლების კლუბი, კლუბი-"ნორჩი ფინანსისტები) , რომლებიც სხვადასხვა პროექტს ახორციელებენ. მათი აქტიური მუშაობაც შესაბამისად, მოსწავლეთა შემოქმედებითი უნარების გაძლიერებას ემსახურება. **სახელმწიფო ენის ექსპერტი კი საუბრობს** სასკოლო პროექტ ,,ფინანსური წიგნიერების" ფარგლებში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე განხორციელებულ პროექტზე ,,ლიტერატურის როლი ფინანსურ წიგნიერებაში". მისივე ინფორმაციით მიმდინარე სასწავლო წელს მე-11 კლასში აქვთ გაწერილი კომპლექსური დავალება : პრეზენტაციის წარმოდგენა Power Point-ში (ლექსების ,,ხმა იდუმალი" და ,,სულო ბოროტოს" შედარება, მათი თავისებურებებისა და მთავარი სათქმელის ვიზუალურად წარმოჩენა) . დაგეგმილი აქტივობები საშუალებას აძლევს მოსწავლეებს , მონაწილეობა მიიღონ შემოქმედებით პროცესში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ როდესაც ახალ მასალაზე გადადიან, პირველ რიგში, ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს. ამის შემდეგ აანალიზებენ, რა ცოდნა აქვთ მოსწავლეებს სამიზნე თემის ირგვლივ და ცდილობენ, მასზე დაყრდნობით ეტაპობრივად გადავიდნენ ახალ მასალაზე. **უცხოური ენების ექსპერტის** მოსაზრებით, ამ კუთხით ნათელი სურათის მომცემი იქნებოდა მატრიცები, მაგრამ რადგან სკოლას წარმოდგენილი არ აქვს ისინი, ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ქ. ზუგდიდის N5 საჯარო სკოლაში სკოლაში, უცხოური ენების კათედრის წევრებს აქვთ გარკვეული გამოცდილება და მზაობა ამ კუთხით.

საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით, მასწავლებლები ხელს უწყობენ ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. ამის დამადასტურებელ მაგალითად გამოდგება, როგორც კომპლექსურ დავალებებში მოცემული ცხოვრებისეული კონტექსტ-მაგალითები, ასევე საკოლო პროექტები და არაფორმალური ღონისძიებები. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით,** ვინაიდან, საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლის ცოდნის კონსტრუირების გზას სწორედ მის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით, მისი პრაქტიკაში დანერგვა თავისთავად არის ცოდნის აგება წინარე ცოდნაზე დაყრდნობით. **სახელმწიფო ენის ექსპერტის ინფორმაციით,** მასწავლებლები იყენებენ სხვადასხვა სახის მეთოდებს: მსჯელობა, დისკუსია, მოსწავლის ბარათები, დამაზუსტებელი კითხვები და ა. შ. საშუალო საფეხურზე წარმოდგენილი კურიკულუმებიდან ჩანს, რომ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას ყოვლთვის ხდება წინარე ცოდნის გააქტიურება მოსწავლეებისთვის. შეგვიძლია ვთქვათ, რომ საშუალო საფეხურზე სწავლებისას სკოლა ითვალისწინებს კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით, მოსწავლეები კომპლექსური დავალებების შესრულების ბოლოს და მისი შესრულების ეტაპებზე საკუთარ თავს უსვამენ კითხვებს, თუ რა ცოდნა და უნარები დასჭირდებათ ამა თუ იმ დავალების შესასრულებლად, რა სტრატეგიები დასჭირდებათ დავალების წარმატებით შესასრულებლად, რა გააკეთეს სწორად და რისი შეცვლა სჭირდებათ პროცესში, ან რას შეცვლიდნენ, თავიდან რომ აკეთებდნენ კონკრეტულ დავალებას. გარდა ამისა, თავად გეგმავენ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესსაც. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** სასწავლო პროცესში მოსწავლე ინტერაქციაშია მასწავლებელთან და თანაკლასელებთან , იღებს და გასცემს უკუკავშირს, იზიარებს მიზნის მიღწევის პასუხისმგებლობას და წარმატებას . მასწავლებელთა აზრით, სასწავლო პროცესის, პროექტული სწავლებისა და არაფორმალური აქტივობების დროს მნიშვნელოვანია ყურადღების გამახვილება იმაზე, თუ როგორ განუვითარებენ მოსწავლეებს მეტაკოგნიტური უნარებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის ცნობით, სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარატიული, პროცედურული და პირობისეული). წარმოდგენილი აქტივობები მოსწავლისგან მოითხოვს არა მხოლოდ ფაქტობრივ ცოდნას, არამედ პროცედურულსაც და პირობისეულსაც. მაგალითად, იმისათვის, რომ მოსწავლემ შექმნას ვიდეორგოლი თემაზე: ''მე და მოდა'', მას დასჭირდება არა მხოლოდ დეკლარატიული ცოდნა, არამედ - პირობისეულიც იმდენად, რამდენადაც იგი უკვე ნასწავლი მასალიდან არჩევს შესაბამის ლექსიკურ და გრამატიკულ ერთეულებს და უსადაგებს თავის დავალებას, იხსენებს ვიდეორგოლის გადაღების ფორმატს და იყენებს შესაბამისად. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის აზრით,** სასწავლო პროცესში ძირითადად კეთდება აქცენტი სწავლის სწავლაზე. სწავლა-სწავლების პროცესში აქტიურდება ისეთი საკითხები, რომლებიც მოითხოვს პრობლემის გადაჭრის ალტერნატიული გზების ძიებას, მოსაზრებების შეჯერებასა და საკუთარი დამოკიდებულებების გამოხატვას. საერთო შეფასებით, კათედრის წევრ მასწავლებლებს შეუძლიათ შესთავაზონ მოსწავლეებს ისეთი აქტივობები და დავალებები, რომლებიც იძლევა მათი ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას და სწავლაში ხელისშემწყობი/ხელისშემშლელი ფაქტორების გამოკვეთას. ყოველივე გვაფიქრებინებს, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე, რაც ასახულია კურიკულუმში გაწერილ აქტივობებში; **მათემატიკის ექსპერტიც ცნობით კი,** სკოლის ახლად შემუშავებული კურიკულუმიდან ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. არჩეული კომპლექსური დავალებების განხორციელება ხელს შეუწყობს იმას, რომ დეკლარაციული ცოდნა გადავიდეს პირობისეულ ცოდნაში, პროცედურული ცოდნის გავლით. საკითხის გააზრება ხდება რეალური ცხოვრებისეული მაგალითების ფარგლებში. მაგალითად, მე-10 კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალება „სკოლის შენობის სიმაღლის დადგენა“, რომლის განხორციელებისას მოსწავლეებმა უნდა გაიხსენონ წინა წლებში ნასწავლი საკითხები, წინარე ცოდნაზე დაყრდნობით საგაკვეთილო პროცესში თვითონვე „აღმოაჩინონ“ სამკუთხედის მსგავსების ნიშნები და მიღებული ცოდნა გამოიყენონ პრაქტიკაში, შეძლონ მაღალი ობიექტის სიმაღლის გაზომვა. **საზოგადოებრივი მეცნიერების** საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ შექმნილ საგნობრივ კურიკულუმებში (ისტორია, საქართველოს ისტორია, გეოგრაფია, მოქალაქეობა) კომპლექსური დავალება განსაზღვრულია შუალედურ სასწავლო მიზნად. მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, საგაკვეთილო პროცესი განახორციელონ ცოდნის სამივე კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცესურული, პირობისეული) ორიენტირებით და ასახონ შესაბამის თემატურ მატრიცებში ,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვინაიდან მხოლოდ ასე შეძლებენ, დაეხმარონ მოსწავლეებს საგნობრივი საკითხების შინაარსობრივ გააზრებაში, სასწავლო მასალის ყოველდღიურ ცხოვრებასთან დაკავშირებაში. მაგალითად: მე-10 კლასში, ისტორიაში დაგეგმილია კომპლექსური დავალება- **ეგვიპტე - დღიურის შექმნა ეგვიპტის ისტორიასა და საზოგადოების შესახებ.** მოსწავლეები გაიხსენებენ მსგავს მაგალითს , უკვე შესწავლილს, მაგ. შუმერს, შეადარებენ თანამედროვეს. აღმოაჩენენ მსგავსება-განსხვავებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

5. **სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.**

უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის მოსაზრებით, საშუალო საფეხურის კურიკულუმებში არაა წარმოდგენილი ისეთი დავალებები, რომლებიც მოიცავს ინტეგრირებას სხვა საგანთან, თუმცა წინა ორი საფეხურის ფარგლებში მსგავსი დავალები საკმაოდაა წარმოდგენილი. აქედან გამომდინარე, სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება ამ მიმართულებით და გეგმავს არსებულის გაუმჯობესებას, **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის ცნობით,** კათედრასთან ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა იმსჯელეს კონკრეტული მაგალითებით საგანთა ინტეგრაციასა და ცოდნის ტრანსფერზე. სკოლას მტკიცებულების სახით აქვს წარმოდგენილი სასწავლო პროცესში გამოყენებული აქტივობები და რესურსები საშუალო საფეხურზე, მოსწავლეთა ნამუშევრები, მოსწავლის აკადემიური მიღწევების შედეგების სრული ანალიზი , სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის დროს გამოყენებული ინდ. სამოქმედო გეგმები და მონიტორინგის გეგმები . **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** საგნობრივი კურიკულუმების შემუშავების პროცესში კათედრები თანამშრომლობენ ერთმანეთთან, თანამშრომლობა გაგრძელდება სასწავლო პროცესშიც, მოიძებნება საგნობრივი კავშირების დამყარების ახალი მაგალითები, დაიგეგმება და განხორციელდება ინტეგრირებული გაკვეთილები, რითაც ხელი შეეწყობა მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირებას. წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ მოსწავლეებს სთავაზობს გამოცდილებასთან ახლოს მდგომ ნაცნობ პრობლემებს, რომელთა მოგვარება მოითხოვს მიღებული ცოდნისა და გამოცდილების ურთიერთდაკავშირებულად გამოყენებას. მოსწავლე ორიენტირებულია რა პრობლემის მოგვარებაზე, უხდება წინა მასალის, ასევე სხვა საგნებში ნასწავლის გახსენება და ურთიერთკავშირში გააზრება. ცოდნათა ურთიერთდაკავშირებას ხელს უწყობს ასევე არაფორმალური აქტივობები. შესაბამისად სკოლას აქვს მზაობა, რომ სასწავლო პროცესში უზრუნველყოს მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზება და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ურთიერთდაკავშირება. სკოლაში **საზოგადოებრივი მეცნიერებების** კომპლექსური დავალების განხორციელების პროცესშიც ხელი შეეწყობა ცოდნათა ორგანიზებას და ურთიერთდაკავშირების პროცესს. ასევე მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგირებულ გაკვეთილებს როგორც კათედრაზე შემავალ საგნებთან, ასევე სხვა კათედრებთან(მაგ: საზოგადოებრივი მეცნიერებები-საბუნებისმეტყველო კათედრა). **ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრაზე** იყენებენ მოსწავლის თვითშეფასების კითხვარს, რომელიც ეხმარება მოსწავლეს , დაადგინოს საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები. მე- 11 კლასში წარმოდგენილი კომპლექსური დავალების პირობა- პრეზენტაციის მომზადება ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსებზე ,, ხმა იდუმალი“ და ,,სულო ბოროტო, “ ხელს უწყობს მოსწავლეებს ცოდნათა ურთიერთდაკავშირებასა და ორგანიზებაში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული გეგმა
- სსსმ მოსწავლეთა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,
- სსსმ მოსწავლეებთან მუშაობის სამუშაო გეგმა /დებულება
- საგნობრივი კურიკულუმები, განხორციელებული პროექტები სხვადასხვა ღონისძიებებში კათედრის მონაწილეობის ამსახველი დოკუმენტები
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- მასწავლებლის რეფლექსია
- კომპლექსური დავალება

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი საშუალო საფეხურის კურიკულუმში სავალდებულო თემის ფარგლებში შერჩეული საკითხები მიმართულია გრძელვადიანი მიზნებისკენ, საგნის კონტექსტში მუშავდება კონკრეტული სამიზნე ცნება/ცნებები. კურიკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგიის თანახმად, სამიზნე ცნებებს აზუსტებს მკვიდრი წარმოდგენები, ქვეცნებები, საფეხურის საკვანძო შეკითხვები; რომლებიც დაგეგმილი პროცესის ნაწილია, ვინაიდან მკვიდრი წარმოდგენები შემოსაზღვარავს ცნების არეალს, სწორედ მისგან გადმოთარგმნილი შეფასების კრიტერიუმები აქვს ჩაშლილი დავალების პირობას, რომელიც კარნახობს მოსწავლეს, კომპლექსური დავალების შესრულება რა მიმართულებით უნდა მოხდეს. **უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტის ცნობით, სკოლაში** სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით იმდენად, რამდენადაც თითოეულ კომპლექსურ დავალებაზე მუშაობის ფარგლებში მოსწავლეებს უწევთ, გააცნობიერონ, მაგალითად, რა არის წერილის მთავარი მახასიათებლები, თემა და მიზანი, ვინ არიან მათი მსმენელები და, შესაბამისად, აარჩიონ ესა თუ ის ენობრივი მასალა. კონკრეტული დავალების ფარგლებში დაეუფლონ კონკრეტულ საკითხს, მაგალითად, ისწავლონ ხილსა და ბოსტნეულთან

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დაკავშირებული ლექსიკური ერთეულები, წარსული დროის ფორმები და ამბის თხრობა, ისწავლოს ტექსტის სტრუქტურული მახასიათებლები და ა.შ. **სახელმწიფო ენის ექსპერეტის ინფორმაციით,** მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, თუ როგორ ამუშავებენ სამიზნე ცნებებს კომპლექსური დავალებების დახმარებით. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ მე-10 კლასის კურიკულუმში შემოთავაზებული კომპლექსური დავალების იდეა: გიორგი მერჩულის „გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა“ და ინტერნეტში მოძიებულ ლიტერატურაზე დაყრდნობით საინფორმაციო-სარეკლამო ბროშურის შედგენა: „გრიგოლ ხანძთელის ნაკვალევზე“, რომლის მიზანიც იქნება ტურისტების დაინტერესება ამ მხარეში მოგზაურობით. აღნიშნული შუალედური მიზანი უზრუნველყოფს ისეთი სამიზნე ცნებების დამუშავებას, როგორებიცაა: ჟანრი, კომპოზიცია და ენობრივ-გამომსახველობითი საშუალებები. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;**

საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტის ცნობით, კათედრის საშუალო საფეხურის მასწავლებლების მიერ საგნობრივ კურიკულუმებში თითოეული თემის ფარგლებში წარმოდგენილი ძირითადი შესასწავლი საკითხები და კომპლექსური დავალებები მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარების ხელშეწყობის საშუალებას იძლევა. მასწავლებლებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალების განხორციელების დროს მოსწავლეები დიდი ინტერესით ერთვებიან საგაკვეთილო პროცესში, მათთვის სახალისო პროდუქტის შექმნაა, ასევე ხალისით ერთვებიან კომპლექსური დავალების განხორციელების დროს საინტერესო აქტივობებში, მსჯელობენ საკუთარ ძლიერ და სუსტ მხარეებზე, აცნობიერებენ სხვების პოზიციას და შესწავლილი საკითხიდან გამომდინარე, გამოხატავენ ემპათიას სხვების მიმართ, პერსონალურ თუ სოციალურ ქცევებს შორის აკეთებენ ეთიკურ და კონსტრუქციულ არჩევანს. ამგვარი ქმედებები ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რაც ვლინდება კომპლექსური დავალების განხორციელების დროს. **საბუნებისმეტყველო საგნების ექსპერტის აზრითაც,** სკოლაში შექმნილია პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო მოსწავლეთა ჰარმონიული განვითარებისათვის; კომპლექსური დავალებები, განმავითარებელი შეფასებები და კომენტარები, დამრიგებელთა მიერ ჩატარებული კლას-საათები, ექსკურსიები, გასვლითი ღონისძიებები მოსწავლეებს ეხმარება საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენაში, თვითშეფასების ამაღლებაში, სოციალური უნარების განვითარებაში და ემოციების მართვაში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მათემატიკის ექსპერტი კი მოწოდებულ კურიკულუმზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად ასკვნის , რომ სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების სწავლებისას უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს . პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა პიროვნული და ფსიქოსოციალური განვითარებისთვის განხორციელდება სხვადასხვა პროექტი, აგრეთვე, არაფორმალური განათლების აქტივობები. პროექტების გამოყენება სწავლებაში გვაძლევს საშუალებას, ვივარაუდოთ, რომ ხელი ეწყობა მოსწავლეთა სოციალური უნარების განვითარებას იმდენად, რამდენადაც მათ უწევდათ ჯგუფურად მუშაობა საერთო მიზნის მისაღწევად და ურთიერთობას ამყარებდნენ არა მხოლოდ თანაკლასელებთან, არამედ სკოლის სხვა მოსწავლეებთან და სხვადასხვა ორგანიზაციებთან. დაგეგმილი აქტივობები მისცემს მოსწავლეს საშუალებას ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები,ძლიერი და სუსტი

სახელმწიფო ენის ექსპერტს კი მოსწავლეთა პიროვნულ და ფსიქო- ემოციურ განვითარებაზე სკოლის მხრიდან გამოვლენილ მზრუნველობის ნათელ მაგალითად მიაჩნია კურიკულუმებში მათ მიერ წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები და პირობები, რომლებიც არა მარტო საკითხის შესწავლას უზრუნველყოფს, არამედ მოსწავლეთა ფსიქო - ემოციურ განვითარებაზეც ახდენს გავლენას. მე-12 კლასში დაგეგმილია პოლიკარპე კაკაბაძის „ყვარყვარე თუთაბერის“ მომზადება მკითხველის თეატრში წარსადგენად. ასევე, დამატებითი ღონისძიებები, რომლებსაც **ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრა ახორციელებს**. მათ ასევე წარმოადგინეს განხორციელებული სასკოლო პროექტი **„ლიტერატურის როლი ფინანსური წიგნიერებში“.** გარდა ამისა, სკოლაში დანერგილია სადამრიგებლო საათი . მასწავლებლებთან შეხვედრისას გამოიკვეთა, რომ მათთვის პრიორიტეტულია მოსწავლეთა ფსიქო- ემოციური განვითარების ხელშეწყობა, ამიტომ სასწავლო პროცესში კვლავ გეგმავენ ამ მიმართულებით მრავალფეროვანი აქტივობების განხორციელებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოქმედი სასკოლო კურიკულუმით სკოლის შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასაწვლო გეგმას. შეფასება სასწავლო პროცესშია ინტეგრირებული და მოსწავლისათვის ყოველდღიური სასწავლო პროცესის განუყოფელი ნაწილია. მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასების მექანიზმად და მოსწავლეთათვის განმავითარებელი უკუკავშირის მისაცემად, სკოლა იყენებს ეროვნული სასწავლო გეგმის შედეგების ტაქსონომიას, რომელიც ეფუძნება კომპლექსური დავალების პირობაში ჩაშენებულ შეფასების კრიტერიუმებს. შეფასება ცოდნის აგებასა და გამოყენებაზეა ფოკუსირებული, რაც გულისხმობს შეფასების ორიენტაციას მოსწავლის შესაძლებლობების, უნარების, პოტენციალის განვითარების დინამიკაზე; შეფასების ამოცანები შეესაბამება მოსწავლეების საჭიროებებს და გამომდინარეობს მათგან. ასეთი შეფასება ეხმარება მოსწავლეებს განავითარონ ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. განმავითარებელი შეფასების სისტემატური გამოყენება, კონსტრუქციული უკუკავშირები, სხვადასხვა რჩევის, რეკომენდაციისა თუ პრობლემის გადაჭრის გზების შეთავაზება ეხმარება მოსწავლეებს. მასწავლებლებთან გასაუბრებისას, ასევე მათი პორტფოლიოს დათვალიერებისას, გაირკვა, რომ ხშირად მიმართავენ შესასვლელ და გასასვლელ ბილეთებს, რათა მოსწავლეებს ჩამოუყალიბდეთ ადეკვატური თვითშეფასება და დაინახონ თავიანთი სუსტი და ძლიერი მხარეები. **ესთეტიკური აღზრდის ექსპერტის აზრით სკოლის მიერ წარმოდგენილ** დოკუმენტებში მრავალფეროვანი შეფასების რუბრიკებია წარმოდგენილი სახვით და გამოყენებით ხელოვნებასა და მუსიკაში, სამივე საფეხურზე, მათ შორის განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების კონკრეტული რუბრიკების ნიმუშებიც იქნა წარმოდგენილი. შეიძლება დავასკვნათ, რომ მასწავლებელი სასწავლო პროცესში მოსწავლის განვითარებისთვის მიზანმიმართულად იყენებს შეფასების ორივე ფორმას ზოგჯერ ზეპირი ფორმით. ასევე კათედრის მიერ დაგეგმილი კომპლექსური დავალები სხვადასხვა კლასებში თავისთავად მოიაზრებს მოსწავლის **ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ინფორმაციით,** მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ ისინი სწორად იაზრებენ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების მიზნებს. ასევე იციან სოლოტაქსონომიის, როგორც განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტის, მნიშვნელობა. განმავითარებელი შეფასების რუბრიკებში ასახულია ცოდნის კონსტრუირების დინამიკა დეკლარაციული ცოდნიდან პირობისეულ ცოდნამდე. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. **შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის თვითშეფასების კითხვარში ვკითხულობთ, რომ შეფასების რუბრიკები შექმნილია ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, რომელიც განიხილა პედაგოგიურმა საბჭომ და დაამტკიცა კათედრამ. საკლასო ოთახების დათვალიერებისას აღმოჩნდა, რომ შეფასების რუბრიკები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას, რათა მოსწავლეებმა თვითონ შეაფასონ საკუთარი თავი კრიტერიუმების მიხედვით, როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, ისინი აცნობენ შეფასების რუბრიკებს მოსწავლეებს და მშობლებს. შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის. შესაბამისად, თითოეულმა მათგანმა წინასწარ იცის ის მოთხოვნები, რომელთა მიხედვითაც შეფასდება მათი ნაშრომი. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ცნობით,** სკოლაში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. შეფასების რუბრიკები და კრიტერიუმები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. შეფასების კრიტერიუმების ღიაობა და ობიქტურობა ხელს უწყობს სკოლას ამ მიმართულებით სანდოობის მაღალი ხარისხი ჰქონდეს. **უცხოური ენების ექსპერტის ინფორმაციით,** წარმოდგენილი რუბრიკების კრიტერიუმები არის ცალსახა და არ იძლევა სხვადასხვანაირად ინტერპრეტირების საშუალებას. რუბრიკებში ბუნდოვანებას იწვევს კონკრეტულ კრიტერიუმზე მინიჭებული ქულათა დიაპაზონი (0-1, 10-9. 8-7, 0-3 და ა.შ). მაგალითად, ზეპირმეტყველების შეფასების რუბრიკაში წარმოდგენილი კრიტერიუმს - „გასაგებად აყალიბებს მოსაზრებას და თანმიმდევრულად ავითარებს მას'' მინიჭებული აქვს 0-1-2 ქულა და არაა გაწერილი, როდის იწერება 0, როდის- 1 და რა შემთხვევაში იღებს მოსწავლე მაქსიმალურ 2 ქულას. ბუნდოვანია, რაზე დაყრდნობით უნდა გადაწყვიტოს მასწავლებელმა, კონკრეტულ მოსწავლეს ეკუთვნის 1 ქულა თუ 2 ქულა. გარდა ამისა, წარმოდგენილი რუბრიკები არაა მორგებული კონკრეტულად უცხოურ ენებს და კურიკულუმებში მოცემულ კომპლექსურებზე.

რჩევა: იმისათვის, რომ შეფასების პროცესი იყოს სანდო, გამჭვირვალე და ობიექტური, საჭიროა არსებული რუბრიკების გადახედვა და გამუჯობესება ხსენებული ხარვეზის გათვალისწინებით. ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამ ეტაპზე სკოლაში შეფასებების ვერიფიკაცია ხდება კათედრის სამუშაო ჯგუფის მიერ, 2023-2024 სასწავლო წლისათვის იგეგმება შეფასების სისტემის ვერიფიკაციის სტანდარტისა და სამუშაო ჯგუფის შექმნა, რომელსაც დაევალება შეფასების ვერიფიკაცია ორი მიმართულებით: 1. კომპლექსური დავალების შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება და კონსტრუქციული უკუკავშირი, 2. სკოლის დონეზე პროცესის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასება შეფასების ინსტრუმენტებით. ვერიფიკაცია დაფუძნებული იქნება შეფასების ინსტრუმენტების ეფექტურად გამოყენებაზე, შეფასების პროცესისა და შეფასების შედეგად შექმნილი მტკიცებულებისა და ზოგადად შეფასების სისტემის დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სკოლაში არსებობს პრაქტიკა, რომელიც გვიჩვენებს, თუ რამდენად გამართულად და ხარისხიანად მუშაობს შეფასების სისტემა. შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მიზნით სკოლაში ტრადიციულად ხორციელდება მოსწავლეთა შედეგების ანალიზი შემაჯამებელი და სემესტრული შეფასებების მიხედვით. ტარდება სადიაგნოსტიკო წერები. საგნის მასწავლებლები ყოველი შემაჯამებელი დავალების შესრულების შემდეგ აკეთებენ შედეგების ანალიზს კლასის დონეზე. პერიოდულად ხდება შედეგების ანალიზის გაზიარება კათედრაზე. ასევე დირექცია ახდენს სკოლის საერთო შედეგების სტატისტიკურ ანალიზს სემესტრული შედეგების საფუძვლზე და ახორციელებს რეფლექსიას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.**

სკოლას აქვს გარკვეული გამოცდილება, უზრუნველყოს მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის შენახვა. ეს არის მოსწავლის პირადი საქმეები, რომელსაც ავსებენ კლასის დამრიგებლები, კლასის საფეხურის დაძლევის ბრძანებები. მატერიალური ჟურნალები შენახული გარკვეული ვადით, დამრიგებლები აწარმოებენ შეფასებასთან დაკავშირებულ ყოველწლიურ ანგარიშს. იგეგმება დიაგნოსტიკური შეფასებების შედეგად მიღებული მონაცემების 3 წლის ვადით შენახვა. სკოლა ახორციელებს შეფასებებთან დაკავშირებული მონაცემების შეგროვებასა და სათანადოდ აღრიცხვას. კანონმდებლობის ფარგლებში-დადგენილი წესით გამოსცემს ბრძანებებს. 2020-2021 სასწავლო წლამდე სკოლა ყველა წესის დაცვით აწარმოებდა მატერიალურ ჟურნალებს, 2020-2021 სასწავლო წლიდან სკოლა წარმატებით ართმევს თავს ელექტრონული ჟურნალის წარმოებას. სკოლაში ინახება დასაქმებულთა და მოსწავლეთა პირადი საქმეები კანონმდებლობით დადგენილი ვადით. სკოლას, დირექტორის ბრძანებით, განსაზღვრული ჰყავს არქივზე პასუხისმგებელი პირი. სკოლაში დაარქივებულია და ინახება: ანბანური წიგნი, ატესტატების წიგნი, ბრძანების წიგნი, პირადი საქმეები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პედაგოგიური საბჭოს ოქმები, სამეურვეო საბჭოს ოქმები შემოსული და გასული წერილების აღრიცხვის ჟურნალი და სხვა. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სასკოლო საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო
- კათედრის ოქმები
- სასწავლო პროექტები
- ინდ სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- სტრატეგიული გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები
- შემაჯამებლები და მათი ანალიზი
- კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- სკოლის სასწავლო გეგმა

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებშია აღნიშნული, მოსწავლემ განათლება უნდა მიიღოს უსაფრთხო, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ძალადობისაგან თავისუფალ გარემოში, სკოლამ უნდა უზრუნველყოფს სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის შემუშავება და განხორციელება, სკოლისთვის პრიორიტეტულია უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემო,სადაც უზრუნველყოფილი იქნება მოსწავლეთა მხარდაჭერა. თანამშრომლობითი ურთიერთობები, პრობლემებზე ორიენტირებული კომუნიკაცია და გაზიარებული პასუხისმგებლობა სასკოლო გარემოს პოზიტიურ მართვას უწყობს ხელს. სკოლის მისიასა და ხედვაში მთავარი ორიენტირი არის მოსწავლე. მასწავლებლები ცდილობენ, მოსწავლეებს შეუქმნან მიმღებლობითი გარემო. კათედრის წევრებს ხშირად აქვთ შეხვედრები, სადაც განიხილავენ არამარტო სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ, არამედ პროფესიული ზრდის მიმართულებით არსებულ პრობლემებს. ასევე არის თანამშრომლობითი და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული პრაქტიკა პედ. კოლექტივსა და დირექციას შორის, იღებენ ბევრ საჭირო რჩევას და რეკომენდაციას. მზრუნველობითი დამოკიდებულება აქვთ ბავშვებთან, დადებითად ფასდება პედაგოგთა და მშობელთა თანამშრომლობა. **მათემატიკის ექსპერტის მოსაზრებით,** სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, რაც დასტურდება კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარებით, კრიტიკული მეგობრის ინსტიტუტის ფარგლებში ურთიერთდასწრებებზე მიცემული რეკომენდაციებით, კურიკულუმებზე ერთობლივი მუშაობით, სხვადასხვა ღონისძიებებსა თუ პროექტებში ერთობლივი ჩართულობით, დიფერენცირებული მიდგომები. **უცხოური ენების ექსპერტის ცნობით კი,** მასწავლებლებმა ინტერვიუსას განაცხადეს, რომ ცდილობენ, მოსწავლეებს შეუქმნან კომფორტული გარემო და დაეხმარონ მათ ამა თუ იმ სირთულის დაძლევაში. მაგალითად, თუკი რომელიმე მოსწავლე რაიმე საკითხს ვერ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

იგებს, უხსნიან თავიდან. თუ რომელიმე დავალება რთულია კონკრეტული მოსწავლისთვის, მაგალითად, დასაწერი აქვთ წერილი და მოსწავლე ვერ ახერხებს დამოუკიდებლად დაწერას, აძლევენ შაბლონს, სადაც გამოყოფილია ის ადგილები, რომლებიც მოსწავლემ უნდა შეცვალოს თავისი სიტუაციიდან გამომდინარე და ა.შ. გარდა ამისა, იმისათვის, რომ კარგად გაართვან თავი კომპლექსურ დავალებებს, ჯერ აჩვენებენ ნიმუშებს იქნება (ეს სახელმძღვანელოში მოცემული ნიმუში თუ სხვა დამატებითი სახით) და შემდეგ სთხოვენ მისეული ვერსიის შექმნას. დახმარებას უწევენ როგორც სსმ მოსწავლეებს ისე, ტიპური განვითარების მოსწავლეებსაც. თვითშეფასების კითხვარში ნახსენებია, რომ **მასწვლებლები** სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან ერთად ერთობლივი ძალისხმევით ზრუნავენ მოსწავლეთა აკადემიურ და პიროვნულ წინსვლაზე საჭიროებების შესაბამისად. სასკოლო საზოგადოება სრულად იღებს პასუხისმგებლობას მოსწავლის, მშობლის და სასკოლო თემის წინაშე, ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებებსა და ინტერესებს. ამის დასტურია **„მშობელთა სტრატეგიული ურთიერთობის“** დოკუმენტი, მშობელთა კრების ოქმები, მათი გამოკითხვის ბარათები და მოსწავლეთა ინიციატივების წახალისებები, ასევე **„მოსწავლეთა მხარდამჭერი პროგრამა- რემედიაცია“**. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;**

კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებები, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები იძლევა იმის საშუალებას, რომ სასწავლო პროცესი წარიმართოს მოსწავლის განვითარებაზე ორიენტირებულად; სკოლა ზრუნავს, ხელი შეუწყოს მოსწავლის, თანამშრომლობითი უნარების განვითარებას, ჩართულობას და თვითრეალიზებას . სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა შესაძლებლობები და ინტერესები, რასაც ადასტურებს როგორც მასწავლებლებთან ინტერვიუ , ასევე წარმოდგენილი დოკუმენტაცია. სკოლას გააზრებული აქვს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია დიფერენცირებული მიდგომების გამოყენება, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში მოსწავლეთა ჩართულობა და მოსწავლის საჭიროებებისა და პროგრესის მუდმივი მონიტორინგი. სკოლას გათვალისწინებული აქვს სადიაგნოსტიკო წერების ჩატარება, მოსწავლეთა საჭიროებების კვლევები, რომლის ანალიზის შედეგად შესაძლებელი იქნება სასწავლო პროცესის დაგეგმვა თითოეული მოსწავლის საჭიროების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მაქსიმალურად გათვალისწინებით. სკოლა, ასევე, გეგმავს, საგნობრივი მიმართულებებით განახორციელოს სასწავლო პროექტები, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის გაზრდას. სკოლას აქვს სსსმ მოსწავლეების ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომელთა შემუშავებისას აქტიურად თანამშრომლობს მშობლებთან, რათა გათვალისწინებული იყოს მოსწავლის კონკრეტული ინტერესები და შესაძლებლობები, წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა ბარათი, რომლებიც გვიჩვენებს მოსწავლეთა საჭიროებებზე მორგებულ აქტივობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;

სასწავლო პროცესი თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. ეს კარგად ჩანს როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილ მასალაში, ისე მასწავლებლებთან პირისპირ შეხვედრისას. შემუშავებული აქვთ კათედრის სამოქმედო გეგმა. ისინი გუნდურად ახორციელებენ სხვადასხვა სასწავლო და შემეცნებით აქტივობას, ითვალისწინებენ მოსწავლეთა უკუავშირს, მჭიდროდ ურთიერთობენ მშობლებთან. ეფექტური კომუნიკაციისთვის შემუშავებული აქვთ სპეციალური დოკუმენტი ,, მშობელთან ურთიერთობის სტრატეგია“, რომლის მიზანიც სასკოლო ცხოვრებაში მათი ჩართულობის გაძლიერებაა. სკოლა მშობელთა კრებებზე დეტალურადა განიხილავს აქტუალურ საკითხებს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის აზრით,** საშუალო საფეხურზე **ბუნებისმეტყველებაში** განხორციელებული სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას. კურიკულუმების შემუშავების მეთოდოლოგია, მასწავლებელთა ურთიერთდასწრების ფორმები, კონფერენციები, კურიკულუმებში ჩაშენებული კომპლექსური დავალებებით სწავლება, დაგეგმილი პროექტები და აქტივობები გულისხმობს თანამშრომლობითი კულტურის და კომუნიკაციის განვითარებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

სკოლა შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, ისწავლონ ფიზიკურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოში. მასწავლებლებთან და დირექტორთან პირისპირ გასაუბრება, განხორციელებული და წარმოდგენილი სასკოლო აქტივობები, პროექტები ადასტურებს სკოლაში პოზიტიური სასკოლო კლიმატის არსებობას, თანამშრომლობით კულტურას სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. საკლასო რესურსები ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისათვის. სკოლაში მოქმედებს სადამრიგებლო საათი, რომელიც აძლევს მოსწავლეებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საშუალებას, ისაუბრონ პირად საკითხებსა და საკუთარ პრობლემებზე. მათ შეუძლიათ მიმართონ ნებისმიერ დროს დირექტორს ან სხვა მასწავლებელს, რომლებიც ყოველთვის გულისყურით მოუსმენენ და დაეხმარებიან. აღმზრდელობითი მუშაობა მიმდინარებს სხვადასხვა ფორმით: დისკუსია, სასწავლო ექსკურია, როლური თამაში, გამოფენა, კონკურსი. **სახელმწიფო ენის ექსპერტის ინფორმაციით,** პოზიტიური კლიმატის არსებობა იგრძნობა როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე. ამის დასტურია მრავალფეროვანი და საინტერესო სასკოლო ცხოვრება, რომელშიც მოსწავლეები , მასწავლებლები და მშობლები ერთობლივად არიან ჩართული. მაგალითისთვის შეიძლება აღვნიშნოთ სასკოლო პროექტი **„ფინანსური წიგნიერება“** და წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები(მე-10 და მე-11 კლასებში); სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ნამუშევრების გამოფენას, მათი მიღწევებისა და წარმატებების გაზიარებას. მასწავლებლებთან ინტერვიუსას გამოიკვეთა მათი კოლეგიალობა და გუნდურობა, ერთმანეთის მიმართ კეთილგანწყობა და პოზიტიური ურთიერთობები, რაც უდიდეს როლს ასრულებს სასწავლო პროცესის ეფექტიანად წარმართვაში და საუკეთესო შედეგების მიღწევის პირობაა. სასწავლო პროცესში შექმნილია ნდობაზე დაფუძნებული, ღია, მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო. სკოლაში სასკოლო საზოგადოების წევრები თანასწორნი არიან: ეროვნების, რელიგიური აღმსარებლობისა და სქესის მიხედვით. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სადამრიგებლო პროგრამები
- სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმა
- სასწავლო პროექტები და რეფლექსია
- საგნობრივი კურიკულუმი
- ინდ სასწავლო გეგმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კლასის სადამრიგებლო საათი და სამოქმედო გეგმები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მოსწავლეთა შესრულებული ნამუშევრები
- სკოლის სასწავლო გეგმა
- სასკოლო ღონისძიებები
- კურიკულუმები

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;**

როგორც შესწავლილი სასკოლო დოკუმენტებით ირკვევა, სკოლაში მიმდინარეობს განხორციელებული კურიკულუმების მონიტორინგი, ანალიზი და შეფასება, რასაც კათედრები საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში ახორციელებენ. დაწყებით საფეხურზე მასწავლებელთა შორის ხდება გაკვეთილებზე ურთიერთდასწრება, შეფასება, გამოცდილების გაზიარება. არსებობს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კოლეგებს შორის გამოცდილების გაზიარების მიზნით შექნილი რეფლექსიები და თვითრეფლექსიები. **მათემატიკის საგნობრივი ექსპერტის ცნობითაც,** წარმოდგენილი მასალები, კათედრის წევრებთან გასაუბრება, ადასტურებს სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და სკოლაში მიმდინარეობს დადგენილი და დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. **უცხოური ენების ექსპერტის მოსაზრებითაც,** სასკოლო კურიკულუმის მონიტორინგი უშუალოდ ერწყმის სასწავლო პროცესს და ასოცირდება კათედრების წევრებისა და დირექციის ინტენსიურ თანამშრომლობასთან. ამ ეტაპზე ხორციელდება კურიკულუმების მონიტორინგი კათედრისა და ხარისხის მართვის ჯგუფის მიერ, მიმდინარე სამუშაო პროცესებზე დაკვირვებით. ჯგუფის მიერ 2023-2024 წლისთვის კი იგეგმება სასკოლო წერების ტრადიციის შემოღება, რომლის მიზანიც იქნება სასკოლო დონეზე კურიკულუმების შუალედური და წლიური შეფასება. იგეგმება შეფასების ჯგუფის ფორმირება, რომლის ფუნქცია-მოვალეობაც მონიტორინგის წარმოება იქნება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

წარმოდგენილი მასალები, კათედრის წევრებთან გასაუბრება, ადასტურებს, რომ სასკოლო კურიკულუმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება კურიკულუმის განვითარების პროცესის განუყოფელი ნაწილია და სკოლაში მიმდინარეობს დადგენილი და დამტკიცებული მეთოდოლოგიი შესაბამისად. სკოლის მიერ ატვირთულ დოკუმენტაციაში ჩანს, რომ მასწავლებლები მუდმივად ზრუნავენ საკუთარი პრაქტიკის ურთიერთგაზიარებაზე, პრობლემური საკითხების გამოვლენასა და მისი დაძლევის გზებზე. სასკოლო საზოგადოების წევრთა მხარდაჭერასა და დახმარებას ემსახურება კომპლექსური ბარათების მშობლებისათვის გაზიარების პრაქტიკა, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრთა ინფორმირებას და თანაბარუფლებიან მონაწილეობას ყველა დონეზე მიმდინარე სასწავლო პროცესზე მონიტორინგისა და დაკვირვების მიზნით. სისტემეტურად მიმდინარეობს დასწრების შემდეგ უკავშირი, ძლიერი მხარეების გამოკვეთა და წარმატებული პრაქტიკის პედსბჭოზე გაზიარება, ხოლო სუსტი მხარეების ანალიზი და პრობლემათა გადაჭრის გზების ერთობლივი ძიება. მასწავლებლებმა ინტერვიუსას აღნიშნეს, რომ სკოლის გუნდური მუშაობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პრინციპი ითვალისწინებს მხარდაჭერას ყველა დონეზე, მნიშვნელობა არა აქვს, ეს იქნება მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი თუ სასკოლო საზოგადოების სხვა წარმომადგენელი. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობის და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად გამოკვეთა, რომ მონიტორინგის და შეფასების შედეგად მიღებული მასალა გამოიყენება პრობლემების იდენტიფიცირების და მისი ეფექტურად გადაჭრისთვის. პედაგოგებს აქვთ გაცნობიერებული ის ფაქტი, რომ მოსწავლეთა შეფასების მთავარი მიზანი მათი დახმარებაა სწავლა-სწავლების პროცესში. პრობლემის იდენტიფიცირების შემდეგ კათედრის წევრები ერთად გეგმავენ პრობლემის მოგვარების გზებს გამოვლენილი ხარვეზების აღმოსაფხვრელად. სასწავლო პროცესის მონიტორინგი ხორციელდება სკოლის დირექტორისა და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის წევრთა მიერ საგაკვეთილო პროცესზე დასწრებით, რასაც სისტემატიური ხასიათი აქვს, დგინდება მოსწავლეთა საჭიროებები და ისახება პრობლემის გადაჭრის გზები. გარდა ამისა, მასწავლებლები იზიარებენ და ითვალისწინებენ ხარისხის ჯგუფის მიერ მიწოდებულ უკუკავშირებს, განმავითარებელი შეფასების კომენტარებს, ასევე კათედრის წევრთა ურთიერთდასწრების შედეგად გაზიარებულ გამოცდილებას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი
- სკოლის კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კურიკულუმის განხორციელების რეფლექსია
- ერთლიანი განვითარების სამოქმედო გეგმა
- 7 წლიანი სამოქმედო გეგმა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში ჩამოყალიბებულია ობიექტური და გამჭვირვალე შეფასების სისტემა, როგორც საკლასო, ისე სასკოლო დონეზე , რომელიც შესაბამისობაშია ეროვნულ სასწავლო გეგმასთან და ორიენტირებულია მოსწავლის ინდივიდუალურ წინსვლასა და განვითარებაზე. იყენებენ შეფასებისას მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: შემაჯამებელი დავალები, მასწავლებლების ანგარიშები, გამოყენებული დიაგნოსტიკური განმავითარებელი შეფასებები, მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, უკუკავშირები და შესასვლელ-გასასვლელი ბილეთები. მათი განხილვით/ანალიზით გროვდება ინფორმაცია თითოეული მოსწავლის თავისებურებების და საჭიროების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია შეფასების დროს. მასწავლებლებთან ინტერვიუირებისას აღინიშნა, რომ სასწავლო პროცესში შეფასებისას ეყრდნობიან არა მარტო მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, არამედ მათ შესახებ მოპოვებულ სხვა ინფორმაციებსაც. მაგ. ის შეიძლება იყოს ოჯახური, მატერიალური თუ სოციალური პირობები, პიროვნული მახასიათებლები, საჭიროებები, მოსწავლის ძლიერი თუ სუსტი მხარეები. ამის შესახებ ცნობებს იღებენ მშობელთა კრებებიდან, ძირითადად, დამრიგებლების საშუალებით. **სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტის ცნობით,** სასწავლო პროცესის შეფასება საბაზო საფეხურზე კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის პროცესშიც და საბოლოო შემოქმედებითი პროდუქტის წარდგენისასაც ხორციელდება. სკოლამ წარმოადგინა მრავალფეროვანი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები წერილობითი ნამუშევრების შეფასებებთან დაკავშირებით . დეტალურადაა გაწერილი ესეს, ინტერვიუს, თხზულების, ზეპირმეტყველების, დისკუსიისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თუ პრეზენტაციის შეფასების კრიტერიუმები ქულებთან ერთად. გასაუბრებით გაირკვა , რომ აქვთ ჯგუფური მუშაობისა და სოლოტაქსონომიით შეფასების გამოცდილება. სკოლამ მტკიცებულებად წარმოადინა კომპლექსური დავალების შემაჯამებელი განავითარებელი შეფასების რუბრიკები მე-10 და მე-11 კლასებში. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;

სკოლის მიერ წარმოდგენილ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტში გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები მოსწავლეებზე დაკვირვებას ახორციელებენ სხვადასხვა სიტუაციაში, იქნება ეს სასკოლო თუ არასასკოლო გარემო: სასკოლო ექსკურსიები, შემეცნებითი გასვლები, სხვადასხვა წრეებში ჩართულობა და სხვა, რადგან მოსწავლეთა შესწავლა სხვადასხვა კონტექსტში აუცილებელია სრულყოფილი შეფასებისათვის. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის საფუძველზე, სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა კომპლექსურია და მოიცავს ბევრ სხვადასხვა მიმართულებას. მოსწავლე არ ფასდება ცალსახად მხოლოდ მის მიერ გამოვლენილი ცოდნის საფუძველზე, არამედ ხდება სხვა ბევრი ფაქტორის გათვალისწინებაც. სასწავლო პროცესის შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის საშუალებით - სასკოლო კულტურის, სასკოლო კლიმატის, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, საგაკვეთილო პროცესის მიმდინარეობის და სხვათა მოკვლევით. მოსწავლის შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასებისას გათვალისწინებულია სხვადასხვა საგნის მასწავლებლის, დამრიგებლის, მოსწავლის საკუთარი წარმოდგენების და თანაკლასელების უკუკავშირი. კლასის დონეზე ხდება შემაჯამებელი დავალებების რაოდენობრივი ანალიზი, მოსწავლეები, გარდა საკლასო-საშინაო აქტივობებისა, ფასდებიან კვლევით აქტივობებში, პროექტებზე და სხვა კლასგარეშე ღონისძიებებში მიღებული მონაწილეობის საფუძველზე. **სახელმწიფო ენის ექსპერტის მოსაზრებით,** მასწავლებელები სხვადასხვა კონტექსტში იყენებენ შეფასების ინსტრუმენტებს, რათა კარგად წარმოჩნდეს მოსწავლეთა მრავალმხრივი ინტერესები და შესაძლებლობები. სკოლამ წარმოადგინა საკმაოდ მრავალფეროვანი რუბრიკები, როგორც განმავითარებელი (მე-10- მე-11 კლასები), ისე განმსაზღვრელი (ზოგადი სახით). ისინი ცხადყოფს, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლები საბაზო საფეხურზე საშუალებას აძლევენ მოსწავლეებს, გამოხატონ თავიანთი შესაძლებლობები ყველა მიმართულებით. გათვალისწინებულია ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა თვითშეფასება , შემუშავებულია ,,თვითშეფასების ბარათები“ და ,,გასასვლელი ბილეთები“. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;**

სკოლას ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნული აქვს, რომ შეფასებისას იყენებენ მონაცემების მიზნობრივ შეგროვებას და ამ მონაცემების ანალიზს. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რომელთა საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ. ასევე მოსწავლეების შესახებ მონაცემების შეგროვება ხორციელდება განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტებზე დაყრდნობით. სკოლის მიერ ნაჩვენები ინფორმაციის შეგროვების რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენების ერთობლიობა შეფასებისადმი ჰოლისტურ მიდგომას უზრუნველყოფს და ამავდროულად აბალანსებს თითოეული მეთოდის სუსტ მხარეებს. **პედაგოგებთან ინტერვიუირებისას გამოიკვეთა, რომ** მონაცემთა შესაგროვებლად პედაგოგები, ძირითადად იყენებენ შემაჯამებელი დავალების ანალიზს, კომპლექსური დავალებების მიმდინარეობის დროს მიმდინარე პროცესის შეფასებას, სადიაგნოსტიკო შეფასების ანალიზს. ასევე მასწავლებლები ორგანიზებას უწევენ სხვადასხვა სასწავლო აქტივობებს (ტესტირება, ექსპერიმენტი, საკლასო და საშინაო დავალებები, პროექტები, პრეზენტაციები, ოლიმპიადები და სხვა) , რაც თავის მხრივ მოიაზრებს მრავალფეროვან მონაცემთა შეგროვების მეთოდებს. **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის მოსაზრებითაც, მაგალითად,** საბუნებისმეტყველო კათედრა შეფასებისას მონაცემების შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს იყენებს, შემაჯამებელი დავალებები, მასწავლებლების ანგარიშები, გამოყენებული დიაგნოსტიკური განმავითარებელი შეფასებები, მასწავლებლის პირადი ჩანაწერები, უკუკავშირები და შესასვლელ-გასასვლელი ბილეთები. მათი განხილვით/ანალიზით გროვდება ინფორმაცია თითოეული მოსწავლის თავისებურებების და საჭიროების შესახებ, რომელიც გათვალისწინებულია შეფასების დროს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ სკოლა ამ მიმართულებით მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

შეფასების სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით განხორციელებას უზრუნველყოფს სკოლის მიერ კურიკულუმების ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებები, შეფასების რუბრიკები, საგნობრივი და ინტეგრირებული პროექტები. ინტერვიუირების დროს გაკეთებული მიგნებების მიხედვით მასწავლებლები ახდენენ მოსწავლის სხვადასხვა უნარის დიაგნოსტირებას, შეფასებისას ითვალისწინებენ გარე ფაქტორებს, რომელიც გავლენას ახდენს მოსწავლის შედეგებზე (გამოცდილება, ემოციური მდგომარეობა, ინტელექტი, ჯანმრთელობა და სხვა). **საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ექსპერტის აზრით,** მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, მაგალითად, **საბუნებისმეტყველო** კათედრა ითვალისწინებს და მომავალშიც გაითვალისწინებს სხვადასხვა გარე და შიდა ფაქტორებს; ისეთებს, როგორებიცაა სასკოლო თემის მოლოდინები სკოლის მიმართ, ხელის შემშლელი გარემოებები, მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესში, მოსწავლეთა განწყობები, წინარე ცოდნა და სასკოლო მზაობა, რომელიც ეფუძნება ესგ სასწავლო მიზნებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- კურიკულუმის ჩარჩო
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი
- ბრძანება სკოლის კურიკულუმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- შეფასების რუბრიკები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;**

სკოლის მასწავლებლებმა გაგვიზიარეს თავიანთი გამოცდილება, რომლის მიხედვითაც კათედრის ხელმძღვანელები სასწავლო წლის განმავლობაში 2-ჯერ სკოლის ადმინისტრაციას წარუდგენენ სრულ ანგარიშს გაწეული საქმიანობის შესახებ. ანგარიშში წარმოდგენილია ინფორმაცია დაგეგმილი და შესრულებული აქტივობების შესახებ, როგორებიცაა ერთობლივად დაგეგმილი გაკვეთილები, შიდა დაკვირვების გაკვეთილები კათედრის მიერ მომზადებული უკუკავშირებით; კათედრაზე ჩატარებული სამუშაო და რეფლექსური შეხვედრები; მასწავლებლების მიერ შექმნილი სასწავლო რესურსები ; დაგეგმილი და ჩატარებული დიაგნოსტიკური წერები; კათედრის წევრების მიერ განხორციელებული სასწავლო პროცესი- კომპლექსური დავალებების შექმნაზე; კათედრები აჯამებენ საქმიანობას და აფასებენ ჯგუფის ძლიერ და სუსტ მხარეებს , გეგმავენ ინტერვენციებს , რომელთაც ითვალისწინებენ შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისას. ბუნებრივია, ეს პროცესი ვერ იქნება კურიკულუმის რევიზიის ტოლფასი , თუმცა კათედრების ანგარიშები მნიშვნელოვანი მიმართულებაა მონიტორინგში. სკოლის დირექცია ცდილობს, გააერთიანოს კათედრის ხელმძღვანელების მიერ მოწოდებული მასალები სასწავლო პროცესის მიმდინარეობასთან დაკავშირებით, განსაზღვრავს პრიორიტეტებს და შეიმუშავებს სარეკომენდაციო პაკეტს მომავალი სასწავლო წლისათვის. **სახელმწიფო ენის ექსპერტის ცნობით,** სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო პაკეტი. პედაგოგებს კარგად აქვთ გააზრებული, როგორ უნდა გაიწეროს ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ვადები კურიკულუმის განვითარების ეტაპების შესაბამისად, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავების აუცილებლობა, ვერიფიკაცია, ინაწილებენ პასუხისმგებლობებს. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.**

თვითშეფასების კითხვარის მიხედვით, კურიკულუმის რევიზიის შედეგების ანალიზი ხდება ორი მიმართულებით: რა ფაქტორები და სასწავლო პრაქტიკა აფერხებდა პროცესს და რა ფაქტორები უწყობდა ხელს. მონაცემები გროვდება სხვადასხვა მიმართულებით ; ყველა საკითხთან მიმართებით მონაცემების შეჯერების საფუძველზე სკოლა ქმნის რეკომენდაციების პაკეტს : სასკოლო კურიკულუმის შესამუშავებლად; რეკომენდაციების პაკეტს სკოლის სასწავლო გეგმის შესამუშავებლად. სკოლას გააჩნია ერთწლიანი სამოქმედო გეგმის პრიორიტეტების განსაზღვრის და შესაბამისად სარეკომენდაციო პაკეტის მომზადების გამოცდილება. 2023-2024 სასწავლო წელს კი ამოქმედდება პროცესის შეფასების და მონიტორინგის შეთანხმებული ფორმა. შეფასდება სასწავლო პრაქტიკის ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორები, მომზადდება სარეკომენდაციო პაკეტები და შეიტანენ ცვლილებებს კურიკულუმში . 2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმები კი შემუშავებდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ მოწოდებული მნიშვნელოვანი სარეკომენდაციო პაკეტების მიხედვით კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩო/ მისი ელემენტებით და შეფასების ინსტრუმენტებით.

საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტის ცნობით, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმის გადამუშავების პროცესი გაწერილია სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში “ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია”. კურიკულუმის რევიზია ეყრდნობა წინარე გამოცდილებას. დოკუმენტის მიხედვით, სკოლის ფარგლებში კურიკულუმის გადამუშავება ხორციელდება საგნობრივ კათედრებზე, სადაც პედაგოგთა ჯგუფი ხელმძღვანელობს რამდენიმე ფაქტორის გათვალისწინებით. განიხილება მოსწავლეთა ჩართულობის ხარისხი სასწავლო პროცესში, ასევე მოსწავლეთა შედეგებზე დაკვირვებით დგინდება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კურიკულუმით განსაზღვრულმა საგანმანათლებლო აქტივობებმა , რამდენად გამოიწვია მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესება, მშობელთა ჩართულობის ხარისხის გაანალიზება და ასევე მათი ინფორმირების მექანიზმების ეფექტურობის შეფასება. **ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის ჩარჩო
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების წესი
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- განხორციელებული კურიკულუმის რეფლექსია
- კურიკულუმები
- კომპლესური დავალებები
- კურიკულუმის ანალიზი

შეფასება:

☒ **შეესაბამება**

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება










ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: